

თამაზ შავჭავჭავაძე

საზოგადოებრივი უზი,
მათერშეგნება და მოსნავდე
ახადგაზარობა



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1981

წიგნი ეძღვნება საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების პრობლემას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში.

სამართლის, ფსიქოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის მიჯნაზე ავტორი იკვლევს მართლშეგნების მომწესრიგებელ ფუნქციას, ცდილობს მოუწახოს მართლშეგნებას ადგილი დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მართლშეგნების დონის შესწავლის მიზნით წიგნში გამოყენებულია კვლევის სოციოლოგიური მეთოდი.

წიგნი განკუთვნილია მეცნიერ იურისტებისათვის, უმაღლესი და საშუალო სკოლების პედაგოგებისათვის, სტუდენტებისათვის და პრაქტიკოს იურისტებისათვის. წიგნით შეიძლება დაინტერესდეს ყველა მკითხველი, ვისაც საქმე აქვს ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდასთან.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. საბჭოთა კავშირის კბ XXVI ყრილობამ ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად საბჭოთა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა დასახა. როგორც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა, „საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდებლობითი მუშაობა. მხედველობაში მაქვს შრომითი აღზრდაც, ზნეობრივი აღზრდაც და იდეურ-პოლიტიკური აღზრდაც“¹.

საბჭოთა ადამიანის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში. „რესპუბლიკის უკანასკნელი წლების სოციალურ-ეკონომიკურ მიღწევებს, — აღინიშნა საქართველოს კბ XXVI ყრილობაზე, — ვერ განვიხილავთ იმ ბრძოლასთან ორგანული კავშირის გარეშე, რომელსაც ვეწევიტ ადამიანისათვის, ამალღებული ზნეობრივ-პოლიტიკური იდეალების, სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტი სულიერი ღირებულებების, საბჭოური ცხოვრების წესის ნორმების უფრო ღრმად დამკვიდრებისათვის“².

აღამიანის აღზრდისადმი პარტიის ესოდენ დიდი ყურადღება იმიტ აიხსნება, რომ სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო და არის ადამიანი, მისი პარმონიული განვითარება. „განვითარებული სოციალიზმის ჭევეყანაში, რომელიც კომუნისმის გზას უკვალავს მთელ კაცობრიობას, — აღინიშნა საქართველოს კბ XXV ყრილობაზე, — არ არის და არაფერი შეიძლება იყოს ადამიანზე ძვირფასი, ადამიანზე უმაღლესი, ადამიანზე უმშვენიერესი. ადამიანი ჭეშმარიტად ჩვენი ყველაზე ფასდაუდებელი საუნჯეა, ჩვენი მთავარი, უდიდესი კაპიტალია. სწორედ ამიტომ, ჩვენ, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მოწინავე, ყველაზე სამართლიანი საზოგადოების მშენებ-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება აბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, თბ., 1981, გვ. 105.

² ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, თბ., 1981, გვ. 93.

ლებს გვსურს, რომ კიდევ უფრო ამაყად აუღერდეს სიტყვა — ადამიანი“³.

ადამიანის აღზრდის, პარმონიული განვითარების მთავარი გზა მისი შეგნების და საერთოდ საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებაა.

მაღალი კომუნისტური შეგნების აღზრდის დიდ მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელობაზე, კარგად არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, ნათქვამია დადგენილებაში, რომ „დასაბამი მიეცა იმ დიდ მუშაობას, რომელიც მომავალში უნდა წარმოებდეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის“⁴.

✱ ექვგარეშეა, რომ ადამიანის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და განსაკუთრებით ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ადამიანის სამართლებრივი აღზრდაა. აშხ. ლ. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კანონის პატივისცემა თითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს“⁵.

✓ სამართლებრივი აღზრდა გულისხმობს მართლშეგნების ამაღლებას. „აღზრდა, — წერდა მ. ი. კალინინი, — არის გარკვეული მიზნობრივი და სისტემატური ზემოქმედება აღსაზრდელის ფსიქოლოგიაზე, რათა შთაუწერგოთ ის თვისებები, რომლებიც სასურველია აღმზრდელისათვის“⁶. სამართლებრივი აღზრდაც არის სწორედ მიზანდასახული, სისტემატური ზემოქმედების მოხდენა აღსაზრდელის ფსიქიკაზე მისი მართლშეგნების ასამაღლებლად.

ადამიანის მართლშეგნების დონე განსაზღვრავს მის მიერ კანონის შესრულების მეტ-ნაკლებ ალბათობას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მართლშეგნების ზრდა საერთოდ სამართალდარღვევისა და, კერძოდ, დანაშაულის პროფილაქტიკის ერთ-ერთ ქმედით საშუალებას წარმოადგენს. იმაზე, თუ რაოდენ მაღალი იქნება ჩვენში ინდივიდუალური და საზოგადოებრივი შეგნების დონე ბევრადაა დამოკიდებული რესპუბლიკის პოლიტიკური, სამეურნეო თუ სხვა მიღწევები და პარტიის მიერ

³ ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 163.

⁴ გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წ., 27 ივნისი.

⁵ ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, თბ., 1971, გვ. 111.

⁶ მ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, თბ., 1948, გვ. 93.

მიმდინარე ხუთწლეულში დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა საერთოდ. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ სამართლის მეცნიერებაში წინ უნდა წამოიწიოს მართლშეგნების პრობლემების გაღრმავებული კვლევა-ძიება და დაისახოს მეცნიერული გზები მის ასამაღლებლად. როგორც აღნიშნა, „ისტენაირად უნდა წარემართოთ მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა, რომ გვექონდეს ეკონომიკისა და იდეოლოგიის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის, სოციალური ცხოვრებისა და იდეოლოგიის, ახალგაზრდობისა და იდეოლოგიის და სხვა ურთიერთობის სფეროში ყოველდღიური ეფექტიანი მუშაობის მკაფიო, ნათელი, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა“⁷. -

2. საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში მართლშეგნების პრობლემა სულ ახლახან მხოლოდ სამართლის თეორიის პრობლემა იყო. სამართლის თეორიაში შეიქმნა ბევრი ფუნდამენტური შრომა, რომლებშიც ძირითადად მართლშეგნების თეორიული პრობლემებია გამოკვლეული⁸.

ბოლო წლებში მართლშეგნების პრობლემას ხელი მოჰკიდეს კრიმინოლოგებმაც. გაჩნდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მართლშეგნების სოციოლოგიური გამოკვლევები⁹.

საკმაოდ ბევრი იწერება სამართლებრივ აღზრდასა და სამართლის პროპაგანდაზე¹⁰.

✓ მართლშეგნების კვლევას საბჭოთა კრიმინოლოგები უკავშირებენ

⁷ ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. თბ., 1976, გვ. 115.

⁸ იხ. Е. А. Лукашева. Социалистическое правосознание и законность. М., 1973; Е. И. Фарбер. Правосознание как форма общественного сознания. М., 1963; Г. С. Остроумов. Правовое осознание действительности. М., 1969 და სხვ.

⁹ დიდ ინტერესს იწვევს შრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია კრებულში «Правовая культура и вопросы правового воспитания» М., 1974; В. И. Каминская, Н. Я. Константинова, Н. А. Носкова, А. Р. Ратинов. Характеристика правосознания различных групп населения; А. Д. Бойков, В. И. Кригер, Н. А. Носкова. Опыт изучения правосознания членов товарищеских судов; Г. Х. Ефремова. Некоторые установки и ориентации молодых правонарушителей; В. Яхонтов. Социологическое изучение правосознания молодежи. В книге «Проблемы социологии права». Вильнюс, 1970 და სხვ.

¹⁰ იხ. Н. Я. Соколов. Ориентация правовой пропаганды. М., 1974; И. Ф. Рябко. Правосознание и правовое воспитание масс в советском обществе. Ростов, 1969; Е. В. Костров. О некоторых причинах преступности несовершеннолетних в СССР и необходимость правового воспитания учащихся. Ученые записки ЛГУ, 1971, вып. 2, стр. 470; О. Ф. Мураметс. Правовое воспитание трудящихся в социалистическом обществе и роль советского закона. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1974 და სხვ.

დანაშაულობის პროფილაქტიკის პრობლემას, რადგან მიაჩნიათ, რომ მართლშეგნება ადამიანის ქცევის მომწესრიგებელ ფუნქციას ეკუთვნის. მათი აზრით მართლშეგნება, როგორც შეგნების ნაწილი, გარკვეულ დამოკიდებულებათა ადამიანის ქცევასთან საერთოდ და ამდენად დანაშაულებრივ ქცევასთანაც. ადამიანის ქცევის საკითხი კი ფსიქოლოგიის საგანია. მაშასადამე, მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქციის კვლევა უნდა წარმოებდეს ფსიქოლოგიის, და, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგიის ფართო გამოყენებით, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის შესწავლით, რადგან ადამიანის ქცევის მომწესრიგებელი ფუნქცია ისევე როგორც მართლშეგნება, საზოგადოებრივ აზრსაც თან ახლავს.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კრიმინალისტები მართლშეგნების სოციოლოგიურ კვლევას ძირითადად ფსიქოლოგიის გვერდის ავლით ეწევიან. არ არის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებრივ აზრსა და მართლშეგნებას შორის, მართლშეგნების ადგილი ადამიანის ქცევის ფაქტორთა სისტემაში, ზოლო ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, ხელს უშლის მართლშეგნების პრობლემის კომპლექსურ კვლევას.

საქართველოში მართლშეგნების პრობლემის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევა ეს-ეს არის ისახება. ჩვენში ამ დარგის ნაშრომები ჯერ არ გამოქვეყნებულა. ასეთი ვითარება კი უდავოდ ხელს უშლის იმას, რომ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა მეცნიერულ საფუძველზე მოეწყოს და დანაშაულის პროფილაქტიკის პრობლემა წარმატებით გადაიჭრას.

ამ ნაშრომის დანიშნულებაა შეძლებისდაგვარად შეავსოს ეს ხარვეზი. მასში პრობლემის სამართლებრივსა და სოციოლოგიურ გამოკვლევასთან ერთად შესწავლილია საკითხის ფსიქოლოგიური მხარეც; საამისოდ გამოყენებულია საბჭოთა ფსიქოლოგიის მიღწევები და განსაკუთრებით ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეული მონაპოვარი.

3. ჯდამიანის სოციალური ჩამოყალიბება ბავშვობაშივე იწყება. ახალგაზრდობის ოფიციალური სწავლება კი ძირითადად საშუალო და უმაღლეს სკოლაში მთავრდება. იმისათვის თუ როგორი იქნება შემდგომში მოქალაქის მართლშეგნება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცოდნას, რომელიც ახალგაზრდამ სწავლის პროცესში მიიღო. ამიტომ სოციოლოგიური კვლევის ობიექტად ჩვენ ავირჩიეთ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვეჩვენა რას აძლევს ახალგაზრდობას სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი.

სოციოლოგიური კვლევისათვის გამოყენებულია ანკეტური გამოკი-

სხვის მეთოდი. ჩვენ ვისარგებლეთ იმავე ანკეტით, რომელიც შედგენილი და გამოყენებულია სსრ კავშირის პროკურატურის დანაშაულობის მიზეზთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ — მასში მხოლოდ ერთი ცვლილება მოვახდინეთ, რუსული ანდაზები შესატყვისი ქართული ანდაზებით შევცვალეთ. ანკეტის იგივეობამ უზარუნველყო სოციოლოგიური კვლევის უნიფიკაცია, შესაძლებელი გახდა კვლევის შედეგების შედარება სხვა რესპუბლიკებში, კერძოდ, მოსკოვში ჩატარებულ ასეთივე გამოკვლევათა შედეგებთან.

ანკეტის კითხვები საშუალებას იძლევა მისი შემვსებისდა შეუმჩნეველად დავადგინოთ, თუ როგორ ერკვევა იგი სისხლის სამართლის კანონისა და მართლმსაჯულების ზოგიერთ საკითხში და რა დამოკიდებულებას იჩენს კანონის ამა თუ იმ მოთხოვნისადმი.

გამოკვლევის შედეგად მიღებული მასალა აელენს:

1. ახალგაზრდობის გაცნობიერების დონეს სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებში, აგრეთვე მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობაში;

2. ახალგაზრდობის დამოკიდებულებას სისხლისსამართლებრივი ნორმებისა და მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობისადმი.

ანკეტა არკვევს, თუ როგორ არის განწყობილი დღეს საზოგადოებრივი აზრი ძველი ანდაზების მიმართ, ისეთი ანდაზებისა, რომლების მოწონება-არმოწონება პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამჟღავნებს დამოკიდებულებას ამა თუ იმ სამართლებრივი მოვლენებისადმი.

იმისათვის, რომ სრული სურათი მოგვეცემოდა რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის მართლშეგნების დონის შესახებ, გამოსაკვლევი ობიექტები შეირჩა ზონალობის პრინციპით. სახელდობრ, ანკეტები გავრცელდა:

1. თბილისში (ქალაქის სკოლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უცხო ენების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი);

2. ქართლის ზონაში (გორის ქალაქისა და რაიონის საშუალო სკოლები, გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, რუსთავის საშუალო სკოლები);

3. კახეთის ზონაში (თელავის ქალაქისა და რაიონის საშუალო სკოლები, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი);

4. იმერეთის ზონაში (ქუთაისის საშუალო სკოლები, ტყიბულის რაიონის საშუალო სკოლები, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი);

5. სამეგრელო-სვანეთის ზონაში (ფროთის, ცხაკაიას რაიონის, მესტიის რაიონის საშუალო სკოლები);

6. ქ. მახარაძეში (მახარაძის საშუალო სკოლები, ტექნიკუმი, პროფსასწავლებელი);

7. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ-ში (სოხუმის პედინსტიტუტი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, ქობულეთის, ქედის რაიონის საშუალო სკოლები).

ანკეტების შევსებასა და მათ დამუშავებაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამარჯლის სექტორის მეცნიერი თანამშრომლები ჯ. ბაბილაშვილი, ი. აღანია და ლ. ნარიმანიძე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ¹¹.

¹¹ გამოკვლევა ჩატარდა 1975—1976 წლებში. საზოგადოებრივი აზრი მეტნაკლებად მყარი კატეგორიაა და მისი შეცვლა გარკვეულ დროს მოითხოვს. იგივე შეიძლება ითქვას მართლშეგნებაზეც. ბუნებრივია, ამ წლებში ერთგვარად იგრძნობოდა 60-იანი წლების ნეგატიური მოვლენების დაღი.

მეათლეგნება და მისი ზემოქმედება ღანაშაულებრივ ქმევეზე

§ 1. საზოგადოებრივი შეგნება და მეათლეგნება

1. საზოგადოებრივი შეგნება როგორც ადამიანის სოციალიზაციის პროდუქტი. ადამიანი არ იბადება შეგნებულ არსებად, იგი შეგნებულ არსებად იქცევა მისი სოციალიზაციის კვლობაზე. ადამიანის გადაქცევა სოციალურ არსებად მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ გარემოში შეიძლება. ახალშობილს ბიოლოგიური არსებობაც კი არ შეუძლია ადამიანის გარეშე. ჩვილობიდან მოყოლებული მისი ჩამოყალიბება შეგნებულ არსებად, ნებისყოფის სუბიექტად ხდება ადამიანებთან ურთიერთობაში. ადამიანი არ არსებობს საზოგადოების გარეშე, იგი ყოველთვის იმყოფება სხვა ადამიანებთან ნაქდილ ან წარმოსახვით ურთიერთობაში¹.

„ინდივიდი, — ამბობდა კ. მარქსი, — საზოგადოებრივი არსებაა. ამიტომ მისი ცხოვრების ყოველი გამოვლინება საზოგადოებრივი ცხოვრების გამოვლინება და განმტკიცებაა, თუნდაც მან ცხოვრების კოლექტიური, სხვებთან ერთად შესრულებული, გამოვლინების უშუალო ფორმით არ იჩინოს თავი“².

¹ როდესაც ვამბობთ, რომ აუცილებელია სოციალიზაციის პროცესი. რათა ადამიანი შეგნებულ არსებად ჩამოყალიბდეს, არ უნდა უგულებელვყოთ, რომ ადამიანის გადამიანებას წინ უძღოდა ხანგრძლივი ბიოლოგიური ევოლუცია, რომელმაც განაპირობა თვით შესაძლებლობა ადამიანის გადაქცევისა სოციალურ ინდივიდად. იხ. Б. Д. Парыгин. Основы социально-психологической теории. М., 1971, стр. 163.

² К. Маркс, Ф. Энгельс. Из ранних произведений, М., 1956, стр. 590.

ადამიანის სოციალიზაცია მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფებში წარმოებს. სოციალიზაციის აუცილებელ პირობას საზოგადოება წარმოადგენს, საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობა კი წარმოებაა. ადამიანთა ურთიერთობის, მათი სოციალურ ჯგუფებად გაერთიანების აუცილებლობა უპირველეს ყოვლისა თვით წარმოების აუცილებლობაში ძვეს.

„წარმოების დროს, — აღნიშნავდა კ. მარქსი, — ადამიანები გავლენას ახდენენ არამარტო ბუნებაზე, არამედ ერთიმეორეზე. ისინი აწარმოებენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განსაზღვრული წესით ერთად მოქმედებენ და თავიანთ საქმიანობას ერთიმეორეზე ცვლიან. რათა აწარმოონ, ისინი შედიან განსაზღვრულ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში, და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ფარგლებში ხდება მათი გავლენა ბუნებაზე, ხდება წარმოება“³.

სოციალურ ჯგუფად სოციოლოგები თვლიან ადამიანთა მცირე თუ დიდ გაერთიანებას, რომელიც მოქმედებს როგორც მთლიანობა. სოციალური ჯგუფის მონაწილე ადამიანებს საერთო მიზნები და საერთო საქმიანობა აერთიანებს. ამასთანავე მათი საქმიანობის მოტივები და მათი ემოციები შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი იყოს.

თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანს უწევს ერთსა და იმავე დროს მრავალ სოციალურ ჯგუფში მონაწილეობა. ასეთი ჯგუფებია წარმოება, დაწესებულება, ოჯახი, ნათესავთა და მეზობელთა წრე, სპორტული კოლექტივი და სხვ. როგორც ვ. კუდრიაცევი აღნიშნავს, სოციალურ ჯგუფს თავისი ჯგუფური შეგნებით, ქცევით, ღირებულებათა სისტემით, შეხედულებებითა და ტრადიციებით უჭირავს შუალედური ადგილი ინდივიდსა და „დიდ საზოგადოებას შორის“, წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს მათ შორის. ყოველი ინდივიდი მოქმედებს როგორც პატარა ჯგუფის (თანაც არა ერთი ჯგუფის), ისევე მთელი საზოგადოების წარმომადგენელი. მისი ქცევა უნდა შეესაბამებოდეს იმ, როგორც დიდი, ისე მცირე, კოლექტივების მოთხოვნებს, რომელთაც ის ეკუთვნის, მეორე მხრივ, ინდივიდი თვითონაც ახდენს გავლენას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე სოციალური ჯგუფის შიგნით. ამიტომ ინდივიდის კავშირი პატარა ჯგუფთან მეტად მჭიდროა⁴.

³ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები 2 ტომად. ტ. 1, თბ., 1963, გვ. 78.

⁴ В. Н. Кудрявцев. Причины правонарушений. М., 1976, стр. 233.

არის სოციალური ჯგუფები, რომლებსაც მყარი ორგანიზებულობა და ნათლად გამოკვეთილი მიზნები ახასიათებთ (მაგალითად, სპორტული კოლექტივი). ამავე დროს ზოგჯერ სოციალურ ჯგუფს დიდი დინამიკურობა ახასიათებს, იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს მოკლე ხნითაც, რაიმე გარემოებათა დამთხვევის გამო, რომელიმე კერძო მიზნის მისაღწევად⁵.

ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში ჩაბმული ადამიანისათვის შეუძლებელია წინასწარ განჭვრიტოს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ეს მით უფრო ძნელია, რაც უფრო მეტი მონაწილეა ჩართული საერთო საქმიანობაში და რაც უფრო განსხვავებული ფსიქოფიზიკური შესაძლებლობებისა და ხასიათის არიან ჯგუფის მონაწილენი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოქნილი კოორდინაცია, რომელიც შეაძლებინებს ადამიანს, ვინცობაა ვითარება შეიცვალოს, სხვაგვარად წარმართოს თავისი მოქმედება, რათა შეასრულოს მიკუთვნებული როლი საერთო მიზნის მისაღწევად. შეთანხმებული მოქმედება შესაძლებელი ხდება იმდენად, რამდენადაც ჯგუფის წევრები უთმობენ ერთმანეთს ნაწილს თავიანთი სამოქმედო თავისუფლების სფეროდან. ჯგუფის ერთმა წევრმა უნდა იცოდეს მეორე წევრის ქცევის ხასიათი და თავისი მოქმედების სფერო. სწორედ ამიტომ ყოველ სოციალურ ჯგუფში მუშავდება ქცევის შაბლონები, რომლებსაც ჯგუფის მონაწილე უნდა ემორჩილებოდეს.

ცოტათი თუ ბევრად მყარ სოციალურ ჯგუფში მონაწილეთა შეთანხმებულ მოქმედება მეორდება ვითარების გამეორების კვალობაზე. საამისოდ ყალიბდება ე. წ. „კონვენციური ნორმები“. მაგრამ გამეორებული ვითარება ბევრჯერ სრულიად იგივე როდია, რაც ადრინდელი და „კონვენციური ნორმების“ მიუხედავად, ადამიანი გამეორებულ სიტუაციაშიც⁶ ყოველთვის უწინდელივით არ მოქმედებს. თვით ადამიანთა პიროვნული თავისებურებანი და ის გარემოება, რომ სიტუაციური ნორმები შეიძლება ირღვეოდეს, ცხადი მოწმობაა იმისა, რომ ინდივიდის მოქმედება მაინც თავისებურებას ინარჩუნებს. სოციალიზაცია ნიშნავს მოქმედების საერთო ჩარჩოების მოხაზვას და არა მოქმედების სრულ

⁵ წარმოვიდგინოთ, რომ ავტობუსი, რომლის მგზავრებიც ერთმანეთს არ იცნობენ, სადმე შორს, ტლანში ჩაიფლო. თუ მგზავრები მაშინვე რაიმეს არ იღონებენ, შუა გზაში დარჩებიან, ამას კი დიდი უხერხულობა და უსიამოვნება მოჰყვება. საერთო მიზანი, რომ თავი დააღწიონ შექმნილ ვითარებას, აერთიანებს მგზავრებს საერთო მოქმედებისათვის. ამგვარად იქმნება სოციალური ჯგუფი, რომელიც მიზნის მიღწევისთანავე დაიშლება.

⁶ „ვითარებას“ ჩვენ უხმარობთ „სიტუაციის“ სინონიმად.

დეტერმინაციას. ამასთანავე არ უნდა გვავიწყვდებოდეს, რომ ადამიანის ქცევის ნორმებსა და მათლამი დამოკიდებულების ხასიათს განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების მთელი სისტემა.

„ადამიანი, — აღნიშნავდა კ. მარქსი, — ინდივიდალ განცალკევდება მხოლოდ ისტორიული პროცესის ძალით. თავდაპირველად იგი წარმოგვიდგება როგორც საზოგადოებრივი არსება, ტომობრივი არსება, ჯოგური ცხოველი — თუმცა სულაც არა როგორც *zoon politicon* პოლიტიკური აზრით“⁷.

გარკვეული დამოკიდებულების მიუხედავად, ადამიანები შეთანხმებულად მოქმედებენ და ამას იმის წყალობით აღწევენ, რომ ყველაზე მაღალგანვითარებული ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანს აქვს ცნობიერება, რომელიც მას საკუთარი თავის ობიექტივაციის საშუალებას აძლევს. ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს თავისი თავი როგორც მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა და იმსჯელოს კიდევ მასზე, შეაფასოს, გაკიცხოს ან მოიწონოს თავისი მოქმედება. საკუთარი თავის ობიექტივაციასთან ერთად ხდება თავისი, ნამდვილი ან მოსალოდნელი, მოქმედების შეფასებაც. ადამიანი ახდენს თავისი თავის ობიექტივაციას იმისათვის, რომ წარმოიდგინოს, თუ როგორადა ჩანს იგი ამ ვითარებაში მასთან ერთად ჩაბმულ სხვა ადამიანთა თვალში, ე. ი. თავისი თავისა და ქცევის ობიექტივაცია ხდება თვითკონტროლისათვის. ეს კონტროლი კი სოციალური ნორმების ფონზე მიმდინარეობს და ამიტომ იგი სოციალური კონტროლის სახით ვლინდება.

იმის აუცილებლობას, რომ მისი საკუთარი თავი და მოსალოდნელი ქცევა სოციალურ კონტროლს უნდა დაემორჩილოს, ადამიანი განსაკუთრებით მაშინ გრძნობს, როდესაც ისეთი ადამიანების წინაშე მოქმედებს, რომელთაგანაც მისი ბედ-იღბალი და წარმატება დიდად არის დამოკიდებული.

თვითკონტროლი მჭიდროდაა დაკავშირებული თავისი თავისა და ქცევის ობიექტივაციასთან. ვიდრე ადამიანი არ შეაფასებს თავის თავს როგორც ობიექტურ რეალობას, იგი ვერ მოახდენს რეაქციას საკუთარ მოქმედებაზე. თავისი თავის ობიექტივაციის უნარი საშუალებას აძლევს ადამიანს წარმოსახვით განჭვრიტოს თავისი მომავალი მოქმედება და გაითვალისწინოს სხვათა შესაძლებელი რეაქცია ამ მოქმედებაზე.

საკუთარი თავის ობიექტივაცია და თვითკონტროლის უნარი დაკავ-

⁷ К. Маркс. Формы предшествующие капиталистическому производству, М., 1940, стр. 30.

შირებულია შეგნებასთან, თავისი თავისა და ქვეყნის გაცნობიერების უნართან. ამას ადამიანი ცნობიერების, აზროვნების საშუალებით აღწევს. ცნობიერების მეოხებით ხდება ვითარებისა და ქვეყნის იმ შაბლონების შეფასება, რომელნიც აუცილებელია ადამიანთა ერთობლივი საქმიანობისათვის.

✓/ამრიგად, ადამიანის სოციალიზაციის კვალობაზე გროვდება არა მხოლოდ ცოდნა და გამოცდილება, არამედ იქმნება დამოკიდებულება სხვადასხვა მოვლენისადმი, ყალიბდება სოციალურ ღირებულებათა მთელი სისტემა. მუშავდება ამა თუ იმ ვითარების შესაბამისი ქვეყნის შაბლონები, აგრეთვე, და ეს მთავარია, დამოკიდებულება გარკვეული მოქმედებისადმი და მზაობა გარკვეული მოქმედების შესასრულებლად. ყოველივე ეს აისახება ადამიანის ცნობიერებაში და ქმნის ცოდნისა და გარკვეული მოქმედებისადმი მზაობის პოტენციურ ველს, რომელიც შეგნების სფეროს განეკუთვნება.

ყოველ ადამიანს აქვს შეგნება და ამ შეგნებას ინდივიდუალურ შეგნებად მიიჩნევენ. ამავე დროს შეგნება ყოველთვის საზოგადოებრივია, რადგან იგი სოციალიზაციის პროდუქტს წარმოადგენს და მისი მოქმედებაც საზოგადოებრივ, სოციალურ გარემოში სწარმოებს. შეგნება სოციალიზაციის პროდუქტია და ამავე დროს სოციალიზაციის წყაროც.

✓/ადამიანის შეგნებაში აისახება საზოგადოებრივი განვითარების თანმდევი ობიექტური მოთხოვნილებები, ამავე დროს იგი გვევლინება სუბიექტის მოქმედების წანამდვილად და მომწესრიგებლად. შეგნების, როგორც ადამიანის ქვეყნის მომწესრიგებლის როლი, ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. საქმე ეხება არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდის ქვეყნის მოწესრიგებას, არამედ შეგნების ზემოქმედებას მთელ სოციალურ სისტემაზე, რომლის ჩარჩოებშიც ყალიბდება ამ სისტემისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობანი⁸. ადამიანის შეგნება ასახავს იმ ობიექტურ სინამდვილეს, რომელშიც მას ცხოვრება უხდება. მატერიალისტური ფილოსოფიის თანახმად შეგნება სხვა არაფერია, თუ არა შეცნობილი სინამდვილე. სწორედ ამიტომ კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას“⁹.

✓ საზოგადოებრივი შეგნება ზედნაშენური კატეგორიაა. მაგრამ იგი ყოველგვარ უბრალო ასახვა როდია. საზოგადოებრივ შეგნებას ადამი-

⁸ იხ. Е. А. Лукашева. Социалистическое правосознание и социалистическая законность. М., 1973, стр. 49.

⁹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან. ობ., 1948, გვ.

ანთა ქცევის, მათი ურთიერთობის მომწესრიგებელი ფუნქცია აქვს, რომელიც თავის მხრივ უკუზემოქმედებას ახდენს საწარმოო ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობებზე. ადამიანის შეგნება მრავლის მომცველი და მრავალმხრივია, თანაც მას მთლიანობა ახასიათებს. იგი ქმნის ცნობიერებაში ყოფიერების ასახვის ერთიან სისტემას. მართალია, მეცნიერები, იმისდა მიხედვით. თუ საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელ სფეროს აწესრიგებს შეგნების ესა თუ ის მხარე, ასახელებენ მის სხვადასხვა ფორმას, პოლიტიკურს, სამართლებრივს. ესთეტიკურსა და ა. შ., მაგრამ შეგნების ყველა სფერო მოქმედებს როგორც ერთიანი, მთლიანი სისტემა: აღქმის თვალსაზრისით იგი დიფერენცირებული არ არის და ფსიქოლოგიურად მთლიანობით განცდას წარმოადგენს. ამიტომ ლაპარაკი იმაზე. თუ სად იწყება ან და სად მთავრდება ადამიანის, ვთქვათ. პოლიტიკური შეგნება — მხოლოდ პირობითი მსჯელობა იქნება და ეს საკითხი უფრო მეცნიერების განსჯის საგანს შეადგენს, ვიდრე ადამიანის აღქმის ობიექტს.

~ საზოგადოებრივი შეგნების ფორმების ერთიანობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებს, რომლებიც წარმოშობენ გარკვეულ მოთხოვნილებებს; ეს მოთხოვნილებები, აღქმული როგორც კლასის (საზოგადოების) ინტერესები, ადამიანთა მოქმედების მიზნად იქცევიან. ამიტომ საზოგადოებრივი შეგნება ზეგააღწევს ახდენს სიტუაციურ სისტემაზე, რომელსაც საბოლოოდ ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული მომწიფებული მოთხოვნილებები განსაზღვრავს¹⁰.

~ როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი შეგნება ერთიანია და სუბიექტის მიერ დანაწევრებულად არ აღიქვება. მიუხედავად ამისა, მეცნიერების სხვადასხვა დარგი, დიფერენცირებული შესწავლის მიზნით, გამოაყოფს საზოგადოებრივი შეგნების ამა თუ იმ ნაწილს. იმის კვალობაზე, თუ საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელ სფეროს შეგნებისეულ მოწესრიგებას ეხება საქმე, წარმოიშობა მოძღვრებაც საზოგადოებრივი შეგნების შესაბამისი ფორმის თაობაზე. სამართლის მეცნიერებას აინტერესებს საზოგადოებრივი შეგნების ის ნაწილი, რომელიც ასახავს საზოგადოების სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს. სამართლებრივი ურთიერთობის ასახვას საზოგადოებრივ შეგნებაში იურისტები მართლშეგნებას უწოდებენ.

2. მართლშეგნების ცნება; მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნ-

¹⁰ იხ. ე. ლუკაშევი. დასახ. ნაშრომი, გვ. 52—53.

ქცია. მართლშეგნება საზოგადოებრივი შეგნების ნაწილია და, ცხადია, მისთვის დამახასიათებელია ის ძირითადი თვისებები, რომლებიც საზოგადოებრივ შეგნებას ახასიათებს. ამ ორი ცნების ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს როგორც ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულება, რომლის დროსაც პირველი მოიცავს მეორეს.

მართლშეგნება აყალიბებს კლასის (საზოგადოების) შეხედულებებსა და მიმართულებას ამ საზოგადოების სამართლებრივი ორგანიზაციის არსისა და პრინციპების თვალსაზრისით¹¹. ასეთია საბჭოთა სამართლის თეორიაში აღიარებული მართლშეგნების საზოგადოებრივი ფუნქციის ყველაზე ზოგადი განსაზღვრება.

სამართლის თეორიაში საკმაოდ ბევრი იწერება მართლშეგნების შესახებ, და მანც მისი ცნების განსაზღვრება ჯერ-ჯერობით სადაოდ რჩება¹².

საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოში მართლშეგნება განსაზღვრულია როგორც შეხედულებებისა და წარმოდგენების ერთიანობა, რომელიც გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სამართლისადმი¹³.

ე. ლუკაშევა არ ეთანხმება მართლშეგნების ამგვარ განსაზღვრებას. მისი აზრით, მართლშეგნებისათვის უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია საზოგადოებაში გარკვეული წესრიგის დამყარების აუცილებლობის შეცნობა, ხოლო რამდენადაც კლასობრივ საზოგადოებაში წესრიგი უზრუნველყოფილია სამართლით, ამდენად მართლშეგნებისათვის დამახასიათებელია შესაბამისი საერთო წესების შეცნობა და მათი დაკავშირება სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ამით მართლშეგნება მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ შეგნებას¹⁴.


ი. ფარბერი და ე. ნაზარენკო სოციალისტური მართლშეგნების სპეციფიკურ ნიშნად თვლიან იმას, რომ იგი მოითხოვს განსაზღვრულ, ყვე-

¹¹ იხ. ე. ლუკაშევა. დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

¹² იხ. Г. С. Остроумов. Правовое осознание действительности. М., 1969; Е. А. Лукашева. Социалистическое правосознание и законность. М., 1973; В. И. Каминская. А. Р. Ратников. Правосознание как элемент правовой культуры (В книге: Правовая культура и вопросы правового воспитания. М., 1974) და სხვ.

¹³ იხ. Теория государства и права. М., 1962, стр. 372.

¹⁴ ე. ლუკაშევას შეხედულება მოტანილია შემოკლებით. იხ. ე. ლუკაშევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91.



ლასათვის სავალდებულო ქცევის მასშტაბების დადგენას, განსაზღვრავს ამ ქცევის ჩარჩოებს და აფუძნებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეთათვის იურიდიულ უფლება-მოვალეობათა გარკვეულ წრეს¹⁵. გ. ოსტროუმოვის აზრით, მართლშეგნების საერთო სპეციფიკური ნიშანი გულისხმობს იმის შეცნობას, თუ რამდენად შეესაბამება ცხოვრების გარკვეულ პირობებს, მოთხოვნილებებს, ინტერესებს არსებული ან შესაძლებელი იურიდიული უფლება-მოვალეობანი¹⁶.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზეც, აქვს თუ არა მართლშეგნებას ქცევის მომწესრიგებელი ფუნქცია. ი. რიაბკო თვლის, რომ მართლშეგნება მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ქცევაზე. მაგრამ ამ ზემოქმედების გაიგივება იურიდიული ნორმების ზემოქმედებასთან მართებული არ იქნება; ასეთი რამ არათუ მიზანშეუწონელია, არამედ სახიფათოც არის, ვინაიდან ნებისთ თუ უნებლიეთ გზას აძლევს პიროვნების ფსიქიკური პოზიციიდან ნორმათა დარღვევის გამართლებას¹⁷.

ი. ფარბერი და ე. ლუკაშევა არ იზიარებენ ი. რიაბკოს შეხედულებას. ისინი, მართალია. აკუთვნებენ მართლშეგნებას ადამიანის ქცევის მომწესრიგებელ ფუნქციას, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ მიუჩინა ამ ფუნქციას სათანადო ადგილი მართლშეგნების ცნების განსაზღვრაში. ე. ლუკაშევა განსაზღვრავს მართლშეგნებას როგორც საზოგადოებრივი შეგნების ფორმას, რომელიც გვევლინება ამ კლასის ან საზოგადოების შეხედულებათა, შეფასებათა, წარმოდგენათა, განწყობათა, განცდათა და რწმენათა სისტემის სახით, განპირობებულია ცხოვრების მატერიალური პირობებით და მიმართულია საზოგადოებაში ისეთი სამართლებრივი რეჟიმის დამყარებისაკენ, რომელიც ამ კლასისა თუ საზოგადოების ინტერესებსა და მიზნებს შეესაბამება¹⁸. მართლშეგნების ამ განსაზღვრებაში არა გვაქვს პირდაპირი მითითება მართლშეგნების მომწესრიგებელ ფუნქციაზე. ჩვენი აზრით, უკეთ განსაზღვრავენ მართლშეგნებას ვ. კამინსკაინ და ა. რატინოვი. ისინი განიხილავენ მას როგორც მთელი საზოგადოების ანდა ჯგუფური თუ ინდივიდუალური შეგნების სფეროს, რომელშიც ასახულია სამართლებრივი სინამდვილე,

¹⁵ იხ. Е. В. Назаренко. Социалистическое правосознание и советское правообразование. К., 1968, стр. 6—7; И. Е. Фарбер. Правосознание как форма общественного сознания. М., 1973, стр. 23, 203.

¹⁶ იხ. გ. ოსტროუმოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

¹⁷ И. Ф. Рябко. Правосознание и правовое воспитание масс в советском обществе. Ростов, 1969, стр. 84.

¹⁸ იხ. ე. ლუკაშევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

იურიდიული ცოდნა, შეფასებითი დამოკიდებულება სამართლისა და მისი გამოყენებისადმი, სამართლებრივი განწყობები და ღირებულებითი ორიენტაცია, რომლებიც იურიდიული მნიშვნელობის ვითარებაში აწესრიგებენ ადამიანის ქცევას¹⁹.

ავტორები მართლშეგნების სამ ძირითად ფუნქციას აღნიშნავენ: შექცენებითს, შეფასებითსა და მომწესრიგებელს. შემეცნებითი ფუნქცია ჯლისხმობს სამართლებრივ მომზადებას, იურიდიული ცოდნის შექცვას. შეფასებით ფუნქციას შეესაბამება იურიდიული ნორმების, ინსტიტუტების, სამართლებრივი პრობლემების შეფასების სისტემა, იგი მოიცავს სასამართლო პრაქტიკის, ნორმების გამოყენების შეფასებასაც. მომწესრიგებელი ფუნქცია ემყარება სამართლებრივი ორიენტაციების შემუშავებას და, ამრიგად, ნიშნავს მზაობას სამართლის ნორმების მოთხოვნის შესასრულებლად. მაღალი მართლშეგნება სამივე ამ მოთხოვნის განხორციელებას. მოქალაქე აღქურვილია მაღალი მართლშეგნებით, თუ მან იცის კანონი. ეთანხმება, იზიარებს მას და მზად არის შეასრულოს მისი მოთხოვნა.

საყურადღებოა მართლშეგნების ფუნქციური სტრუქტურის სქემა, შემოთავაზებული ვ. კამინსკაიას და ა. რატინოვის მიერ²⁰.

№№	მართლშეგნების ძირითადი ფუნქცია	ფსიქიკური კომპონენტი	ფუნქციური შედეგები	ემპირიული მანკენებელი
1	2	3	4	5
1	შემეცნებითი	ინტელექტუალური	სამართლებრივი მომზადება	იურიდიული ცოდნა და გამოცდილება
2	შეფასებითი	ინტელექტუალ-ემოციური	შეფასებითი დამოკიდებულება სამართლისა და მისი გამოყენებისადმი	შეფასებითი მსჯელობა (შეხედულება)
3	მომწესრიგებელი	ინტელექტუალური, ემოციური, შეფასებითი	სამართლებრივი განწყობები და ორიენტაციები	სამოქმედო მზაობა (გადაწყვეტილება)

ვ. კამინსკაიას და ა. რატინოვის შეაქვთ მართლშეგნების ცნებაში სამართლებრივი ცოდნა და დამოკიდებულება სამართლებრივი ნორმებისა და მათი გამოყენებისადმი. თავისთავად ეს ახალი არ არის, ოღონდ ამ

¹⁹ იხ. ვ. კამინსკაია, ა. რატინოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 55. ასევე აქვს გაგებული მართლშეგნება ვ. ნ. კულრაიკეცის. იხ. В. Н. Кудрявцев. Причины правонарушений. М., 1976. стр. 215.
²⁰ იხ. ვ. კამინსკაია, ა. რატინოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

ავტორების მიერ მართლშეგნების ცნებაში ცხადად გამოიკვეთა მომწესრიგებელი ფუნქცია.

საინტერესოა ვ. კამინსკაიასა და ა. რატინოვის მოსაზრება მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ. მათი აზრით, სინამდვილის შემეცნებისას ადამიანები გულგრილად არ ეკიდებიან მიღებულ ცოდნას; ისინი უფარდებენ მას ნაპღვილ გამოცდილებას, მოთხოვნილებებს, ინტერესებს, თავისი საქმიანობის მიზნებს; ობიექტის თვისებათა შემეცნება გარკვეულად განიცდება, ჩნდება ახალი, ინტელექტუალურ-ემოციური წარმონაქმნი — ფსიქიკური დამოკიდებულება შემეცნების ობიექტებისა და პრაქტიკული საქმიანობისადმი²¹.

ვ. კამინსკაიასა და ა. რატინოვის აზრით, მართლშეგნების სტრუქტურაში შეფასებითი ურთიერთობის ოთხი სახე გვაქვს: შეფასებითი დამოკიდებულება სამართლისადმი, სამართლებრივი ურთიერთობებისადმი, სამართლის დამცველი ორგანოებისა და მათი საქმიანობისადმი, დაბოლოს, საკუთარი სამართლებრივი ქცევისადმი²².

შეფასებითი მომენტები ინტელექტუალურ სფეროს ეკუთვნის და თავისით, ნებისყოფის გარეშე ქცევაში არ გადადის. ვ. კამინსკაიას და ა. რატინოვის თქმით, საამისოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ განწყობებს, რადგან მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქცია ხორციელდება სწორედ სამართლებრივი განწყობებისა და ორიენტაციების მეშვეობით; თავის მხრივ, ეს განწყობები და ორიენტაციები მოიცავს სამართლებრივი აქტივობის ყველა სხვა წყაროს²³.

შეგნებისა და საქმიანობის ერთიანობის პრინციპის საფუძველზე ავტორები ასკენიან, რომ მართლშეგნება გავლენას ახდენს ადამიანის ქცევის მექანიზმზე²⁴.

ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით გადმოვვცით უახლეს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებანი მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქციის თაობაზე. საბჭოთა მეცნიერი იურისტები ნაპღვილად სულ უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ ამ პრობლემებისადმი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისდამი მიძღვნილი ყველაზე კარგი ნაშრომების ავტორებიც კი, ჩვენი აზრით, კმაყოფილებიან ზოგადი მსჯელობით, იმის მტკიცებით, რომ ~~მართლშეგნება საზოგადოებრივი შეგნების ნაწილია, რომ იგი გარკვეულ გავლენას ახდენს ქცევაზე~~

²¹ იხ. ვ. კამინსკაია, ა. რატინოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

²² იქვე, გვ. 58.

²³ იქვე, გვ. 59.

²⁴ იქვე.

და რადგან დანაშაული ქცევის საშუალებით ხორციელდება, ამიტომ წართლშეგნებამ ერთგვარი გავლენა უნდა მოახდინოს დანაშაულის ჩადენის ალბათობაზე. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისი არ არის მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქციის დასაბუთებისათვის. შეუძლებელია გამოვიკვლიოთ ადამიანის ქცევაზე მართლშეგნების ზემოქმედების მექანიზმი, თუ არ მოვუძებნეთ მართლშეგნებას ადგილი ქცევის მექანიზმსა და ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში. შეუძლებელია ვილაპარაკოთ-სამართლებრივ განწყობებზე, თუ არ შევისწავლით თვით განწყობის ფსიქოლოგიას და არ დავასაბუთებთ მის ზემოქმედებითს როლს ადამიანის ქცევაზე. შეუძლებელია ვიმსჯელოთ მართლშეგნების მაკონტროლებელ როლზე, თუ არ განვიხილავთ სამართლებრივი კონტროლის საკითხს და არ დავაკავშირებთ მას სოციალური კონტროლისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთობის საკითხთან. ჩვენი აზრით, რათა ყველა ეს საკითხი მეცნიერულად გაშუქდეს, აუცილებელია მართლშეგნების იურიდიული პრობლემები შესწავლილ იქნეს ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევების გამოყენებით.

§ 2. მართლშეგნება და საზოგადოებრივი აზრი

1. მოთხოვნილება, როგორც ადამიანის აქტივობის წყარო. მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქციის გარკვევისათვის, იმის გასარკვევად, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია მართლშეგნება და საზოგადოებრივი აზრი, ხოლო აქედან გამომდინარე, სამართლებრივი და სოციალური კონტროლი, უპირველეს ყოვლისა ასახსნელია რა განაპირობებს ადამიანის ქცევის მიმართულებას, რატომ ხდება, რომ ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ადამიანი მრავალ შესაძლებელ ქცევას შორის ზოგჯერ დანაშაულებრივ ქცევას ირჩევს.

ქცევის უშუალო მიზეზად თუ პირობად ფსიქოლოგებს განწყობა მიაჩნიათ, განწყობას ისინი განიხილავენ როგორც სუბიექტის მთლიანობითს მოდუსს, რომელიც ადამიანის ძალების ორგანიზაციის უმაღლეს დონეს წარმოადგენს. მის კვალობაზე განწყობით აიხსნება არა მარტო ქცევის მიზანშეწონილობა და მოწესრიგებულობა. არამედ მისი განსაზღვრულობაც. განწყობა წარმოგვიდგება ნეგენტროპული წესრიგის ფაქტორად და თვითონვე გამოხატავს წესრიგს. იგი ქცევის დაკავშირებულობის, თანამიმდევრულობის, მისი განსაზღვრულობის მიზეზია. განწყობის წარმოშობა და ამრიგად მზაობა იმოქმედო სწორედ ასე

და არა სხვანაირად აქარწყლებს შესაძლებელი ქცევის განუსაზღვრელობას¹.

მაგრამ თვით განწყობის წარმოქმნას საფუძვლად უძევს მოთხოვნილების იმპულსი და მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია (იმპულსური ქცევა), ანდა გადაწყვეტილების მიღების ნებელობითი აქტი (ნებელობითი ქცევა). ამასთანავე განწყობა შესაბამის ქცევას ყოველთვის როდი იწვევს. ადამიანს შეუძლია შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება ან დაიოკოს მოთხოვნილების იმპულსი და ეს შეიძლება განწყობის შეცვლის საფუძვლად იქცეს. ამრიგად, განწყობა, რომელიც ქცევის უშუალო ფსიქოლოგიურ მიზეზად გვევლინება, თვით არის გაპირობებული გარკვეულ ფაქტორთა სისტემით და ამ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული ადგილი მოთხოვნილებას უჭირავს.

იმ მიზეზთაგან, რომლებიც ადამიანის გააქტიურებას იწვევენ, იდეალისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას შეგნების სხვადასხვა ფორმას ანიჭებენ, ხოლო მატერიალისტებს განმსაზღვრელად მიაჩნიათ მოთხოვნილება, რომელიც განპირობებულია ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე საზოგადოებრივი არსებობით.

მარქსიზმის ფუძემდებლები აღნიშნავდნენ, რომ „მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა ორგანიზაცია, რასაკვირველია, ყოველთვის დამოკიდებულია უკვე განვითარებულ მოთხოვნილებებზე, ხოლო თვით ამ მოთხოვნილებათა წარმოშობა, ისე როგორც მათი დაკმაყოფილებაც, თვით ისტორიული პროცესია“².

ჰეგელიც კი, რომელიც უზენაეს შემოქმედად აბსოლუტურ იდეას აცხადებდა, აღიარებდა, რომ ადამიანი, თავისი მოთხოვნილებებით, პრაქტიკულად გარემო ბუნებას მიეკუთვნება, რომ პრაქტიკული საქმიანობის შედეგად დაკმაყოფილებული მისი მოთხოვნილება, განხორციელებული მიზანი, წარმოშობს ახალ მოთხოვნილებას, და ასე შემდეგ, უსასრულობამდე³.

ადამიანთა მოთხოვნილებანი სოციალურად განპირობებულია და საზოგადოების განვითარების კვალობაზე ისინიც მუდმივ განვითარებას განიცდიან. პირველყოფილი ადამიანის მოთხოვნილებათა წრის სიღარიბე განპირობებული იყო მაშინდელი ცხოვრების პრიმიტიულობით და თითქმის მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებებით ამოიწურებოდა.

¹ А. С. Прангишвили. Проблема установки на современном уровне ее развития, „მაენე“, 1968, № 5, с. 146

² კ. მარქსი, ფ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან. თბ., 1948, გვ. 90.

³ Гегель. Соч. т. VIII, 1935, стр. 227, т. I. 1929, стр. 319. С.М. Д. А. Кикнадзе. Потребность, поведение, воспитание. М., 1969, стр. 4—5.

ცივილიზებული ადამიანის მოთხოვნილებანი ისევე მრავალფეროვანია, როგორც მისი ცხოვრების პირობები. საზოგადოებრივ პროგრესთან ერთად ვითარდება ადამიანის არა მხოლოდ სულიერი, არამედ სასიცოცხლო მოთხოვნილებებიც. „შიმშილი, — წერდა კ. მარქსი, — არის შიმშილი, მაგრამ შიმშილი, რომელიც კმაყოფილდება მოხარშული ხორციით, რასაც დანითა და ჩანგლით მიირთმევენ, სხვა შიმშილია, ვიდრე ის, როდესაც ხელების, ფრჩხილების და კბილების დახმარებით ყლაპავენ უმ ხორცს“⁴.

ამასთან ერთად, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, „... მოხმარება... თვითონ, როგორც წადილი, საგნით არის გაშუალებული. მოთხოვნილება, რასაც მომხმარებელი საგნის მიმართ განიცდის, წარმოშობილია საგნის აღქმით. ხელოვნების საგანი — რაღაც ამგვარი რამ ემართება ყველა სხვა საგანს — ქმნის საზოგადოებას, რომელსაც ხელოვნებისა გაეგება და შესწევს მშვენიერებით ტკობის უნარი. ამიტომ წარმოება ქმნის არა მარტო საგანს სუბიექტისათვის, არამედ სუბიექტსაც საგნისათვის. ...ამიტომ იგი აწარმოებს მოხმარების საგანს, მოხმარების წესსა და მოხმარების წადილს“⁵.

ამრიგად, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ადამიანის აქტივობის წყაროდ უპირველეს ყოვლისა მოთხოვნილებას ასახელებენ. ეს კი ცხადად მოწმობს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნილებას ქცევის შაბლონის არჩევისათვის. ამავე დროს ადამიანის აქტივობის წყარო არ შეიძლება გავაიგივოთ ამა თუ იმ ქცევის შაბლონის არჩევის მიზეზთან. ამიტომ, ჩვენ აზრით, დანაშაულებრივი ქცევის არჩევის მიზეზად მოთხოვნილება არ უნდა ჩაითვალოს.

თუ ჩვენ ამა თუ იმ ქცევის შაბლონის არჩევის მიზეზად მოთხოვნილებას ჩავთვლით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ დანაშაულის ჩადენის ალბათობა დამოკიდებულია მოთხოვნილების სიძლიერეზე, ხოლო, რაც შეეხება მოტივაციის პროცესს, იგი კი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნილებათა ბრძოლა, რომელშიც უფრო ძლიერი მოთხოვნილების იმპულსი იმარჯვებს. თუ მოთხოვნილების როლს ქცევის შაბლონის არჩევაში ამგვარად გავიგებთ, ადამიანი აღარ იქნება ნებისყოფის სუბიექტი და, მაშასადამე, შეუძლებელი გახდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება. უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ფსიქოლოგიის მეცნიერება, არამედ ყოველ-

⁴ К. Маркс, Ф. Энгельс. т. 12, стр. 718.

⁵ К. Маркс, Ф. Энгельс. соч., т. 12, стр. 718.

დღიური ცხოვრებაც გვიჩვენებს, რომ ხშირად ადამიანის მოქმედება არ არის გამოწვეული მოთხოვნების იმპულსით, ეწინააღმდეგება კიდევაც მას⁶.

ადამიანის აქტივობა ყოველთვის მოთხოვნილებით აიხსნება. მაგრამ სწორედ ასეთი ქცევის მიზეზად მოთხოვნილებას ვერ ჩავთვლით, რადგან მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ ვითარებაში ქცევის რამდენიმე ვარიანტი არსებობს და, რომელს შეარჩევს ადამიანი, ეს უკვე მოთხოვნილების ხასიათზე დამოკიდებული არ არის. შიმშილი, მაგალითად, აიძულებს ადამიანს ეძიოს მისი დაკმაყოფილების გზები. ვთქვათ, ამ კერძო შემთხვევაში ადამიანს შეუძლია მიმართოს რამდენიმე მოქმედებას: იმუშაოს, სთხოვოს სხვას საკმელი, თუ მოიპაროს და ა. შ. ყველა ჩამოთვლილი მოქმედება ემსახურება შიმშილის დაკმაყოფილების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ყველა შემთხვევაში აქტივობის წყარო მოთხოვნაა, მაგრამ იმუშავენს კაცი და ამით იშოვის საკმელს, სხვასა სთხოვს, თუ მოიპარავს, ეს უკვე შიმშილის დაკმაყოფილების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არაა დამოკიდებული. მოთხოვნა, როგორც დ. უზნაძე მიუთითებს, წარმოადგენს ქცევის მამოძრავებელს, ადამიანის აქტივობის წყაროს⁷. ამიტომ მოთხოვნაში მოცემულია მისი დაკმაყოფილების ობიექტი და არა საშუალება.

2. „მე — კონცეფცია“ და სოციალური კონტროლი. ქცევის ამა თუ იმ შაბლონის არჩევის მიზეზის ასახსნელად, იმის დასადგენად, თუ რატომ ხდება, რომ მრავალ შესაძლებელ ქცევათაგან, რომელნიც დააკმაყოფილებენ მოთხოვნადას, ადამიანი სწორედ დანაშაულებრივ ქცევას ირჩევს, ჩვენ კვლავ ადამიანის სოციალიზაციის ზოგიერთ ასპექტს უნდა დავუბრუნდეთ.

ნებისყოფა ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის. ახალშობილი ბავშვი მოთხოვნების სუბიექტია, ხოლო ნებისყოფის სუბიექტად

⁶ მაგალითად, ინდოეთში არიან ტომები, რომელთა ადათით კოცონზე, რომელზედაც ქმრის გვამს სწვავენ, ცოცხლად უნდა დაწვარიყო მიცვალებულის ცოლიც. ეს ხდებოდა ნებაყოფლობით. ამგვარი ქცევის ახსნა მოთხოვნების იმპულსით, ვგონებთ, არ იქნება დამაჯერებელი.

⁷ იხ. Д. Н. У з н а д з е. Психологические исследования. М., 1966, стр. 366. ძირითადად ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ვ. კოლბანოვსკის. ქცევის ამოსავალი, მამოძრავებელი ძალა, აღნიშნავს იგი, — ძევის გაცილებით უფრო ღრმად ადამიანთა მოთხოვნების სფეროში, რაც მის მიერ ყოველთვის არაა შეცნობილი. მარკსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები განიხილავდნენ მოთხოვნადას როგორც „მამოძრავებელ ძალთა მამოძრავებელ ძალებს, რომლებზედაც აღმოცენდება სწრაფვა, მიღრეკილება, ნდობა და სხვა იდეალური მისწრაფებანი“. იხ. В. К о л б а н о в с к и й. Вопросы философии. 1965, № 5, стр. 171.

ის იქცევა სოციალიზაციის მსვლელობაში. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს ადამიანს უნარი დაიკოს მოთხოვნილების იმპულსი, შეასრულოს კანონის მოთხოვნა და პასუხი აგოს თავისი მოქმედებისათვის.

სოციალურ ჯგუფებში ურთიერთობის პროცესში ნებისყოფის სუბიექტი ჯგუფის ფსიქოლოგიით იმსჯელება და მისდევს ამ ფსიქოლოგიას არა მარტო მოქმედების დროს, არამედ ღირებულებათა შეფასებაშიც. რადგან სოციალური ჯგუფები, კლასები, კოლექტივები, ყალიბდება საერთო მატერიალური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ყოფიერება განსაზღვრავს ადამიანთა შეგნებას⁸. ამიტომ, როგორც მარქსიზმის ფუძემდებლები მიუთითებდნენ, „იმავე პირობებს, იმავე დაპირისპირებას, იმავე ინტერესებს საერთოდ და მთლიანად ყველგან უნდა შეექმნათ აგრეთვე ერთიანი ზნე-ჩვეულებანი“⁹.

რა აერთიანებს ადამიანებს სოციალური ჯგუფის შიგნით? როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, „ბუნებრივი აუცილებლობა, ადამიანთა თვისებები, როგორი გაუცხოებული სახითაც უნდა მოგვევლინონ ისინი, ინტერესი, — აი რა აკავშირებს ერთმანეთთან სამოქალაქო საზოგადოების წევრებს“¹⁰.

გეომეტრიული აქსიომებიც რომ ეწინააღმდეგებოდეს ადამიანთა ინტერესებს, წერდა ვ. ი. ლენინი, „აღბათ ისინიც უკუგდებულნი იქნებოდა. ამიტომ ხალხების ცხოვრებას ინტერესები ამოძრავებენ“¹¹.

ამგვარად, თვით სოციალური ჯგუფის წარმოშობა განსაზღვრულია პირველ ყოვლისა, საწარმოო ძალთა განვითარებით, ხოლო შემდეგ — ადამიანთა საერთო ინტერესებით, რომელიც თავის მხრივ საწარმოო ურთიერთობათაგან წარმოდგება. დეტერმინირებულია თვით ადამიანთა მოქმედება სოციალურ ჯგუფებში, მათში ადამიანები წინასწარვე იმუშავებენ ქცევის შაბლონებს და ამ შაბლონების მიყოლა უპირველესად უზრუნველყოფილია სოციალური კონტროლითვე. და მაინც ქცევის შაბლონების შემუშავებასა და კონკრეტულ ქცევაში ადამიანს ერთგვარი თავისუფლება ახასიათებს, რადგან ვითარებანი ცვალებადია, ისინი სრული იგივეობით არ მეორდებიან. ადამიანი ქცევის შაბლონის არჩევის დროს მხედველობაში იღებს როგორც საკუთარ მოთხოვნილებას, ისე სიტუაციას, მაგრამ ყოველივე ამას განიხილავს სოციალური თვალსაზრისით, რადგან საკუთარ თავსა და თავის ქცევას ყოველთვის ამოწ-

⁸ იხ. А. Г. Ковалев. Психология личности. М., 1970, стр. 46.

⁹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან. თბ., 1948, გვ. 65.

¹⁰ К. Маркс, Ф. Энгельс, соч., т. 2, стр. 134.

¹¹ ვ. ი. ლენინი. თბ., ტ. 2, გვ. 134.

მებს მისი ჯგუფის სხვა მონაწილეთა ნამდვილი ან მოსალოდნელი რეაქციის საშუალებით.

საკუთარი თავისა და მოქმედების ობიექტივაციის უნარი დაკავშირებულია თვითკონტროლის უნართან, მაგრამ თვითკონტროლიც საზოგადოებრივი თვალსაზრისით ხორციელდება, რადგან იგი სხვა არა არის¹ რა, თუ არა სხვისი თვალთ საკუთარი თავისა თუ ქცევის კონტროლი. აქაც საქმე სოციალურ კონტროლთან გვაქვს. აქ მქლავნდება ინდივიდისა და კოლექტივის ურთიერთობისა და ურთიერთდამოკიდებულების ერთიანობა, რომელშიც გამოხატულია შინაარსისა და ფორმის დიალექტიკური ერთიანობა. შინაარსი და ფორმა, — აღნიშნავს ბ. პარიგინი, — ურთიერთობის პროცესში ორგანულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება. ერთი მხრივ, რეალური ადამიანური ურთიერთობანი (თანხმობა ან უთანხმოება, სიმპათიები ან ანტიპათიები, ურთიერთგაგება ან — გაუგებრობა და ა. შ.) განსაზღვრავენ მათი გამოხატვის ხერხს და თან არსებობენ იმისდა დამოუკიდებლად, როგორც ეს ხერხი. მეორე მხრივ, ადამიანთა ურთიერთობის შინაარსი წარმოდგენილია მისი გამოხატვის ხერხების გარეშე, ადამიანის მიერ ამ შინაარსის აღქმა და გაგება კი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორცაა სახელდობრ ეს საშუალება თუ ხერხი¹². ადამიანთა ურთიერთობის გამოხატვის ძირითადი საშუალება ქცევაა. მისი შაბლონების შემუშავება ადამიანის მიერ ძირითადად წინასწარ ხდება პრაქტიკის ან სხვადასხვა ვითარების წარმოდგენითი რეპეტიციის საშუალებით, რაც ისევ და ისევ სოციალური კონტროლით მიმდინარეობს და ისევ და ისევ ადამიანის აზროვნების ნაყოფია.

აზროვნება ინდივიდუალურია, რადგან იგი სხვისთვის მიუწვდომელია. ამავე დროს იგი სოციალურია, რადგან მიმდინარეობს კონვენციური სიმბოლოების ენით, რომელიც ადამიანთა შეთანხმების უმაღლეს ხარისხს გამოხატავს. ეს ის სიმბოლოებია, რომლებსაც ადამიანები იყენებენ ურთიერთკომუნიკაციისათვის. რამდენადაც სიმბოლური კომუნიკაცია კონვენციურია, შეთანხმებითი, ამდენად შეგნება და აზროვნება სოციალური პროცესის ინტერიორიზაციას წარმოადგენს. აზროვნება ისე ბუნებრივად და დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, რომ ძნელია იმის შემჩნევა, თუ რამდენადაა იგი დამოკიდებული ჯგუფში არსებულ წარმოდგენებზე. აზროვნება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მეტყველების პროცესის ინტერიორიზაცია, რომელიც ძირით

¹² იხ. ე. პარიგინი. დასახ. ნაშრომი, გვ. 188—189.

თანად კონვენციური ნორმებით წარმოებს, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ აზროვნებასაც რამდენადმე იმ ჯგუფის კულტურა განაპირობებს, რომელშიც ადამიანი მონაწილეობს¹³.

ამრიგად, ადამიანი ნებისყოფის სუბიექტად ყალიბდება მისი სოციალიზაციის კვალობაზე. სოციალიზაციის უნარი ადამიანს აქვს იმდენად, რამდენადაც მას ცნობიერება გააჩნია. ცნობიერების მეოხებით ადამიანი ახდენს საკუთარი თავისა და საკუთარი ქცევის ობიექტივაციას, რაც თავის მხრივ თვითკონტროლის უნართანაა დაკავშირებული. თვითკონტროლი იგივე სოციალური კონტროლია. რადგან ადამიანი საკუთარ თავსა და მოქმედებას საზოგადოებას თვალთ აფასებს.

სოციალური კონტროლი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი აზრით და არა რაიმე ოფიციალური სანქციით. თუ კაცი არ მიესალმება ნაცნობს, ამისათვის მას არავინ დასჯის. ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება მხოლოდ შექმნას საზოგადოებრივი აზრი, რომ ეს პიროვნება უზრუნველია. სოციალური ნორმების უზრუნველყოფის საშუალება სწორედ საზოგადოებრივი აზრია. მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა, რაში მდგომარეობს სოციალური კონტროლის ძალა, რატომ უკორჩილება ადამიანი სოციალურ ნორმებს?

სოციალური ნორმების ძალა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ ადამიანს სოციალიზაციის კვალობაზე უყალიბდება „მე“ — კონცეფცია (Концепция — „Я“). „მე“ — კონცეფცია არის ადამიანის შექმნილი თავის თავზე, როგორც ობიექტურ ღირებულებაზე. მისი შექმნა გულისხმობს თავისი თავის ობიექტივაციის უნარს და თვითკონტროლის წყაროდ გვევლინება.

მართალია, „მე“ — კონცეფცია არის წარმოდგენა თავისი თავის ღირებულებაზე, მაგრამ ადამიანი აფასებს თავის თავს თავისი ჯგუფის მსოფლმხედველობით. ამიტომ თავისი თავის ღირებულება სოციალურ ღირებულებათა თვალსაზრისით ფასდება¹⁴.

„მე“ — კონცეფცია არ არის არც თვითონ ორგანიზმი და არც მისი ანაბეჭდი, არამედ თავის თავზე მიმართულ მოქმედებათა სისტემას წარ-

¹³ Т. Шибутани. Социальная психология. М., 1969. стр. 157.

¹⁴ ისეთ თითქოსდა ხელშეასხებ ფიზიკურ თვისებასაც კი, როგორც სილამაზეა, ადამიანი განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ ასპექტში, იმის მიხედვით თვლიან თუ არა მას ლამაზად. არსებობენ ტომები, სადაც სილამაზედ ითვლება სახის ტატუირება. ქალები გულმოდგინედ ისერავენ სახეს და იკეთებენ ცხვირსა და ყურებში უზარმაზარ რგოლებს. ისინი თავის თავს თვლიან ლამაზად, რადგანაც მათ მიკრო სოციალურ ჯგუფში სილამაზე სწორედ ასეა გაგებული.

მოადგენს. სხვანაირად რომ ვთქვათ, „მე“ — კონცეფცია არის მოქმედების ხერხი, ვინაიდან ადამიანებს შეუძლიათ იმოქმედონ თავისი თავის მიმართ ისევე, როგორც სხვის მიმართ, ან ისე, თითქოს სხვა მოქმედებდეს მათ მიმართ. და ეს იმიტომ, რომ „მე“ — კონცეფცია განისაზღვრება თავისი თავის მიმართ მოქმედების მდგრადი ორიენტაციით¹⁵.

„მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ იგი, უმეტეს შემთხვევაში, დიდ ღირებულებას იძენს ადამიანისათვის. ამ ღირებულების შენარჩუნება და გაზრდა მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ხდება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

„მე“ — კონცეფცია წარმოდგენილია სიმბოლოებით და ასეთ სიმბოლოს უპირველეს ყოვლისა ადამიანის სხეული წარმოადგენს. სიმბოლოებთან პერსონიფიკირებულია ისეთი თითქოსდა შემთხვევითი ნიშნები, როგორცაა სახელი, გვარი, პროფესია და სხვ. მაგრამ „მე“ — კონცეფცია არამც და არამც არ არის ადამიანის სხეული, ან მისი სახელი, თუ პროფესია. უპირველესად იგი არის ადამიანის სტატუსი საზოგადოებაში; სტატუსი, რომელსაც მისი ნამდვილი თუ მოსალოდნელი მოქმედებანი განსაზღვრავენ. რას აძლევს ადამიანი საზოგადოებას, რას მოელოიან მისგან და რას იღებს იგი საზოგადოებისაგან — ეს არის ძირითადად ადამიანის სტატუსის განმსაზღვრელი საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ, თუკი არსებობს ქვეყნის ალტერნატივა, კონკრეტული მოქმედების არჩევა დიდადაა დამოკიდებული სუბიექტის პიროვნულ ორგანიზაციაზე, მის „მე“ — კონცეფციაზე. რაც შეეხება სიტუაციას, იგი ძირითადად ქვეყნის არჩევის საშუალებას იძლევა.

„მე“ — კონცეფცია ადვილად ყალიბდება საზოგადოებაში, რომელშიც მონაწილეთა როლები მტკიცედ არის დადგენილი და საზოგადოებრივი სტატუსების მყარი სისტემა არსებობს. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ღირსება არის ის მოდელი, რომელსაც იგი იცავს, რამდენადაც მას საზოგადოებაში გარკვეული სტატუსი გააჩნია.

„მე“ — კონცეფცია, როგორც ითქვა, ერთგვარი მდგრადობით ხასიათდება, მაგრამ მისი მდგრადობა ძირითადად სხვა ადამიანების მხარდაჭერას ემყარება. იგი შეიძლება დაირღვეს, თუ ასეთი მხარდაჭერა მოიშალა. აღიარებულ ფეხბურთელს „მე“ — კონცეფცია დაუქვეითდება, როცა აღმოჩნდება, რომ მან დაკარგა მოქნილობა, სისწრაფე და მაცურებლობა სტვენა დაუწყეს. ყოველთვის, როცა იცვლება ადამიანის საზოგადოებრივი სტატუსი, ე. ი. საზოგადოების დამოკიდებულება

¹⁵ იხ. თ. შიხუტანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

მისდამი, შესაბამისად იცვლება პიროვნების „მე“ — კონცეფცია და მისი ქცევის მიმართულება. ადამიანი საკმაოდ მოქნილი არსებაა და ეს მოქნილობა, ყველაზე უფრო „მე“ — კონცეფციის ცვალებადობით ვლინდება. განსხვავებულ ვითარებაში იცვლება ადამიანის ქცევა, მისი როლი როგორც, ასე ვთქვათ, შემსრულებლისა. ამის შესაბამისად იგი ახდენს თავისი თავის ობიექტივაციას მუდმივად ცვალებად ვითარებასა და მუდმივად ცვალებად როლში. ამრიგად, „მე“ — კონცეფცია ყალიბდება ადამიანის სოციალიზაციის კვალობაზე და ძირითადად განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ სტრუქტურას. თავის მხრივ, სოციალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობა სოციალურ ჯგუფებში; აქ კი მათი ქცევა წარმოადგენს სოციალური კონტროლით, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი უზრუნველყოფს. ამასთანავე თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში კაცი მონაწილეობს მრავალ მიკრო თუ მაკრო ჯგუფებში და ურთიერთობა აქვს განსხვავებული თვისებისა და აზრთა წყობის ადამიანთან. ძნელი წარმოსადგენია, რომ ინდივიდისათვის სოციალური კონტროლის ძალა ჰქონდეს ყველა სხვა ადამიანის აზრს. ძირითადად სოციალური კონტროლის ძალას იძენს იმ ჯგუფის აზრი, რომელიც ადამიანს თავის ეტალონურ ჯგუფად მიაჩნია.

ეტალონური ჯგუფის ცნება (reference group) გულისხმობს ისეთ რეალურ ან წარმოსახვით ჯგუფს, რომლის მონაწილეთა შეხედულების სისტემას მოქმედი პირი იყენებს როგორც ეტალონთა სისტემას. ეტალონური ჯგუფი იმ ღირებულებათა სისტემის შემცველია, რომლითაც ადამიანი აფასებს თავის ქცევას¹⁶.

სწორედ ამიტომ პროფესიული ქურდისათვის მნიშვნელობა აქვს არა იმას, რას ფიქრობს მასზე, ვთქვათ, უნივერსიტეტის პროფესორა, არამედ როგორი შეხედულებისაა მასზე ის ქურდების წრე, რომელიც მას თავის ეტალონურ ჯგუფად მიაჩნია. ქურდის „მე“ — კონცეფციას აყალიბებს მისი ეტალონური ჯგუფის შეხედულება და არა ის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც კიცხავს ქურდობას. ამით აიხსნება, რომ სიტუაცია, რომელიც ქურდს ქურდობისათვის აქეზებს, ვერ ჩაადენინებს პატიოსან ადამიანს ქურდობას, რადგან ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომელიც გაბატონებულია მის ეტალონურ ჯგუფში.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანისათვის მნიშვნელობა

¹⁶ იხ. თ. შიბუტანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

არა აქვს სხვა ადამიანთა რეაქციას. არსებობს ქცევის ნორმები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული საზოგადოებაში. ამ მოქმედებათა მიმართ საქვეყნო აზრია შექმნილი და ამ საზოგადოებრივ აზრს ყოველი ადამიანისათვის ისეთივე სოციალური კონტროლის ძალა აქვს, როგორც მის ეტ-ლონჯერ ჯგუფში გაბატონებულ საზოგადოებრივ აზრს.

ამრიგად, თვითკონტროლი არსებითად სოციალური კონტროლია, რომელიც უღუდავს ადამიანის მოქმედების ფარგლებს და რომლითაც ინდივიდი თავის ნამდვილ ან მოსალოდნელ ქცევას აფასებს. სოციალური კონტროლი შეუძლებელია თვითკონტროლის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი — „მე“ — კონცეფციის გარეშე. „მე“ — კონცეფცია ადამიანს უყალიბდება სოციალიზაციის კვალობაზე და დაკავშირებულია თავისი თავის ობიექტური ღირებულებების შეცნობის უნართან. „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბება ხდება იმ ღირებულებათა სისტემის და ქცევის ნორმების მეშვეობით, რომლებიც მიღებულია ეტალონურ ჯგუფში. ღირებულებათა ამ სისტემასა და ქცევის ნორმებს ადამიანი ითვისებს როგორც საკუთარ ღირებულებათა სისტემასა და ქცევის საკუთარ ნორმებს.

რას წარმოადგენს საზოგადოებრივი კომუნიკაცია, რომლის საფუძველსაც აძგება სოციალური კონტროლი, როგორც ქცევის მომწესრიგებელი და „მე“ — კონცეფცია, როგორც სოციალური კონტროლის ობიექტი? კომუნიკაცია არის საზოგადოებრივი აზრი, ე. ი. ძალა, რომელიც გვევლინება სოციალური კავშირების სიმბოლოდ, გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სხვისი ქცევის მიმართ და წარმოადგენს „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბების წყაროს.

მ. საზოგადოებრივი აზრი როგორც სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალება. ადამიანები კავშირდებიან სოციალურ ჯგუფებად თავიანთი სოციალური ბუნებისა და ინტერესთა ერთობის გამო. მათ ერთობლივი საქმიანობა ხერხდება ჯგუფის მონაწილეთათვის მისაღები ქცევის შაბლონებას შემუშავებით. ქცევის საერთო შაბლონები ქცევის სოციალურად სავალდებულო ნორმების ხასიათს იღებენ. ეს ნორმები საზოგადოების ოფიციალური სფეროს გარეშეა და მათი შესრულება უზრუნველყოფილია სოციალური კონტროლით. ყოველგვარი ნორმის დარღვევა შესაძლებელი და მოსალოდნელია. ამიტომ საზოგადოებაში ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია სანქციები. სოციალური ნორმების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად საზოგადოებრივი აზრი გვევლინება.

საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების ძალა დიდია, რადგან მისი საშუალებით ხდება „მე“ — კონცეფციის შექმნა, შენარჩუნება და მისი დონის ამაღლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანს აქვს „მე“ — კონცეფციის შექმნის უნარი, რომელიც ემყარება „მე“-ს ობიექტივაციის უნარს. ქცევის შეცნობა და „მე“-ს ობიექტივაცია ხდება ქცევის შაბლონის ასარჩევად. ადამიანი აფასებს თავის თავს, თავის მოქმედებას მის გუფში ჩართულ ადამიანთა მოსალოდნელი რეაქციის გათვალისწინებით. ამ რეაქციას კი ძირითადად საზოგადოებრივი აზრი გამოხატავს.

მაგალითად, ვინმეს, ვთქვათ, ივანიშვილს ნათესავე გარდაეცვალა სოფელში; ზამთრის უამინდობის გამო დაკრძალვაზე წასვლა ძნელია. თანაც ხარჯთან არის დაკავშირებული; ამავე დროს შაბათ-კვირას სახლში საქმეებია მოსაგვარებელი; მიუხედავად ამისა, იგი მაინც კმინებ-გზავრება სოფელში და ესწრება დაკრძალვას.

ივანიშვილის ქცევა არ შეიძლება აეხსნათ მოთხოვნილების იმპულსით. მას არ უნდოდა წასვლა, მაგრამ თავს ვალდებულად თვლიდა და წავიდა. რა ავალდებულებდა ივანიშვილს ასე მოქცეულიყო? მხოლოდ და მხოლოდ სოციალური კონტროლი. რითი იყო უზრუნველყოფილი ეს კონტროლი? მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი აზრით: „რას იტყვის ჩემზე ხალხი, რომ არ ჩავიდე სოფელში?“ — აი, ერთადერთი სანქცია, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა ივანიშვილის მიერ თავისი სოციალური ვალდებულების შეუსრულებლობას.

✶ თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანს უწევს გზის გაგნება სოციალურ უფლება-მოვალეობათა რთულ ლაბირინთში. იგი ახერხებს ამას იმდენად, რამდენადაც მას წინასწარ აქვს შემუშავებული ქცევის უამრავი შაბლონი, სხვადასხვა ვითარებისათვის. თუ ჩვენ ადამიანის ქცევას ერთობლივად 100 პროცენტად მივიღებთ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქცევათა 99 პროცენტი მოწესრიგებულია სოციალური ნორმებით, რომლებიც სოციალურ კონტროლს ექვემდებარება და რომლების შესრულება საზოგადოებრივი აზრის ძალითაა უზრუნველყოფილი.

დაწყებული ისეთი სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, როგორცაა ჭამა, დამთავრებული მიცვალებულის დაკრძალვით გამოწვეული ვითარებით; ყველაფერი რეგლამენტირებულია სოციალური ნორმებით. საოჯახოდ, სამეზობლოდ, საზოგადოებრივ ადგილებში თავის დასაჭერად შემუშავებულია ქცევის ისეთი მრავალგვარი და რთული წესები, რომლებსაც ვერავითარი კოდექსი ვერ დაიტევს და ვერც

ერთი კანონმდებელი ვერ გაითვალისწინებს. თუ არა საზოგადოებრივი აზრის ძალა, მათ შესრულებას ალბათ ვერ უზრუნველყოფდა მილიონიანი მილიციაც კი, და ყველაფერი ეს სრულდება საზოგადოებაში ძირითადად სოციალური კონტროლის მეშვეობით, რომელიც საზოგადოებრივი აზრითაა უზრუნველყოფილი.

საზოგადოებრივი აზრის ნიადაგი და სარბიელი სხვადასხვა განზომილებისაა: მიკრო თუ მაკრო ჯგუფი, მთელი ერი, მთელი სახელმწიფო. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებამ და განმტკიცებამ. ბევრი საერთაშორისო ორგანოს გაჩენამ გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შექმნა შესაბამისი საკითხების შეფასებაში. თანაც ამ აზრს შეიძლება პქონდეს უკუმოქმედებითი ძალა და ადამიანის სოციალური კონტროლის წყაროდ მოგვევლინოს.

ადამიანი ერთდროულად მონაწილეობს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ იგი თავისი „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბებაში უკლებლად ყველა ჯგუფის საზოგადოებრივ აზრს ემორჩილება. მან შეიძლება აიღოს ყველა ამ ჯგუფისაგან სხვადასხვა ქცევის შაბლონი, წარმოსახვით შექმნას ერთი ეტალონური ჯგუფი და მისი ღირებულებათა სისტემა თავის ღირებულებათა სისტემად გაიხადოს.

მაგალითად, ქალაქში მცხოვრები მუშისათვის, რომელმაც ბავშვობა სოფლად გაატარა, იქაური ქცევის ნორმების მხოლოდ ნაწილი შეიძლება ეტალონად ექცეს, ხოლო თავის დანარჩენ საქმიანობაში იგი დემორჩილება სოციალურ ნორმებს, რომლებიც მუშათა კოლექტივში მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში მის ქცევასზე ზემოქმედებას იქონიებს ორივე სოციალური ჯგუფის მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც მის „მე“-შია ასახული.

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი აზრი იქმნება და ყალიბდება მიკრო და მაკრო ჯგუფებში; მის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების მატერიალური ბაზა, საწარმოო ურთიერთობათა ხასიათი და საერთოდ წარმოების განვითარების დონე, საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური წყობა. სახელმწიფოს სტრუქტურა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე. ამასთან ერთად საერთოდ. განსაკუთრებით კი მცირე სოციალურ ჯგუფებში. საზოგადოებრივი აზრის შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ მავნე თუ დადებით ტრადიციებს, ეროვნულ თავისებურებებს, კაპიტალიზმის გადმონაშთებს როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ადამიანთა შეგნებაში და სხვ.

საზოგადოებრივი აზრი ზოგიერთი მოვლენის მიმართ ზოგჯერ სტიქიურად, მოუწესრიგებლად იქმნება. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს, კინოს, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, ლიტერატურას, მეცნიერებას. სახელმწიფო ბევრ ძალას და ენერჯიას ხარჯავს ახალგაზრდობის ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდისათვის. ყოველივე ეს მიმართულია საზოგადოებრივი აზრის უნიფიკაციისაკენ, იმისკენ, რომ მიკრო და მაკრო ჯგუფებში ცალკეული მოვლენებისადმი და ადამიანთა ქცევის შაბლონებისადმი ერთიანი სოციალისტური საზოგადოებრივი აზრი განმტკიცდეს.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს კლასები, არ მოსპობილა მთლიანად განსხვავება გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის, სოფელსა და ქალაქს შორის, სადაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა კომუნისტური პრინციპი „თვითფულისაგან მისი უნარის მიხედვით — თვითფულს მისი მოთხოვნილების მიხედვით“, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ზოგჯერ ამა თუ იმ საგანზე განსხვავებული საზოგადოებრივი აზრი არსებობს. უფრო მეტიც, სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა დანაშაული, შემორჩენილია კაპიტალიზმის გადმონაშთები და ძველი დროიდან გამოყოლილი მანევ ტრადიციები, არსებობს მიკრო სოციალური ჯგუფები, რომლებშიც ზოგიერთი მოვლენისა და ქცევის შეფასებისას მოქმედებს სოციალისტური ცხოვრების წესებისათვის შეუთავსებელი საზოგადოებრივი აზრი. ამგვარ ჯგუფებში სოციალიზაცია წარმართავს ადამიანს ისეთი ქცევისაკენ, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. სწორედ ამიტომ ვერ გავიზიარებთ ა. იაკოვლევის შეხედულებას, ვითომ „კარგად სოციალიზებული“ ადამიანი არ ჩაიდენს დანაშაულს არა მოსალოდნელი სასჯელის შიშით, არამედ წარმატებული სოციალიზაციის შედეგად. არადამაკმაყოფილებელი სოციალიზაცია იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი ორიენტირებულია მხოლოდ იმ რისკის მეტნაკლებობაზე, რომელთანაც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენა. ასეთ შემთხვევაში სუბიექტს ადვილად შეუძლია გადალახოს სასჯელის მუქარით შექმნილი ფსიქოლოგიური ზღუდე იმ იმედით, რომ იგი სასჯელს დაუძვრება¹⁷.

ჩვენი აზრით, მთავარი ის კი არ არის რა რიგადაა სოციალიზებული პიროვნება, არამედ ის, თუ რომელ სოციალურ ჯგუფში მოხდა მისი სოციალიზაცია და რომელი ჯგუფია მისთვის ეტალონური. ამიტომ რო-

¹⁷ А. М. Яковлев. Преступность и социальная психология. М., 1971, стр. 152.

დია შეუძლებელი, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზად ინდივიდის სწორედ ძლიერი სოციალიზაცია მოგვევლინოს.

შეიძლება ითქვას, სამართლის ლიტერატურაში საზოგადოებრივი აზრის ცნების განსაზღვრებას არა აქვს მიკუთვნებული ჯეროვანი აღგოლი.

საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრების ერთგვარ ცდას შეიცავს კამინსკაიას და ა. რატინოვის ნაშრომი. ავტორები არ იზიარებენ ბ. გრუშინის მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებას, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი აზრა იგივე საზოგადოებრივი შეგნებაა, ოღონდ შიგნით დამტკიცრეული ტიხარებით¹⁸. ვ. კამინსკაიას და ა. რატინოვს შეცდომად მიაჩნიათ, საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივი შეგნების გაიგივება. მათ საზოგადოებრივი აზრი სამართალსა და მართლმსაჯულებაზე მართლშეგნების ერთ-ერთ მდგომარეობად ეგულებათ. საზოგადოებრივი აზრი ესაა საზოგადოებრივი (ჯგუფური) მართლშეგნების გამოვლინება... ესაა რომელიმე სოციალურ ერთიანობაში გამოვლინებული მართლშეგნება, ე. ი. რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენით წარმოქმნილი მართლშეგნება¹⁹.

საზოგადოებრივი აზრის გაიგივება მართლშეგნებასთან არ მიგვაჩნია სწორად. ვინაიდან მართლშეგნება პოზიტიური მოვლენის აღმნიშვნელი ცნებაა, მართლშეგნებაზე შეიძლება ლაპარაკი — თუ საზოგადოების წევრებმა იციან კანონი, იზიარებენ მას და მზად არიან შეასრულონ იგი. სწორედ ამიტომ მართლშეგნება არ გვევლინება დანაშაულის ჩადენის წყაროდ. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, იგი შეიძლება იზიარებდეს და შეიძლება არც იზიარებდეს სამართლის მოთხოვნას. ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში ზოგჯერ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი აზრი (მაგალითად, საზოგადოებრივი აზრი სისხლის აღების თაობაზე), რომელმაც შეიძლება კაცს უბიძგოს დანაშაულის ჩადენისაკენ. საზოგადოებრივი აზრი თავისი ბუნებით ახლოს არის საზოგადოებრივ შეგნებასთან და მართლშეგნებასთან, მაგრამ არ ემთხვევა მათ.

გუჯრობთ. რომ საზოგადოებრივი აზრი, არის მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფებში გაბატონებული შეხედულება გარკვეულ სოციალურ. სამართლებრივ მოვლენებზე, აგრეთვე პიროვნებაზე, მის ქცევასა და სოციალურ, სამართლებრივ ღირებულებაზე; იგი განპირობებულია საზოგადოების ხაწარმოო წესით, სოციალური და პოლიტიკური წყო-

¹⁸ Б. А. Грушин. Мнение о мире и мир мнений. См. В. А. Каминский, А. Ратингов. Цит. работа, стр. 60.

¹⁹ იხ. ვ. კამინსკაიას, ა. რატინოვის. დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

ბით, ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობებით და საზოგადოებრივი შეგნების დონით. საზოგადოებრივი აზრი გვევლანება სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალებად და წარმოადგენს ქცევის შაბლონების შემუშავებისა და „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბების და განმტკიცების წყაროს.

საზოგადოებრივი აზრი უნივერსალურია. იგი მოიცავს მიკრო და მაკრო ჯგუფების შესედულებას ეკელა სოციალურად ღირებულ მოვლენაზე. მათ შორის შეხედულებას სამართლის ნორმებსა და სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის. თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმეტესი ნაწილი მოწესრიგებულია არაოფიციალური ნორმებით, რომლებიც მოქმედებენ როგორც ქცევის წმინდა სოციალური ნორმები. ეს ნორმები სრულდება სოციალური კონტროლის წყალობით. რომელიც საზოგადოებრივი აზრით არის უზრუნველყოფილი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაწილს აწესრიგებს თვით სახელმწიფო სამართლებრივი აქტების გამოცემით.

იურიდიული ნორმების საპიროება არის არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური. არამედ ერთობ სოციალური მოთხოვნილება საზოგადოებრივი დისციპლინისა კლასობრივი საზოგადოების ყველა სფეროში. ეს არის მოთხოვნილება ქცევის მოწესრიგებასა და ამით წესრიგის შეტანისა საზოგადოებრივ ურთიერთობებში. რომლებიც სულ უფრო და უფრო რთულდება²⁰.

სამართლებრივი ნორმების დადგენით საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა ეძლევა. მართლურობითობა არის სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობს მართლშეგნებას. რომელიც საზოგადოებრივი შეგნების ნაწილად გვეკლინება.

სამართლებრივი ნორმების აუცილებლობა თვით კლასობრივი საზოგადოების ბუნებაში ძვეს. სამართალი გაბატონებული კლასის ნებას გამოხატავს და აწესებს ისეთ ნორმებს. რომლებიც სასარგებლო და აუცილებელია გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის. ხოლო სოციალისტურ საზოგადოებაში — ერთიანი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებისათვის. სამართლის ნორმების შესრულება უზრუნველყოფილია სამართლებრივი სანქციის საშუალებით.

²⁰ იხ. ი. ფარბერი. დასახ. ხაზრობი, გვ. 24.

სამართლებრივი სანქციის დაწესებით სოციალურ კონტროლს სამართლებრივი კონტროლის ძალა ეძლევა. სამართლებრივი კონტროლი უზრუნველყოფილია არა საზოგადოებრივი აზრით, არამედ სამართლებრივ სანქციათა სისტემით, რომელიც სახელმწიფოს იძულების ღონისძიებებზეა დამყარებული. სამართლებრივ სანქციას ზოგადი და სპეციალური პრევენციის ძალა აქვს.

ზომ არ ნიშნავს ეს, რომ სამართლებრივი ნორმების გამოცემის შემდეგ საზოგადოებრივ აზრს ძალა ეკარგება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიტანთ რამდენსამე მაგალითს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიიდან და სასამართლო პრაქტიკიდან.

1961 წლამდე, საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემამდე, მოქმედებდა ნორმა, რომელიც აწესებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის აღრევისათვის, ე. ი. სქესობრივი კავშირისათვის ისეთ ახლო ნათესავენებს შორის აღმავალი თუ დაღმავალი ხაზით, როგორებიცაა დედა და შვილი, მამა და შვილი, პაპა და შვილიშვილი და სხვ. ამჟამად მოქმედ კოდექსში ამგვარი აკრძალვა შეტანილი არ არის; ახალ კანონმდებლობას არ გამოუცხადებია სისხლის აღრევა დასჯად მოქმედებად. რით აიხსნება კანონმდებლის ასეთი გადაწყვეტილება? განა სისხლის აღრევამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი? რასაკვირველია, არა, მაგრამ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად ასეთი მოქმედების წინააღმდეგ ისეთი ძლიერი და, რაც მთავარია, საყოველთაო საზოგადოებრივი აზრი იყო და არის განმტკიცებული, რომ მასთან ბრძოლას სოციალური კონტროლიც უზრუნველყოფს და მას სამართლებრივი ნორმებით გამაგრება აღარ სჭირდება. სამართლებრივ კონტროლს მოქმედება არ ჰქონია და კანონმდებელმა იგი მოჰსწა. სისხლის აღრევა მხოლოდ სოციალური კონტროლის სფეროში დარჩა, რითაც არ შენელებულა ბრძოლა ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ. ჩვენს საზოგადოებაში სისხლის აღრევა მხოლოდ იშვიათ გამონაკლისად, ექსცესის სახით თუ შეიძლება მოხდეს.

საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ არაეფექტურად ხდის სამართლებრივ კონტროლს არა მასთან თანხმობის გამო, არამედ იმიტ, რომ ეწინააღმდეგება მას. 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემამდე მოქმედებდა ნორმა, რომელიც სისხლის სამართლებრივ სანქციას აწესებდა „ყალიმისათვის“, ე. ი. საცოლის ყიდვისათვის. ეს წესი გავრცელებულია საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთ ნაცუმცირესობათა სოციალურ ჯგუფებში. ამჟამად „ყალიმის“ აღუკვეთლობა სისხლისსა-

მართლებრივი წესით იმის შედეგი კი არ არის, რომ მოვლენამ საზოგადოებრივად საშიში ხასიათი დაკარგა, არა, იგი დღესაც საზოგადოებრივად საშიშია, მაგრამ სხვა მიზეზებთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსიდან სათანადო ნორმის ამოღება სისხლისსამართლებრივი სასჯელის არაეფექტურობამაც განაპირობა. ზემოთ მითითებულ სოციალურ ჯგუფებში „ყალიბის“ სასარგებლოდ იმდენად ძლიერი საზოგადოებრივი აზრი მოქმედებდა, რომ სამართლებრივმა აკრძალვამ ვერ ითამაშა მაკონტროლებელი როლი; სოციალური კონტროლის ძალა უფრო ძლიერი აღმოჩნდა და, სამართლებრივი აკრძალვის მიუხედავად აღნიშნული ეტალონური ჯგუფების თითქმის ყველა წევრი საცოლის მშობლებს ყალიბს უხდიდა. ამიტომ საქართველოს პირობებში უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალა გარდაიქმნას თვითონ ადამიანთა შეგნება, შეიცვალოს საზოგადოებრივი აზრი, რაც თავისთავად, სამართლებრივი აღკვეთის გარეშე, შესაძლებელს გახდის ამ მავნე ტრადიციის დაძლევას.

ზოგჯერ მავნე საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ სოციალური კონტროლი აქარწყლებს სამართლებრივ კონტროლს და კაცი დანაშაულს იღენს სწორედ მისი სოციალიზაციის შედეგად.

მთის ერთ-ერთ სოფელში ანი დაკბინა ბან-ის ნაგაზმა. გამწარებულმა ან-მა მოკლა ნაგაზი. ბან-მა ეს ოჯახის შეურაცხყოფად მიიღო. მოსალოდნელი გართულების ასარიდებლად ან-მა შესთავაზა ბან-ს სანაცვლოდ მისი ძალლი მოეკლა. ბან-მა მოკლა ან-ის ძალლი. ძაღლის სისხლი ძაღლის სისხლითვე ანაზღაურდა, თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ სოფელმა არ მიიღო ამგვარი სისხლის აღება ოჯახის შეურაცხყოფის საზღაურად. ბან-ს დაცინვა დაუწყეს; განსაკუთრებით კილავდა მას დედა, იგი ქალაჩუნას ეძახდა თავის შვილს და მოითხოვდა ოჯახის პატივის აღდგენას. ბან-მა ვერ გაუძლო სოფლის საზოგადოებრივი აზრის ძალას, დახვდა ან-ის უმცროს ძმას, რომელმაც არაფერი იცოდა მომხდარი ამბისა, და მოკლა იგი, ამის შემდეგ გამოცხადდა მილიციაში და თავისი ბრალი აღიარა. რა იყო აქ მკვლელობის მიზეზი? რასაკვირველია, საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სისხლის აღების მავნე ჩვეულებას ემყარებოდა. ბან-მა კარგად იცოდა, რომ სისხლის აღების მოტივით კაცის მოკვლისათვის მას მკაცრი სასჯელი. იქნებ სიკვდილით დასჯაც კი მოელოდა; მას არ ჰქონდა სასჯელისაგან თავის დაღწევის არავითარი იმედი, — ამიტომ გამოცხადდა მილიციაში. და მანინც მან მოკლა სრულიად უდანაშაულო კაცი, რომელთანაც კარგ მეზობლურ და მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო. ბანი დიდხანს ყოყმანობდა,

ვერ გადაეწყვიტა სისხლის აღება. იგი განიცდიდა სოციალური კონტროლის ზემოქმედებას, რომელიც სისხლის აღებას ავალებდა და ამავე დროს იმყოფებოდა სამართლებრივი კონტროლის ქვეშაც, რომელიც მოითხოვდა თავი შეეკავებინა მკვლელობისაგან. სოციალური კონტროლი უზრუნველყოფილი იყო საზოგადოებრივი აზრით. რომელიც აუმხედრდა ბან-ს. სამართლებრივი კონტროლი კი უზრუნველყოფილი იყო მკაცრი სასჯელით. ამ ქიდილში საზოგადოებრივი აზრი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე უმძიმესი სასჯელის რიდი. ბან-მა დანაშაული ჩაიდინა სოციალიზაციის წყალობით. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოციალიზაციის კვალობაზე ადამიანს უჩნდება უნარი დაიოკოს მოთხოვნილების იმპულსი და შეასრულოს ის მოქმედება. რომელსაც მისგან მოითხოვენ. აღწერილ შემთხვევაში ბან-მა დაიოკა სასჯელის შიშის იმპულსი და მოკლა კაცი. მაგრამ ჩაიდენს კაცი დანაშაულს თუ დაიცავს კანონს, დამოკიდებულია არა სოციალიზაციის ძალაზე, არამედ იმაზე, თუ რომელ მიკრო სოციალურ ჯგუფში მოხდა მისი სოციალიზაცია, როგორია სოციალურ ღირებულებათა სისტემა იმ სოციალურ ჯგუფში, რომელიც მას ეტალონურ ჯგუფად შეექმნა. ბანი ძლიერ სოციალიზებული რომ არ ყოფილიყო, არ მოკლავდა ან-ის ძმას და არ გაწირავდა თავის თავს. მიკრო სოციალურ ჯგუფში, რომელშიც ბანი მოქმედებდა, სისხლის აღების მავნე ჩვეულების შესრულება დიდ სოციალურ ღირებულებად არის მიჩნეული. იგი გატოლებულია ვაჟაკობასთან, ოჯახის პატივის დაცვასთან, წინაპართა ხსოვნის თაყვანისცემასთან, ე. ი. ყველაფერ იმასთან, რაც ბან-ის „მე“ — კონცეფციაში იყო განსახიერებული. ამ ჩვეულების შეუსრულებლობა გამოიწვევდა ისეთ რეაქციას, შექმნიდა ისეთ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ბან-ის „მე“ — კონცეფციას დასცემდა და დაამსხვრევდა. ბანი ვერ შეურიგდა თავის „მე“-ს დაცემას, და გაწირა სხვა ადამიანის სიცოცხლე და საკუთარი თავიც. ყოველივე ამის მიზეზი მავნე საზოგადოებრივი აზრი იყო.

მოტანილი მაგალითები ისე არ უნდა გავგოთ, ვითომ საზოგადოებრივი აზრი, როგორც წესი, ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივ კონტროლს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ დანაშაული წალეკავდა საზოგადოებას.

ქცევის ნორმები „არ მოკლა“, „არ იქურდო“, „ქრთამი არ აიღო“, „არ იმათხოვრო“ და სხვა ეკუთვნის არა მარტო სამართლებრივი, არამედ სოციალური კონტროლის სფეროსაც. ქცევის ამდაგვარი ნორმები არსებობდა სამართლებრივი ნორმის გაჩენამდე და იარსებებს მაშინაც, როდესაც სამართალი აღარ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშ-

ნული დანაშაულის წინააღმდეგ მოქმედებს როგორც ფართო სოციალური, ისე წმინდა სამართლებრივი ნორმები, ჩვენს საზოგადოებაში ამგვარი დანაშაული ჯერ არ გამქრალა. ამავე დროს მათი სიხშირე და გამრავლების ტენდენციები სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. როგორც საქართველოს კპ ცკ არაერთ სადირექტივო დადგენილებასა და წერილშია მითითებული, თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე საბჭოთა კავშირის კპ ცკ დადგენილების გამოცემამდე ჩვენში მეტად გავრცელებული იყო ისეთი დანაშაული, როგორცაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, ზომა-წონაში მოტყუება. რა იყო ამის მიზეზი?

მოვიტანოთ ერთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. 1974 — 1976 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ განიხილა სამედიცინო ინსტიტუტის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის, პროფესორ-მასწავლებლის სისხლის სამართლის საქმეები; მათ ბრალი ედებოდათ მექრთამეობაში. წლების განმავლობაში დამნაშავეთა ეს ჯგუფი დიდი ქრთამით აწყობდა სამედიცინო ინსტიტუტში უვიც აბითურიენტებს, რა თქმა უნდა, კარგად მომზადებული აბითურიენტების ხარჯზე. არავის შეეპარება ეჭვი, რომ სამედიცინო ინსტიტუტის ამ ხელმძღვანელებისათვის ვინმეს ჯიბგირობა რომ შეეთავაზებინა, ისინი ამაზე ცოცხალი თავით არ დათანხმდებოდნენ, რაგინდ დიდი შემოსავლის იმედი არა ჰქონოდათ და რაგინდ უსაფრთხო არ ყოფილიყო ეს საქმიანობა. და ეს იმიტომ, რომ ჯიბგირობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი უფრო მეტად იყო გამახვილებული, ვიდრე მექრთამეობის წინააღმდეგ. იმ წრეში, რომელშიც სამართალში მიღემულები „მოღვაწეობდნენ“, ჯიბგირს ხელს არ ართმევდნენ, მექრთამეს კი იწყნარებდნენ, რომელიმე ამ მექრთამეს ვინმესთვის ჯიბიდან ფული რომ ამოეცალა. მისი „მე“ — კონცეფციის დონე მისივე თვალში დაქვეითდებოდა, რადგან მისი ეტალონური ჯგუფის წევრების საზოგადოებრივი აზრი ამ მოქმედებას მკაცრად გაკიცხავდა. მექრთამეობის გამო კი ე. წ. „ინტელიგენტ დამნაშავეთა“ „მე“ — კონცეფციას დიდი საფრთხე არ ელოდა.

საქართველოს მკვიდრ მოსახლეობაში მათხოვრობას, შეიძლება ითქვას, თითქმის არ ვხვდებით, მაშინ როცა ზომა-წონაში მოტყუება რამდენადმე გახშირებული იყო. ამისდა კვალად მათხოვრობა, თუ იგი სისტემატური არ არის, საერთოდ არ ისჯება სისხლის სამართლის წესით, ზოლო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე; ზომა-წონაში მოტყუება, დამამძიმებელ

გარემოებებშივე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე. მათხოვრობით არანაკლები შემოსავალი შეიძლება ჰქონდეს კაცს, ვიდრე ფასში მოტყუებით; მათხოვარი ეცოდებათ, თვითონ მოქალაქენი მას არ სდევნიან; თანაც, როგორც ვთქვით, მათხოვრობას გაცილებით ნაკლები სასჯელი მოსდევს. მიუხედავად ამისა, საექვოა ვაჭრობის მუშაჲი, რომელიც ზომა-წონაში და ფასში მოტყუებას ადვილად კისრულობს, დათანხმდეს რუსთაველის გამზირზე სამათხოვროდ ხელი გაიშვიროს და ეს იმიტომ, რომ საქართველოში ძნელად მოიპოვება ისეთი სოციალური ჯგუფი, რომ მასში მათხოვარს რაიმე სოციალური სტატუსი გააჩნდეს. ასეთ პირობებში საკმარისია ადამიანმა მათხოვრობა დაიწყოს, რომ მისი „მე“ — კონცეფცია დაქინდება. იმიტომ კაცი, რომელიც მათხოვრობას არ იკადრებს, ზოგჯერ ადვილად კადრულობს მყიდველის მოტყუებას, თუმცა ობიექტურად ეს გაცილებით უფრო უხნეო და საზოგადოებრივად საშიში მოქმედებაა. ამ დანაშაულის ჩადენა ადვილდება იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი სათანადოდ დარაზმული არ არის.

ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკვლევის დროს სოფლის სკოლის ბოლო კლასის ერთმა მოსწავლემ ანკეტაში ჩაწერა: „მე არ მინდა მასწავლებელი ვაქდე. მე მეცოდება ჩვენი მასწავლებლები, იმიტომ კი არა, რომ ისინი ბევრად უფრო ღარიბები არიან, ვიდრე ჩვენი სოფლის ნავთის წერტილის გამყიდველი, არამედ იმიტომ, რომ სოფლისა და რაიონის თავკაცობა მეტ პატივს სცემს ნავთის წერტილის გამგეს, ვიდრე მასწავლებელს“²¹. ამ თითქოსდა გულუბრყვილო ნათქვამში დიდი აზრია ჩაქსოვილი. უბედურება ის კი არ იყო, რომ პატიოსან კაცს ზოგჯერ სიღარიბე ეწერა, არამედ ის, რომ ჯიბეგასქელებულ გამფლანგველს შეეძლება სოციალურად მაღალ სტატუსს ანიჭებდა. საზოგადოებრივმა აზრმა ზოგიერთ მიკრო სოციალურ ჯგუფში ზურგი შეაქცია „ღარიბ და პატიოსან“ ადამიანს და „საწყალ კაცად“ მონათლა.

ამრიგად, სამართლებრივი კონტროლი განსაკუთრებით შედეგიანია როცა მას საზოგადოებრივი აზრიც უთანხმდება. რაც უფრო მეტ სოციალურ ჯგუფშია გაბატონებული სამართლებრივი კონტროლის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი, მით უფრო შედეგიანია ეს კონტროლი. თუ სამართლებრივი კონტროლის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრს საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფი იზიარებს ისე, როგორც ეს,

²¹ პ. გუგუშვილი. ახალგაზრდობის სოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1965, 21 ოქტომბერი, № 126.

მაგალითად, სისხლის აღრევისა და მათხოვრობის შემთხვევაშია, სამართლებრივი კონტროლის შედეგიანობა მაქსიმუმს აღწევს.

რითი განსხვავდება სამართლებრივი კონტროლი საკუთრივ სოციალური კონტროლისაგან?

სოციალური კონტროლი ემყარება ადამიანის თვითკონტროლის უნარს და უზრუნველყოფს ადამიანის სოციალიზაციის კვალობაზე წარმოშობილი ქცევის ნორმების შესრულებას მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფებში. საზოგადოებრივი აზრი სოციალური კონტროლის საფუძველიც არის და უზრუნველყოფს საშუალებაც.

სამართლებრივი კონტროლი აწესრიგებს ქცევის ნორმების შესრულებას, მაგრამ მისი უშუალო საფუძველი თვითონ სამართლებრივი ნორმებია, ხოლო უზრუნველყოფას საშუალებად სამართლებრივი სანქცია ემსახურება. სანქცია სამართლებრივი, განსაკუთრებით სისხლის-სამართლებრივი, ნორმის დარღვევისათვის მძიმეა. იგი ადამიანს ნორმის შესრულების ძლიერ სტიმულს უქმნის.

სამართლებრივი კონტროლი მხოლოდ სამართლებრივი სანქციით არ არის უზრუნველყოფილი. სამართლებრივი ნორმის დადგენით საზოგადოებრივ ურთიერთობებს — სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა ეძლევა, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში მართლშეგნების სახით აისახება. როგორც უკვე აღინიშნა, მართლშეგნება არ არის სამართლებრივი ნორმების, საერთოდ მართლურთიერთობათა უბრალო ასახვა ცნობიერებაში. იგი გულისხმობს სამართლის ნორმების მოთხოვნათა ცოდნას, შეფასებასა და მზაობას მათ შესასრულებლად. ყოველივე ეს ხერხდება ქცევის ისეთი შაბლონების შემუშავებით, რომლებიც ეთანხმება სამართლებრივ ნორმებს. მართლშეგნება გვაქვს, თუ ადამიანს შეგნებული აქვს სამართლებრივი ნორმების შესრულების აუცილებლობა, თუ სამართლებრივი ნორმის მოთხოვნა მისი მრწამსი ხდება, თუ ამ მოთხოვნას აქვს პიროვნებისათვის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ საკუთრივ სოციალური კონტროლის ძალა.


მოვიტანოთ მაგალითი. პატიოსან კაცს ფული სჭირდება; იგი სტუმრად არის და იცის, რომ მის მეგობარს უჭრაში ფული უძევს; ისიც იცის, თუ მოიპარავს მასზე ექვს არავინ მიიტანს; იგი ფულს მაინც არ იპარავს. წარმოვიდგინოთ, რომ იმავე პირობებში იმყოფება რეციდივისტი ქურდი; მას უნდა ფულის მოპარვა, მაგრამ, რაკი იცის, რომ ექვს მასზე აიღებენ და დააპატიმრებენ, სასჯელის შიშით ამჯერად თავს იკავებს ქურდობისაგან. ორსავე შემთხვევაში ფულის აუღებლობის მიზე-

ზი სამართლებრივი კონტროლია, მაგრამ მისი უზრუნველყოფა სხვადასხვა საფუძვლით ხდება.

პირველ შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილია მართლშეგნებით, თანაც სამართლებრივი კონტროლი სოციალურ კონტროლს ემთხვევა. სამართლებრივმა კონტროლმა იმოქმედა ადრეულ სტადიაში, კერძოდ, მართლშეგნების ჩამოყალიბებისასვე — ადამიანი არ იღებს ფულს იმიტომ, რომ ქურდობა მის „მე“ — კონცეფციას არ შეესაბამება. თუმცა დარწმუნებულია, რომ მასზე ექვს არავინ მიიტანს, იგი ამგვარ საქციელს მაინც არ კადრულობს. ე. ი. მართლშეგნების მომწესრიგებელი ზემოქმედების სტრუქტურა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების სტრუქტურა ერთნაირია.


მეორე შემთხვევაში სამართლებრივი კონტროლი განხორციელდა მხოლოდ სანქციის რიდით. ქურდმა არ მოიპაოა არა იმიტომ, რომ ეს საქციელი მის „მე“ — კონცეფციას არ შეესაბამება, — პირიქით, მარჯვე ქურდობა აამაღლებდა კიდევ მის სტატუსს თავის ეტალონურ ჯგუფში, — არამედ იმიტომ, რომ საქმეს მისთვის კარგი პირი არ უჩანდა.

მამასადამე, სამართლებრივი კონტროლი ზოგჯერ ემთხვევა სოციალურ კონტროლს, ზოგჯერ კი სცილდება მას. სოციალური კონტროლი სამართლებრივ კონტროლზე ფართოა. იგი მოიცავს მოქმედებათა გაცილებით დიდ წრეს, მოიცავს ზოგჯერ სამართლებრივ კონტროლსაც. ამ ცნებათა ურთიერთობა შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ:




იგივე შეიძლება ითქვას მართლშეგნებისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთდამოკიდებულებაზე. საზოგადოებრივი აზრის ცნება მეტისმეტად ფართოა. იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მოვლენას, მათ შორის სამართლებრივ მოვლენებსაც. ამავე დროს საზოგადოებრივი აზრი ხშირად შეთანხმებულია მართლშეგნებას-


თან და სწორედ მას გამოხატავს; ზოგჯერ იგი ინდიფერენტულია სამართლებრივი მოვლენებისადმი. ზოგჯერაც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის მოთხოვნას. ამიტომ საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების დამოკიდებულება იმდაგვარივეა, როგორც სოციალური კონტროლისა და სამართლებრივი კონტროლის ურთიერთობა.



სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების მიზანია თანდათანობით გაზარდოს მართლშეგნების როლი სამართლებრივი კონტროლის სტრუქტურაში და ამით უზრუნველყოს სამართლებრივი კონტროლის სტრუქტურისა და სოციალური კონტროლის სტრუქტურის დაახლოება, ხოლო შემდეგ დამთხვევა. მისი მიზანია აგრეთვე საზოგადოებრივი აზრი აამაღლოს მართლშეგნების დონემდე და მართლშეგნების ცნება გადააქციოს საზოგადოებრივი აზრისადმი დაქვემდებარებულ ცნებად.



ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი ნორმების შედგენიანობა მაქსიმუმს მიაღწევს და მათი დამოკიდებულება შემდეგ სახეს მიიღებს:



§ 3. სოციალური და სამართლებრივი კონტროლი და დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა

1. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა და ხიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თვითკონტროლის უნარი და, მასთან დაკავშირებული უნარი სოციალური კონტროლისადმი დამორჩილებისა ცნობიერების თავისებურებიდან გამომდინარეობს. „მე“-სა და თავისი მომავალი ქცევის ობიექტივაცია წმინდა ფსიქიკურ სფეროში ძვეს, იგი ფსიქიკური პროცესია. ამრიგად, ადამიანის სოციალიზაციას საფუძვლად სოციალური მოვლენები უძევს, მაგრამ თვითონ იგი ფსიქიკურ სფეროში მიმდინარეობს და მისი ახსნისათვის საჭიროა ფსიქიკური პროცესების ანალიზი.

მართლშეგნება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივი ურთიერთობების შედეგია, ამ ურთიერთობებს კი საფუძვლად სამართლებრივი ნორმების ობიექტური რეალობა უძევს. სამართლებრივი ნორმების გამოცემას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანები შეასრულებენ მათ. სამართლებრივი ნორმა რომ შესრულდეს, იგი უნდა აისახოს მართლშეგნებაში, ადამიანს უნდა შეექმნას მისდამი ესა თუ ის დამოკიდებულება და შეუმუშავდეს ქცევის ისეთი შაბლონი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ნორმის შესრულებას. რამდენადაც ყოველი ქცევა ფსიქიკური ფენომენის რეალიზაციაა, ამდენად ქცევის ყოველგვარი შაბლონის შემუშავება ფსიქიკური პროცესია. მართლშეგნების მოწესრიგებითი ფუნქცია უპირველეს ყოვლისა გამოხატულებას პოვნებს მართლზომიერი ქცევის შაბლონების შემუშავებაში და, თუ ეს ასეა, მაშინ სამართლის მეცნიერების ვალია მოუნახოს მართლშეგნებას ადგილი ქცევის ფსიქიკურ ფაქტორთა შორის; გამოსაკვევია და საჩვენებელია როგორ ზემოქმედებას ახდენს მართლშეგნება ქცევის მოტივაციის პროცესზე. მხოლოდ ამის შემდეგ ცხადი შეიქნება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მართლშეგნების ამაღლებას და შესაძლებელი გახდება გამოინახოს მართლშეგნების ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული გზები. ამ მიმართულებით პირველად უნდა შევისწავლოთ მართლსაწინააღმდეგო ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა და დავადგინოთ სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიური საფუძველი, როგორც ნებელობითი, ისე იმპულსური ქცევის დროს.

საბჭოთა სამართალი მტკიცედ დგას დემოკრატიულ პრინციპზე — „cogitationis poenam nemo pacitur“ („აზრისათვის არავინ ისჯება“). ამ პრინციპის არსისა და მნიშვნელობის შესახებ კ. მარქსი მიუ-

თითებდა: „...არავინ არ შეიძლება დაატუსაღონ, ან არავის არ შეიძლება წაართვან თავისი საკუთრება ან სხვა იურიდიული უფლება თავისი მორალური ხასიათის საფუძველზე, თავისი პოლიტიკური და რელიგიური რწმენის საფუძველზე... ჩვენ მოვითხოვთ ხელშეუხებელ სამართლებრივ მდგომარეობას ყოველი უვარგისი არსებისათვის არა იმიტომ, რომ იგი უვარგისია, არამედ იმდენად, რამდენადაც მისი მანკიერება რჩება აზრთა წყობის ფარგლებში, რომლისთვისაც არ არსებობს არც ტრიბუნალი, არც კოდექსი. ამრიგად აზრთა ცუდ წყობას, რომლისთვისაც არ არსებობს ტრიბუნალი, ჩვენ ვუპირისპირებთ ცუდ ქმედობებს, რომელთათვისაც, თუ ისინი კანონსაწინააღმდეგონი არიან, არსებობს ტრიბუნალი და სასჯელთა დებულება“¹.

დანაშაულებრივი აზრის არსებობა ანდა დანაშაულებრივი განზრახვის შიშველი გამოვლინება არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ინდივიდი საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებად ვადიაროთ. მოქმედება კი (ან უმოქმედობა), რომელმაც საზოგადოებას ვნება მიაყენა, შეიძლება საზოგადოებრივად საშიში ხასიათისა იყოს, მაგრამ ყოველთვის არ იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგალითად, რეფლექტორული მოქმედება, რომელიც მარტოოდენ კუნთების მოტორულ რეაქციას გამოხატავს, მაშინაც კი, როდესაც იგი ზიანთანაა დაკავშირებული, არ შეიძლება ვახდეს ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ამიტომ სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია დაინტერესებულია არა ადამიანის სხეულის ყოველგვარი მოძრაობით, არამედ მხოლოდ მიზანშეწონილი მოქმედებით, როცა ადამიანი გვევლინება ფსიქოფიზიკური შესაძლებლობების მატარებელ, გონიერ არსებად, რომელსაც უნარი აქვს შეასრულოს მართლწესრიგის მოთხოვნები.

როდესაც ფსიქოლოგები ადამიანის მიზანშეწონილ მოქმედებაზე ლაპარაკობენ, მათ მხედველობაში აქვთ ნებელობითი და იმპულსური ქცევა.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და კრიმინოლოგიაში გვაბტონებული იყო შეხედულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუუკავშიროთ მხოლოდ ნებელობით ქცევას, ხოლო იმპულსური ქცევა ვერ განიხილება დანაშაულად და, მაშასადამე

¹ К. Маркс, Ф. Энгельс. Соч. т. I, стр. 182—183.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც არ უნდა იწვევდეს². გამოთქმულია ისეთი შეხედულება, რომ იმპულსური ქცევა არ შეიძლება გახდეს არათუ სისხლისსამართლებრივი, არამედ მორალური პასუხისმგებლობის საფუძველიც კი³.

ამავე დროს საბჭოთა კანონმდებლობა დასჯადალ აცხადებს მკვლელობასა და სხეულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რომლებიც ჩადენილია უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე და 113-ე მუხლები). სისხლის სამართლის თეორეტიკოსებს შორის არაღის ეპარება ექვი, რომ უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვება აფექტური მდგომარეობაა. ექვს არ იწვევს ისიც, რომ აფექტური მოქმედება იმპულსური მოქმედებაა. აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობა დასაბუთებულია იმით, რომ აფექტი მთლიანად კი არ გამოირიცხავს შეგნებულ კონტროლს, არამედ მხოლოდ ასუსტებს მას და რომ აფექტური მოქმედება არ ეკუთვნის ისეთ მოქმედებათა რიცხვს, რომ კაცს არ შეეძლოს მათი შესრულების მისწრაფება დაიოკოს⁴. მაგრამ, თუკი აფექტური მოქმედება იმპულსური მოქმედებაა და ეს არ გვიშლის ხელს დაეუკაცეოთ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ხომ არ ირყევა ამით ზოგადი დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ ნებლობითი ქცევაა, ხომ არ ვრცელდება ის, რაც თითქოსდა გამოწაკლი-

² იხ. მაგალითად, Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. М., 1963; В. Н. Кудрявцев. Объективная сторона преступления. М., 1960; Б. С. Волков. Проблема воли и уголовная ответственность. Казань, 1965 და სხვ.

³ უ გ რ ე ხ ე ლ ი ძ ი ს საქანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატში (Природа неосторожной вины по советскому уголовному праву, М., 1974, стр. 19) მითითებულია თითქოს თ. წერეთელი და ვ. კუდრიაკევი ადგნენ შეხედულებას, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად გვევლინება არა მარტო ნებლობითი, არამედ იმპულსური ქცევაც. ეს უზუსტობა მ. უგრეხელიძემ შეასწორა მონოგრაფიაში (იხ. М. Угрехелидзе. Проблема неосторожной вины в уголовном праве. Тб., 1975, стр. 51).

⁴ იხ. Б. В. Харацишвили. Вопросы мотива поведения. Тб., 1963, стр. 9. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ნებლობით ქცევას უკავშირებენ ის იურისტებიც, რომლებიც სპეციალურად მუშაობენ დანაშაულებრივი ქცევის პრაბლემის სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარის შესწავლაზე. იხ. მაგალითად, И. Г. Филановский. Социально-психологическое отношение к преступлению. Л., 1970; С. А. Тарарухин. Преступное поведение. М., 1974; Б. С. Волков. Детерминистическая природа преступного поведения. Казань, 1975.

⁴ თ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 15—16.

სად დაშვებულია აფექტური მოქმედებისათვის, საერთოდ იმპულსურ ქცევაზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე.

მოთხოვნების საფუძველზე ცოცხალი ორგანიზმი იქცევა ინდივიდად, ქცევის სუბიექტად, ხოლო გარე სინამდვილე აისახება სუბიექტში ეფექტად. რომელსაც იგი იწვევს როგორც მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაცია. მაგრამ ეს ეფექტი წარმოვედგება თვით სუბიექტის სახეცელაში, მისი სტრუქტურის გარდაქმნაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევის სუბიექტი გარე სინამდვილესთან ურთიერთობაში იკვლევს მოთხოვნების სიტუაციის შეცვლის კვალობანა. ამიტომ მისი შემდგომი მოქმედება გვევლინება ისეთი არსების მოქმედებად, რომელიც მოდიფიცირებულია გარე სინამდვილის შესაბამისად. ამრიგად, სიტუაციისა და მიხედვით ადამიანის მოქმედების ხასიათი გარკვეულ ჩარჩოებში განსაზღვრულია მოქმედების დაწყებამდე. იგი წარმოდგენილია როგორც წინასწარი მიდრეკილება, როგორც გარკვეული მოქმედების ტენდენცია. იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნების დაკმაყოფილების ობიექტური ვითარების ზეგავლენით ჩნდება. დ. უზნაძე განწყობას უწოდებს. განწყობა ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ქცევის უშუალო წყაროს და განაპირობებს მის მიზანშეწონილ ხასიათს. განწყობაში, სრულიად ისევე, როგორც მიზანში, ასახულია ქცევის სიტუაცია. ამიტომ მასში ასახული ქცევა მიმდინარეობს სიტუაციის შესაბამისად. ე. ი. მიზანშეწონილად.

„ცოცხალი არსების ქცევას გარემო განსაზღვრავს. მაგრამ ეს განსაზღვრა მექანიკური ხასიათის როდია: გარემო თვითონ ქცევის აქტებზე კი არ მოქმედებს უშუალოდ, იგი პირდაპირ კი არ იწვევს მას, არა, იგი სუბიექტზე მოქმედებს, მას სცვლის მთელი სიტუაციის შესაფეროსად, მასში გარკვეული ქცევის განწყობას იწვევს. თვითონ ქცევის აქტებს კი უშუალოდ ამიერიდან ამ გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტში განსაზღვრავს. იგი იმ აქტებს და პროცესებს, ერთი სიტყვით, იმ ქცევას ზიმართავს, რომლის განწყობა მას სიტუაციის ზემოქმედების შედეგად აქვს შემუშავებული“⁵.

⁵ ჩვენი აზრით, ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურას კარგად ხსენის დ. უზნაძის განწყობის თეორია და ჩვენც სწორედ ამ თეორიით ეხელმძღვანელობთ. იხ. დ. უზნაძე. შრომები. ტ. III—IV, თბ., 1964, გვ. 85—100, 165—230. აგრეთვე შ. ჩხარტიშვილი. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. თბ., 1958, გვ. 331—336.

სამართლებრივი სანქციის მიზანშეწონილების დასაბუთება გაძნელებოდა, ადამიანსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს შორის დიდი და არსებითი განსხვავება რომ არ არსებობდეს. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს აქვს ცნობიერება, რომელიც აძლევს მას სოციალიზაციის უნარსა და მოთხოვნილების სუბიექტს ნებისყოფის სუბიექტად აქცევს.

სიტყადისათვის მივმართოთ მაგალითს. ადამიანს მოშივდა. ქამის მოთხოვნილებამ მას აქტივობის აუცილებლობა აღუძრა. ამ კონკრეტულ ვითარებაში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალება ქურდობაა. ვთქვათ, აქტუალურმა მოთხოვნილებამ და სიტუაციამ შეუქმნა კაცს ისეთი ქცევის განწყობა, რომელსაც იურისტები ქურდობად სახავენ. მაგრამ ამგვარი განწყობა თავისთავად როდი გადადის შესაბამის ქცევად. სამართლებრივი კონტროლის წყალობით განწყობის რეალიზაცია ფერხდება. ცნობიერებაში ფიქსირებული აკრძალვითი იმპულსი „ქურდობა აღკვეთილია“ იწვევს განწყობის გაცნობიერებას. „ნაცვლად იმისა, რომ მან (განწყობამ — თ. შ.) სუბიექტის სათანადო ქცევაში პოვოს გამოვლინება, მასში გარკვეული ქცევის აქტები გამოიწვიოს, იგი მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის რეალიზაციას იქ პოულობს — ნაცვლად იმისა, რომ სუბიექტმა რეალურ აქტებს მიმართოს, იგი ჭერ-ჭერობით მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ ამ აქტების განხორციელების სურათს (ქურდობის) წარმოიდგენს: (ჩამატება ჩვენია — თ. შ.)... განწყობა თვითონ ქცევაში კი არა ამ ქცევის წარმოსახვაში, რეალური ქცევის ფსიქიკურ ექვივალენტში პოულობს რეალიზაციას... სუბიექტს წარმოსახვის შესაძლებლობა რომ არ ჰქონოდა, იგი რომ მოკლებული ყოფილიყო ცნობიერებას, მისი განწყობა მყის ქცევის სახით უნდა გამოვლინებულყო და ყოველი მისი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს მაშინვე სათანადო ქცევა უნდა გამოეწვია“⁷.

ამრიგად, სუბიექტს შეუძლია არ განახორციელოს განწყობაში მოცემული ქცევა, რომელიც მოთხოვნილების იმპულსმა განაპირობა. მომავალი ქცევის შეცნობის გზით იგი აირჩევს ქცევას იმის მიხედვით, თუ რა შედეგს გამოიღებს ქცევის შეცნობა. მართალია, ყოველი, კერძოდ, არამართლზომიერი მოქმედების უშუალო ფსიქიკურ წყაროს ქცევის განწყობა წარმოადგენს, მაგრამ ადამიანი განწყობის სრული შორჩილი არ არის, მას შეუძლია არ განახორციელოს განწყობაში მოცემული ქცევა და ეს თავისთავად განწყობის შეცვლას გამოიწვევს. ადამიანი

⁷ დ. უზნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

ყოველთვის როდი შეიცნობს თავის ქცევას. ქცევის შეცნობა ხდება მაშინ, როდესაც მას სუბიექტური ან ობიექტური ხასიათის წინააღმდეგობა ელობება წინ. როცა ქცევა მოთხოვნილების იმპულსის უშუალო ზეგავლენით წარმოიშობა, მისი ცალკეული ეტაპები თვითდინებით, შეგნებული მოწესრიგების გარეშე მიმდინარეობს; განსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ძირითადად სიტუაციას, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს.

ასეთ შემთხვევაში მოთხოვნილების სუბიექტზე მოქმედებს აქტუალური სიტუაცია, რომელიც შესაბამის განწყობას იწვევს. სწორედ ეს განწყობა, შეუცნობელი, მაგრამ მიზანშეწონილი, წარმართავს სუბიექტის ქცევას.

„როდესაც სუბიექტი, — აღნიშნავს დ. უზნაძე, — აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, გარემოს მიმართავს, მას გარკვეული სიტუაცია უჩნდება, რომელიც მასში ასევე გარკვეულ განწყობას იწვევს და ამ უკანასკნელის საშუალებით მთელ მის შემდგომ ქცევას განსაზღვრავს. რადგანაც ყველა ასეთი ქცევის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი მოქმედებს ხოლმე, ჩვენ შეგვიძლო მათთვის ყველასათვის იმპულსური გვეწოდებინა. მაშინ გამოვიდოდა, რომ იმპულსური ქცევისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ ჯერ ერთი, იგი აქტუალური მოთხოვნილების წყაროდან მომდინარეობს, და მეორე — მას ის განწყობა განსაზღვრავს, რომელსაც აქტუალური სიტუაცია ქმნის“⁸. ✓

იმპულსური მოქმედება არ განეკუთვნება რეფლექტორულ მოქმედებათა რიცხვს, თუმცა იმპულსური ქცევა გაცნობიერებული არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ იმყოფება ადამიანის კონტროლის ქვეშ. იმპულსური ქცევის გაუცნობიერებლობა ძირითადად მოქმედებს მისი შეგნებულობის ხარისხზე. როგორც ბ. ტეპლოვი აღნიშნავს, ჩვენ შეგვიძლია ერთი მხრივ განვასხვაოთ სახეებით შეგნებული, ცნობიერი მოქმედება, და მეორე მხრივ იმპულსური მოქმედება, რომელიც ხასიათდება შედარებით მცირე ცნობიერებით... იმპულსური მოქმედება მოუფიქრებელი მოქმედებაა და ამიტომ მას მოფიქრებულ, გაცნობიერებულ მოქმედებას უპირისპირებენ⁹.

ამგვარად, იმპულსურ მოქმედებას წარმართავს განწყობა და მიზანშეწონილ ქცევადა გვევლინება. თუმცა იმპულსური ქცევა გაუაზრე-

⁸ დ. უზნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

⁹ Б. М. Теплов, Психология, М., 1946, стр. 168—169.

ბელ, მოუფიქრებელ ქცევას წარმოადგენს, მაგრამ სუბიექტს გააჩნია ამგვარი ქცევის გაცნობიერების უნარი.

წარმოვიდგინოთ, რომ პიროვნებამ, რომელიც ჩაფლულია თავის საქმიანობაში ივრძის პაპიროსის მოწვევის მოთხოვნა. აილო იქვე პაპიროსი. მოუვიდა და მოაწია. მან ეს მოქმედება ისე შეასრულა, რომ არ შეუწყვეტია ძირითად საქმიანობაზე ფიქრი. ამგვარი ქცევა იმპულსურია. სუბიექტს არ ვაუცნობიერებია, არ უფიქრია მასზე. მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ვანა მას არ შეეძლო გაცნობიერებია ზემოთ აღნიშნული ქცევა? რასაკვირველია. შეეძლო. წარმოვიდგინოთ, რომ ექიმმა მას აუტრიალა პაპიროსის მოწვევა და იგი დაემორჩილა ექიმის მითითებას. ასეთ შემთხვევაში პაპიროსის მოწვევის მოთხოვნა და სიტუაციამ (მაგიდაზე დადებული პაპიროსი) შეიძლება შექმნას პაპიროსის მოწვევის განწყობა. მაგრამ პაპიროსის მოწვევის აკრძალვა. რომელიც შეგნებაში აისახება როგორც აკრძალვითი იმპულსი. შეაფერხებს ამგვარი განწყობის გადასვლას შესაბამის ქცევად. სუბიექტი უკვე შეიცნობს თავის ქცევას. მია წინაშე წამოიჭრება კითხვა, მოსწიოს. თუ არა? სუბიექტს შეუძლია თავი შეიკავოს პაპიროსის მოწვევისაგან.

მოვიტანოთ მეორე მაგალითი. ახალგაზრდას კინოთეატრში ავკიანდება. იგი ავიდა ავტობუსში, ჩააგდო სალაროში შაურიანი და მოხია ბილეთი. ქცევა იმპულსურია. მაგრამ, ღთქვათ. ახალგაზრდას საფულე სახლში დარჩა. ჩვეული განწყობა (ავტობუსში ბილეთის აღება) ქცევას შეუფერხებლად ვეღარ გამოიწვევს. ქცევის მიმდინარეობა წაწყდება წინააღმდეგობას. სამართლებრივი აკრძალვის სახით — „უბილეთო მჯზავრობა აკრძალულია“: ახალგაზრდა გაცნობიერებს თავის მდგომარეობას. გაითვალისწინებს ქცევის ყველა შესაძლებელ ვარიანტს: შინ დაბრუნდეს, იმჯზავროს უბილეთოდ, სთხოვოს ვისმე ფული. თითოეული ეს ქცევა შინაგან დაძაბვას მოითხოვს და ნებისმიერ ქცევად უნდა განიხილებოდეს.

როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ნებელობითი მოქმედების დროს „სუბიექტი და მისი ქცევა, მისი მოქმედება დაპირისპირებული არიან ურთიერთს. სუბიექტი მოქმედებაში კი არ არის მოცემული. არამედ მოქმედების გარეშე; შენს თავს ცალკე განიციდი, და შენს მოქმედებას კიდევ... სრულად ცალკე. შენ ხომ ჯერ არ მოქმედებ! შენ ხომ ჯერ მხოლოდ საკითხს აყენებ, თუ როგორ მოიქცე! ყველა ამ შემთხვევაში შენი მე-ც და შენი შესაძლო ქცევაც თითქოს გარედან მოცემული რაღაც არის. რის შესახებაც მსჯელობ და ფიქრობ. თითქოს შენს წინაშე რაღაც ობიექტური არსებობს“. ნებელობითი ქცევის დროს მე, გა-

ნიცდება, როგორც აქტივობის ერთ-ერთი წყარო. „ნებელობა მე-ს აქტიობად განიცდება, ან ნებელობაში აქტიურად, მოქმედად მე განიცდება“¹⁰.

შევადართ ნებელობით მოქმედებას იმპულსური მოქმედება. ახალგაზრდა, რომელსაც აკვიანდება კინოთეატრში, ავიდა ავტობუსში, ჩააგდო სალაროში შაურიანი და მოხია ბილეთი.

ყველაფერი ეს ისე მიმდინარეობს, რომ სუბიექტი („მე“), ობიექტი (ფული, ბილეთი) და ქცევა (ფულის ჩაგდება, ბილეთის მოხვევა) ცალცალკე არ განიცდება. ამ შემთხვევაში არ ხდება არც „მე“-ს და არც ქცევის ობიექტივაცია. გარდა ამისა ქცევა მიმდინარეობს აწმყოში. იგი აქტუალურია, ამასთან ერთად ისეთი შეგარჩებაა თითქოს ქცევა თავისთავად, რაიმე ჩარევის გარეშე მიმდინარეობს. ქცევის წყაროდ უფრო მოთხოვნა განიცდება, ვიდრე „მე“-ს აქტივობა.

ნებელობითი ქცევა სამ პერიოდს შეიცავს. პირველი გადაწყვეტილების მომზადება, როდესაც ხდება იმის დადგენა, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული და რატომ; მეორეა გადაწყვეტილების მიღების აქტი და მესამე — გადაწყვეტილების შესრულების აქტი. ნებელობითი მოქმედებისათვის ყველაზე დამახასიათებელია გადაწყვეტილების მიღების აქტი. იქ, სადაც არ არის გადაწყვეტილების მიღების აქტი, არ არის არც ნებელობითი მოქმედება.

„ნებისმიერ ქცევას მოწესრიგებული მიზანშეწონილობა ახასიათებს. მაგრამ ეს მოწესრიგებულობა სრულიად არ გულისხმობს ყოველ ნაბიჯზე სუბიექტის საქმეში აქტიურ ჩარევას, საშუალებების ცნობიერად ძებნას და გამოხატვას. საკმარისია, გადაწყვეტილების აქტი მოხდეს, რომ ამის შემდეგ საქმე თითქოს თავისით წავიდეს წინ. ერთი სიტყვით, ნებისმიერი ქცევის, ე. ი. გადაწყვეტილის, განზრახული ქცევის მიმდინარეობა, ისეთივეა, როგორც იმპულსური ქცევის მიმდინარეობა: ვიდრე ქცევის სისრულეში მოყვანის გადაწყვეტილება ძალაში რჩება, იგი ისევე მიმდინარეობს, როგორც იმპულსური ქცევის შემთხვევაში“¹¹.

ვთქვათ, დამნაშავემ გადაწყვიტა მკვლელობა მოახდინოს. თვით ქცევა, რომელიც მიმართულია ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად (თოფის გატენა, დამიზნება, ჩახმახის დაცემინება და ა. შ.) შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც იმპულსური მოქმედება. მაგრამ თუ ქცევის განხორციელების დროს თავი იჩინა წინააღმდეგობამ (მაგალითად, გამოჩნდა მილიციელი), დამნაშავეს შეუძლია თავი შეიკავოს მოქმედების

¹⁰ დ. უ ზ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 177—178.

¹¹ დ. უ ზ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

გაგრძელებისაგან. ახლად შექმნილი ვითარების შეფასება ხელახლა ხდება და სუბიექტს უნარი აქვს შეცვალოს ადრე მიღებული გადაწყვეტილება. ახლად მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება ნებელობით ქცევად მოგვევლინება.

საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც ნებელობით ქცევას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად აღიარებენ, მაინც ითვალისწინებენ ერთ გამონაკლისს, რომელიც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სფეროს ეკუთვნის. ეს არის დანაშაულებრივი მიმნებებლობა (преступное опущение), რომელიც დაბნეულობის ან გულმავიწყობის შედეგია. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა კაცი არათუ არ ითვალისწინებს თავისი გაუფრთხილებლობის შედეგს, არამედ საერთოდ არ შეიცნობს თავის ქცევას. კაცმა, რომელმაც გულმავიწყობით ღია დატოვა შლაგბაუმი, არა აქვს შეგნებული თავისი უგულისყურობის არა მხოლოდ მავნე შედეგება, არამედ ისიც, რომ იგი უმოქმედობას იჩენს და არ ასრულებს მოქმედებას, რომელიც მოვალეა შეასრულოს და რომელსაც მისგან მოელიან.

რასაკვირველია, იმ დროს, როცა კაცი უნდა გარკვეულ მოქმედებას ასრულებდეს, იგი შეიძლება სრულიად უმოქმედოდ იყოს. მაგრამ შეიძლება სულ სხვა ნებელობით მოქმედებასაც ასრულებდეს, მაგალითად, რკინიგზის დარაჯი შაშს თამაშობდეს ანდა მუშაობდეს ბოსტანში. როგორც თ. წერეთელი აღნიშნავს, სისხლის სამართლისათვის არ არის საინტერესო ის ნებელობითი მოქმედება, რომელსაც კაცი ასრულებს ნაცვლად მოქმედებისა, რომელიც მისგან მოსალოდნელი იყო, მეორე მხრივ, შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს თვით მოქმედების მიმნებებლობა არ არის ნებელობითი გადაწყვეტილების შედეგი. კაცი უმოქმედობას იჩენს დაბნეულობის, გულმავიწყობის ან სხვა ამგვარი მდგომარეობის გამო¹².

ის, რომ ამ შემთხვევაში ნებელობითი ქცევა არა გვაქვს, არ უარყოფს ხელაღებით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამის დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ უმოქმედობა არ გამოორიციხავს სუბიექტის ნებისყოფის ერთგვარ პოტენციურ დამოკიდებულებას თავისი ქცევისადმი. ეს დამოკიდებულება იმით გამოიხატება, რომ აღუსრულებლად დატოვებული მოქმედება უნდა იყოს სუბიექტის შესაძლებლობის სფეროში. ნამდვილი ნებელობითი მოქმედების ადგილს აქ იჭერს შესაძლებელი ნებელობითი ქცევა¹³.

¹² თ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

¹³ იქვე, გვ. 20.

ჩვენ ვიზიარებთ ამ შეხედულებას. იგი ადასტურებს სწორედ იმ მოსაზრებას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად არ შეიძლება ვალიაროთ მხოლოდ ნებელობითი ქცევა. მართლწესრიგი მოითხოვს სუბიექტისაგან გარკვეული მოქმედების შესრულებას ანდა თავის შეკავებას მისი შესრულებისაგან. სუბიექტი უნდა დაემორჩილოს ამ მოთხოვნას. იგი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა. თ. წერეთელი სწორად აღნიშნავს, რომ ნებელობითი ქცევის შესაძლებლობის საზღვრებს გარეთ შეუძლებელია შერაცხვა, შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირიქით, როდესაც ამგვარა შესაძლებლობა არსებობს, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ ადამიანის პასუხისმგებლობაზე, რამდენადაც მოქმედების ჩადენა იმყოფება ნებისყოფის ბატონობის სფეროში და ასეთი მოქმედების შეუსრულებლობა წარმოადგენს ნებისყოფის არასათანადოდ დაძაბვის შედეგს¹⁴.

ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა, და მასთან ერთად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც გამორიცხულია. ე. წ. დაუძლეველი ძალის (*wis absoluta*) მოქმედების დროს. ასეთ შემთხვევაში ერთმა კაცმა შეიძლება გამოიყენოს მეორე კაცი თავის ქცევაში როგორც მოქმედების იარაღი (მაგალითად, ბოროტმოქმედმა ფიზიკური ძალის გამოყენებით გაახსნევინა მოლარეს სეიფი და გაიტაცა ფული).

არ შეიძლება იგივე ითქვას, ე. წ. ფსიქიკური იძულების (*wis compulsiva*) შესახებ. საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა გამორიცხავს ფსიქიკურ იძულებას. ა. ტრაინინის აზრით, სისხლისსამართლებრივი ხასიათი ვერ მიეკუთვნება ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩადენილია ნებისყოფის დამორჩენავი ფსიქიკური იძულების ზეგავლენით. მაგალითად, კაცი, რომელიც მოქმედებს სიკვდილის რეალური და უშუალო მუქარის ზემოქმედებით, ზრგჯერ შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვისი ნების მექანიკური შემსრულებელი. ამიტომ ა. ტრაინინი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად გვევლინება ის, რომ სისხლისსამართლებრივი გაგებით მოქმედება არ არსებობს¹⁵.

¹⁴ იხ. თ. წერეთელი. იქვე. ანალოგიურად წყვეტს ამ საკითხს ვ. კუდრი-აეცვი (იხ. В. Н. Кудрявцев. Объективная сторона преступления. М., 1960, стр. 13—14).

¹⁵ იხ. А. Н. Траинин. Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 135.

ა. ტრაინინის ამ მოსაზრებას არ იზიარებენ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში, ვინაიდან ფსიქიკური იძულება კი არ გამორიცხავს მოქმედებას, არამედ ქმნის მოქმედების სასარგებლო უძლიერეს მოტივს¹⁶. რასაკვირველია, სიკვდილის მუქარამ შეიძლება გამოიწვიოს შიშის ძლიერი ემოცია, რაც თავისთავად დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, მაგრამ ამგვარი ემოცია არ გამორიცხავს ნებელობითი ქცევის შესაძლებლობას¹⁷. და უნდა განიხილებოდეს როგორც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და არა გამომრიცხველი გარემოება¹⁸.

ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა გამორიცხულია მაშინაც, როდესაც სუბიექტი უმოქმედობის დროს უგონოდ იყო, რაც მთლიანად გამორიცხავს ცნობიერების მაკონტროლებელ ფუნქციას¹⁹.

სხვაგვარად წყდება საკითხი, ე. წ. *actio libera in causa*-ს დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის დროს სუბიექტს, მართალია, არა ჰქონდა უნარი მართლწესრიგის მოთხოვნა შეესრულებინა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა თვით მის მიერ იყო გამოწვეული. მაგალითად, თუ რკინიგზის მელიანდაგემ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა იმის გამო, რომ გაღეშილი მთვრალი იყო, რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხული არ არის. მსჯელობა მელიანდაგის ქცევის შესახებ გადაინაცვლებს იმ მომენტზე, როდესაც მან სმა დაიწყო, და თუ იმ დროს მას შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, ე. ი. ისეთი ნებელობითი ქცევა ემჭობინებინა, რომელიც შემდგომში მისცემდა მას შესაძლებლობას კანონის მოთხოვნა შეესრულებინა, მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხული არ არის²⁰.

ამრიგად, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში, მართალია გაბა-

¹⁶ იხ. თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

¹⁷ ჩვენ არა გვაქვს მხედველობაში პათოლოგიური აფექტი, შოკი და მისთ., რომელნიც ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს შიშის ემოციამ. ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა.

¹⁸ სიკვდილის მუქარა მხოლოდ მაშინ შეიძლება განიხილებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, როცა სუბიექტი მოქმედებდა უცილებლად აუცილებლობის პირობებში.

¹⁹ იხ. თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

²⁰ თუ, მაგალითად, რკინიგზის მელიანდაგეს ბოროტმოქმედება შეუმჩნევლად მისცეს ძლიერი ძილისმომგვრელი წამალი, მაშინ, რასაკვირველია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გვაქნება, რადგან მელიანდაგეს არ ჰქონდა ნებელობითი ქცევის უნარი (იხ. თ. წერეთელი, იქვე).

ტონებული იყო დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ნებელობით ქცევას უკავშირდება, და, მაშასადამე, გამორიცხული იყო იმპულსური ქცევის დასჯადობა, მაგრამ ცალკეული პრობლემების გადაწყვეტისას აღნიშნული დებულების ბოლომდე; თანმიმდევრულად გატარება ვერ ხერხდებოდა და აუცილებელი ხდებოდა მრავალი გამონაკლისი დადგენილიყო. ფაქტობრივად სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო ქცევის შესაძლებლობაზე, რითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სცილდებოდა ნებელობითი ქცევის სფეროს.

2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება იმპულსური ქცევისათვის. ადამიანისათვის დამახასიათებელია ნებელობითი ქცევა. დანაშაულებრივი მოქმედებაც მეტწილად ნებელობითი ქცევით ხორციელდება. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულის ჩადენა იმპულსური მოქმედებითაც შეიძლება. ინდივიდი ყოველთვის როდი შეიცნობს თავის დანაშაულებრივ ქცევას, ხშირად იგი არ ხდის მას განსჯის საგნად და მოქმედებს აქტუალური მოთხოვნების ნიადაგზე აღმოცენებული განწყობის უშუალო ზეგავლენით.

რამ შეიძლება ჩაადენინოს ადამიანს დანაშაული მოუფიქრებლად, თავისი ქცევის გაცნობიერების გარეშე? ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

საზოგადოებრივად საშიში ქცევა გაცნობიერების გარეშე შეიძლება ნებელობითი სფეროს მოშლის შედეგი იყოს. ამას ადგილი აქვს სულიერთი დაავადების ან სხვა პათოლოგიური მოვლენების დროს (კლექტომა-ნია, ნარკომანიის ზოგიერთი მწვავე გამოვლინება და სხვ.). ამ დროს ადამიანს არ შეუძლია დაიოკოს ზოგიერთი აქტუალური მოთხოვნების იმპულსი, მაგალითად, კლექტომანს არ შეუძლია არ მოიპაროს. ასეთ ვითარებაში ადამიანი არ წარმოადგენს ნებისყოფის სუბიექტს და არ აგებს პასუხს თავისი იმპულსური ქცევისათვის.

დანაშაულებრივი ქცევის გაუცნობიერებლობის (იმპულსურობის) მიზეზი შეიძლება იყოს ე. წ. „ფიქსირებული განწყობა“.

განწყობა წარმოადგენს სუბიექტის მორღიფიციურებას მთლიანობაში. თუკი ეს ასეა, მაშინ განწყობამ თავისი როლის შესრულების შემდეგ ადგილი უნდა დაუთმოს სხვა განწყობას, ე. ი. უნდა გაქრეს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ განწყობა უკვალოდ ქრება. პირიქით, როცა ინდივიდი იმავე სიტუაციაში აღმოჩნდება, შესაბამისი განწყობაც უფრო ადვილად წარმოიქმნება, ვიდრე, როცა სუბიექტი სრულიად ახალ ვითარებაში იმყოფება და, მაშასადამე, მისთვის სრულიად ახალი

განწყობა უნდა აღმოცენდეს. „ერთხელ მიღებული განწყობა არ იკარგება... იგი სუბიექტში რჩება, როგორც ხელახალი აქტუალიზაციის მზაობა — სათანადო პირობების განმეორების შემთხვევაში“²¹.

ასეთი მზაობა ყოველთვის ერთნაირი არაა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცე იყო განწყობა, რომელიც ამ მზაობის სახით შერჩა სუბიექტს. მაგრამ ეს სიმტკიცე, თავის მხრივ, დიდადაა დამოკიდებული ერთი და იმავე განწყობის გაჩენის სიხშირეზე. რაც უფრო ხშირად იქმნება განწყობა, მით უფრო მტკიცე ხდება იგი და მით უფრო ძლიერი აქტუალიზაციის მზაობა უჩნდება სუბიექტს. განწყობის სიმტკიცეს ძირითადად მისი განმეორება განსაზღვრავს. ხდება აგრეთვე, რომ ესა თუ ის მოვლენა, ვითარება, განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე და მაშინ მას განსაკუთრებით მტკიცე განწყობა უჩნდება. ამრიგად, ხშირი განმეორების ანდა დიდი სიმტკიცის გამო გარკვეული განწყობა შეიძლება იმდენად ჩვეული გახდეს, რომ განსაკუთრებით ადვილად აქტუალურდება. ასეთ განწყობას დ. უზნაძე ფიქსირებულ განწყობას უწოდებს²².

ფიქსირებული განწყობის წყალობით ხდება, რომ სუბიექტი იმპულსურად ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რომლის ჩადენაც თითქოსდა მხოლოდ ნებელობითი ქცევით შეიძლება. მაგალითად, ქურდ-რეციდივისტს, რომელსაც არაერთხელ ჩაუდენია ქურდობა და, მაშასადამე, არაერთგზის შეჰქმნია ქურდობის განწყობა, უკვე აქვს ქურდობის მტკიცე ფიქსირებული განწყობა; ბუნებრივია, შესაფერის სიტუაციაში მას უფრო ადვილად შეექმნება ქურდობის განწყობა, ვიდრე იმას, ვისაც ადრე ასეთი დანაშაული არ ჩაუდენია. ამიტომ არ არის შეუძლებელი, რომ ამგვარი ფიქსირებული განწყობის მქონემ ქურდობა იმპულსურად ჩაიდინოს²³.

განწყობა ზოგჯერ არ მოიცავს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და ამ გარემოებამ შეიძლება განაპირობოს დანაშაულებრივი ქცევის გაუცნობიერებლობა.

მოვიტანოთ მაგალითი. ხელმოკარული მონადირე შინ ბრუნდებოდა; უეცრად ბილიკზე კურდღელი გამოხტა; მონადირეს არც კი გაუაზრებია თავისი მოქმედება, — მან უმაღვე ესროლა კურდღელს, მაგრამ ააცდი-

²¹ დ. უზნაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

²² დ. უზნაძე. იქვე.

²³ რეციდივისტმა შეამჩნია, რომ ტროლეიბუსში მის გვერდით მჯდომ მგზავრს საფულე ღია აქვს; მან თავისი ქცევის გაუცნობიერებლად, ყოყმანის და მოფიქრების გარეშე მოიპარა ფული.

ნა და ბილიკზე მიმავალი კაცი კი მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი მოქმედება იმპულსურია, მან შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინაიდან მონადირეს შეეძლო თავი შეეკავებინა ამგვარი მოქმედებისაგან. რატომ გაისროლა მან თოფი ქცევის გაუცნობიერებლად? იმიტომ, რომ მას მხოლოდ კურდღლის მოკლა უნდოდა, ე. ი. მისი მიზანი მხოლოდ ნადირობა იყო და ქცევაც ამ მიზნის განხორციელებისაკენ იყო მიმართული. მონადირის განწყობა არ მოიცავდა ადამიანის სიკვდილს, ეს თან მოჰყვა მის ქცევას თითქოსდა თავისთავად. სწორედ ამიტომ იმპულსური ქცევის განწყობას არ გადაეღობა ქცევის აკრძალვის იმპულსი, რომელსაც შეეძლო დაემუხრუჭებია განწყობის იმპულსური გადასვლა ქცევად. ამავე დროს მონადირე მოვალე იყო შეესრულებინა ნადირობის წესები და უფრო ყურადღებით ყოფილიყო, რაკი თოფი ბილიკზე ისროლა. მას რომ წინასწარ გაეაზრებინა ნადირობის წესები, ცნობიერებაში აესახებოდა აკრძალვა „ბილიკზე თოფის გასროლა არ შეიძლება“, რომელიც იმოქმედებდა აკრძალვითი იმპულსის სახით და თავს შეაკავებინებდა თოფის გასროლისაგან. ამ ვითარებაში მონადირე პასუხს აგებს თავისი მოქმედებისათვის სწორედ იმიტომ, რომ მას შეეძლო თავი შეეკავებინა გასროლისაგან.

დანაშაულებრივი ქცევის გაუცნობიერებლობა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე უეცრად აღმოცენებულმა სიტუაციამ, ალკოჰოლმა, ძლიერმა ემოციამ, კერძოდ, აფექტმაც. ამ უკანასკნელზე ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით, ვინაიდან, ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ზემოქმედების დასაბუთება აფექტის შემთხვევაში ბევრად ძნელია, ვიდრე სხვა იმპულსურ მოქმედებათათვის, ყველაზე რთულია აგრეთვე მსჯელობა მართლშეგნების მომწესრიგებელ ფუნქციაზე აფექტის დროს.

აფექტი ემოციური განცდაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებული ინტენსივობა. იგი წარმოიშობა ძლიერი ინტენსივობის განცდის შედეგად და ამ განცდის კრიტიკულ წერტილს წარმოადგენს.

„აფექტი, ჩვეულებრივ, ერთბაშად იწყება. რაიმე ძლიერი შთაბეჭდილება ინტენსიურ ემოციურ რეაქციას იწვევს, რომელიც თავისი ინტენსივობის გამო მთელ ცნობიერებას იპყრობს და ამასთან ერთად გამოკვეთილ სხეულებრივ ცვლილებებსაც გვაძლევს... აფექტი გრძნობის არა მარტო ინტენსივობის გამოვლენის ფორმას წარმოადგენს: იგი

ამავე დროს ხანიერობის განზომილებასაც ეკუთვნის. აფექტი ხანმოკლე გრძობაა: იგი ერთბაშად ჩნდება და შედარებით მალე ქრება, მისთვის „აფეთქება“ დამახასიათებელი“²⁴.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებით რისხვის აფექტზე²⁵. რისხვის აფექტი წარმოადგენს ძლიერი კონფლიქტური სიტუაციით გამოწვეული ემოციური განცდის უმაღლეს წერტილს, როცა, როგორც წესი, რისხვის ობიექტად კონფლიქტური სიტუაციის ავტორი, ადამიანი გვევლინება. გარკვეული არასასურველი მოქმედება ინდივიდში იწვევს გრძობათა აფეთქებას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია „დისონანსად“ წოდებული უკიდურესად ალგუნებული ფსიქოლოგიური მდგომარეობის წარმოშობასთან. „დისონანსის“ არსებობა უკვე თავისთავად იწვევს მისი შემცირების თუ გაქრობის მოთხოვნილებას, რაც ცნობიერებაში აისახება როგორც შურისძიების მოთხოვნილება. რისხვის აფექტის დროს შურისძიება გვევლინება საშუალებად დაკმაყოფილდეს „დისონანსის“ მოხსნის მოთხოვნილება. შურისძიების ზედლიერი მოთხოვნილება იწვევს ემოციურ განცდას, რომელმაც შეიძლება აფექტის ინტენსივობას მიაღწიოს. იგი ამუხრუჭებს ინტელექტუალურ მოქმედებას, უბიძგებს ადამიანს ისეთი ქცევისათვის, რომელიც აკმაყოფილებს შურისძიების მოთხოვნილების იმპულსს. იმის გამო, რომ ამგვარი აფექტის პირობებში უკვე მოცემულია რისხვის ობიექტი, შურისძიების მოთხოვნილებამ შეიძლება, გარკვეულ ვითარებაში, წარმოშვას ქცევის განწყობა, რომელიც მოტივაციის გარეშე იმპულსურად გადადის შესაბამის დანაშაულებრივ მოქმედებად (მკვლელობა, სხეულის დაზიანება და სხვ.).

აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად უპირველეს ყოვლისა ის უნდა

²⁴ დ. უ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 150—151. ფსიქიატრები მიჩნას სდებენ პათოლოგიურსა და ფიზიოლოგიურ აფექტებს შორის. პათოლოგიური აფექტი იწვევს ნებელობითი სფეროს უმოქმედობას და მიეკუთვნება შეურაცხაობის მდგომარეობას, რაც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ფიზიოლოგიური აფექტის დროს კი სუბიექტი შერაცხაობა; ამიტომ კანონი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის. მსჯელობის საგანი სწორედ ფიზიოლოგიური აფექტია.

²⁵ ფსიქოლოგები განასხვავებენ აფექტის სხვადასხვა სახეს (რისხვის აფექტი, შიშის აფექტი, სექსუალური აფექტი და სხვ.). მაგამ ჩვენ რისხვის აფექტზე განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა სპეციალურად ითვალისწინებს სასჯელის შემსუბუქებას სწორედ რისხვის აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის.

დასაბუთდეს, რომ აფექტის პირობებში არ არის გამორიცხული ქცევის კონტროლი.

აფექტური ქცევა გაცნობიერებული არ არის. მაგრამ ქცევა ყოველთვის როდი ცნობიერდება. საამისო პროცესი წარმოებს მხოლოდ ნებელობითი ქცევის დროს. რაც შეეხება რისხვის აფექტს, მის დროს ქცევა აქტუალური მოთხოვნილების (შურისძიების მოთხოვნილების) ზემოქმედებით მიმდინარეობს და მისი ცალკეული ეტაპები თითქოსდა თვითდინებით ხორციელდება. აფექტური დანაშაული წარიმართება განწყობით, რომელიც შეესაბამება აქტუალურ სიტუაციას. სწორედ ეს განწყობა აძლევს მიმართულებას სუბიექტის თუმცა გაუცნობიერებელ, მაგრამ მიზანშეწონილ ქცევას.

აფექტში ჩადენილი დანაშაული ქცევის იმ კატეგორიის როდია, რომელიც საერთოდ ცნობიერების გარეთ იმყოფება. მართალია, იგი გაუცნობიერებელია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მოწყვეტილია ცნობიერებას.

ბ. ტებლოვი გაცნობიერებულ ნებელობით ქცევას აღარებს გაუცნობიერებელ იმპულსურ ქცევას და ეს უკანასკნელი მიაჩნია ისეთ ქცევად, რომლისთვისაც დამახასიათებელია შეგნებულობის ნაკლები ხარისხი²⁶.

ბ. ტებლოვის აზრი შეიძლება გავრცელდეს აფექტში ჩადენილ დანაშაულზედაც, რადგან ისიც იმპულსურ ქცევას მიეკუთვნება. ხშირად ამბობენ, — აღნიშნავს ბ. ტებლოვი, — რომ აფექტის მდგომარეობაში ადამიანი „თავს კარგავს“, „თავი არ ახსოვს“, „არ ესმის რას სჩადის“. ეს სწორი არ არის. რისხვის აფექტში, ფსიქიკურად დაავადებულ კაცს მართლაც შეიძლება არ ესმოდეს და არ ახსოვდეს რა მოიმოქმედა. ჯანმრთელი ადამიანი არასოდეს არ ჰკარგავს გონებას და მეხსიერებას რისხვისა თუ სხვაგვარი აფექტის გამო²⁷.

განსხვავებით პათოლოგიური აფექტისაგან, რომლის დროსაც შეიმჩნევა ცნობიერების სრული დაბინდვა, იდეების დაუკავშირებელი შეუღლება და მეხსიერების დაკარგვა, ფიზიოლოგიური აფექტის დროს ადგილი აქვს მხოლოდ შეგნების შეზღუდვას და იდეების დაუკავშირებლობას; რაც შეეხება მეხსიერებას, იგი შენარჩუნებულია. სწორედ ამიტომ ფსიქოლოგები ფიზიოლოგიურ აფექტს თვლიან ყოველდღიურ, არაავადმყოფურ მოვლენად და მას შეუგნებელ ფსიქოპათურ მდგომარეობას არ უთანაბრებენ.

ამგვარად, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი

²⁶ იხ. ბ. ტებლოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

²⁷ იქვე, გვ. 169.

დანაშაული არ არის მოწყვეტილი ცნობიერებას, როგორც ყოველი იმპულსური ქცევა, იგი განწყობით წარმართება და მიზანშეწონილია. თუცა გაუცნობიერებელ და ამდენად მოუფიქრებელ ქცევას წარმოადგენს.

მტკიცება, რომ აფექტური მოქმედება მოწყვეტილი არ არის ცნობიერებას, ჯერ კიდევ არ კმარა იმის საბუთად, რომ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაუკავშირდეს²⁸. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ ადამიანი რისხვის აფექტშიც კი არა ჰკარგავს უნარს დაიოკოს მოთხოვნების იმპულსი და დაუმორჩილოს თავისი ქცევა სამართლებრივ კონტროლს²⁹.

აფექტის ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ა. ლურია მივიდა დასკვნამდე, რომ კონფლიქტი მით უფრო მკვეთრ აფექტურ მდგომარეობას იწვევს, რაც უფრო ახლოს ხდება იგი მოტორული სფეროსაგან. აქ აფექტი უპირველეს ყოვლისა არღვევს უმაღლეს ავტომატიზმს, მის ვითარებაში იკარგება ქცევის განზოგადებული სქემები. რაოდენაც კონფლიქტი გადაინაცვლებს ინტელიქტუალურ სფეროში, იმდენად მისი პათოგენური ზემოქმედება, როგორც წესი, სუსტდება და აფექტი უფრო ადვილი დასაძლევია ხდება³⁰. თუ დავეყრდნობით ა. ლურიას მიერ წამოყენებულ მოსაზრებას, რომელსაც ა. რუბინშტეინიც იზიარებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ აფექტის დაძლევის შესაძლებლობა მკვიდროდაა დაკავშირებული დანაშაულებრივი ქცევის განწყობის მოტივაციურ სფეროში გადატანის შესაძლებლობასთან. რამდენადაც აფექტის დროს ადამიანი არ ჰკარგავს ამგვარ უნარს, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იგი არ ჰკარგავს აფექტის დაძლევის უნარსაც.

²⁸ ბრალი, აღნიშნავს ი. ლექშასი, მხოლოდ მაშინ შეიძლება აღიარებულ იქნეს მორალურ და სამართლებრივ კატეგორიად, როდესაც ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ადამიანის უნარი წარმართოს თავისი ქცევა, მისცეს მას ესა თუ ის მიმართულება. თუ ჩვენ გვსურს მივცეთ ამა და ამ ქმედობას დანაშაულის კვალიფიკაცია, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩამდენი პასუხს აგებს მისთვის, რადგან უნარი აქვს წარმართოს იგი. თუ ადამიანი ვერ განაგებს თავის მოქმედებას, მაშინ, თუ არა გვსურს დაუბრუნდეთ შუა საუკუნეების სამართალს, ასეთ მოქმედებას ვერ განვიხილავთ სისხლის სამართლის ობიექტად. (იხ. I. Lekschas. Die Regelung des schuldprinzips im stGB. Entwurf, „Neue Justiz“, 1965, s. 142).

²⁹ ნებისყოფის სფეროს მოშლის შემთხვევაში ადამიანს შეიძლება ჰქონდეს თავისი ქცევის შეცნობის უნარი, მაგრამ არ შეეძლოს თავი შეიკავოს ამა თუ იმ მოქმედებისაგან (მაგალითად, კლექტომანიის დროს).

³⁰ А. Р. Лурья. Неопубликованная докторская диссертация, 1933, см. С. Л. Рубинштейн. Основы общей психологии. М., 1946, стр. 496.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, აღნიშნავს ბ. ტეპლოვი, რომ ადამიანი აფექტის დროს ვერ განაგებს თავის თავს და ამიტომ არ უნდა აგოს პასუხი აფექტში ჩაღვნილი მოქმედებისათვის. რასაკვირველია, თუ რისხვას აპყვები და „მიეცემი მას“, მართლაც ძნელი იქნება ხელთ იპყრო შენი თავი. მაგრამ „ძნელი“ არ ნიშნავს „შუქდლებელს“. ძლიერი ნებისყოფის ადამიანს შეუძლია გადალახოს ეს სიძნელე, თუმცა გაცილებით ადვილია თავიდანვე წინაღუდგე რისხვას, არ დაემორჩილო მას, — ხელი შეუშალო აფექტურ აფეთქებას, მის დაწყებას. არსებობს ძველი ცხოვრებისეული წესი, სანამ რისხვას აპყვებოდე, ათამდე დაითვალეო³¹.

ს. რუბინშტეინი, ასაბუთებს რა პასუხისმგებლობას აფექტური მოქმედებისათვის, აღნიშნავს: ხშირად ამბობენ, რომ ადამიანი აფექტის დროს თავს ჰკარგავს და ამიტომ უპასუხისმგებლო საქციელს სჩადის. პირიქით, უფრო სწორი იქნება ითქვას: ადამიანს თავგზა იმიტომ ებნევა, რომ იგი ემორჩილება აფექტს და ამით უპასუხისმგებლო საქციელს კისრულობს, არ ფიქრობს თავისი მოქმედების შედეგზე და მისი ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ იმაზე, რაც მას ასეთ მოქმედებას უკარნახებს. სწორედ ეს მოუფიქრებელი, შედეგგაუაზრებელი, დაძაბული მოქმედება, რომელსაც თან სდევს მწვავე განცდები, ყველაზე მეტად იტაცებს, ბინდავს და ათრობს ადამიანის ცნობიერებას. ემოციურ აფეთქებას დამთავრებული აფექტური ხასიათი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მოქმედებად განიმუხტება. ამიტომ საკითხი ასე კი არ უნდა დაისვას: დაძლიე — კაცმა არ იცის რა გზით, — შენზე დაუფლებული აფექტი, და მაშინ არ იქმ უპასუხისმგებლო აფექტურ მოქმედებას, რომელიც შენს შიგნით უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული აფექტის შედეგს წარმოადგენს, არამედ ასე: ნუ მისცემ საშუალებას ჩასახულ აფექტს განიმუხტოს ქცევად და ამით დასძლიე აფექტს, ჩაახშობ შენში ჩასახულ ემოციურ განცდას³².

თუმცა რისხვის აფექტი ხანმოკლე, მსწრაფლწარმავალი ემოციური აღგზნებაა, მაგრამ პირობითად შეიძლება ვილაპარაკოთ აფექტის სამ პერიოდსა თუ ფაზაზე. ესენია: აფექტის ჩასახვა და განვითარება, აფექტის განმუხტვა და დასკვნითი სტადია. რისხვის აფექტის პირველ ფაზაში აღმოცენდება შურისძიების მოთხოვნისებობა, რომელიც განიცდება როგორც რისხვის ემოცია; შემდეგ ემოციის ინტენსივობა სწრაფად იზრდება და შესაბამის ვითარებაში შეიძლება წარმოიშვას დანაშაუ-

³¹ ბ. ტეპლოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 60—61.

³² იხ. ს. რუბინშტეინი. დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

ლებრივი ქცევის განწყობა, რომელიც მეორე ფაზაში მოტივაციის გარეშე დანაშაულებრივ ქცევად გამოვლინდება. აფექტის დაძლევის შესაძლებლობა დაკავშირებულია სწორედ პირველ ფაზასთან, რადგან აფექტის ჩასახვისა და განვითარების ფაზაში უკვე მოცემულია დანაშაულებრივი ქცევის განწყობა და ცნობიერების სფეროში მისი გადატანის შესაძლებლობა. რაც შეეხება მეორე ფაზას, ე. ი. აფექტის განმუხტვას, იგი უკვე დანაშაულებრივი ქცევის განწყობის რეალიზაციის ფაზაა და ამ დროს აფექტის დაძლევა ადამიანს აღარ შეუძლია.

დაბოლოს, აქ უადგილო არ იქნება გავისხენოთ არისტოტელეს სიტყვები: განა ვნებითა და მისწრაფებით გამოწვეული არც ერთი ჩვენი მოქმედება არ შეიძლება ნებისმიერად ჩავთვალოთ? რით განიჩჩევა ვნებით გამოწვეული მოქმედება გააზრებული მოქმედებისაგან. გაუაზრებელი აფექტები არანაკლებ დამახასიათებელია ადამიანის ბუნებისათვის. ვნებასა და მისწრაფებაშია ადამიანის საქმიანობის წყარო³³.

3. სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ზემოქმედება იმპულსურ ქცევაზე. სოციალური კონტროლის სუბიექტი ნებისყოფის სუბიექტია. ის, ვინც კარგავს სოციალური კონტროლისადმი დამორჩილების უნარს, კარგავს სამართლებრივი კონტროლის უნარსაც, ე. ი. უნარს შეასრულოს სამართლებრივი ნორმის მოთხოვნა. ასეთი ადამიანი არ აგებს პასუხს თავისი მოქმედებისათვის.

სოციალური და სამართლებრივი კონტროლი შეუძლებელია თვითკონტროლის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავშირებულია „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბებასთან, ე. ი. იმის წარმოდგენასთან თუ როგორ გამოიყურება მოქმედი პირი იმ ადამიანთა თვალში, რომლებიც ჩართული არიან კონკრეტულ ვითარებაში. ქცევის შაბლონის არჩევას ადამიანი ჩვეულებრივ მოტივაციის მეშვეობით ახერხებს. მოტივაციის პროცესში ხდება არა მხოლოდ მოქმედების შედეგის აწონ-დაწონა, არამედ იმ ვითარების შეფასებაც, რომელშიც უნდა გაიშალოს მოქმედება. მაგრამ თვით მოტივაციის პროცესი სოციალური კონტროლის გარეშე არ მიმდინარეობს, სოციალური კონტროლის ზემოქმედება ძირითადად სწორედ მოტივაციის პროცესში ვლინდება³⁴.

³³ Этика Аристотеля. СПб., 1908, стр. 41—42.

³⁴ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სოციალური თუ სამართლებრივი კონტროლი იხსნება. სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ზემოქმედების ძალა შენარჩუნებულია ქცევის განწყობის აღმოცენების შემდეგაც. იგი შეიძლება მოგვევლინოს განწყობის ქცევად გადასვლის შემაფერხებელ გარემოებად.

ისეთი ფსიქიკური პროცესები, როგორცაა მოტივაცია, გადაწყვეტილების მიღება და ა. შ. დაზახასიათებელია მხოლოდ ნებულობითი ქცევისათვის, რაც შეეხება იმპულსურ ქცევას. იგი მიედინება მოთხოვნილებისა და სიტუაციის შესაბამისად წარმოშობილი ისეთი განწყობის ძალით, რომელიც განიმუხტება ქცევად გადაწყვეტილების აქტის გარეშე. მაგრამ, შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ იმპულსურად მოქმედი პირი არ ემორჩილება სოციალურსა და, კერძოდ, სამართლებრივ კონტროლს? თუ ვიტყვით კიო, მაშინ ისიც უნდა ვალიაოთ, რომ ადამიანი, რომელიც იმპულსურად მოქმედებს და თითქოსდა არ შეუძლია დემორჩილოს სამართლებრივ კონტროლს, პასუხს არ აეგებს დანაშაულისათვის. ამგვარი დასკვნა, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება.

ხშირად მოქმედება იმპულსურად მიმდინარეობს სწორედ სოციალური თუ სამართლებრივი კონტროლის წყალობით. ადამიანი, რომელიც ასრულებს სოციალურსა და, კერძოდ, სამართლებრივ ნორმებს და არაერთგზის ემორჩილება შესაბამის კონტროლს, ისე ეჩვევა გარკვეულ მოქმედებას, რომ ასრულებს მას იმპულსურად, ვერც კი გრძნობს, რომ სოციალური თუ სამართლებრივი კონტროლის ზეგავლენას განიცდის. მაგალითად, ადამიანი რომელიც შემხდურ ნაცნობს ჭედის მოხდით ესალმება ან მოხუცს დასაჯდომ ადგილს უთმობს, იმპულსურად მოქმედებს სწორედ სოციალური კონტროლის ზეგავლენით. იგივე შეიძლება ითქვას სამართლებრივ კონტროლზეც: ავტომობილის მძღოლი იმპულსურად აჩერებს მანქანას წითელი შუქნიშნის დანახვაზე.

სოციალურმა და სამართლებრივმა კონტროლმა შეიძლება იმოქმედოს ქცევის შაბლონის არჩევაზე იმ გაგებით, რომ გარკვეული ობიექტი გამორიცხოს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან. მაგალითად, მორწმუნე მაჰმადიანისათვის ღორის ხორცი შიმშილის შემთხვევაშიც არ იწვევს ჭამის განწყობას. მას არ სჭირდება ნებისყოფის საგანგებო გამოვლენა, რათა ღორის ხორცი არ შექამოს. და ეს იმიტომ, რომ მაჰმადიანისათვის სოციალური კონტროლის ძალით ღორის ხორცი გამორიცხულია როგორც ობიექტი შიმშილის დაკმაყოფილების სიტუაციიდან.

სამართლებრივი კონტროლის ძალით მაღალი მართლშეგნების მქონე მოქალაქე, როგორც წესი, ნებისყოფის დაძაბვის გარეშე ემორჩილება კანონის მოთხოვნას. ასეთი კაცო, როცა იგი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქცევის შაბლონს ირჩევს, არც კი მსჯელობს იმაზე ჩაიდინოს თუ არა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რადგან სამართლებრივი კონტროლის ძალით, მისთვის სამართლით დაცული ობიექტი

წინასწარ გამორიცხულია მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაციიდან.

სოციალურმა და სამართლებრივმა კონტროლმა შეიძლება მოახდინოს ზემოქმედება იმპულსურ ქცევაზე როგორც ობიექტური ხასიათის წინააღმდეგობაში.

ქცევა ხშირად მიმდინარეობს იმპულსურად, რამდენადაც მას არ ელოდება ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის წინააღმდეგობა. თუ ამგვარი წინააღმდეგობა გაჩნდა, მოქმედების მიმდინარეობა ფერხდება, კაცი შეიგნებს ვითარებას და მიიღებს გადაწყვეტილებას, როგორ წარმართოს მოქმედება შემდეგში. ასეთ შემთხვევაში იმპულსური ქცევა გადაიქცევა ნებელობით ქცევად, ობიექტურ წინააღმდეგობად; მიზეზად იმპულსური ქცევის შეცვლისა ნებელობითი ქცევით შეიძლება მოგვევლინოს სწორედ სოციალური ან სამართლებრივი კონტროლი.

სოციალური და სამართლებრივი კონტროლი არ ჰკარგავს თავის ძალას ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა პიროვნება აფექტურ მდგომარეობაშია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რისხვის აფექტი-ადამიანის ყოველდღიური, ცხოვრებისეული, არაავადმყოფური მდგომარეობაა. ძნელია წარმოვიდგინოთ ასაკობრივი ადამიანი, რომლისთვისაც ამგვარი ემოციური განცდა უცნობი იყოს, მაგრამ განა ყველა, ვინც რისხვის აფექტს განიცდის დანაშაულს იღენს? რასაკვირველია, არა. რისხვის აფექტის მდგომარეობაში ერთი გაილანძვება, მეორე სილას გააწნაეს, ზოგი ტანსაცმელს შემოიგლეჯავს, ზოგმაც შეიძლება სულაც თავი შეიკავოს რაიმე აგრესული მოქმედებისაგან; იშვიათად თუ მოხდება, რომ ამ ყოფაში კაცმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს (მკვლელობა, სხეულის დაზიანება და მისთ.).

საკითხავი ხდება, რაზეა დამოკიდებული აფექტის დროს ქცევის შაბლონის არჩევა? თუ ჩვენ იმ დასკვნას დავადგებით, რომ დანაშაულის მიზეზი აფექტია, მაშინ დამნაშავე უნდა დავსაჯოთ არა კონკრეტული დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რომ მან ვერ დათრგუნა აფექტი, რასაც უკვე აუცილებელ შედეგად დანაშაულის ჩადენა მოჰყვა. დანაშაულის მიზეზი აფექტი რომ ყოფილიყო, მაშინ ყველა, ვინც ასეთ ემოციურ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. ვითარების მსგავსების კვალობაზე მსგავსსავე მოქმედებას ჩაიდენდა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეს ასე არ ხდება.

სინამდვილეში აფექტი ვერ ჩაითვლება ქცევის ამა თუ იმ შაბლონის არჩევის მიზეზად და, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მიზეზადაც, შემ-

დევ მოსაზრებათა გამო. რისხვის აფექტი ძირითადად შურისძიების მოთხოვნილების ემოციური განცდაა. მოთხოვნილება, როგორც უკვე ვიცით, არ წარმოადგენს ამა თუ იმ ქცევის შაბლონის არჩევის მიზეზს, იგი გვევლინება მხოლოდ ადამიანის აქტივობის წყაროდ; ამიტომ მასში მოცემულია მოთხოვნილების ობიექტი და არა მისი დაკმაყოფილების საშუალება და გზები. მოთხოვნილების ბუნება არ იცვლება რისხვის აფექტის მდგომარეობაშიც. 'შურისძიების ძლიერი მოთხოვნილება, რომელსაც კაცი რისხვის აფექტის დროს განიცდის, აქეზებს მას დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება, თანაც მოცემულია რისხვის ობიექტი, რომლის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული მოქმედება. ემოციური აღგზნება ავიწროვებს ინტელექტუალურ სფეროს და აძნელებს ქცევის განწყობის გადატანას მოტივაციის სფეროში, რადგან ემოციური აღგზნებით გაძლიერებული მოთხოვნილება შურისძიებისა აქეზებს ადამიანს უმოკლეს გზით დაიკმაყოფილოს იგი³⁵.

ქცევის იმპულსურობა გამორაცხავს მოტივაციის პროცესს. ამიტომ კონკრეტული ქცევის არჩევა ხდება თუმცა მოუფიქრებლად, მაგრამ არა შემთხვევით, რადგან აფექტის პირობებშიც ინდივიდი ერთგვარად მანც იმყოფება სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ზეგავლენის ქვეშ.

სუბიექტი სოციალურ ჯგუფებში მონაწილეობის დროს იმუშავებს ქცევის შაბლონებს. ეს პროცესი მამდინარეობს სოციალური და სამართლებრივი კონტროლით და წარმოადგენს თვითკონტროლის საშუალებას, რომელიც აქტიურდება „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბების კვალობაზე. სხვადასხვა სიტუაციისათვის შემუშავებულია სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც ხშირად წინასწარი მოფიქრების პროდუქტს წარმოადგენს და პროგრამად ისახება შეგნებაში, როგორც ამა თუ იმ ვითარების შესაბამისი შესაძლებელი ქცევა, ე. ი. როგორც ქცევის შაბლონი. ჩვენ უკვე აღენიშნეთ, რომ ქცევის შაბლონების გამომუშავებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე. წ. „განწყობის ფიქსირებას“, რომელიც წარმოიშობა გარკვეული ქცევის არაერთხელ გაძეორების შემთხვევაში და რჩება ადამიანში, როგორც მზაობა ხელახალი აქტიურობისათვის.

ქცევის შაბლონები მუშავდება ინდივიდის მიერ არა მხოლოდ განწყობის ფიქსირების მეოხებით, არამედ წარმოსახვითი რეპეტიციის მეოხებითაც. თუ ადამიანი არაერთხელ წარმოიდგენს, მაგალითად, იმის

³⁵ მხედველობაში გაქვს ფიზიოლოგიური აფექტი.

სურათს, რომ კვლავს თავის ცოლს ლალატის გამო, და ამით შეიწყნარებს ასეთი დანაშაულის ჩადენას, მაშინ ცოლის მკვლელობის შესაძლებლობა უკვე პროგრამად რჩება მის შეგნებაში როგორც ქცევის შაბლონი. ამის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ქმარი, რომელიც წაასწრებს ცოლს უცხო მამაკაცთან, რისხვის აფექტით შეპყრობილი, ჩაიდენს კიდევ მკვლელობას. მაგრამ ეს დანაშაული შემთხვევით არ იქნება ჩადენილი, ეს იქნება ქცევის იმ შაბლონის რეალიზაციის პროდუქტი, რომელიც ასახული იყო შეგნებაში წარმოსახვითი რეპეტიციის ნიადაგზე³⁵.

თუ სოციალური და სამართლებრივი კონტროლის წყალობით მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან გამორიცხულია ესა თუ ის ობიექტი და ესა თუ ის ქცევა, მაშინ კაცი ვერ ჩაიდენს ამგვარ ქცევას იმპულსურად. სწორედ ამიტომ მაღალი მართლშეგნების ადამიანი არ ჩაიდენს მკვლელობას შურისძიების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რადგან სამართლებრივი კონტროლის წყალობით მკვლელობა მისთვის წინასწარვე გამორიცხულია მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან და, ამრიგად მოსალოდნელი ქცევის შაბლონიდანაც. ასეთ შემთხვევაში მკვლელობის ჩასადენად კაცს დასჭირდება ქცევის ახალი შაბლონის შემუშავება, საჭირო იქნება ნებელობითი აქტივობა, რათა მოტივაციის საშუალებით კაცის კვლა დაისახოს ქცევის შაბლონად.

სწორედ ამიტომ სუბიექტი, რომელიც რისხვის აფექტის მდგომარეობაში კვლავს კაცს, აელენს თავის ნამდვილ სოციალურ და სამართლებრივ სახეს. თუმცა დანაშაული მოფიქრებით არ ჩადენილა, მაგრამ შემთხვევითობით მანაც არ აიხსნება. იგი გამოხატავს ინდივიდის ნების საერთო მიმართულებას. მის საერთო დამოკიდებულებას სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებათა სისტემისადმი, რადგან დანაშაულეობრივი ქცევა მოუფიქრებლად იქნა აღებული სწორედ სუბიექტის ქცევის შაბლონთა არსენალიდან, ხოლო ეს არსენალი კი შემუშავებული იყო ადრევე ნებელობითი პროცესების წყალობით და სოციალური კონტროლის უშუალო ზემოქმედებით.

³⁵ რისხვის აფექტის მდგომარეობაში ქცევის შაბლონის არჩევის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სოციალურ ღირებულებათა რა სისტემაა აღიარებული პირის მიერ ეტალონად. სწორედ ამიტომ რისხვის აფექტის პირობებშიც ადამიანი ხელს ვერ აღმართავს მისთვის განსაკუთრებით დიდი ღირებულების ობიექტზე (მაგალითად, დედა შვილის სიცოცხლეზე). აქაც სწინან სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ზემოქმედება.

ამრიგად, აფექტური დანაშაული წარმოადგენს სამართლებრივი კონტროლის მოხსნას თვითკონტროლის უნარის არსებობის პირობებში. დანაშაული ჩადენილია ნებისყოფის სუბიექტის მიერ იმპულსურად, თუმცა მას ჰქონდა უნარი თავი შეეკავებინა მისი ჩადენისაგან. ამის გამო ჩამდენი პასუხს აგებს თავისი ნამოქმედარისათვის. აფექტი ასრულებს კატალიზატორის როლს. იგი ასუსტებს ე. წ. „სოციალურ მუხრუქს“ და ამით ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ვერ იძლევა მის ახსნას. სწორედ ამიტომ აფექტი წარმოადგენს სასჯელის „შემამსუბუქებელ და არა გამომრიცხველ გარემოებას.

ყოველი ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს არა მხოლოდ ნებელობით ქცევას, არამედ იმპულსურსაც, როდესაც ადამიანს აქვს უნარი შეიცნოს თავისი ქცევა და ამით მას ნებისყოფა შეუზიაროს. რეფლექტორულ და ისეთი იმპულსური მოქმედების დროს, როდესაც ნებელობითი სფერო შებორკილია, ადამიანი არ გვევლინება ნებისყოფის სუბიექტად. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტს, რადგან მხოლოდ ნებისყოფას შეუძლია გაათავისუფლოს კაცი მოთხოვნის იმპულსთა ბატონობისაგან და მისცეს მას საშუალება შეასრულოს სამართლებრივი ნორმების მოთხოვნა. როცა გამორიცხულია ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა, გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტი. მაგრამ ნებისყოფის სუბიექტად გვევლინება არა მხოლოდ ის, ვინც ნამდვილად ჩაიღინა ნებელობითი საქციელი, არამედ ისიც, ვინც კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებდა როგორც სამართლებრივი კონტროლის სუბიექტი, ე. ი. ის, ვისაც შესწევდა თვითკონტროლისა და, ამდენად, ნებელობითი ქცევის უნარი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია, თუ ადამიანს არა აქვს თვითკონტროლის უნარი და მასთან უნარიც დაემორჩილოს სამართლებრივ კონტროლს³⁷.

✓

³⁷ ღებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს არა მარტო ნებელობით, არამედ იმპულსურ ქცევასაც, წამოყენებული იყო ჩვენს მიერ 1967 წელს (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით შესრულებული ნაშრომი „აფექტში ჩადენილი დანაშაული და მასთან ბრძოლა“, ნაწილი I); ითქვა აგრეთვე 1968 წელს თუხისიგბში „დანაშაულებრივი ქცევის სავიზის შესახებ სისხლის სამართალში“, ხოლო 1970 წელს ვურნალ „Правосудение“-ში (Психологическая структура

§ 4. მართლშეგნების აღვილი დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ ფაქტორთა შორის

1. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ.

ქცევის აღიარება მართლსაწინააღმდეგოდ დამოკიდებულია კანონმდებლის ნებაზე. ამდენად ქცევის სამართლებრივი ხასიათი წმინდა შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს და იცვლება საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებისა თუ კლასობრივი სტრუქტურის ცვალებადობის საფუძველზე. იგივე შეიძლება ითქვას ქცევის წმინდა სოციალურ შეფასებაზე. ქცევაში უცვლელია მხოლოდ მისი ფსიქიკური მექანიზმი, ე. ი. ის, რითაც ადამიანი, როგორც შეგნებული არსება, მოთხოვნილების დაკმაყოფილებას აღწევს. ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ადამიანის ქცევა ფორმალურ და სოციალურ მხარედ იყოფა. ქცევა მთლიანია, ერთიანია და თავისი ბუნებით სოციალურია. სწორედ ქცევაში გვევლინება ადამიანი როგორც გარკვეული ფსიქოლოგიური ღირებულების მქონე სოციალური არსება, სწორედ ქცევაში ჩანს პიროვნების სოციალური სახე. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ გარკვეული მოვლენის, ამ შემთხვევაში ადამიანის დანაშაულებრივი ქმედობის, შესასწავლად გამოიყოს და საგანგებოდ გაანალიზდეს ქცევის, როგორც სოციალური მოვლენის ერთი მხარე, მისი ფსიქიკური მექანიზმი.

ქცევის ფსიქიკურ მექანიზმში პირველ ეტაპს, მისი აქტივობის სათავეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოთხოვნილება წარმოადგენს. მოთხოვნილების გარეშე არ არსებობს ცოცხალი არსების აქტივობა. ადამიანის აქტივობაც, მისი მოქმედება ძირითადად მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანმა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქცევას მიმართოს, საჭიროა მოქმედების მიზანი დაისახოს.

ადამიანის მოქმედების მექანიზმში მიზნის დასახვა მეორე, მოთხოვ-

тура поведения и уголовная ответственность, 1970, № 4). ამაჟამლ ამ შეხედულებას ჰყავს მომხრეები. იხ. П. С. Дагелъ. — Т. Г. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность, Тб., «Мешинереба». — Рецензия. «Советское государство и право», 1975, № 2); Н. Дурманов. — Т. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность. — Рецензия. «Социалистическая законность», 1975, № 11; М. Угрехелидзе. Проблема неосторожной вины в уголовном праве: Тб., 1975; М. Богомилска, Tamaz Szawgulidze; Afiekt a ugodownaja otwetstwiennost. Tbilisi, 1973, Panstwo i Prawo, 1974, № 8—9, s. 211; Múrkus Ferenc. Savgulidze Tamaz: Indulál es' büntelôjogi felelôsség, „Iogtudományi Közlöny“, 1978, № 6.

ნილების დაკმაყოფილების შემდგომი ეტაპია. „ადამიანს აქვს უამრავი მოთხოვნილება, ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები და ა. შ., მაგრამ, თუ ისინი მიზნად არ იქცნენ, ისე ნებისმიერ მოქმედებას ვერ აღძრვენ. მიზანი ადამიანის მოთხოვნილების, როგორც მოქმედების აღძვრელის, ახალ თვისებრიობას წარმოადგენს“¹.

მოთხოვნილებასა და მიზანში უკვე მოცემულია მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტი, მაგრამ ჭერ კიდევ არ არის მოცემული მისი დაკმაყოფილების გზები. ე. ი. მიზანშიც კი ჭერ არ არის შეცნობილი დრო, მიმართულება და სოციალური თუ სამართლებრივი ღირებულება ქცევისა, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება. ამგვარი ქცევის არჩევისათვის ადამიანი მოტივაციის რთულ პროცესს მიმართავს. ნებელობითი ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმში მოტივაციის პროცესი მესამე ეტაპია. სწორედ ამ ეტაპზე ადამიანი სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით ირჩევს იმ კონკრეტულ ქცევას, რომლითაც უნდა დაკმაყოფილოს მოთხოვნილება. მოტივაციის ეს პროცესი მოტივის მიღების ეტაპით მთავრდება. მოტივაციისა და მოტივის მიღების ეტაპზე თეორიული თვალსაზრისით უკვე მოცემულა მოსალოდნელი კონკრეტული ქცევა და მისი აუცილებლობის დასაბუთება.

მოტივის შემუშავების ეტაპს მოჰყვება დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების ეტაპი. ადამიანს უჩნდება შესაბამისი განწყობა, რომელიც შეიძლება დანაშაულებრივ ქცევად განიზუხტოს.

ამრიგად, სანამ ადამიანი დანაშაულს ჩაიდენდეს, ხშირად იგი რთულ ფსიქიკურ პროცესს გაივლის. დანაშაულის ჩადენა ჭერ თეორიული გააზრებით ხდება, ხოლო შემდეგ იგი პრაქტიკულად განხორციელდება. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, „შრომის პროცესის დასასრულს ვლებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე იდეალურად, უკვე არსებობდა“². კ. მარქსის ეს ნათქვამი შრომითი პროცესის ნებელობით ქცევას ახასიათებს, მაგრამ იგი ძალაშია ყველა ნებისმიერი ქცევის და, კერძოდ, დანაშაულებრივი ქცევის ფსიქიკური მექანიზმისათვის.

დანაშაულებრივი ქცევის ფსიქიკური მექანიზმის სქემა შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

¹ დ. კიკნაძე. ადამიანის მოქმედების საკითხისათვის. თბ., 1971, გვ. 6.

² კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 228.

მოთხოვნილება → მიზანი → მოტივაცია → დანაშაულებრივი ქცევის მოტივი

→ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება → დანაშაულებრივი ქცევის გან-

წყობა → დანაშაულებრივი ქცევა³

იმპულსური დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა მარტივია, რადგან ამგვარი ქცევისათვის არ არის დამახასიათებელი არც მოტივაციის პროცესი, არც გადაწყვეტილების მიღება და სხვ. მისი სქემა შეიძლება ასე გამოისახოს:

მოთხოვნილება → დანაშაულებრივი ქცევის განწყობა

→ დანაშაულებრივი ქცევა

წინა პარაგრაფში ჩვენ საკმაოდ ვრცლად შევეხეთ დანაშაულებრივი ქცევის სტრუქტურაში მოთხოვნილებს. ნებელობითი ქცევის გადაწყვეტილებისა და განწყობის საკითხებს. იქ არ შევხებვართ მოტივაციის პროცესს. უნდა ითქვას, რომ არსად ისე ნათლად არა ჩანს ადამიანის სოციალური და სამართლებრივი სახე. როგორც დანაშაულებრივი ქცე-

³ აღნიშნული სქემა ძირითადად აღებულია ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის სტრუქტურიდან, რომელსაც ლ. კიკნაძე იძლევა. იგი შემდგენიარად გამოიყურება: გარემო — მოთხოვნილება — მიზანი — მოტივაცია — მოტივი — გადაწყვეტილება — განწყობა — მოქმედების მოთხოვნილება — მოქმედება (იხ. ლ. კიკნაძე, ლასახ. ნაშრომი, გვ. 8). ამ სქემას ჩვენ გამოვკელით ორი ეტაპი, გარემო და მოქმედების მოთხოვნილება, შემდეგი მოსაზრებით: ჯერ ერთი, გარემომ შეიძლება გავლენა მოახდინოს როგორც მოთხოვნილების, ისე მიზნის წარმოშობაზე, მოტივაციის პროცესზე და ა. შ. მაგრამ იგი ადამიანზე შემოქმედი ობიექტური რეალობაა და ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის ეტაპების ცნებაში ვერ ჩაებტევა; მეორეც—მოთხოვნილება შეიძლება აღეძვრას ადამიანს გარემოს ზემოქმედების გარეშე (მაგალითად, ჰამის მოთხოვნილება). რაც შეეხება მოქმედების მოთხოვნილებას, იგი, ჩვენი აზრით, ქცევის დამოუკიდებელი ეტაპი არ უნდა იყოს. მას განწყობა მოიცავს. როგორც თვით ლ. კიკნაძე აღნიშნავს, „განწყობა მოტივირებული მოქმედების განხორციელებისათვის ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების შინაგანი მობილიზაციაა, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს მოქმედების მოთხოვნილებას“ (იქვე, გვ. 7). თუკი განწყობა „მოტივირებული მოქმედების განხორციელებისათვის ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების შინაგანი მობილიზაციაა“, მზაობაა იმოქმედოს სწორედ ასე და არა სხვაგვარად, მაშინ მის შინაარსში სწორედ განწყობაში, მოცემული ქცევის განხორციელების მოთხოვნილება უნდა შედიოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის ფსიქოფიზიკური ძალების მობილიზაციას შინაარსი გამოეცლება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნებელობითი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა ასე უნდა გამოიყურებოდეს: მოთხოვნილება — მიზანი — მოტივი — გადაწყვეტილება — განწყობა — ქცევა.

ვის მოტივაციის და დანაშაულებრივი ქცევის მოტივის შემუშავების ეტაპზე. ყველაზე მეტად ამ ეტაპზე უნდა ჩანდეს მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქციის ხასიათი და თავისებურებანი.

იმისათვის, რომ ღრმად ჩავევდეთ დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის და მოტივის პრობლემას, მოკლედ მაინც უნდა შევჩერდეთ მიზნის პრობლემაზე.

2. დანაშაულებრივი ქცევის მიზანი. ინდივიდის აქტივობის წყარო მოთხოვნილებაა, მაგრამ სანამ არ წარმოიქმნება გარკვეული მიზანი, მოთხოვნილებას არ შეუძლია გამოიწვიოს შესაბამისი ნებელობითი ქცევა. მიზანს, თავის მხრივ, სპეციფიკური დამახასიათებელი თვისება აქვს. იგი ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეტ-ნაკლები პირობები. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „ნამდვილად ადამიანის მიზნები წარმოშობილია ობიექტური სამყაროს მიერ და ისინი გულისხმობენ ამ სამყაროს როგორც მოცემულს, როგორც არსებულს. მაგრამ ადამიანს ეჩვენება, რომ მისი მიზნები აღებულია სამყაროს გარეშე, დამოუკიდებელია სამყაროსაგან („თავისუფლება“)⁴.

ბუნებრივია, ყოველგვარი მოთხოვნილება ვერ ბადებს მიზანს. ინდივიდის ზოგიერთი მოთხოვნილება შეიძლება მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე დარჩეს ოცნების, სურვილის, გატაცების სფეროში. მიზანი ყოველთვის გულისხმობს გარკვეული მოქმედების შესრულებას იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელმაც იგი წარმოშვა. მიზნის გარეშე არ არსებობს ქცევა. ცხადია, მიზნის გარეშე არ არსებობს დანაშაულებრივი ქცევაც. მაგრამ, რამდენად შეიძლება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ყოველთვის ვილაპარაკოთ დანაშაულებრივი მიზნის არსებობაზე?

საბჭოთა სისხლის სამართლის კურსის ავტორები დანაშაულის მიზნად თვლიან იმას, რისი მიღწევაც სურს საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩამდენს. ეს მიზნები, ისევე როგორც სხვა ფსიქიკური მოვლენები, წარმოქმნილია გარემო სინამდვილით, რომელიც სხვადასხვა ადამიანზე განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს. მაგალითად, ერთი თავის მიზნად სახავს გამდიდრებას (ყველა საშუალებით, სხვას შორის დანაშაულებრივი მოქმედებითაც), მეორე — მეტი ხელფასის მიღებას (კვალიფიკაციის ამაღლებით, საზეგანაკვეთო მუშაობით და სხვ.). ამ და

⁴ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 38, გვ. 186.

სხვა მსგავს ვითარებაში დანაშაულებრივი მიზნის აღძვრა თუ აღუძვრელობა დამოკიდებულია ამ კერძო ადამიანის შეგნების დონეზე⁵.

ბ. ხარაზიშვილის აზრით, მიზანი ქცევის განხორციელების სურვილია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ემოციურ მდგომარეობასთან და ქცევის აუცილებლობის შეგნებით გამოხატულებას კპოვებს ნებისყოფის გამოვლინებაში⁶.

მიზანს ზოგჯერ აიგივებენ მოტივთან, განზრახვასთან და ა. შ. მაგალითად, ფილოსოფიური ლექსიკონის მიხედვით მიზანი — ეს არის უშუალოდ შეგნებული მოტივი, რომელიც წარმართავს და აწესრიგებს მოქმედებას⁷. ეთიკის მოკლე ლექსიკონის მიხედვით, მიზანი გამოიხატება განზრახვის, მოტივისა და იდეალის ფორმაში⁸.

ჩვენი აზრით, მოტივილ განსაზღვრებებში მიზნის, კერძოდ დანაშაულებრივი ქცევის მიზნის, ბუნება ვერ არის სრული ზედმიწევნილობით წარმოდგენილი. მიზანი არ არის არც მოთხოვნილება, არც მოტივი და არც განზრახვა. „მიზანი — ეს იდეალურად მოცემული მოქმედების შედეგია, რომელიც ადამიანს რაიმე მოთხოვნილებას უკმაყოფილებს“⁹. მიზანი ის შედეგია, რომლის მიღწევისაკენაც მიმართულია ინდივიდის ქცევა. ეს შედეგი მოცემულია ქცევის მიზანში, მოტივისა და განწყობაში.

ქცევის ბუნებრივი შედეგები მოცულობით ქცევის მიზანზე ბევრად ფართოა. მიზანში მეტწილად მოცემულია ის ერთი შედეგი, რომლისთვისაც ქცევა ხორციელდება. დანარჩენი შედეგები თან სდევს ქცევას თავისთავად, აუცილებლობის ძალით, ხშირად გაცნობიერების გარეშეც. იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგს ითვალისწინებს მიზანი, შეიძლება სხვადასხვა ფსიქიკური ბუნების ქცევაზე ვილაპარაკოთ¹⁰. ეს დებულება თავს იჩენს ქცევის სამართლებრივ შეფასებაშიც. თუ მიზანში გათვალისწინებულია დანაშაულებრივი შედეგი და ქცევა ამ შედეგის მისაღწევად ხორციელდება, მაშინ შეიძლება ვალიაროთ დანაშაულებრივი მიზნის არსებობა და ისიც, რომ დანაშაული ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. შეიძლება დანაშაულებრივი მოქმედება გვექონდეს მაშინაც,

⁵ Курс советского уголовного права, часть общая. Т. I, Л., 1968, стр. 446.

⁶ Б. В. Х а р а з и ш в и л и. Вопросы мотива поведения преступника в советском уголовном праве. Тб., 1963, стр. 45.

⁷ Философский словарь. М., 1968, стр. 496.

⁸ Краткий словарь по этике. М., 1965, стр. 481-482.

⁹ დ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

¹⁰ იბ. შ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

როდესაც შედეგი, რომლისთვისაც განხორციელდა ქცევა, თავისთავად საზოგადოებრივად საშიში არ არის (მაგალითად, მონადირემ ესროლა ტყეში კურდღელს, დააცილა და მოკლა ადამიანი). როდესაც საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ შედის დანაშაულებრივი ქცევის მიზანში და გათვალისწინებული არ არის როგორც ქცევის შესაძლებელი შედეგი, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დანაშაულებრივ დაუდევრობაზე. დაუდევრობის დროს დანაშაულებრივი მიზნის არსებობა გამორიცხულია.

კაცო, რომელიც განსაზღვრულ ქცევას ახორციელებს, შეიძლება აცნობიერებდეს არა მარტო იმ შედეგს, რომელიც შედის მისი ქცევის მიზანში, არამედ იმასაც, რომელიც შეიძლება თავისთავად მოჰყვეს მის ქცევას. ასეთ შემთხვევაში ადგილი შეიძლება ჰქონდეს ბრალს ევენტუალური განზრახვის ან თვითიმედოვნების სახით. აქაც, ჩვენი აზრით, უმართებულოა ლაპარაკი დანაშაულებრივი მიზნის არსებობაზე, რადგან მოქმედება იმ საზოგადოებრივად საშიში შედეგის მისაღწევად არ ჩადენილა, რომლისთვისაც კაცი ისჯება.

აღიარებულია, რომ დანაშაულებრივი ქცევის მიზანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ყოველთვის ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს. ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში იგი გათვალისწინებულია როგორც ქმედობის სუბიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი, ხოლო ზოგში მის მიღმა იმყოფება¹¹. თუკი მიზანი შეტანილია დანაშაულის შემადგენლობაში როგორც მისი აუცილებელი ნიშანი, მაშინ, რასაკვირველია, ამგვარი მიზნის არსებობა დანაშაულის ჩადენის დროს საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ დანაშაულებრივ მიზანზე.

ამრიგად, დანაშაულებრივ მიზანთან საქმე გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ქცევის მიზანი შეტანილია დანაშაულის შემადგენლობაში როგორც მისი აუცილებელი ნიშანი ან როდესაც, მართალია, მიზანი შემადგენლობაში ასახული არ არის, მაგრამ თვით ქცევა ხორციელდება იმ საზოგადოებრივად საშიში შედეგისათვის, რომლის გამოც მქმნელი პასუხს აგებს. ამის გარეშე ქცევის მიზანი დანაშაულებრივად ვერ იწოდება.

ფსიქოლოგები მიუთითებენ ქცევის მიზანზე არა მხოლოდ ნებლობითი ქცევის პირობებში, არამედ მაშინაც, როდესაც ქცევა იმპულსურია. მაგრამ ნებლობითი ქცევის მიზნისაგან განსხვავებით იმპულსური

¹¹ მიზანი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად გათვალისწინებულია, მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65—71 მუხლებში.

ქცევის მიზანი მოთხოვნების უშუალო პროდუქტია, იგი გაცნობიერებული არ არის; ისევე, როგორც თვით ქცევა, მოუფიქრებელია. ნათქვამი ვრცელდება ისეთ იმპულსურ ქცევაზეც, როგორცაა აფექტური დანაშაული.

რადგან აფექტის დროს მოცემულია რისხვის ობიექტი, ამიტომ შურისძიების მოთხოვნებამ გარკვეულ სიტუაციაში და იმის მიხედვით, თუ რა დონის მართლშეგნების მატარებელია სუბიექტი, შეიძლება გამოიწვიოს მკვლელობის, სხეულის დაზიანების თუ სხვა ამგვარი მიზანი. ეს მიზანი შეუცნობლად ქმნის განწყობას, რომელიც სამართლებრივი კონტროლის მოხსნის პირობებში იმპულსურად იწვევს შესაბამის მოქმედებას (მკვლელობას, სხეულის დაზიანებას, შეურაცხყოფას და სხვა.). აფექტური მოქმედების დროს ქცევის მიზანი აშკარად გამოხატულია. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ხდება მთელი ფსიქოფიზიკური ძალების მობილიზაცია.

კანონმდებელი არ ითვალისწინებს მიზანს აფექტური დანაშაულის ნიშნად (საქ. სსრ სსკ 106 და 113 მუხლები), მაგრამ საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომლისთვისაც ქცევა ხორციელდება, შეტანილია დანაშაულის შემადგენლობაში. ამიტომ აფექტური დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულებრივი მიზნის არსებობაზე.

3. დანაშაულებრივი ქცევის მოტივი. დანაშაულებრივი ქცევის მოტივს დიდი ყურადღება ექცევა სამართლის მეცნიერებაში. მოტივმა შეიძლება განაპირობოს ქცევის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი¹². ზოგჯერ იგი გვევლინება დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად¹³.

ზოგი მოტივი ამსუბუქებს, ზოგი კი ამძიმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას¹⁴. მაშინაც კი, როდესაც მოტივი არ არის გათვალისწინებული კანონმდებლის მიერ როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი ანდა შემამსუბუქებელი, თუ დამამძიმებელი გარემოება, მის დადგენას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი გვევლინება პიროვნების და მისი ქცევის სოციალურ-სამარ-

¹² მაგალითად, ქირურგის პროფესიული ფუნქციის შესრულება შეიძლება გადაიქცეს საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებად, თუ იგი ფებს მოქცევის ავადმყოფს შურისძიების მოტივით.

¹³ მაგალითად, განზრახი მკვლელობა ანგარების მოტივით შეიცავს საქ. სსრ სსკ 104-ე მუხლის ნიშნებს, ხოლო იგივე მოქმედება, ჩაღვნილი შურისძიების მოტივით, განიხილება 105-ე მუხლის მიხედვით.

¹⁴ იხ. საქ. სსრ სსკ 38-ე და 39-ე მუხლები.

თლებრივი შეფასების კრიტერიუმად¹⁵. დანაშაულის მოტივის ცნების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით დანაშაულებრივი ქცევის სტრუქტურის განხილვისათვის და იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მართლმეგნების ადგილი და როლი ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმში¹⁶.

გაცნობიერებული მოთხოვნილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იწვევს უშუალოდ შესაბამის ქცევას, ხშირად იგი განიცდის მოტივაციის რთულ პროცესს. ამ პროცესის პროდუქტად გვევლინება ქცევის მოტივი, ანუ მოცემულ სიტუაციაში კონკრეტული ქცევის სუბიექტური ღირებულების შეცნობა. მოტივაცია აზროვნების პროცესია და სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს. იგი მიმდინარეობს სოციალური და სამართლებრივი კონტროლის უშუალო ზემოქმედებით. ამიტომ მასზე ზეგავლენას ახდენს სოციალური და სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც ინდივიდს აღქმული აქვს როგორც თვითონ ქცევის ობიექტური გარემო. მაშასადამე, ქცევის სუბიექტურ ღირებულებას ინდივიდი განიხილავს სოციალური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

ამასთან ერთად „აზროვნება და ცნობიერება... მოტივის უბრალო გამტარს როდი წარმოადგენენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მოტივის ფორმირებაში. აზროვნებისა და ცნობიერების გარეშე არ არსებობს

¹⁵ უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ დანაშაულებრივი ქცევის მოტივის პრობლემას. იხ. ნ. В. Х а р а з и ш в и л и. Вопросы мотива поведения преступника в советском уголовном праве. Тб., 1963; Б. С. Волков, Мотив и квалификация преступлений. Казань, 1968; И. Г. Филиповский. Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, Л., 1970; С. А. Тарахухин. Преступное поведение. М., 1974 და სხვ.

¹⁶ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორეტიკოსების მიერ საკმაოდ კარგადაა დამუშავებული მოტივის შესახებ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მოტივის მაკვალიფიცირებული მნიშვნელობა, მოტივი როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება და სხვ. ამავე დროს ჭერ კიდევ არ არის თანხმობა დანაშაულის მოტივის საერთო ცნების გაგებაში. მაგალითად, ბ. ხარაზიშვილის აზრით, მოტივი არის კაცის ემოციური მდგომარეობა, რომელიც ევლინდება სების გამოვლენებით და დაკავშირებულია ქცევის აუტოლებლობის შეგნებასა და განხორციელების სურვილთან (იხ. ბ. ხ ა რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44). სხვაგვარად ვსმით მოტივის ცნება საბჭოთა სისხლის სამართლის კურსის ავტორებს. მათი აზრით, მოტივი არის გარკვეული ქცევის შეცნობილი აღმძვრელი ძალა, სურვილი (побуждение), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — მოქმედების წყარო, მისი გამომძვრებელი ძალა (იხ. Курс советского уголовного права. Часть общая, Т. 1, Л., 1968, стр. 441). აზრთა სხვადასხვაობა თავს იჩენს ქცევის მოტივის ცნების გაგებაში თვით ფსიქოლოგებს შორის.

მოტივაციის პროცესი. როდესაც მოთხოვნილება ცნობიერების ფაქტად იქცევა, თავის მხრივ, ცნობიერებას სინათლე და გარკვეულობა შეაქვს მის შინაარსში, დამოკიდებულებაში მოჰყავს იგი მოქმედების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან..., რის შედეგადაც წარმოიშობა მოტივი და ესა თუ ის მოქმედება სუბიექტისათვის აუცილებლობად იქცევა“¹⁷.

დ. უზნაძის აზრით, მოტივი „გაცნობიერებაა იმ ღირებულების უპირატესობისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის და ამ აზრით იგი ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა“¹⁸. მოტივის გამომუშავებას თან სდევს გადაწყვეტილების აქტი, რომელიც, თავის მხრივ შესაბამისი ქცევის განწყობას ქმნის.

მოტივაციის პროცესში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების აწონ-დაწონა შეიძლება მრავალჯერ გამეორდეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიძნელეების წინაშე დგას პიროვნება გარკვეულ სიტუაციაში ქცევის არჩევის დროს. მაგრამ განწყობის რეალიზაცია ფსიქოფიზიკურად უფრო ადვილად მიმდინარეობს, თუ მოტივაციის დროს სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორების შეფასებაში კაცს შეეძლომ არ მოსვლია. „გადაწყვეტილება აუცილებლობით სრულდება, თუ იგი ყველა ფაქტორის გათვალისწინებითაა მიღებული. მაგრამ შესაძლებელია გადაწყვეტილების შესრულების პროცესში წამოიჭრას ისეთი ფაქტორები, რომელიც მოტივაციის პროცესში არ იყო გათვალისწინებული სუბიექტის მიერ. ამ შემთხვევაში სუბიექტი კვლავ უბრუნდება მოტივაციის პროცესს და შესწორება შეაქვს მიღებულ გადაწყვეტილებაში, ან ტოვებს მას წინანდელ მდგომარეობაში იმის მიხედვით, თუ როგორი ახალი ფაქტორი დაემატა მოტივაციის პროცესს“¹⁹. მოტივაციის განმეორების შესაძლებლობა განპირობებულია იმით, რომ გადაწყვეტილების მიღებისა და ქცევის განწყობის წარმოშობის შემდეგაც კი ადამიანი იმყოფება სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ქვეშ.

მოტივის გამომუშავება ხდება მისი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შეპირისპირებით და, ზოგჯერ მათი წინააღმდეგობის პირობებშიც. ამან შეიძლება მწვავე ემოციური განცდა გამოიწვიოს. ფსიქოლოგები, რომლებიც მოტივსა და მის ფაქტორებს ერთმანეთისაგან არ განარჩევენ, თვლიან, რომ მოტივაციის პროცესის დროს ხდება

¹⁷ დ. კ ი კ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 117-118.

¹⁸ დ. უ ზ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

¹⁹ დ. კ ი კ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

მოტივთა ბრძოლა²⁰. ამ შეხედულებას ფსიქოლოგების ერთი ნაწილი მხარს არ უჭერს. მაგალითად, დ. უზნაძის აზრით, „არსებითად მოტივთა ბრძოლის შესახებ ლაპარაკი სრულიად დაუსაბუთებელია, არავითარი მოტივთა ბრძოლა, ერთიადიგივე ქცევის პრო და contra მოტივთა შეხლა-შემოსლა ან აწონ-დაწონა არ არსებობს; არ არსებობს იმიტომ, რომ თვითონ ქცევა არ არის ერთი, რომელსაც სხვადასხვა მოტივი შეიძლება კონდენს. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას აძლევს“²¹.

მოტივაციის დროს წარმოებს არა მოტივთა ბრძოლა, არამედ ბრძოლა მოტივაციის ურთიერთსაპირისპირო ფაქტორთა შორის, ბრძოლა ე. წ. „მე მინდა“-სა და „მე უნდა“-ს შორის. ეს ბრძოლა აძნელებს გადაწყვეტილების მიღებას, და ზოგჯერ მის შესრულებასაც. ყოველივე ამის გამო მოტივაციის პროცესმა შეიძლება დიდი სულიერი განცდის სახე მიიღოს.

ამრიგად, „მოტივაცია არის სუბიექტის მიერ მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების მოქმედების, გზებისა და საშუალებების განსჯა, ხოლო მოტივი — ამ განსჯის შედეგად მიღებული დასკვნა მოცემულ სიტუაციაში ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილებისა და აუცილებლობის შესახებ“²².

მოტივაციის პროცესი დამახასიათებელია მხოლოდ ნებელობითი ქცევისათვის. ადამიანის ყოველგვარ ქცევას რომ ყოველთვის მოტივაციის რთული პროცესი წინ უსწრებდეს, მისი აქტივობა უსაზღვროდ შეიზღუდებოდა.

იმპულსურ ქცევას წინ არ უძღვის მოტივაციის პროცესი. ამ შემთხვევაში მოთხოვნილებასა და ქცევას შორის მყარდება პირდაპირი და უმოკლესი კავშირი. შესაბამის სიტუაციაში მოთხოვნილების იმპულსი ქმნის იმპულსური ქცევის განწყობას.

თეზისი, რომ იმპულსურ ქცევას წინ არ უძღვის მოტივაციის პრო-

²⁰ ეს შეხედულება აისახა სისხლისმარტლებრივ ლიტერატურაშიც. მაგალითად, ე. მაყაშვილის აზრით, არის შემთხვევები, როცა ერთი მოტივი, რომელიც განსაზღვრულ მოქმედებას კარნახობს, ეწინააღმდეგება მეორე მოტივს, რომელიც საწინააღმდეგო მოქმედებისაკენ მოუწოდებს. ერთდროულად შეიძლება გაჩნდეს რიგი მეტოქე მოტივებისა, წარმოიშვას ურთიერთმოწინააღმდეგე გრძნობები, მისწრაფებები (იხ. В. М а к а т в и л и. Понятие умысла в уголовном праве. «Машине» (Вестник) АН ГССР, Тб., 1966, № 6, стр. 63-64.

²¹ დ. უზნაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

²² დ. კ ი კ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

ცესი, არ იძლევა საფუძველს სრულიად უარვეყოთ მოტივაციის არსებობა ამგვარი ქცევის დროს. მოტივის გარეშე არ არსებობს ქცევა, კერძოდ, იმპულსურიც. იმპულსური ქცევა გამოწვეულია მოთხოვნილების იმპულსით და აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. ბუნებრივია, ქცევის ღირებულება, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილებას უკვე მოცემულია თვით მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების პროცესში. როგორც შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს, იმპულსური ქცევის მოტივად გვევლინება გრძნობა, რომელშიც სუბიექტი უშუალოდ განიცდის, რა ზოპით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ქცევის აქტები. იგი ამცნებს სუბიექტს ქცევის შომენტალურ სუბიექტურ ღირებულებაზე. მოცემულ შემთხვევაში ეს ღირებულება შეიცნობა არა განსჯის საფუძველზე, არამედ უშუალოდ განიცდება ცხოვრების მთლიანობით მიმდინარეობაში²³.

იმპულსური ქცევის დროს მოტივის როლში შეიძლება გამოდიოდეს მოთხოვნილებაც, მაგრამ აქაც მოთხოვნილება და მოტივი ერთმანეთში არ უნდა აერიოთ, რადგან მოთხოვნილება რომელიღაც საჭიროების შეგრძნებაა, ხოლო მოტივი არის შეგრძნება კონკრეტული ქცევის ღირებულებისა და აუცილებლობისა მოცემულ სიტუაციაში.

ქცევის მოტივზე შეიძლება ვილაპარაკოთ ისეთი იმპულსური ქცევის დროსაც, როგორიც აფექტური ქცევაა. როგორც დ. კიკნაძე აღნიშნავს, აფექტის შემთხვევაში „მოქმედებას მაინც გააჩნია თავისი მოტივი და, მაშასადამე, მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. მხოლოდ აფექტის გამომწვევი ობიექტური პირობებით არ შეიძლება არცხნას ადაპიანის მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იგივე ობიექტური პირობები ყველა ინდივიდში ერთნაირ რეაქციასა და მოქმედებას უნდა იწვევდეს... აფექტის დროს, მოცემულ სიტუაციაში, სუბიექტისათვის გამართლებული მოქმედების გადაწყვეტილება ზოგადი მოტივის საფუძველზე მიიღება, ხოლო მოტივაციის პროცესი მასში მოხსნილი სახით მონაწილეობს“²⁴

ამრიგად, მოტივი იმპულსური ქცევის დროს არ არის მოტივაციის შედეგი. ქცევის ღირებულება ჩანს გრძნობაში, რომელიც წარმოიშობა მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალობაზე და მასთან უშუალო კავშირში იმყოფება. იმპულსურ ქცევას კაცი მოტივაციის გზით არ ირჩევს და ამიტომ იგი მოუფიქრებელი ქცევაა. ასეთი ქცევა სორციელ-

²³ შ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

²⁴ დ. კ ი კ ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

დება აწონ-დაწონის, სუბიექტურა და ობიექტური ფაქტორების შეპირისპირების გარეშე. მიუხედავად ამისა, იმპულსური ქცევა, კერძოდ, აფექტური ქცევაც. არ არის შემთხვევითობის ნაყოფი. ამ დროს ქცევის არჩევა ხდება ქცევათა იმ შაბლონებს შორის, რომლებიც ადამიანს წინასწარ აქვს შემუშავებული მოტივაციის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა შეპირისპირების გზით.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შიხელულება. რომ მოტივი ორგანია, არის დანაშაულის მოტივი და არის ქცევის მოტივი. მაგალითად, საბჭოთა სისხლის სამართლის კურსის ავტორთა აზრით, უნდა განვასხვაოთ ორი სახის მოტივი: დანაშაულის ჩადენის მოტივი და მოტივი სასოგადოებრივად საშიში ქცევისა, რომელმაც დანაშაული გამოიწვია²⁵.

მოტივთა ამგვარ დაყოფას ავტორები უკავშირებენ განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალის არსებობას. მათი თქმით, დანაშაულის მოტივი მიუთითებს იმაზე, თუ რატომ გამოიწვია დანაშავემ ესა თუ ის შედეგი, ხოლო ქმედობის მოტივი — იმაზე. რატომ მოიქცა დანაშავე ისე, რომ ქმედობას მოჰყვა შედეგი. რომლის გამოწვევასაც იგი არ აპირებდა. ამ ავტორთა აზრით, ორი სახის მოტივების არსებობა უფლებას გვაძლევს მივიღეთ დასკვნამდე, რომ ნებისმიერ დანაშაულში ორივე სახის მოტივი როდი გვაქვს. ბრალის ყოველ ფორმას ახასიათებს მოტივთა გარკვეული ჯგუფი. მაგალითად, განზრახვისათვის დამახასიათებელია ისეთი მოტივები, როგორცაა: ანგარება, შურისძიება, ექვიანობა; გაუფრთხილებლობისათვის — ტრაბახი, ეგოიზმი და ა. შ.²⁶

საკითხის ამგვარი დაყენება სწორი არ უნდა იყოს. სიძულვილის, შურისძიების ან ანგარების მოტივით შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი დანაშაული²⁷. იგივე ითქმის ისეთი მოტივების შესახებ, როგორცაა ეგოიზმი ან სხვა ამგვარი. გარ-

²⁵ იხ. Курс советского уголовного права. Часть общая, II., 1968, стр. 442.

²⁶ იქვე, გვ. 442-443. სხვა თვალსაზრისზე დვას პ. დაველი, რომელიც თუმცა აღიარებს მოტივის არსებობას გაუფრთხილებელი ბრალის დროს, მაგრამ არ განასხვავებს დანაშაულის მოტივს მოქმედების მოტივისაგან (იხ. И. С. Дагелъ. Кримино-логическое значение субъективной стороны преступления. «Советское государство и право», 1966, № 11, стр. 85).

²⁷ ან-მა ვადაწყვიტა ქუა ასწავლოს ბან-ს, რომელმაც მას სატარო წაართვა. იგი ქუაში შეხვდა ბან-ს და სილა გააწნა. ბან-ი შეტორტმანდა, წაიქცა, თავი ქუა ფენილს და გარდაიცვალა. აქ საქმე გვაქვს გაუფრთხილებელ ბრალთან, მაგრამ განა ეს გამორიცხავს შურისძიების მოტივს ან-ის მოქმედებიდან? რასაკვირველია, არა.

და ამისა მოტივი განეკუთვნება ქცევას და არა ბრალს; ამიტომ ამა თუ იმ ფორმის ბრალი ვერ განაპირობებს წინასწარ ამა თუ იმ „ჯგუფის მოტივის“ არსებობას.

საბჭოთა სისხლის სამართლის კურსის ავტორები „დანაშაულის ჩადენის მოტივს“ და „საზოგადოებრივად საშიში ქცევის მოტივს“, რომელმაც დანაშაული გამოიწვია სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ და მიაჩნიათ, რომ პირველ შემთხვევაში მოტივი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს დანაშაულის ჩადენაში და ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის — რაც უფრო ანტისოციალურია მოტივი, მით უფრო მძიმეა ბრალი. მეორე შემთხვევაში მოტივი არ თამაშობს გადამწყვეტ როლს დანაშაულის ჩადენაში. თუმცა ცხადსა ქმნის საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ბუნებას. სწორედ ამიტომ ასეთი მოტივების როლი დიდი არ არის. მაგრამ მათ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ დანაშაულთა პროფილაქტიკისათვის²⁸.

ზოგჯერ საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოტივს ათანაბრებენ თვითონ აქტივობის წყაროსთან. ამით მას აიგივებენ მოთხოვნილებასთან, რაც საჭიროდ ხდის ახალი ცნების შემოტანას ქცევის იმ თვისების დასახასიათებლად, რომელსაც ნამდვილად მოტივი უნდა ახასიათებდეს. მაგალითად, ბ. ვოლკოვი ასეთ ცნებად თვლის მოტივირებას და ფაქტიურად მიაწერს მას იმ თვისებას, რაც მოტივს ახასიათებს²⁹.

ჩენი აზრით, მოტივის ცნების დაყოფა „დანაშაულის მოტივად“ და „ქმედობის მოტივად“ ან დანაშაულის მოტივის გაიგივება დანაშაულის წყაროსთან და შემოტანა ახალი, მოტივირების ცნებისა, რომელიც გულისხმობს დანაშაულის გამართლებას საკუთარ თვალში, სწორი არ არის და მოტივის ფსიქიკური ბუნების მცდარი გაგებიდან გამომდინარეობს. მოტივის გარეშე არ არსებობს ქცევა, ხოლო ქცევის გარეშე არ არსებობს დანაშაული. ამრიგად, ცხადია, რომ მოტივის გარეშე არ არსებობს დანაშაულებრივი ქცევა. ამიტომ მოტივს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის და დამნაშავის განსჯის დროს. მოტივს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც კანონმდებელი ითვალისწინებს მას დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად ანდა, როცა მოტივი გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება. ამგვარი ნაირ-

²⁸ Курс Советского уголовного права. Часть общая, Л., 1968, стр. 443.

²⁹ Б. С. Волков. Детерминистическая природа преступного поведения. Казань, 1976, стр. 13—15.

გვაროვანი სამართლებრივი მნიშვნელობა მოტივებისა აიხსნება არა მათი კავშირით ქცევის საერთო ბუნებასთან ანდა ბრალის ფორმებთან, არამედ დანაშაულთა შემადგენლობების საკანონმდებლო წყობით.

მოტივი არ შეიძლება განიხილებოდეს აქტივობის თავდაპირველ წყაროდ, რადგან ასეთი ბუნება მხოლოდ მოთხოვნილებას აქვს. ამიტომ დანაშაულებრივი ქცევის აქტივობის საწყისი მოტივში არ უნდა ვეძიოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქცევის მოტივი არის დასაბუთება ამა თუ იმ მოქმედების, კერძოდ, დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტური საჭიროებისა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ დასაბუთებას ადამიანი მოტივაციის (ე. ი. იმავე მოტივირების) გზით აღწევს. ამიტომ მოტივაცია (მოტივირება) წინ უსწრებს დანაშაულებრივი მოტივის ჩამოყალიბებას. ბუნებრივია, ადამიანი თავის მოქმედებას ამართლებს საბოლოოდ ამ მოქმედების მოტივით და ამისათვის კიდევ ახალი მოტივირება არ სჭირდება.

✓

(4) მართლშეგნების ადგილი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფაქტორთა შორის. მოთხოვნილების გარეშე არ არსებობს აქტივობა, აქტივობის გარეშე — ქცევა, ხოლო ქცევის გარეშე — დანაშაული. ამიტომ ადამიანი, როგორც წესი, დანაშაულს ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სჩადის.

თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანს მოთხოვნილებათა ურთულესი სისტემა ახასიათებს და რომელი მოთხოვნილება შეიძლება იქცეს დანაშაულის წყაროდ, ეს ძნელი განსაჯერებაა. ადამიანი სოციალური არსებაა და მისი მოთხოვნილებათა სისტემა სოციალური ხასიათისაა. სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც კი სოციალურ პრიზმაში გარდატეხით წარმოებს. ნორმალურ ადამიანს არა აქვს თავისთავად დანაშაულის ჩადენის მოთხოვნილება³⁰. დანაშაული ერთ-ერთი საშუალებაა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ მრავალ შესაძლებელ ქცევათა შორის. ამიტომ აირჩევს თუ არა ადამიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დანაშაულებრივ ქცევას, ეს მოთხოვნილებაზე არაა დამოკიდებული.

მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზების ძიება მოტივაციის საშუალებით ხდება. სანამ ადამიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ ხერხს, ქცევას მიმართავდეს, იგი სათანადოდ მსჯელობს და

³⁰ პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება შემთხვევები, როცა ადამიანს თავისთავად აქვს დანაშაულებრივი ქცევის მოთხოვნილება და სრულიად არ არის დაინტერესებული მისი შედეგებით. ასეთ მოქმედებებს საფუძვლად უძევს სხვადასხვა ანომალიები (მაგალითად, საღიზმი) ანდა ღრმად გამჭდარი რეციდიული მიღრეკილება.

ეძებს ამ ქვევას. კონკრეტული ქვევის დროს, მიმართულებისა და ხასიათის ინტელექტუალური ძიების პროცესი მოტივაციის პროცესია, რომლის შედეგადაც სუბიექტი ასკვნის რომელი ქვევაა მისთვის უფრო ხელსაყრელი მოცემულ ვითარებაში შესაძლებელ უამრავ სხვა ქვევათა შორის. თუ იგი დაასკვნის, რომ, ვთქვათ, ფულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ საზოგადოებრივი ღირებულების მქონე სხვადასხვა ქვევათა შორის მისთვის ყველაზე ხელსაყრელია გატეხოს მეზობლის სასლი და მოიპაროს ფული, მას შეუძლებელია დანაშაულებრივი ქვევის, კერძოდ ქურდობის, მოტივი. თუ ქურდობის მოტივს თან მოჰყვება ქურდობის გადაწყვეტილება, შემდეგ კი ქურდობის განწყობა და მისი განხორციელება, დანაშაულის ჩადენის მიზეზი განწყობა როდი იქნება, რადგან განწყობაში რეალიზაცია პოვა ქურდობის მოტივმა, რომელიც მოტივაციის შედეგად იქნა მიღებული. ფულის შოვნის მოთხოვნილებაში¹ მოცემული იყო მხოლოდ მოთხოვნილების ობიექტი (ფული) და არა ის ქვევა ან ქვევათა სისტემა, რომლების საშუალებითაც ფულის შოვნა შეიძლება; მოთხოვნილებაში დანაშაულებრივი ქვევა (ქურდობა) ასახული არ ყოფილა. იგი დაისახა მოტივაციის პროცესში, ე. ი. ინტელექტუალური მსჯელობით იმაზე, თუ რა გზით იშოვება ფული. დანაშაულებრივი მოტივის საწყისი აღმოჩნდა მოტივაციის პროცესი. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქცია ყველაზე ნათლად მოტივაციის პროცესში ჩანს.

მოტივაციის პროცესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის სამომავლო ქვევის ძიება. ამავე დროს იგი არის მსჯელობა ამ ქვევის საზოგადოებრივ მხარეზე და საბოლოოდ — მსჯელობა მოცემულ სიტუაციაში ქვევის ხელსაყრელობაზე. ამგვარ მსჯელობაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს. სანამ ადამიანს დანაშაულებრივი ქვევის მოტივი გამოუმუშავდება, იგი მრავალ ფაქტორს უწევს ანგარიშს და მხოლოდ ამის შემდეგ ასკვნის, რომ ამჯერად მისთვის ხელსაყრელია სწორედ ქურდობა და სხვა არაფერი².

ამ შემთხვევაში ფული შეიძლება მრავალი სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ექვივალენტად გამოდგეს.

²² ფსიქოლოგები მოტივაციის ფაქტორებს ერთგვარი სისტემით აჯგუფებენ. რათა ნათქვამი სახე მისცენ. ყურადსაღებია მოტივაციის ფაქტორთა სისტემა, რომელსაც ლ. კენანი ეკუთვება. იგი პირობებს ფაქტორებს სუბიექტური და ობიექტური მხარისად. სუბიექტური მხარის ფაქტორებად ლ. კენანი მიაჩნია: „1. კონკრეტული საჭიროება. მოთხოვნილება როგორც სუბიექტის მდგომარეობა; 2. მოთხოვნილების სუბი-

ქვევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა არ იცვლება მისი სოციალური მნიშვნელობისა თუ ღირებულების შეცვლასთან დაკავშირებით. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა სოციალურ მიმართულებას იღებს ქვევა, მოტივაციის ფაქტორები შეიძლება სულ სხვადასხვა იყოს. მაგალითად, თუ კაცმა უნდა გადაწყვიტოს სად დაისვენოს ზაფხულში, ზღვაზე თუ მთაში, მოტივაციის ფაქტორთა შორის შეიძლება არ გვექნეს ისეთი სამართლებრივი ხასიათის ფაქტორები, როგორცაა მართლმეგნება, სამართლებრივი კონტროლი და სხვ. მაგრამ საკმარისია ადამიანი შევიდეს იმის განსჯაში, ჩაიდინოს დანაშაული თუ სხვა გზით დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება. რომ მაშინვე ამოქმედდებიან ფაქტორები, რომლებიც სწორედ სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ.

ამრიგად, სამართლებრივი მნიშვნელობის ქვევის, კერძოდ დანაშაულებრივი ქვევის, მოტივის შემუშავების დროს მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ ისეთი ქვევისათვის სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის პროცესს სხვა ელფერს, სხვა სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებას აძლევენ. ამით ქვევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა, რასაკვირველია, არ იცვლება, რადგან იგი არ არის დამოკიდებული ქვევის სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებაზე.

თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი სოციალიზაციის კვალობაზე დიდ ცოდნას იძენს. უშუალო პრაქტიკული გამოცდილების შედეგად საზოგადოებაში დაგროვილი ცოდნის შეთვისებით და უამრავი ინფორმაციის გზით ეს ცოდნა და მის საფუძველზე შემუშავებული ქვევის შაბლონები ქმნიან ცოდნისა და გამოცდილების ე. წ. „პოტენციურ ველს“. იგი პოტენციურია, ვინაიდან მისი აქტუალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ და იმდენად, როცა და რამდენადაც ეს კაცს სჭირდება. მაგა-

ექტური გარემო, ფონი — მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემა, სხვადასხვა ინტერესები, მისწრაფებები...; 3. სუბიექტის განკარგულებაში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებები, შესაძლებლობები, უნარი; 4. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილებული მოქმედების ღირებულება, მნიშვნელობა სუბიექტისათვის“. ობიექტურ მხარეს ავტორი აკუთვნებს შემდეგ ფაქტორებს: -1. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანი; 2. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგნის დაუფლების ობიექტური გარემო და კონკრეტული სიტუაცია, საზოგადოებრივი ურთიერთობები..., იურიდიული და მორალური ნორმები და სხვ...; 3. მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური და რეალურად არსებული გზები, საშუალებები, შესაძლებლობები; 4. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილებული მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი ღირებულება, მნიშვნელობა სუბიექტური შეფასებით“ (იხ. დ. კ. ე. ნ. ა. ქ. ე. დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 111).

ლითად, სტუდენტმა უნდა ამოხსნას რთული მათემატიკური ამოცანა -- ხდება ცოდნის აქტუალიზაცია მხოლოდ მათემატიკის დარგში. ცოდნის ის სფერო, რომელიც სტუდენტის აქტიუობისათვის ამჟებად საკირო არ არის, რჩება პოტენციურ ველში და მისი არსებობა ამ დროს არც კი აღიქვება. საკმარისია სტუდენტი სხვა ვითარებაში აღმოჩნდეს, ვთქვათ მას ვენახის შეწამვლა დასჭირდა, რომ მაშინვე მოხდება მისი ცოდნის სულ სხვა სფეროს აქტუალიზაცია, მათემატიკური ცოდნა კი პოტენციურ ველში გადაინაცვლებს. ცოდნის პოტენციური ველი გულისხმობს საგნებისა და მოვლენების არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ შეფასებითი მხარის აღქმასაც. საგნებისა და მოვლენების ფიზიკური და შეფასებითი მხარის აღქმა ერთიანია და დანაწევრებულად არ ხდება. მაგალითად, კაცმა იცის არა მარტო ის, რომ თოფი არსებობს, არამედ ისიც, რომ იგი ისერის და მისი გამოყენებით ნადირობა და კაცის მოკვლა შეიძლება. მან ისიც იცის, რომ ადამიანის მოკვლა დანაშაულია და მკვლელი ისჯება. ამიტომ, სანამ ადამიანი უყურებს თოფს როგორც სანადირო იარაღს, მასში ხდება თოფის შესახებ ცოდნის აქტუალიზაცია როგორც სანადირო საშუალებისა. საკმარისია მან წარმოიდგინოს თოფი თავისი მოძულებული მეზობლის თავიდან მოშორების საშუალებად, რომ მასში მოხდება ცოდნის იმ სფეროს აქტუალიზაცია, რომელიც ჩანს მისი დამოკიდებულება სოციალური და სამართლებრივი ნორმებისადმი.

მოტივაციის პროცესი ინტელექტუალური პროცესია, მასში ცნობიერების საშუალებით, სოციალური სიმბოლოების გამოყენებით, მომავალი ქცევის სურათის წარმოსახვა, მისი გზების გამოხატვა წარმოებს. ეს ხერხდება ცოდნის სათანადო სფეროს აქტუალიზაციის გზით. მისი სწორედ იმ სფეროს სოციალური სიმბოლოების გადატანით ცნობიერებაში, რომელ სფეროშიც იჭრება მოტივაციის პროცესი.

როგორც კი მოტივაციის პროცესი მიაღებება ქცევას, რომელსაც სამართლებრივი ურთიერთობის ჩასაითი აქვს, მაშინათვე ხდება მართლშეგნების სფეროს აქტუალიზაცია. ე. ი. იმ სფეროსი, რომელიც ავლენს, თუ რა იცის ამ კაცმა სამართლებრივი ნორმების და საერთოდ სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, როგორია მისი დამოკიდებულება მათდამი და სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის რა შაბლონები აქვს შემუშავებული. ყოველივე ამის გამო დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში და მოტივაციის პროცესში მართლშეგნებას და საერთოდ სოციალურ, კერძოდ კი სამართლებრივ, სიმბოლოებს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ისეთი სპეციფიკური ფაქტორის მონაწილეობა, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება არც კი შეინიშნებოდეს. მაგრამ არიან მოტივაციის ისეთი ფაქტორები, რომლებიც ყოველგვარი სოციალური ღირებულების ქცევის მოტივაციაში მონაწილეობენ. ესენი არიან სუბიექტური მხარის ფაქტორები (მოთხოვნის და სუბიექტის უნარი) და მათ შესაბამისად ობიექტური მხარის ფაქტორები (მოთხოვნის ობიექტი და სიტუაცია). სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის დროს ამ ფაქტორებს ემატება სუბიექტური მხარის ფაქტორებად „მე“ — კონცეფცია და მართლშეგნება, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორებად — სამართლებრივი აზრი, სოციალური კონტროლის სახით, და სამართლებრივი ნორმები, სამართლებრივი კონტროლის სახით.

ადამიანის ემოციურ სფეროში მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება განიცდება როგორც „მე მინდა“-ს ფენომენი, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება, როგორც „მე უნდა“-ს ფენომენი. დანაშაულებრივი ქცევს მოტივი ქველა ამ ფაქტორის შეზღუდვისპირების შედეგია. თუ ჩვენ მივიღებთ მოტივაციის ფაქტორთა ამ სისტემას, მაშინ დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის პროცესის სქემა შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. სქემა № 1).

რათა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა ნათლად წარმოვიდგინოთ გავანალიზოთ იგი მაგალითის მოტანით.

ვთქვათ, ან-ს ცუდი საბინაო პირობები აქვს. მას უჩნდება საბინაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილება. თავისთავად მოთხოვნილებაში შეიძლება არც გამოიწვიოს კაცის აქტიუობა. თუ არ არსებობს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეტ-ნაკლები პირობები. სწორედ ამგვარი რეალური პირობების გაჩენის შემდეგ ხდება მიზნის დასახვა. ან-ის სამსახურში იწყება კოოპერატიული საბინაო მშენებლობა და ამრიგად, ან-ს გაუჩნდება საბინაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობა. იგი მიზნად ისახავს გახდეს კოოპერატივის წევრი. მაგრამ ბინის აშენებას დიდი თანხა სჭირდება, მას კი საკმარისი ფული არა აქვს. მიზნის ვანხორციელებას წინ ელოდება ობიექტური სახის წინააღმდეგობა. იწყება მოტივაციის რთული პროცესი. როგორ მოიქცეს ან-ი, ისესხოს ფული თუ ხელშეკრულებით გაემგზავროს საღმე შორს მძიმე სამუშაოზე. სადაც დიდი ხელფასი ექნება და შედარებით მალე მოუგროვდება საჭირო ფული. ორსავე ამ ქცევას თავისი სიძნელე ახლავს და ან-ი იძულებულია სხვა საშუალება ეძებოს. მას ახსენდება, რომ მისმა მეზობელმა სოფელში სასლი გაყიდა და ბლომად

დანამუშაო ქვეყნის მთავარი



ფული შინა აქვს შენახული. ან-მა იცის სად ინახება ეს ფული, ისიც იცის, თუ როგორ და როდის შეიძლება შევიდეს მეზობლის ბინაში ფულის მოსაპარად.

მოტივაციის პროცესიდან გამომდინარე ფულის სესხების ვარიანტი. ან-ს არ აღმოაჩნდა ისეთი ნაცნობი, ვინც დიდი ხნით ასესხებდა ფულს. მოტივაციის სფეროში დარჩა ორი შესაძლებელი ქცევა — წასვლა შორეულ ადგილას სამუშაოდ ანდა ფულის მოპარვა. მოტივაციის პროცესი უკვე იქამდე მისულია, რომ მოსახდენია ქცევის არჩევანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ორი შესაძლებელი ქცევა აისახება მოტივაციის ფაქტორთა სუბიექტურ და ობიექტურ მხარეში. იწყება ამ ფაქტორების ურთიერთშეპირისპირება და ამის შემდეგ მუშავდება იმ ქცევის მოტივი, რომელიც ყველა ფაქტორის შესაბამისი იქნება. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში ან-ი ან სულ სხვა ქცევის ვარიანტს გამოიხატავს, ანდა ხელს აიღებს თავისი მიზნის განხორციელებაზე.

ჩვენს მაგალითში მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ობიექტურად ორივე ქცევა გამოდგება³³. მოთხოვნილების ობიექტი (ამჯერად ფული) ორივე ქცევაშია მოცემული. ან-ს შესწევს უნარი ფიზიკურად განხორციელოს ორივე ქცევა. იგი დაუფლებულია ბუღლოზერის მართვას და ამის მოხელეები კი დიდად სჭირდება შორეულ მშენებლობებს, მის ხელთაა აგრეთვე ფულის მოპარვის „ოპერაცია“. სიტუაცია, რომელშიც შეიძლება გაიშალოს ორევე ეს ქცევა რეალურად არსებობს: ან-მა წაიკითხა განცხადება, რომ შორეულ მშენებლობებს სჭირდება მეზულდოზერეები; ამავე დროს მეზობლის სახლში ინახება ფული, რომლის მოპარვაც ან-ს შეუძლია.

ამრიგად, მოტივაციის ამ ეტაპზე ქცევის არც ერთ ვარიანტს წინააღმდეგობა არ ელოდება, რადგან ჯერ არ ხდება ქცევის შეფასება სოციალური და სამართლებრივი ღირებულების თვალსაზრისით. ამგვარ შეფასებას ქცევა იღებს მოტივაციის სწორედ ისეთ ფაქტორებში, როგორცაა „მე“ — კონცეფცია, მართლშეგნება, ერთი მხრივ, და სოციალური კონტროლი და სამართლებრივი კონტროლი, მეორე მხრივ. სწორედ აქ იჩენს თავს პიროვნების მართლშეგნების დონე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირადი პასუხისმგებლობა საფუძვლად ედება თვითკონტროლის უნარს. თვითკონტროლი კი ფაქტობრივად სოციალური კონტროლია. ადამიანი მის ნამდვილ ან მოსალოდნელ ქცევას სხვა ადამიანის თვალთა ამოწმებს. ამიტომ ინდივიდისათვის საზოგადოებრივი აზრი სოციალური კონტროლის წყაროც არის და მისი უზრუნველყოფის საშუალებაც. თანაც თვითკონტროლი ემყარება „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბებას. ადამიანს თავის „მე“ — კონცეფციაში გაპიროვნებული აქვს სოციალურ ღირებულებათა მთელი სისტემა, რომლითაც იგი გზას იკვლევს მისთვის სოციალურად ღირებულ ქცევათა რთულ ლაბირინთში. „მე“ — კონცეფცია ინდივიდის სოციალური სტატუსია, მისთვის უმაღლესი ღირებულებაა. ამ სტატუსის ამაღლება მისი ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია. „მე“ — კონცეფცია, პირის სოციალური სტატუსი, ძირითადად საზოგადოებრივ აზრზეა დამოკიდებული და ამდენად სოციალური კონტროლის მუდმივ ზემოქმედებას განიცდის. ამიტომ

³³ ქცევის მექანიზმში მოთხოვნილების როლი არ ამოიწურება იმით, რომ იგი ინდივიდის აქტიუობის წყაროა. მოთხოვნილება მონაწილეობს მოტივაციის პროცესშიც, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი.

საზოგადოებრივი აზრი, როგორც სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალება, როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორი, უპირისპირდება „მე“ — კონცეფციას, როგორც მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორს. რას მიიღებს ინდივიდი ამ ორი ფაქტორის შეპირისპირებით, ამაზე დიდად დამოკიდებულია, თუ რომელი ქცევის მოტივი გამოიმუშავდება მოტივაციის პროცესის შედეგად. თუ ან-ის „მე“ — კონცეფციაში მტკიცედ გაპიროვნებულია მხოლოდ სოციალურად მაღალი ღირებულების ქცევათა სისტემა, მაშინ მისთვის ქურდობა, როგორც შესაძლებელი ქცევა, გამოირიცხულია. თუ ან-ს აღრევ უქურდია ანდა, მართალია, ქურდობა არ ჩაუდენია, მაგრამ ამ ქმედობის წინააღმდეგ მყარი დამოკიდებულება არა აქვს გამოიმუშავებული, მაშინ მის შესაძლებელ ქცევათაგან ქურდობა გამოირიცხული არ არის. აქ ძალაში შედის უკვე სოციალური კონტროლი: რას იტყვის ხალხი, როცა გაიგებს, ან-ს ქურდობა ჩაუდენია? თუ იმ სოციალურ ჯგუფში, რომელიც ან-ისათვის ეტალონურია, ქურდობას შეწყნარებით უყურებენ, მაშინ მისი მერყევი დამოკიდებულება ქურდობისადმი შეიძლება გაძლიერდეს და ეს ხელს შეუწყობს ქურდობის სასარგებლო მოტივის გამოიმუშავებას. პირიქით, თუ ან-ის ეტალონურ ჯგუფში ქურდობის წინააღმდეგ ძლიერი საზოგადოებრივი აზრია შექმნილი, მაშინ სოციალური კონტროლი ქურდობის ჩადენის საწინააღმდეგო მოტივის გამოიმუშავებას უზრუნველყოფს.

როდესაც სოციალური ღირებულების მქონე შესაძლებელი ქცევა სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში არ შედის, მოტივაციის პროცესი „მე“ — კონცეფციისა და სოციალური კონტროლის შეპირისპირებით მთავრდება. პირიქით შემთხვევაში მოტივაციის პროცესში მონაწილეობს მართლშეგნება და სამართლებრივი კონტროლიც, როგორც მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური მხარის ფაქტორები.

ჩვენს მაგალითში, თუ ან-ი მაღალი მართლშეგნების მატარებელია და უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ქურდობისადმი, თუ მას გამოიმუშავებული აქვს მზაობა არ ჩაიდინოს ამგვარი მოქმედება, მაშინ ქურდობა წინასწარვე გამოირიცხული იქნებოდა მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან და მოტივაციის პროცესში ამგვარი ქცევა ან სულაც არ აისახებოდა ანდა შეაფერხებდა მოტივაციის პროცესს. მაგრამ ხომ შეიძლება ან-ი დაბალი მართლშეგნებისა იყოს, ე. ი. არ იზიარებდეს კანონს და მოკლებული იყოს მზაობას შეასრულოს მისი ეს მოთხოვნა? მაშინ მართლშეგნება, როგორც მოტივაციის ფაქტორი, არ გადაელობება ქურდობის მოტივის გამოიმუშავებას და ამგვარი მოტი-

ვი წარმოიშობა კიდევ, თუ სამართლებრივი კონტროლი არ შეაფერხებს მოტივაციის პროცესს.

სამართლებრივი კონტროლის საფუძველი არის სამართლებრივი ნორმა, რომლის შესრულებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. ამიტომ მართლშეგნებისაგან განსხვავებით სამართლებრივ კონტროლს, როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორს, ზემოქმედების სხვა სტრუქტურა აქვს. მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენომენია. იგი არის ადამიანის შინაგანი რწმენა, მისი მზაობა შეასრულოს სამართლებრივი ნორმა. სამართლებრივი კონტროლი კი ზეგავლენას ახდენს სუბიექტურ მოტივაციის პროცესში სასჯელის მუქარით. ამიტომ შეიძლება ადამიანს დაბალი მართლშეგნება ჰქონდეს, მაგრამ მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლი მოგვევლინოს ფაქტორად, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს დანაშაულებრივი ქცევის მოტივის გამომუშავებას.

სამართლებრივ კონტროლთან შედარებით მართლშეგნებას გაცილებით ქმედითი როლის შესრულება შეუძლია, რადგან მაღალი მართლშეგნება გამორიცხავს მოტივაციის სფეროდან თვით შესაძლებლობას გამომუშავდეს დანაშაულებრივი ქცევის მოტივი.

თუ სამართლებრივი კონტროლი იმოქმედებს ან-ში მიმდინარე მოტივაციის პროცესზე როგორც დანაშაულებრივი ქცევის მოტივის საწინააღმდეგო ფაქტორი, მაშინ მოტივაციის პროცესი ამ მიმართულებით შეწყდება. ხოლო, თუ ან-ი ჩათვლის, რომ მას ვერ შეუტყობენ და სასჯელი არ მოეწივს, მაშინ სამართლებრივი კონტროლიც გადალახულია და შეიძლება დანაშაულებრივი ქცევის მოტივი გამოუმუშავდეს.

რამდენადაც მოტივი ქცევის სუბიექტური ღირებულების შეცნობაა, ამდენად მოტივის შემუშავების შემდეგ მოთხოვნილება უკვე მოტივში აისახება, რაც შეეხება მოტივაციის სუბიექტური მხარის სხვა ფაქტორებს, ისინი უკვე მოიხსნებიან და ქცევის ფსიქოლოგიური განვითარების შემდგომ ეტაპზე გავლენას ვეღარ მოახდენენ. ყველა ეს ფაქტორი „შე“ მინდა“-ს განცდას იწვევს და მოთხოვნილების ემოციურ განცდაში ითქვიფება.

არ ითქმის იგივე მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორებზე, რომელნიც „შე უნდა“-ს ემოციური განცდით აღიქვება. მათი, განსაკუთრებით სოციალური და სამართლებრივი კონტროლის, ზემოქმედება შეიგრძნობა როგორც გადაწყვეტილების მიღებისას. ისე დანაშაულებრივი ქცევის განწყობის წარმოქმნის შემდეგაც. საზოგადოებრივი აზრის, მეტადრე კი მოსალდენელი სასჯელის რიდი, როგორც წესი,

საკმაოდ დიდია და ამიტომ შეიძლება იმოქმედოს როგორც ობიექტური ხასიათის წინააღმდეგობამ იმის შემდეგაც, როცა დანაშაულებრივი ქცევის განწყობა წარმოიშობა. ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქცევის განწყობის რეალიზაცია შეიძლება შეფერხდეს და ადამიანმა ხელახალ მოტივაციას მიმართავს.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სამართლებრივი კონტროლის მოქმედებით კაცი დანაშაულზე ხელს იღებს იმის შემდეგაც კი, როდესაც დანაშაულებრივი ქცევის განწყობის რეალიზაცია უკვე დაიწყო. საამშემთხვევოდ კანონმდებელი დამნაშავეს „ოქროს ხიდს“ სთავაზობს — არა სჯის მას, თუ იგი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელს აიღებს³⁴.

როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტური მხარის ფაქტორებმა შესაძლოა მოტივაციის შემდეგაც გამოიწვიონ „მე მინდა“-ს ემოციური განცდა, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორები „მე უნდა“-ს ემოციური განცდით ხასიათდება. თუ ობიექტურა და სუბიექტური მხარის ფაქტორების შეპირისპირების დროს წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს, მაშინ „მე მინდა“-ს და „მე უნდა“-ს ემოციური განცდები არ აღიქვება და დანაშაულებრივი ქცევის მოტივი შინაგანი დაძაბვის გარეშე გამომუშავდება, არადა „მე მინდა“-ს და „მე უნდა“-ს განცდები ერთმანეთს უპირისპირდება. ან-ს სურს მოიპაროს მეზობლის ფული. მის ამ სურვილს სუბიექტური მხარის ფაქტორებს შორის წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მაგრამ სოციალური და სამართლებრივი კონტროლი ან-ს საშიშროებას უქადის — ვაითუ მასზე ექვი მიიტანონ და მაშინ, მკაცრი სასჯელი მოელის და საზოგადოებაშიც თავი მოეჭრება.

ასეთმა დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწვიოს მოტივაციის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ბრძოლა, რომელიც როგორც ითქვა „მე მინდა“-ს და „მე უნდა“-ს წინააღმდეგობის მწვავე ემოციურ განცდად გამოვლინდება. ეს განცდა აძნელებს მოტივის გამომუშავებას. მოტივაციის პროცესი კიდევ და კიდევ მეორდება. ფაქტორთა რომელი ჯგუფი გაიმარჯვებს, ჩაიდენს თუ არა ან-ი ქურდობას — ეს ისევ და ისევ მოტივაციის ფაქტორებზეა დამოკიდებული, პირველ რიგში — მართლშეგნებაზე, „მე“ — კონცეფტიაზე და სამართლებრივისა და სოციალურ კონტროლზე.

„მე მინდა“-ს განცდა წმინდა სუბიექტური ფენომენია, ხოლო „მე

³⁴ ამ შემთხვევაში სუბიექტი შეიძლება დაისაჯოს, თუ მან თავისი მოქმედებით უკვე შეასრულა რომელიმე სხვა დანაშაულის შემადგენლობა.

უნდა“-სი — ობიექტური, ოღონდ სუბიექტურად გარდატეხილი -- იგი ობიექტურ რეალობად განიცდება, თუმცა მისი შეფასება და განცდაც სუბიექტური ხასიათისაა. ამიტომ, რომელს დარჩება გამარჯვება „მე მინდა“-სა და „მე უნდა“-ს განცდათა კიდილში, ეს მხოლოდ მოტივაციის ფაქტორთა ძალაზე როდია დამოკიდებული; ამისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფსიქიკურ კონსტიტუციას, კერძოდ მის ხასიათს, ტემპერამენტსა და ნიჭიერებას. სუსტი ხასიათი, გადაქარბებული ემოციურობა აძლიერებს „მე მინდა“-ს განცდის ძალას. პირიქით, ნიჭიერება, ნაკლები მგზნებარება და მტკიცე ხასიათი საშუალებას აძლევს ადამიანს უფრო „ცივი გონებით“ განსაჯოს განსასჯელი; ეს თვისებები „მე უნდა“-ს განცდის მოკავშირენი არიან.

ამრიგად, სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს, მათ შორის გადაწყვეტი მნიშვნელობა მართლშეგნებას აქვს. მაღალი მართლშეგნება შეუძლებელსა ხდის დანაშაულებრივი ქცევის მოტივის არსებობას, ვინაიდან არ შეიძლება კაცმა საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიოს დანაშაულებრივი მოქმედება, თუ მას ამის საწინააღმდეგო ქცევის მზაობა აღრევე შეძენილი ექნება. დანაშაულებრივი მოტივის გამომუშავება, ე. ი. მოთხოვნის დასაკმაყოფილებელ მრავალ შესაძლებელ ქცევათაგან დანაშაულის არჩევა და მიზანშეწონილად მიჩნევა, — დაბალი მართლშეგნების შედეგია.

5. მართლშეგნება და იმპულსური ქცევა. მოთხოვნის შესაბამისი მიზნის დასახვა, მოტივაციის პროცესი, ამ პროცესის შედეგად მოტივის გამომუშავება და გადაწყვეტილების მიღება დამახასიათებელია მხოლოდ ნებელობითი ქცევისათვის. იმპულსურ ქცევას ამგვარი ფსიქოლოგიური ეტაპი არ ახასიათებს. მის დროს მოთხოვნილება უმოკლესი გზით კმაყოფილდება. ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის ჩადენა შეიძლება არა მარტო ნებელობითი, არამედ იმპულსური ქცევითაც. როცა გარკვეულ სიტუაციაში მოთხოვნილება მოტივაციის გარეშე ქმნის დანაშაულებრივი ქცევის განწყობას, რომლის რეალიზაციაც უშუალოდ დანაშაულებრივ ქცევაში ხდება.

იბადება კითხვა, რაკი იმპულსური ქცევა მოტივაციის გარეშე წარმოებს, ხომ არ გამორიცხავს ეს მართლშეგნების ზემოქმედებას ქცევაზე? რასაკვირველია, არა.

ფიქსირებული განწყობის დროს ანდა როცა ქცევის განწყობა არ მოიცავს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, დანაშაულის ჩადენა შეიძლება გაცნობიერების გარეშე. იმპულსურად. იმპულსური დანაშაულის

მიზეზად შეიძლება გახდეს გარკვეული სიტუაცია, ალკოჰოლის გავლენა, უცარი ძლიერი ემოციური განცდა, განსაკუთრებით კი აფექტი. ყველა ამ შემთხვევაში, აფექტური ქცევის დროსაც კი, ადამიანი პასუხს აგებს კანონის წინაშე თავისი იმპულსური ქცევისათვის, რადგან იგი სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

იმპულსურ ქცევას, როგორც გაუცნობიერებელ ქცევას, არ ახასიათებს მიზნის დასახვის ფსიქოლოგიური ეტაპი, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფსიქოლოგები ლაპარაკობენ მიზანზე იმპულსური ქცევის დროსაც, თუმცა ნებელობითი ქცევის მიზნისაგან განსხვავებით იმპულსური ქცევის მიზანი უშუალოდ მოთხოვნილების პროდუქტია, იგი გაუცნობიერებელია და ისევე, როგორც თვითონ ქცევაც, შოუფიქრებული.

იმპულსური ქცევის განწყობას არ უქლევის წინ მოტივაციის პროცესი, მაგრამ ეს არ აძლევს საფუძველს ფსიქოლოგებს უარყოფით მოტივის არსებობა იმპულსური ქცევის დროს. იმპულსური ქცევის მოტივი განსხვავდება ნებელობითი ქცევის მოტივისაგან იმით, რომ იგი მოცემულია თვით მოთხოვნილებაშივე და მისი დაკმაყოფილების პროცესში. იმპულსური ქცევის დროს მოტივად გვეყვინება ვრძნობა, რომელიც ამცნებს სუბიექტს ქცევის ღრებულებას. იმპულსური ქცევა მიზანშეწონილი ქცევაა და არ ეკუთვნის ისეთ შეუგნებელ ქცევებს, როცა კაცმა არ იცის რას სჩადის. იმპულსური ქცევის დროს ინდივიდი შეიგრძნობს თავისი ქცევის ძირითად მიმართულებას, მაგრამ საკითხავია, აქვს თუ არა მას წარმოდგენა თავისი იმპულსური ქცევის სოციალურსა და სამართლებრივ მნიშვნელობაზე?

ამ საკითხის გამო საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დასავლეთგერმანელ კრიმინალისტს გ. შვეეს. ისინიც კი, — ამბობს იგი, — ვინც კანონს პატივს სცემენ, არც თუ ისე კარგად ერკვევიან საკანონმდებლო ნორმებში და ამიტომ ზედმეტია ვეძებოთ კანონის დამრღვევში „შეგნებულობის“ ელემენტები, როგორც ნათლად გამოხატული განცდა. მთავარია იმის გარკვევა, აქტუალური დამოკიდებულება აქვს პირს დარღვეული საკანონმდებლო ნორმისადმი თუ „კოდნა“ ჩადენილი დელიქტის არამართლზომიერების შესახებ „პოტენციურ ველს“ განეკუთვნება³⁵. შვეეს მიაჩნია, რომ აფექტის დროს ხდება კონცენტრაცია შესატყვის ობიექტზე, ხოლო ამით ადამიანის ინტელექტუალური სფერო

³⁵ იხ. Günter Schewe, Bewußtsein und Vorsatz, Strafrecht, Strafverfahren, Kriminologie, Band 10, Berlin, 1967, s. 153.

იზღუდება და ცოდნის ერთი ნაწილი „პოტენციურ ველში“ გადადის. მიუხედავად ამისა, ადამიანი აფექტის დროსაც ინარჩუნებს აქტუალურ დამოკიდებულებას გარკვეული ცოდნისადმი. შევეს მოაქვს მონადირის მაგალითი, რომელიც სახუნდარში ელოდება ნადირის გამოჩენას; თუმცა მან იცის მომრეყის გამოსაჩენა ადგილი, მაგრამ გატაცების გავლენით ეს ცოდნა პოტენციურ ველში ინაცვლებს და მონადირეს მის მიმართ აქტუალური დამოკიდებულება აღარა აქვს. ავტორის აზრით, იმ დებულების სისწორეს, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაულის დროს დამნაშავეს მაინც აქვს აქტუალური დამოკიდებულება მოქმედების არამართლზომიერებისადმი, ყველაზე უფრო ადასტურებს დამნაშავის უოფაქტევა დანაშაულის ჩადენამდე და ჩადენის დროს, რომელიც არ შეიძლება შევადაროთ იმის მოქმედებას, ვისაც მიაჩნია, რომ ურიგოს არაფერს სჩადის. მართლწინააღმდეგობის მხოლოდ „პოტენციური ცოდნა“ ვერ გამოიწვევს ასეთ მდგომარეობას. მას რომ ეს შესძლებოდა, მაშინ ზემორე მაგალითში მონადირესაც გასროლის დროს თავი მკვლელად უნდა ჰკულებოდა.

აფექტურ მოქმედებას შევე აღარებს მოქმედებას პათოლოგიურ სიმთვრალეში, რომლის დროსაც ზოგიერთ სოციალურ კავშირს ნამდვილად ეკარგება მნიშვნელობა და დიდად ირღვევა სინამდვილის უწყვეტობის შეგრძნება, ყველაფერი, რაც ხდება, ურთიერთდამოუკიდებელ უწყსრიგო ელემენტებად აღიქვება. ასეთ სამოგენურ ან ეგზოგენურ, დაბინდულ მდგომარეობაში ადამიანი ჩვეულებრივ მოქმედებს ისე, ვითომ არათუ უგულებელყოფს ფსიქიკურ ნორმებს (არ უთანხმებს თავის მოქმედებას გარემოს), არამედ ეს ნორმები საერთოდ თითქოს დაკარგულიყოს მისი გონებიდან, თითქოს ისინი არც არსებობდნენ³⁸. ამის კვალობაზე, შევეს შესედულებით, შეურაცხაობის მდგომარეობაში სუბიექტს დარღვეული აქვს ყოველგვარი კავშირი თავის ცოდნასთან. იგი ისე მოქმედებს, თითქოსდა ეს ცოდნა არასოდეს ჰქონოდა. ხოლო აფექტის დროს მას აქვს აქტუალური დამოკიდებულება გარკვეული ცოდნისადმი. ქმედობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებას შევე უკავშირებს ცოდნის გააქტუალურებას, ცოდნისა, რომელიც მანამდე „პოტენციურ ველს“ ეკუთვნოდა.

ჩვენი აზრით, საკითხი სწორად არის დასმული, მაგრამ დასავლეთ გერმანელმა მეცნიერმა თავი აარიდა მთავარს, მან ვერ გვაჩვენა, თუ როგორ ხდება გაცნობიერების გარეშე ცოდნის სწორედ იმ სფეროს

³⁸ ა. შ ე ვ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

გააქტუალურება, რომელიც სუბიექტს ამ ვითარებაში სჭირდება და როგორ შეიძლება დასაბუთდეს აფექტის დროს დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობისადმი, — ეს და სხვა საკითხები შეევეს განუხილველი დარჩა. ამიტომ მისი საინტერესო კონცეფცია დაუმთავრებელია და ზოგჯერ მას თანამიმდევრულობაც აკლია.

ამ რთული საკითხის ამოხსნას, ჩვენი აზრით, დ. უზნაძის განწყობის თეორია იძლევა: — ადამიანის მიერ ცოდნისა და გამოცდილების, ე. წ. „პოტენციური ველის“, შექმნა და გაფართოება ძირითადად ნებელობითი პროცესებია, სწავლით, შრომით, ადამიანებთან ურთიერთობით ხდება. მაგრამ დაგროვილი ცოდნის გამოყენება წარმოებს როგორც ნებელობითი პროცესების შემწყობით, ისე მათ გარეშე. გარკვეული ცოდნის აქტუალიზაცია უპირველეს ყოვლისა სწარმოებს აზროვნების მეოხებით სიტუაციის გაცნობიერებისა და მოტივაციის პროცესში. მაგრამ ცოდნის გააქტუალურება შეიძლება უამისოდაც ხდებოდეს³⁷.

საკითხავია, რატომ ხდება, რომ სიტუაციის გაუცნობიერებლად სხვადასხვა შემთხვევაში ცოდნის სხვადასხვა სფერო აქტუალურდება, რა უწყობს ხელს, რომ გააქტუალურების შემთხვევაში სუბიექტი გაცნობიერების გარეშე იყენებს ცოდნას მოწესრიგებულად და მიზანდასახულად. ყოველივე ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ გაუცნობიერებელი მოქმედებაც განწყობით წარიმართება.

ფსიქოლოგები განწყობას განიხილავენ როგორც ქცევის უშუალო წყაროს, როგორც ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მის მიზანშეწონილობას. ქმედობის შესაბამისობა სიტუაციისადმი, ე. ი. მისი მიზანშეწონილი ხასიათი აიხსნება იმით, რომ განწყობაში წინასწარ მოცემულია ის, რაც მომავალში უნდა მოხდეს. როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ აწყდება სუბიექტურ თუ ობიექტურ დაბრკოლებას ანდა

³⁷ მაგალითად, სტუდენტი რომელიც გუშინ აბარებდა გამოცდას მათემატიკაში, დღეს ელექტროგაყვანილობას აკეთებს სახლში. მას გაუთავდა საიზოლაციო ლენტის მივიდა კარადასთან, გამოიღო ახალი და განაგრძო მუშაობა. მან გააკეთა ეს თავისი ქცევის გაუცნობიერებლად, რადგან იცოდა, რომ კარადაში საიზოლაციო ლენტი იყო. მას არ უმსჯელია ლენტის თვისებებზე და იმაზე, გამოადგებოდა იგი თუ არა, ეინაიდან ადრევე იცოდა მისი თვისებები. იგი გაუცნობიერებლად აღიქვამს ლენტს როგორც ფიზიკურ საგანს, არა მისი გარკვეული მასის, ფორმის, ფერის განცალკევებით, არამედ ყველა მის თვისებას მთლიანობაში. და ასე ხდება იმიტომ. რომ მან იცის საიზოლაციო ლენტის თვისებები და აქვს ამ ცოდნისადმი აქტუალური დამოკიდებულება. ლენტისა და მისი თვისებების შესახებ მან იცოდა გუშინაც, როდესაც გამოცდაზე მათემატიკურ ამოცანას ხსნიდა, მაგრამ მაშინ ამ ცოდნისადმი მას აქტუალური დამოკიდებულება არ ჰქონია, იგი ცოდნის პოტენციურ ველს ეკუთვნოდა.

არ ხდება ქვევის ახალი შაბლონის გამომუშავება, მოქმედება მიმდინარეობს გაუცნობიერებლად, მაგრამ განწყობის მეოხებით, რომელიც მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციის საფუძველზე წარმოიშობა. ასეთი ქვევა მოწესრიგებულია. მისი მიზანშეწონილობა და მოწესრიგებულობა აიხსნება თვით განწყობის შინაარსით, იმით, რომ განწყობა ინდივიდის მთლიან მდგომარეობას მოიცავს. განწყობა წარმოიშობა მოთხოვნილების სუბიექტში და იწვევს მის მოდიფიკაციას გარკვეული ქვევის მიმართულებით.

მაგრამ, თუკი განწყობა სწორედ რომ სუბიექტის გარდაქმნას წარმოადგენს, მის მზაობას განსაზღვრული მოქმედებისათვის. მაშინ იგი პიროვნების ყველა ფსიქოფიზიკური ძალებისა და, კერძოდ, დაგროვილი ცოდნის მოდიფიკაციად ისახება. ცხადია, გარკვეული ქვევის განწყობის შექმნა გულისხმობს სუბიექტის ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურებას, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა კონკრეტული ქვევის განსახორციელებლად.

გავიხსენოთ გ. შევეს მაგალითი. მონადირემ იცის, საიდან მოდის და სად უნდა გამოჩნდეს ნადირის მოპრეკი. მაგრამ მონადირული გატაცება ავიწყებინებს ამას, იგი ესვრის ნადირს და ჰკლავს ადამიანს. ამ შემთხვევაში მონადირის ცოდნამ, რომ მისთვის ცნობილი მიმართულებით თოფის გასროლა სახიფათოა, „პოტენციური ველისაკენ“ გადაინაცვლა. ნადირის მოპოვების მისწრაფებამ და შესაბამისმა სიტუაციამ (ნადირის გამოჩენამ) შეუქმნა მონადირეს ქვევის გარკვეული განწყობა. ამ განწყობის მიხედვით მოხდა მხოლოდ იმ ცოდნის გააქტუალურება, რომელიც შესაბამისი ქვევისათვის იყო საჭირო. მონადირემ მიზანში ნადირი ამოიღო და ესროლა. მისი განწყობა მოიცავდა ნადირის და არა ადამიანის მოკვლას. ამიტომ მონადირეს თოფის გასროლისას არა ჰქონია აქტუალური დამოკიდებულება იმ გარემოებისადმი, თუ სად იმყოფებოდა მოპრეკი. ცოდნა ამის შესახებ, ცოდნის პოტენციურ ველში რჩებოდა. მონადირეს, მართალია, შერჩენილი აქვს შექმნილი სიტუაციის შეფასების შესაძლებლობა, მაგრამ ნამდვილად იგი ვერ აფასებს მას. ასეთი ფსიქიკური მდგომარეობის დროს შესაძლებელია დასაბუთდეს გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა.

მოვიტანოთ სხვა მაგალითიც. ან-ი განრისხებულია ბან-ზე, რომელმაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მას. ან-ი, აფექტით შეპყრობილი, შერბის ოთახში, იღებს სანადირო თოფს და მისდევს ბან-ს, ეწვეა მას, ესვრის და ჰკლავს. ან-ის მოქმედება იმპულსურია, იგი გაცნობიერებული არ არის; მისი არც ფაქტობრივი მხარე და არც საზოგადოებრივი

მნიშვნელობა მოფიქრებული არ ყოფილა, მას მოტივაციის პროცესი არ გაუვლია. მაგრამ განა შეიძლება უარყოფით, რომ ან-ს თავისი ქმედობის ფაქტობრივი და იურიდიული მხარე შეცნობილი ჰქონდა? ვგონებთ, არა.

ფსიქიკურმა ტრავმამ გამოიწვია ან-ში შურისძიების მოთხოვნის აღმოცენება, რაც ემოციური განცდით, რისხვის აფექტით გამოიხატა. შურისძიების მოთხოვნის აღმოცენებამ და სათანადო სიტუაციამ (თოფის ხელმისაწვდომობამ, რისხვის ობიექტის სიახლოვემ) გამოიწვია მკვლელობის განწყობა. რადგან განწყობაში ქცევის მიზანი და სიტუაცია აისახება, ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც საჭიროა ამ ვითარებაში მიზნის მისაღწევად. განწყობის წყალობით ქცევა მიზანშეწონილია და საკმაოდ მოქმედებს: მკვლელი შერბის სწორედ იმ ოთახში, სადაც. როგორც იცის, კედელზე თოფი ჰქონდა. იქნებ მას ამ დროს ხელში წიგნი ეჭირა, მაგრამ მან თავის შეურაცხყოფელს ამ საგნით კი არ შეუტია, რადგან იცის, რომ იგი საამისოდ უეარგისია, არა, იგი თოფით შეიარაღდა, მისდევს მსხვერპლს. ცდილობს სასარულზე მიუახლოვდეს. თავში, ე. ი. სწორედ სასიკვდილო ადგილას, უმიზნებს.

ცხადია, რომ სწორედ განწყობის შედეგად აფექტური მოქმედების დროს მკვლელს არაცნობიერად უჩნდება აქტუალური დამოკიდებულება თავისი მოქმედების არა მარტო ფაქტობრივი მხარისადმი, არამედ მისი შეფასებისადმიც. მან იცის ისიც, რომ კედელზე თოფი ჰქონდა და იგი საიმედო იარაღს წარმოადგენს მიზნის მისაღწევად. და ისიც, რომ საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას სჩადის. და თუ მას, სასროლად გამზადებულს. ვინმე შესძახებს. არ ესროლო, ეს საზოგადოებრივად საშიშიაო, მკვლელი არაფერს ახალს არ გაიგონებს.

ამრიგად. განწყობის გამო იმპულსური და ასევე. კერძოდ. აფექტური ქცევის დროს ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც საჭიროა ამ კერძო ვითარებაში განწყობით მოცული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება. რომელიც არა მარტო საგანთა თუ მოვლენათა ურთიერთკავშირის ფაქტობრივ მხარეს ეხება, არამედ მათ შეფასებითს მხარესაც. ამ შემთხვევაში ქმედობის ფაქტობრივი და შეფასებითი მხარე ერთიანია და გათიშულად არ აღიქვება. ამიტომ აფექტში მყოფმა მკვლელმა იცის არა მარტო ის, რომ თოფით შეიძლება ადამიანი მოკლას, არამედ ისიც, რომ ამის მქმნელი მკვლელია, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ იქცევა.

თუკი იმპულსური ქცევის განწყობა ცოდნის პოტენციური ველის იმ ნაწილის გააქტუალურებას იწვევს. რომელიც მოცემულ ვითარებაში

საქიროა განსაზღვრული ქცევის შესასრულებლად. მაშინ სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის განხორციელების დროს გაცნობიერების გარეშე მოხდება შეგნების იმ ნაწილის გააქტუალურება, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროს მოიცავს. ამ სფეროს კი მართლშეგნება ესახავს.

მართლშეგნება, რომელიც ადამიანის სოციალიზაციის და სამართლებრივი აღზრდის კვალობაზე იქმნება, არ არის მხოლოდ სამართლებრივი ნორმებისა და მათგან გამომდინარე თუ მათზე დამყარებული ურთიერთობის ცოდნა და აგრეთვე ამ სფეროში მიღებული გამოცდილება. იგი წარმოადგენს სამართლებრივ ღირებულებათა მთელ სისტემას, ქცევის შაბლონების წინასწარ გამომუშავებას სამართლებრივი მნიშვნელობის სიტუაციათათვის და, რაც მთავარია, დამოკიდებულებას სამართლებრივი მნიშვნელობის ვარკვეული მოქმედებათადმი. მართლშეგნება არის მზაობა კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად.

მაღალი მართლშეგნება გამორიცხავს მოთხოვნილების დაქმყოფილების სიტუაციიდან სამართლით დაცული ობიექტის ხელყოფას. ე. ი. ქცევას, რომელიც აკრძალულია კანონით. სწორედ ამიტომ გაიყიდველმა რომ დახლზე უყურადღებოდ ფული დატოვოს, ამით მაღალი მართლშეგნების ადამიანისათვის არ იქმნება სიტუაცია, რომელშიც მას შეუძლია ფულის მოთხოვნილება დაიქმყოფილოს. შექმნილი გარემოება არ გამოიწვევს მასში იმპულსურად ქურდობის განწყობას. იმისათვის კი, ვისაც ადრეც მოუპარავს და ამით ქურდობის ფიქსირებული განწყობა გასჩენია, დახლზე დატოვებული ფული ქურდობის განწყობის წარმოშობ სიტუაციას ქმნის. ქურდობის განწყობა შეიძლება მოტივაციის გარეშე გაუჩნდეს დაბალი მართლშეგნების ისეთ ადამიანსაც, რომელსაც, მართალია, ადრე არ მოუპარავს, მაგრამ თუ ხერხიანი გარემოება შეხვდა, ქურდობა, ხელსაყრელ საქმედ მიაჩნია. მას ქურდობის მოტივი და შესაბამისი ქცევის შაბლონი ადრევე აქვს შემუშავებული. ის, ვისაც მანამდე არ უქურდია და ქურდობა ქცევის შაბლონად შემუშავებული არა აქვს, დაუფიქრებლად, მოტივაციის გარეშე ქურდობას ვერ ჩაიდენს. ასეთი მოქმედებისათვის მას ნებისყოფის დაძაბვა და მოტივაციის რთული პროცესი დასჭირდება.

ამრიგად, მოტივაციის გარეშე კანონის შესრულება მაღალი მართლშეგნების მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში კანონი გაცნობიერების გარეშე სრულდება, რამდენადაც მოქალაქეს საამისოდ წინასწარი მზაობა აქვს შექმნილი. პირიქით, დანაშაულის იმპულსურად ჩადენა პიროვნების დაბალი მართლშეგნების, მისი დაბალი სამართლებრივი კულტურის

მაჩვენებელია — ასეთ ადამიანს დანაშაულებრივი ქცევის შაბლონი, დანაშაულის ჩადენის მზაობა წინასწარვე გამომუშავებული ჰქონია და დანაშაულის ჩადენისათვის მოტივაციის პროცესიც აღარ სჭირდება. მისთვის სამართლებრივი კონტროლი მხოლოდ სასჯელით მუქარის სახით არსებობს. დანაშაულს ხშირად იმპულსურად სჩადიან რეციდივისტები, რომელთა მოტივაციის პროცესი მიმართულია არა იქითკენ, ჩაიღინონ თუ არა დანაშაული, არამედ იმაზე, უფრო მოხერხებულად როგორ დაუძვრნენ მართლმსაჯულებას, ანდა ხომ არ გადასდოს დანაშაულის ჩადენა სხვა დროისათვის. რაკი საქმეს „კარგი პირი“ არ უჩანს.

მაშასადამე, მართლშეგნების ზემოქმედების ძალა იმპულსური ქცევის დროს უფრო მკვეთრად მოჩანს. მაღალი მართლშეგნების ადამიანი არც კი უნდა შედიოდეს იმის განსჯაში, ჩაიღინოს თუ არა დანაშაული თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მისთვის დანაშაულებრივი ქმედობა მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან წინასწარვე გამოირიცხულია და ამიტომ იგი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ქცევის არჩევის დროს გაუცნობიერებლად გვერდს უვლის დანაშაულებრივ ქცევას, იმპულსურად ირჩევს ქცევას იმ შაბლონთან, რომელნიც დანაშაულებრივ ქცევათა მიღმა არიან.

0. გენერალური განწყობა და მართლშეგნება. განწყობაში ასახულია მისი შესაბამისი სიტუაციური გეგმა, დრო და სიერციითი კოორდინატები. ზოგჯერ ქცევის დრო იმდენად შორეულია ხოლმე, რომ განწყობის შექმნასა და მის რეალიზაციას შორის დიდი ხანი ძევს. როგორც წესი, ადამიანი ამ ხნის განმავლობაში არ შეიძლება უმოქმედოდ იყოს; იგი გარკვეულ აქტივობას იჩენს და გარკვეულ ქცევებს ახორციელებს, რომლებსაც შესაბამისი განწყობები წარმართავენ. ამ ქცევებს და განწყობებს შეიძლება არაფერი ჰქონდეთ საერთო უფრო ადრეულ განწყობასთან. შესაძლებელია შემთხვევა: ერთი, როცა წინასწარ არ დაგეგმილა, თუ რა ქცევები უნდა განსორციელდეს აღნიშნულ შუალედში, და მეორე, როდესაც ამგვარ ჩართულ ქცევათა გეგმა შემუშავებულია იმთავითვე, ადრეული განწყობის წარმოშობის დროსვე³⁸.

პირველ შემთხვევაში „ინდივიდს ამ (ადრეული განწყობის განსახორციელებელი. — თ. შ.) ქცევის მიმართულებით არაფერი აქვს გასაკეთებელი. დროის ამ ინტერვალში განწყობას მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს, სასელლობრ: იყოს „ფხიზლად“, რათა არ გამოეპაროს იმ ქცევის

³⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. შ. ჩხარტიშვილი. განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975, გვ. 81—103.

გაგრძელების დროის დადგომა, რომელიც მის საფუძველში არსებული სიტუაციური გეგმითაა გათვალისწინებული“³⁹.

მეორე შემთხვევაში აღილი აქვს ე. წ. სიტუაციურ გეგმათა ინტეგრაციას, როდესაც რამდენიმე ერთმანეთში ჩართული ქცევის დაგეგმვა და განხორციელება ხდება⁴⁰. ამ დროს „შეიძლება გამოიშუშავდეს ერთი მთლიანი სიტუაციური გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სად, როდის და რა უნდა გაკეთდეს, რომ ერთი ქცევის განხორციელებისათვის საჭირო რომელიმე მოქმედება და მისი შესატყვისი სიტუაციური ვითარება მეორე ქცევის რეალიზაციის საქმეშიც იქნეს გამოყენებული და ამ გზით დრო და ენერგია დაიზოგოს“⁴¹. როგორ სახეს იღებს მაშინ განწყობა? „განწყობა თავის ძირითად სტრუქტურას ყოველთვის სიტუაციური გეგმიდან იღებს. ამიტომ, როგორცაა სიტუაციური გეგმა, ისეთივეა განწყობა. ინტეგრირებულ სიტუაციურ გეგმას ერთი მთლიანი აგებულება აქვს: მასში ჩართულ ქცევათა სიტუაციური გარემოებანი ერთმანეთს განაპირობებენ და განსაზღვრავენ; იგი განწყობას, როგორც ასეთი, — როგორც ერთი მთლიანი სტრუქტურის მქონე გეგმა — ეღება საფუძველად. ინტეგრირებული სიტუაციური გეგმის ნიადაგზე აგებული განწყობა ინტეგრირებული ქცევის განწყობაა“⁴².

შ. ჩხარტიშვილი დაასკვნის, რომ „ერთდროულად მოქმედი რამდენიმე მოთხოვნის თუ გადაწყვეტილების ნიადაგზე, როცა ობიექტური გარემოებანი ამისათვის საჭირო პირობებს ქმნიან, შესაძლებელია, შემუშავდეს ერთიანი სიტუაციური გეგმა და მის საფუძველზე ერთი ისეთი განწყობა აღმოცენდეს, რომელიც ყველა ამ მოთხოვნის თუ გადაწყვეტილების შესატყვისი მოქმედების ურთიერთჩართვასა და რეალიზაციას უზრუნველყოფს“⁴³.

ამრიგად, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ განწყობა ყოველთვის ერთი კონკრეტული ქცევის განწყობა არ არის. შეიძლება აღმოცენდეს ე. წ. ინტეგრირებული ქცევის განწყობა, რომელიც რამდენიმე ქცევას მოიცავს და ავსებს უკვე დაწყებული ქცევის შუალედებს. იბადება კითხვა, როგორი შეიძლება იყოს ეს შუალედი საათი, დღე, თვე. წელი თუ ათეული წელი?

შუალედი დროით არ იზღუდება. ადამიანი ხშირად ისახავს მიზანს,

³⁹ შ. ჩხარტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

⁴⁰ შ. ჩხარტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 96—97.

⁴¹ შ. ჩხარტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

⁴² შ. ჩხარტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 97-98.

⁴³ შ. ჩხარტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

რომლის განხორციელებას წლები. ზოგჯერ სიცოცხლის საკმაოდ დიდი ნაწილი სჭირდება. მაშასადამე, შეიძლება წარმოიშვას განწყობა, რომლის რეალიზაციას საკმაოდ დიდი ხანი სჭირდება, და რომლის შუალედშიც კაცმა მრავალი სხვადასხვა, გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი, ქცევა შეიძლება განახორციელოს. ქცევითა ნაწილი დაკავშირებული იქნება ძირითად მიზანთან, ნაწილს კი მისთან არავითარი კავშირი არ ექნება. ამავე დროს არ შეიძლება ყველა ქცევას სუბიექტისათვის ერთნაირი ღირებულება აქონდეს. აღამიანს აქვს ცხოვრებაში მთავარი მიზანი, რომელსაც ექვემდებარება დანარჩენი მიზნები. ვთქვათ, ახალგაზრდამ დაისახა მიზნად შექმნას ოჯახი, დაიცვას ლისერტაცია და დაწინაურდეს. სამივე ეს მიზანი ახალგაზრდის ცხოვრების ძირითადი მიზნებია, სამივე ამ მიზნის მიღწევას სათანადო აქტივობა სჭირდება. სამსავე შესრულება სწორედ ინტეგრირებული ქცევის განწყობის შექმნას მოითხოვს. მაგრამ ამ სამ ძირითად მიზანთაგან ერთ-ერთი გენერალურ მიზნად უნდა იქცეს. რომელსაც ორი დანარჩენი მიზანი და ცხოვრების მრავალი სხვა მიზანი დაექვემდებარება. რომელი მიზანი იქცევა ინდივიდისათვის გენერალურ მიზნად, ამას ერთგვარად მოთხოვნილების სიძლიერე განაპირობებს. მაგრამ საბოლოოდ მაინც მოტივაციის პროცესი გადაწყვეტს. მოტივაციის პროცესის მეოხებით გამომუშავდება გენერალური ქცევის მოტივი, გენერალური ქცევის გადაწყვეტილება და გენერალური ქცევის განწყობა⁴⁴.

მას შემდეგ, რაც აღამიანს გამოუმუშავდება გენერალური ქცევის განწყობა, ის უკვე იმგვარად არის მოდიფიცირებული, რომ ყველა და-

⁴⁴ უახლეს სიბჭოთა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში უკვე გაჩნდა ე. წ. ზოგადი მოტივის ცნება. დ. კიკნაძის აზრით, „არსებობენ ისეთი მოტივებიც, რომლებიც იქმნება აღამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე, პრაქტიკის საფუძველზე და ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედების მოტივს კი არ წარმოადგენს, არამედ მრავალ გარეგნულად განსხვავებულ მოქმედებას განაპირობებს. ასეთ მოტივს ჩვენ ზოგად მოტივს ვუწოდებთ. მისი სუბიექტური ფაქტორები ყალიბდება აღამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე კონკრეტული მოტივების გაერთიანების შედეგად“ (იხ. დ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 142). ზოგადი მოტივის დამახასიათებელ ნიშნად დ. კიკნაძეს ის მიაჩნია, რომ „ზოგადი მოტივი მოტივაციის ეტაპის ხელახალი გველის გარეშე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უშუალოდ, თითქოს გადაწყვეტილების აქტის გარეშე იწვევს მოქმედებას, მაგრამ გადაწყვეტილება აქ მოხსნილი სახით არსებობს... ზოგადი მოტივის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გარკვეულ სფეროში აღამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უმუშავდება. ცალკეული მოქმედებები ხშირ შემთხვევაში ამ ზოგადი მოტივითაა განპირობებული და წარმართული“ (იქვე, გვ. 143). დ. კიკნაძეს არ განუვითარებია თავისი მოსაზრება, თორემ ალბათ ლოგიკურად მივიღოდა ზოგადი მიზნისა და ზოგადი განწყობის აღიარებამდე.

ნარჩენი ქცევა გენერალური ქცევის განწყობას უნდა დაექვემდებაროს. გენერალური განწყობის შექმნა ნიშნავს ადამიანის მზაობას განახორციელოს მრავალი ქცევა, რომლებიც ერთი გენერალური მიზნის მიღწევას ემსახურება. ამის შემდეგ რომელიმე სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოტივაციის პროცესში გენერალური მოტივი მოქმედებს უკვე როგორც მოტივაციის უძლიერესი ფაქტორი. მისი ზემოქმედება იმით გამოიხატება, რომ იგი აფერხებს ისეთი ქცევის მოტივის გამომუშავებას, რომელიც ეწინააღმდეგება გენერალურ მოტივს. სანამ გენერალური განწყობა არსებობს, იგი გამორიცხავს მისი საწინააღმდეგო განწყობის წარმოშობას. იმისათვის, რომ გენერალური განწყობის საწინააღმდეგო განწყობა წარმოიშვას, ჯერ უნდა მოიხსნას გენერალური განწყობა. ადამიანი ყოველთვის არ ახორციელებს თავის მიზნებს, მათ შორის გენერალურ მიზანსაც. შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი. მაშინ ადამიანი განაახლებს გენერალური ქცევის მოტივაციას, რის შედეგადაც შეიძლება გამომუშავდეს ახალი გენერალური ქცევის მოტივი, ანდა უარყოფილ იქნეს ძველი, ხოლო ახალი აღარ გამომუშავდეს. მაგრამ, სანამ გენერალური მოტივი ძალაშია, ყველა დანარჩენი ქცევის მოტივი შეთანხმებული უნდა იყოს მასთან, ყოველ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას.

თუკი ადამიანი ახორციელებს ქცევას, რომელიც ინდიფერენტულია გენერალურ განწყობასთან, მაშინ გენერალური განწყობა მიყუჩებულია, იგი ადამიანის ე. წ. „პოტენციურ ველში“ იმყოფება. მისი გააქტუალურება მხოლოდ შესაბამის სიტუაციაში ხდება და ამდენად მას ფიქსირებული გენერალური განწყობა შეიძლება ვუწოდოთ. იგივე ხასიათს იძენს გენერალური მოტივი და გენერალური მიზანი. მათაც შესაბამისად უნდა ვუწოდოთ ფიქსირებული გენერალური მოტივი და ფიქსირებული გენერალური მიზანი.

არაფერი ისე არ წარმოაჩენს ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებას, როგორც მისი ფიქსირებული გენერალური ქცევის მიზანი, მოტივი და განწყობა. სწორედ ამ ელემენტებში ჩანს სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებათა მთელი სისტემა, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ სახეს.

ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში, თუ ახალგაზრდამ თავის გენერალურ მიზნად კარიერა მიიჩნია, მაშინ მისი ცხოვრების სხვა ძირითადი მიზნები ამ გენერალურ მიზანს და ქცევის გენერალურ განწყობას დაემორჩილება. ისეთი, თითქოსდა სუბიექტური მნიშვნელობის, ქცევის

მოტივაციის პროცესშიც კი, როგორც ცოლის შერთვაა. უძლიერეს მოტივად გენერალური მოტივი მოგვევლინება და ახალგაზრდამ საცოლე შეიძლება სწორედ იმ წრესა და ოჯახში აიჩიოს, რომლებიც მის კარიერას ხელს შეუწყობენ. ახალგაზრდა მისი ცხოვრების მეორე მიზნის განსაზღვრისთვის დაიხილა. დისერტაციის დაცვაზე, იმდენად იზრუნებს, რამდენადაც იგი კარიერისათვის გამოდგება. თუკი ამგვარი მუშაობა მას რაიმე მოსაზრებით ხელს შეუშლის სამსახურებრივ წარმატებაში, ახალგაზრდა განაახლებს დისერტაციის დაცვის მოტივაციის პროცესს, რომელშიც მოტივაციის ძირითად ფაქტორად ისევ გენერალური მოტივი მოგვევლინება. ამ მოტივის ზემოქმედებით შეიძლება დისერტაციაზე ხელის ალების მოტივიც გამომუშავდეს.

თუნდ ჩაიღინოს კაცმა დანაშაული, თუნდ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია მისი გენერალური მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა. ვისაც თავისი ცხოვრების გენერალურ მოტივად გამდიდრება დაუსახავს, მას, რასაკვირველია, უფრო ადვილად შეუმუშავდება ქრთამის ალების ანდა სახელმწიფო ქონების მითვისების მოტივი და საამისო დანაშაულებრივი განწყობაც უფრო ადვილად შეექმნება. პირიქით, იმას, ვისაც ცხოვრების გენერალურ მიზნად ხალხის სამსახური და კეთილსინდისიერი შრომა დაუსახავს. შემუშავებული აქვს შესაბამისი გენერალური მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ კაცს თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო ქონების მითვისების მოტივი გამოუმუშავდეს. ამას წინ გადაელობება გენერალური მოტივი, ხოლო გენერალური განწყობა არ შეიგუებს, რომ დანაშაულებრივი ქცევის განწყობა წარმოეშვას.

სამართლებრივი აღზრდა, სწორედ იმას გულისხმობს, რომ მოქალაქეს სამართლებრივი ნორმების შესრულების გენერალური მიზანი, მოტივი და განწყობა უნდა შეუმუშავდეს. ასეთი განწყობა კანონის მოთხოვნათა შესრულების წინასწარ მზაობას ნიშნავს, იგი პიროვნების იმგვარი მოდიფიკაციაა, რომლის დროსაც მართლსაწინააღმდეგო ქცევა წინასწარვე გამორიცხულია. ასეთი გენერალური მოტივი ძლიერი ფაქტორია, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქცევის მოტივის გამომუშავებას ეწინააღმდეგება.

გარდა ფიქსირებული გენერალური მოტივისა, როგორც მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორისა, ქცევის მოტივაციის პროცესში მონაწილეობს ფიქსირებული გენერალური ქცევა, რომელსაც ადამიანი განიხილავს უკვე როგორც ობიექტურად მოცემულ მისთვის მისაღწევ

მიჯნას. გენერალური ქცევა, რომელიც ადრე მოტივაციის შედეგად მიღებული იდეალური ფენომენი იყო, შექმდეში იქცევა გენერალური მოთხოვნის ობიექტად, რომელიც ადამიანზე უკვე ობიექტური რეალობის მსგავს ფაქტორად მოქმედებს.

თუი შართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივის და შესაბამისი განწყობის გამომუშავება სამართლებრივი ნორმების შესრულების წინასწარ შზაობას ნიშნავს, მაშინ შართლშეგნების ამადლება გულისხმობს სწორედ შართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივისა და განწყობის გამომუშავებას. რაც უფრო მაღალი ხდება შართლშეგნების დონე, მით მეტი წარმატებით მუშავდება შართლზომიერ ქცევათა გენერალური მოტივი და შესაბამისი განწყობა.

ყოველივე იმის მიხედვით, რაც დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფაქტორთა თაობაზე ითქვა, დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა შემდეგი სახით წარმოგვიდგება⁴⁵ (იხ. სქემა № 2).

ამრიგად, ჩაიღენს თუ არა კაცა დანაშაულს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე გამოუმუშავდა მას თუ არა დანაშაულებრივი ქცევის მოტივი. ამისათვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოტივაციის ფაქტორთა ურთიერთშეპირისპირებას, რომლის მონაწილე ფაქტორებს შორისაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი შართლშეგნებაა.

შართლშეგნება ძირითადად არის სამართლის ცოდნა და გაზიარება, შზაობა მისი ნორმების შესასრულებლად. მაღალი შართლშეგნება უკვე

⁴⁵ შართლშეგნება როგორც მოტივაციის ფაქტორი ყოველთვის მონაწილეობას იღებს დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის პროცესში. ეს აიხსნება იმით, რომ არ არსებობს ნორმალური ადამიანი, რომ სულ მოკლებული იყოს შართლშეგნებას. მექრთამე დანაშაულს იღენს და ამით თავის დაბალ შართლშეგნებას ამქლანებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი, თუგინდაც დიდი საზღაურისათვის, აუცილებლად კაცის მქვლეი ან ჭიბგირი გახდება; იგივე ითქმის თაღლითზეც ჩვენს მაგალითში ან-მა გამოიმუშავა თავისი მეზობლის გაქურდვის მოტივი, მაგრამ, თუ შემდგომ შეცვლილი ვითარება უკარნახებს, რომ მეზობლის ფულის ხელში ჩასაგდებად საჭიროა მისი მოკვლა, მან შეიძლება საერთოდ უარი თქვას ასეთი დანაშაულის ჩადენაზე, და ეს იმიტომ, რომ მას ისეთი შზაობა აქვს გამომუშავებული კაცისკვლის ჩუღღნლობისათვის, როგორც არ შესწევს ქურდობის მიმართ. იგივე ითქმის გენერალური მოტივის შესახებაც. მაღალი შართლშეგნების ადამიანს გამომუშავებული აქვს გენერალური მოტივი საერთოდ ყოველგვარი დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ; დაბალი შართლშეგნების ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ასეთი გენერალური მოტივი დანაშაულთა დიდი ჭგუფის მიმართ ანდა შესაძლებლად მიაჩნდეს. მაგალითად, მხოლოდ ქრთამის აღება და სახელმწიფო ქონების მითვისება. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ადვილად ჩაიღენს მექრთამეობას ან მიიტაცებს სახელმწიფო ქონებას, მაგრამ არ „იკადრებს“ ხულიგნობას, გაუპატიურებას, თაღლითობას და სხვ.

უზრუნველყოფს იმას, რომ სამართლის ნორმას მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლის ძალა მიეცეს. მაღალი მართლშეგნება უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმის სასარგებლო გენერალური მოტივისა და გენერალური განწყობის წარმოშობას. მაღალი მართლშეგნება უზრუნველყოფს იმას, რომ სამართლებრივ ნორმას ადამიანისათვის დამოუკიდებელი სოციალური ღირებულება ჰქონდეს და იგი გაპირობებული იყოს „მე“ — კონცეფციაში, როგორც თავისთავადი სოციალური ღირებულების ფენომენი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავის ეტალონურ ჯგუფად ისეთ სოციალურ ჯგუფს მიიჩნევს, რომელშიც სამართლებრივი ნორმის გაზიარების აზრია გამეფებული. ამგვარი საზოგადოებრივი აზრი სოციალური კონტროლის როლს ასრულებს. მაღალი მართლშეგნების პირობებში მოტივაციის სუბიექტური მხარის სამი ფაქტორი — მართლშეგნება, „მე“ — კონცეფცია და გენერალური მოტივი — და მათი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები ისე წარმართავენ მოტივაციის პროცესს, რომ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სწორედ მართლზომიერი ქცევა გამოინახება.

მაღალი მართლშეგნება, როგორც უკვე ითქვა, გამორიცხავს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან დანაშაულებრივ ქცევას. ამიტომ, მის დროს გამორიცხულია განზრახი დანაშაულის ჩადენა მოტივაციის გარეშე, ე. ი. იმპულსურად. იმპულსური ქცევის დროს მოტივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმდინარეობაში შეიგრძნობა. თუ მაღალი მართლშეგნების წყალობით ადამიანს გამომუშაებული აქვს მართლზომიერ მოქმედებათა გენერალური მოტივი, მაშინ დანაშაულებრივი ქცევის მიმდინარეობაში მან ვერ უნდა შეიგრძნოს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სუბიექტური ღირებულება. მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივი მართლზომიერი მოქმედების გენერალურ განწყობას ქმნის. ამის გამო მოთხოვნილებას არ შეუძლია მოტივაციის გარეშე შექმნას გენერალური განწყობის საწინააღმდეგო დანაშაულებრივი განწყობა, რომელიც შემდეგ იმპულსურად შესაბამის დანაშაულებრივ ქცევად გადავა. სწორედ ამიტომ დანაშაულის პროფილაქტიკისათვის ყველაზე მოქმედი საშუალება მართლშეგნების ამაღლებაა.

მართლშეგნების ამაღლება ადამიანის სამართლებრივი აღზრდის ურთულესი პრობლემაა. იგი მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული და ხანგრძლივ და მეცნიერულად გააზრებულ შრომას მოითხოვს. ამ გზაზე წარმატების მოსაპოვებლად უპირველესად უნდა ვირწმუნოთ მართლშეგნების როლი დანაშაულებრივი ქცევის სტრუქტურაში და შევისწავლოთ მოსახლეობის მართლშეგნების დონე. ჩვენი ნაშრომის შემდეგი თავი სწორედ ამ მეორე საკითხს ეხება.

მოსწავლათა და სჯულდევნობის მართლშეგნების დახასიათება

მართლშეგნება.სამართლებრივი კულტურის ელემენტია, ხოლო თვითონ სამართლებრივი კულტურა ინდივიდის თუ საზოგადოების საერთო კულტურის ნაწილს წარმოადგენს. სამართლებრივი კულტურა არის ხალხის შექმნილ მატერიალურ და სოციალურ ღირებულებათა ერთობლიობა და აგრეთვე ქცევის წესები, რომლებიც შემოღებულია ადამიანთა გარკვეულ ერთობაში და გადაეცემა სხვა ერთობებს. ინდივიდებსა და მომდევნო თაობებს¹.

როგორც მარქსიზმის ფუძემდებლები აღნიშნავდნენ, „რელიგია, ოჯახი, სახელმწიფო, სამართალი, მორალი, მეცნიერება, ხელოვნება და სხვ. მხოლოდ განსაკუთრებული ფორმებია წარმოებისა...“².

ამრიგად, ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი კულტურა მხოლოდ შეგნებას, ე. ი. სულიერ სფეროს როდი ეკუთვნის, იგი სოციალური ფენომენია, რომელიც ადამიანის საქმიანობას, მის ქცევასაც მოიცავს და საბოლოოდ განპირობებულია საზოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობათა დონით.

ამისდაკვალად სამართლებრივი კულტურა მართლშეგნებასთან ერთად შეიცავს აგრეთვე მთელ სამართლებრივ ურთიერთობებს, ანუ პრაქტიკასაც.

მართლშეგნების ამაღლება ნიშნავს სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური კულტურის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა.

¹ იხ. В. И. Каминская, А. Р. Ратинов. Правосознание как элемент правовой культуры. В книге: Правовая культура и вопросы правового воспитания. М., 1974, стр. 40.

² К. Маркс, Ф. Энгельс. Из ранних произведений. М., 1956, стр. 589.

მართლშეგნების, ხოლო მასთან ერთად სამართლებრივი კულტურის, ამაღლების ერთ-ერთ გზას მოქალაქის სამართლებრივი აღზრდა წარმოადგენს.

სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივ განათლებაზე ფართო, მისი შემცველი ცნებაა. მასების სამართლებრივი განათლება, მათთვის სამართლებრივი ცოდნის მიწოდება სამართლებრივი აღზრდის თუშკა აუცილებელი, მაგრამ შედარებით მცირე ელემენტია. სამართლებრივი აღზრდა გულისხმობს მართლშეგნების ამაღლებას და აუცილებელი პირობაა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისა.

საზოგადოების სამართლებრივი კულტურა განისაზღვრება საზოგადოებრივი მართლშეგნებით, თვითონ სამართლებრივი ნორმებითა და ინსტიტუტებით, ბოლოს, — სამართლებრივი ურთიერთობებით. ამავ დროს სამართლებრივი კულტურა მკიდრო კავშირშია საზოგადოების პოლიტიკურ, ზნეობრივსა და ესთეტიკურ კულტურებთან.

სამართლებრივი კულტურის სტრუქტურული კავშირები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (იხ. სქემა.)³.

	კულტურის დარგები			
	პოლიტიკა როგორც კულტურის დარგი	სამართლებრივი კულტურა	ზნეობრივი კულტურა	ესთეტიკური კულტურა
საზოგადოებრივი ურთიერთობები	პოლიტიკური ურთიერთობები	მართლურითიერთობები	ზნეობრივი ურთიერთობები	ესთეტიკური ურთიერთობები
საზოგადოებრივი შეგნება	პოლიტიკური შეგნება	მართლშეგნება	ზნეობრივი შეგნება	ესთეტიკური შეგნება
სოციალური ნორმები	პოლიტიკური ნორმები	სამართალი	ზნეობა, როგორც ნორმათა სისტემა	ესთეტიკური ნორმები
სოციალური დანაწესებნი (ინსტიტუტები)	პოლიტიკური ორგანოები და დანაწესებნი (ინსტიტუტები)	სამართლებრივი დანაწესებნი (ინსტიტუტები)	საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დანაწესებნი (ინსტიტუტები)	მხატვრულ-საგანმანათლებლო დანაწესებულებები
სოციალური მოქმედება (საქმიანობა)	პოლიტიკური მოღვაწეობა	სამართლებრივი მოქმედება (საქმიანობა)	ზნეობრივი მოქმედება (საქმიანობა)	მხატვრულ-ესთეტიკური საქმიანობა

ამრიგად, მართლშეგნების ამაღლება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური შეგნების ამაღლებაზე, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეულ კავშირშია სამართლებრივი ურთიერთობების, თვით სამართლისა და სამართლებრივი დანაწესებულებების

³ იხ. ვ. კ ა მ ი ნ ს კ ა ი ა, ა. რ ა ტ ი ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

დონესთან. მართლშეგნების ამაღლებას, როგორც ამას წინა თაქშიაც ვამბობთ, დიდი გავლენა აქვს ისეთი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, რომელიც სამართლის მოთხოვნებს იზიარებს.

სოციალისტურ საზოგადოებაში სამართალს მომწესრიგებელი და აღმზრდელი ფუნქცია აქვს. იგი აწესრიგებს ადამიანთა ქცევას, მისი მეოხებით ადამიანები გარკვეულ ჩვევებს, ქცევის შაბლონებს იმუშავენ. ამავე დროს სამართლებრივ ნორმებს არა აქვთ გარდუვალი ძალა ბუნების ობიექტური კანონებივით. მათი მომწესრიგებელი და აღმზრდელი ფუნქცია თვით მოქალაქეთა მართლშეგნებით განისაზღვრება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის თავისთავად სოციალურ ღირებულებას, ე. ი. იმას, თუ რა ადგილი უჭირავს სამართალს, მის ნორმებს ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემაში.

დაბალი მართლშეგნება, სამართლის ნორმების გაუზიარებლობა, საბჭოთა სამართლის ძირითადი პრინციპების უცოდინარობა ასუსტებს სამართლის მომწესრიგებელ ფუნქციას.

მართლშეგნების ამაღლების ერთ-ერთი ქმედითი გზა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდაა. მოსწავლეთა და სტუდენტობის სამართლებრივი აღზრდისათვის ჩვენს რესპუბლიკაში უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, მაგრამ ამ საქმის წარსამატებლად თავიდანვე გამოსაკვლევიან, თუ რა დონეზეა აღნიშნული ახალგაზრდობის მართლშეგნება, რაში და როგორია მისი ხარვეზები. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი დაისახოს და განხორციელდეს მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის.

წინამდებარე სოციოლოგიურ გამოკვლევაში ჩვენ არ დავჭერბივართ იმის შესწავლას, თუ როგორი სამართლებრივი ცოდნა გააჩნია მოსწავლეებსა და სტუდენტობას. შესწავლის საგანს შეადგენდა აგრეთვე ახალგაზრდობის დამოკიდებულება სამართლის ნორმებისადმი და სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების მიმართ. ჩვენ ვიკვლევდით აგრეთვე ახალგაზრდობის ჩახედულობას სასამართლო ორგანოების ძირითად ფუნქციებსა და მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებში, რათა მოგვეპოვებინა ერთგვარი საფუძველი იმის შესაფასებლად, თუ როგორია სამართლის სოციალური ღირებულება და მართლმსაჯულების ორგანოთა ავტორიტეტი ახალგაზრდობის თვალში.

ანკეტის კითხვები, რომლებმაც სამართლებრივი ნორმების ცოდნის დონე უნდა ნათელყონ, ეხება მხოლოდ სისხლის სამართალს. ჩვენ არ შეგვეძლო ერთდროულად გამოგვეკვია ცოდნა სამართლის ყველა

დარგში და, რაკი გამოსაკვლევად ერთ-ერთი უნდა აგველო, ყველაზე მიზანშეწონილად სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმები მივიჩინეთ, და აი რატომ: სამართალდარღვევებს შორის საზოგადოებრივად ყველაზე საშიშ დარღვევად სახელმწიფო სისხლისსამართლებრივ დარღვევას, ანუ დანაშაულს აღიარებს. მხოლოდ ამგვარი სამართალდარღვევისათვის არის დაწესებული ყველაზე მკაცრი სანქცია — სასჯელი, რომელიც ადამიანს ზოგჯერ საკმაოდ დიდი ვადით (15 წლამდე) აღუკვეთს ხოლმე თავისუფლებას, ამასთანავე ჩვენი კანონმდებლობა, გამონაკლისად სასჯელის უმაღლეს ზომას, სიკვდილით დასჯასაც კი ითვალისწინებს.

ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივ აზრსაც უმეტესად დანაშაულის და სასჯელის პრობლემები იზიდავს. საზოგადოება ყველაზე დიდ რეაქციას იჩენს სწორედ დანაშაულის, როგორც საზოგადოებისათვის ყველაზე საშიში ბოროტების გამო.

მწერლობის, თეატრის, კინოს, პრესის საგანიც სამართალდარღვევათა შორის უპირველესად დანაშაული და სასჯელია. ახალგაზრდობას, განსაკუთრებით სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს, ყველაზე ადრე უჩნდება ცოდნა და დამოკიდებულება დანაშაულისა და სასჯელის პრობლემებისადმი. მაგალითად, შრომისა თუ სამოქალაქო სამართლის დარღვევები მათ ამ ხანში ნაკლებად აინტერესებთ. მასთანადავ, თუ ახალგაზრდობას არ ექნება სისხლისსამართლებრივი ნორმების ცოდნის მინიმუმი და ამ სფეროში გამოამქლავნებს მართლშეგნების დაბალ დონეს, ბუნებრივია, უკეთესი მდგომარეობა არ გვექნება მართლშეგნების სხვა სფეროებშიც.

შედარებისათვის შრომაში ვიყენებთ ქ. მოსკოვში მოწყობილი ამდაგვარი სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებს. იგივეა გამოკვლევის მეთოდოლოგია და ანკეტებიც⁴.

§ 1. მოსწავლეებისა და სტუდენტების გაცნობიერების დონე სისხლის სამართლის დარგში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით „ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედობის ჩადენის დროს...“. კანონის

⁴ იხ. В. И. Каминская, Н. Я. Константинова, Н. А. Носкова, А. Р. Ратинов. Характеристика правосознания различных групп населения. В книге: Правовая культура и вопросы правового воспитания. М., 1974, стр. 85—107.

ეს დებულება გამოხატავს ცნობილ დემოკრატიულ პრინციპს — არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სსსრკელი კანონის გარეშე.

ამ პრინციპიდან გამომდინარეობს დებულება, რომ, თუკი კანონი გამოიცა, მოქალაქემ უნდა იცოდეს იგი და უნდა ასრულებდეს მას. კანონის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ადგენს. მის მიერ დადგენილი კანონები, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და ნორმატიული მნიშვნელობისა არიან, გამოქვეყნებული უნდა იქნენ სათანადო ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში არა უგვიანეს შვიდი დღისა დადგენის შემდეგ. თუ სისხლის სამართლის კანონში მისი ძალაში შესვლის დრო სპეციალურად გათვალისწინებული არ არის, მაშინ იგი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ. კანონის გამოქვეყნების შემდეგ მის ძალაში შესვლამდე ათდღიანი ვადა იძიტომ არის დაწესებული, რომ მოქალაქემ შესძლოს კანონის გაცნობა. ამის შემდეგ, თუ კი მოქალაქე დაარღვევს კანონს, მას არა აქვს უფლება მისი უცოდინარობა მოიმიზეზოს. კანონის უცოდინარობა არ ათავისუფლებს დანაშაულს სასჯელისაგან და არც ხვედრი უმსუბუქდება ამით.

პირველი საკითხი, რომლითაც ჩვენ დავინტერესდით სწორედ ეს იყო: როგორ აქვს წარმოდგენილი ახალგაზრდობას კანონის არცოდნის გავლენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. გამოკვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა (იხ. ცხრილი № 1).

ამრიგად, გამოიჩვენა, რომ ახალგაზრდების მხოლოდ 24,2%-მა იცის, რომ კანონის უცოდინარობა გავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობაზე; 8,2%-ს მიაჩნია, რომ ეს გარემოება ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისაგან, ხოლო 54,7% თვლის, რომ კანონის უცოდინარობა ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. განსაკუთრებით ნაკლები ცოდნა ჰქონიათ ამ საკითხში ბოლო კლასის მოსწავლეებს — სწორი პასუხი გასცა მხოლოდ 18,4%-მა, ტექნიკუმის მოსწავლეთაგან 25%-მა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სტუდენტებს შორის, რომელთა სწორი პასუხები 30,9%-ს შეადგენს.

უმაღლეს სასწავლებლებში მდგომარეობა თითქმის თანაბარია, სწორი პასუხები შეადგენს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 29,8%-ს, თბილისის სხვა უმაღლესი სასწავლებლები — 31%-ს, სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში — 21,3%-ს.

ამრიგად, საქართველოს მოსწავლეებსა და სტუდენტობის უმრავლესობას ჰგონია, რომ, თუ დანაშაულს ჩაიდენენ, კანონის ცოდნა მათ სასჯელს დაუმძიმებს. ბუნებრივია, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ეს ხელს

ცხრილი № 1

დასმული კითხვები და შესაძლებელი პასუხები	საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და პროფ. სასწავლებლები			უმაღლესი სასწავლებლები							
	-ა.პიცი	ესიცი	ესიცი	-ა.პიცი	ესიცი	ესიცი	-ა.პიცი	ესიცი	ესიცი					
	ესიცი	ესიცი	ესიცი	-ა.პიცი	ესიცი	ესიცი	-ა.პიცი	ესიცი	ესიცი					
1. განათკურსდება პასუხისმგებლობისაკენ	5,8	6,9	14,0	9,5	5,0	9,7	14,5	9,3	6,5	4,7	6,9	5,0	6,4	8,2
2. შეუმსუბუქდება პასუხისმგებლობა	63,7	60,0	50,7	57,1	65,0	51,6	41,9	54,0	55,0	50,5	57,5	35,0	51,9	54,7
3. გაელენას არ მოახდენს პასუხისმგებლობაზე	23,1	18,3	15,3	18,4	17,5	27,4	32,3	25,0	29,8	31,0	21,3	56,0	30,7	24,2
4. პასუხის გატემა მივიჩნის	7,4	14,8	20,0	15,0	12,5	11,3	11,3	11,7	8,7	13,6	14,3	—	10,3	12,9

შეუშლის ახალგაზრდობის მისწრაფებას სისხლისსამართლებრივი ნორმები იცოდნენ⁵.

2. საქართველოში შეხვედები მაკნე საზოგადოებრივ აზრს, რომელიც აქარწყლებს ან ამსუბუქებს ჰეთვრალის ზნეობრივ პასუხისმგებლობას ცუდი საქციელისათვის. ხშირად გაიგონებ: „რა ვუყოთ მთვრალი იყო“-ო, „მთვრალს არ უნდა აპყვე“-ო, „გამოფხიზლდება და კაცი იქნება“-ო და ა. შ. ასეთი საზოგადოებრივი აზრი ხელს უწყობს სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენას, რადგან იგი აღბეჭდილია ადამიანის შეგნებაში როგორც მორალური პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ფაქტორი.

სოციალისტური სახელმწიფო და საზოგადოება ვერ შეურიგდება ამგვარ საზოგადოებრივ აზრს, სიმთვრალე და ლოთობა საზოგადოებრივად საშიში მოვლენაა თავისთავად, ხოლო ხშირად დანაშაულის წყაროდაც გვევლინება და, ამიტომ ლოთობასთან ბრძოლა ამავე დროს არის ბრძოლა დანაშაულობასთან. კანონმდებელმა გაითვალისწინა ყოველივე ეს და სიმთვრალე დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად გამოაცხადა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად სასჯელის განსაზღვრის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება „დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა“.

ამ ნორმას უპირველეს ყოვლისა ზოგადპრევენციული მნიშვნელობა აქვს. იგი შემაკავებელ იმპულსად უნდა მოქმედებდეს როგორც დათრობის დროს, ისე მაშინ, როცა მთვრალი ამა თუ იმ ქცევას აირჩევს.

იმის დასადგენად, თუ რა იცის ამის თაობაზე ახალგაზრდობამ და როგორია მისი დამოკიდებულება სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისადმი. ანკეტაში შეტანილი იყო კითხვა: „ბასიშვილმა ჩაიღინა ხულიგნობა. საქმის განხილვისას დადგინდა, რომ ბასიშვილი მთვრალი იყო. აქვს თუ არა, თქვენი აზრით, ამ ფაქტს საქმისათვის მნიშვნელობა, და თუ აქვს, როგორი?“ (იხ. ცხრილი № 2).

⁵ მოსკოვში ჩატარებულმა გამოკვლევამ შემდეგი გამოავლინა: სწორი პასუხი დასმულ კითხვაზე გასცა გამოკითხულთა 42,7%-მა, 41,7%-მა ჩათვალა, რომ კანონის უცოდინარობა ამსუბუქებს სასჯელს, 3,6%-ს შიანია, რომ კანონის არცოდნა სასჯელის გამომრიცხველი გარემოებაა. სოციალური ჯგუფების მიხედვით სურათი ასეთია: სწორი პასუხი გასცა მოსამსახურეების 47,6%-მა, მოსწავლეთა 44%-მა და მუშების 36%-მა (იხ. ვ. კამინსკაია, ა. რატინოვი დასახ. ნაშრომი, გვ. 90).

დასმული კითხვები და შესაძლებელი პასუხები	საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და კოლეჯები			შეჯილდის სასწავლებლები								
	სკოლები			სკოლები და კოლეჯები			საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და კოლეჯები			შეჯილდის სასწავლებლები		
	აბსოლუტური	პროცენტი	შედეგები	აბსოლუტური	პროცენტი	შედეგები	აბსოლუტური	პროცენტი	შედეგები	აბსოლუტური	პროცენტი	შედეგები	აბსოლუტური	პროცენტი	შედეგები
1. ანთიფოსტებს პასუხისმგებლობისაგან	1,1	5,2	7,0	4,9	1,2	9,7	14,5	7,8	—	0,8	—	0,3	3,4		
2. ამუბუქებს პასუხისმგებლობას	34,2	20,3	23,1	18,6	24,2	25,8	22,5	1,7	7,1	19,6	6,0	13,5	19,4		
3. ამომებს პასუხისმგებლობას	59,6	62,8	63,3	62,2	56,2	55,5	48,4	37,8	62,3	7,6	64,1	43,0	64,8	62,7	
4. საჭმისათვის მნიშვნელობა არა აქვს	3,7	5,2	4,7	4,9	6,2	6,4	9,7	7,4	17,4	9,6	12,2	44,0	17,4	10,1	
5. არ კითხ	1,4	6,5	4,7	4,9	7,6	3,2	1,6	4,5	3,6	6,5	3,3	2,0	4,0	4,4	

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა. სწორი ცოდნა მოსწავლეთა და სტუდენტობის მხოლოდ 62,7%-ს უკავია. მესამედზე მეტი კი თვლის, რომ სიმთვრალე ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან სრულიად ათავისუფლებს მისგან.

შედარებით უკეთ სცოდნია ნამდვილი ვითარება სტუდენტობას 64,8%-ს, კერძოდ, თბილისის უნივერსიტეტში 62,3%-ს და თბილისის სხვა სასწავლებლებში 64,1%-ს.

საშუალო სკოლის მოსწავლეებს შორის ყველაზე ნაკლები ცოდნა გამოამკვლავნეს თბილისელებმა (სწორი პასუხი შეადგენს 59,6%-ს), ოდნავ უკეთ არის საქმე სხვა ქალაქების სკოლებში (62,8%) და კიდევ უკეთესად სოფლის სკოლებში (63,3%). ტექნიკუმებისა და პროფსასწავლებლების მოსწავლეები ჩამორჩებიან საშუალო სკოლის მოსწავლეებს (57,8%).

აღსანიშნავია, რომ სიმთვრალისადმი დამოკიდებულების საკითხში უმაღლესი სასწავლებელი სკოლადამთავრებულს ბევრს არაფერს მატებს. როგორც ჩანს, საშუალო სკოლის მოსწავლეთა შორის ფეხმოკიდებული საზოგადოებრივი აზრი სიმთვრალის თაობაზე შემდგომში ცვლილებას მაინცდამაინც აღარ განიცდის. თუ სკოლის ბოლო კლასის მოსწავლეთაგან სწორი პასუხი გასცა 62,2%-მა, ბოლო კურსის სტუდენტებისათვის ეს მაჩვენებელი 64,8% - უდრის⁶.

⁶ იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ახალგაზრდობის დამოკიდებულება სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისადმი, მოვიტანთ ზოგიერთ მინაწერს, რომლითაც ანკეტის შედეგები ასაბუთებენ თავიანთ შეხედულებას. მინაწერთა უმრავლესობა ასაბუთებს იმ აზრს, რომ სიმთვრალე უნდა ამსუბუქებდეს პასუხისმგებლობას. აი ეს მინაწერები: „ამსუბუქებს, რადგან ადამიანი შეიძლება უარყოფითად იყოს დამუხტული და საჭიროებდეს დამშვიდებას, განთავისუფლებას ასეთი მდგომარეობისაგან, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მყავს ტრიბუნი ხულოგნები, რომლებიც შეგნებულად, ბორბლად სჩადიან ხულოგნობას“ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის მე-5 კურსელი); „ამსუბუქებს, იმიტომ რომ ადამიანი, როცა მთვრალია, ვერ უწევს თავის თავს კონტროლს“ (თბილისის 39-ე საშუალო სკოლა); „მთვრალი ადამიანის აზროვნება დაქვეითებულია ფხიზელთან შედარებით“ (თბილისის 68-ე საშუალო სკოლის მეათე კლასელი); „ამსუბუქებს პასუხისმგებლობას, ვინაიდან მთვრალმა ვერ გაუწვია თავს კონტროლი და ჩაიღინა დანაშაული (რუსთავის საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „ამსუბუქებს ვინაიდან სიმთვრალემ შეიძლება სრულიად წესიერი პიროვნება მიიყვანოს აქამდე“ (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-5 კურსელი); „ამსუბუქებს თუ ის განზრახ არ დათვრა და ჩაიღინა დანაშაული“ (ცხაკაიას საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „ბასიშვილის ეს ცული საქციელი გამოწვეულია სიმთვრალით. შეიძლება ეს საქციელი ფხიზელ მდგომარეობაშიც ჩაედინა, მაგრამ ეს საქციელი უფრო სიმთვრალეს მიეწერება“ (ცხაკაიას საშუალო სკოლის მე-10 კლასელი);

ანკეტაში, თუმცა იშვიათად, მაგრამ გვხვდება ამგვარი დასაბუთება: „სიმთვრალე

3. ასალგაზრდობის იდეური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მეგობრობის გრძნობის განვითარება და გაღრმავებაა. „ჩამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდოდ, გული მისცეს გულისათვის. სიყვარული გზად და სიღად“ შ. რუსთაველის ეს სიტყვები ამჟღავნებს მთელი კაცობრიობის მრავალნაირად დამოკიდებულებას მეგობრისადმი. ეს გრძნობა მარადიული და უკვდავია. ჭეშმარიტი მეგობრობის არაერთი მაგალითი უჩვენებია საბჭოთა ასალგაზრდობას შრომასა და ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, ყველა ასალგაზრდას როდი აქვს გაგებული მეგობრობის ნამდვილი არსი, არ ესმის, რომ მეგობარს „გზად და სიღად“ კარგ გზაზე უნდა გამოადგეს და არა მრუდღეზე.

იმის დასადგენად, თუ რა ინფორმაცია აქვს ასალგაზრდობას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე დანაშაულის დაფარვისათვის და როგორ არის იგი განწყობილი მეგობრისაგან ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვისადმი, დასმული იყო კითხვა: „ჭმუხაძემ შეამტკრია საწყობის კარი და მოიპარა რამდენიმე თოფი მანუფაქტურა, მივიდა თავის მეგობარ მამალაძესთან და სთხოვა შეენახა მანუფაქტურა მის ბინაში. მამალაძე მიხვდა, რომ ქსოვილი ნაჭურდალია, მაგრამ მაინც დათანხმდა. მილიციის ორგანოებმა ქსოვილი აღმოაჩინეს მამალაძის ბინაში. როგორ აფასებთ მამალაძის ქცევას“ (იხ. ცხრილი № 3).

ასალგაზრდობის მხოლოდ 52,3% თვლის, რომ მამალაძემ დანაშაული ჩაიდინა და იგი გასამართლებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის წესით. 9,3%-ს მიაჩნია, რომ მამალაძეს დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ ზნეობრივად მისი მოქმედება გასაკიცხია. გამოკითხულთა 4,9%-ის აზრით მამალაძეს არც უზნეო მოქმედება არ ჩაუდენია.

აღსანიშნავია, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეთაგან ყველაზე მკაცრად უდგებიან საკითხს სოფლის მოსწავლეები, ხოლო ყველაზე შემწყნარებლურად თბილისელები. იგივე შეიმჩნევა ტექნიკუმის მოსწავლეთა და სტუდენტთა შორისაც. ყურადსაღებია, რომ სტუდენტობის შესხედულება ბევრად უმართებულოა, ვიდრე საშუალო სკოლის მოსწავლეებისა. როგორც ჩანს, სტუდენტების სოციალურ მიკრო ჯგუფებში ძლიერდება საზოგადოებრივი აზრი მცდარად გაგებული მეგობრო-

სასჯელს ამძიმებს, იმიტომ, რომ. თუ ბასიშვილი ჩაბმული იქნებოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, იგი მთერალი არ იხეტიალებდა ქუჩაში და დანაშაულს არ ჩაიდენდა“ (თბილისის 68-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასელი): „საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. რაც მთავარია, მან ჩაიდინა ხულოვნობა. სიმთვრალეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“ (ქობულეთის ჩაიონის სოფ. ციხისძირის საშუალო სკოლა).

დასმული კითხვები და შესაძლებელი პასუხები	საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და პროფსაწავლებლები			უმაღლესი სასწავლებლები							
	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-	-იპი- -იპი- -იპი-					
										შ	ნ	ჯ	შ	ნ
1 მამალაქმ დანაშაული ჩაიდინა. ის გასამართლებული უნდა იქნეს და დაისაჯოს სისხლის სა- მართლის წესით	48,9	52,6	59,3	54,0	45,6	54,1	52,0	39,1	35,9	59,2	67,0	49,8	52,3	
2 მამალაქმ დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მის მი- მართ შეიძლება გამოეყენოთ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება	31,1	29,8	19,0	25,8	25,3	34,4	21,0	26,4	46,4	44,0	31,0	20,3	6,1	30,2
3 მამალაქის ქცევა დანაშაული არ არის, მაგრამ მორალურად გასაყენება	10,5	4,6	13,7	10,1	15,2	4,9	8,1	9,8	8,0	12,0	4,5	10,0	6,1	9,3
4 მამალაქს არ ჩაუდენია არც დანაშაული და არც ამორალური ქცევა. ვინაიდან იგი უანგა- როდ მოქმედებდა, სულა დახმარებოდა მეგობარს	6,8	6,0	6,3	6,3	3,8	3,3	9,7	5,9	2,9	3,3	4,1	—	3,0	4,9
5 სხვაგვარი შეფასება	1,6	1,4	0,3	1,0	3,8	1,3	1,5	2,5	2,2	2,2	1,2	—	1,5	1,4
6 არ ვიცი	1,1	5,6	1,4	2,8	6,3	1,0	1,6	3,4	1,4	2,6	—	3,0	1,5	2,4

ბის სასარგებლოდ და წინააღმდეგობას უწევს სამართლებრივ კონტროლს⁷.

ზოგი მოსწავლისა და სტუდენტის დამოკიდებულება მეგობრის დანაშაულის დაფარვისადმი კარგად ჩანს იმ მინაწერებიდან, რომლებიც მათ ანკეტებზე გაუკეთებიათ. აი ზოგიერთი მათგანი: „მამალაძეს ამ დანაშაულში დიდი წვლილი არა აქვს. შესაძლოა დავჭერდეთ მინი მორალურ გაკიცხვას, ვინაიდან მას მოპარული ნივთები მოუტანეს“ (რუსთავის საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „მამალაძის მოქმედება არც დანაშაულია და არც ამორალური მოქმედება — „ლურჯ ბედაურს მიაგელვებს მეგობრისთვის მეგობარი“ (გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-5 კურსელი); „მეგობრობა მარადიულია, კანონები კი ცვალებადი. კანონები რომ ქვეშარბიტი იყოს, მას ადამიანები ისე მალ-მალე არ გამოცვლიდნენ, როგორც ჩვენ თეთრეულს ვცვლით. მეგობრობა ყოველგვარ კანონზე უფრო მაღლა დგას“ (თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მე-5 კურსელი).

ეს უკანასკნელი პასუხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მასში სოციალური კონტროლი დაპირისპირებულია სამართლებრივ კონტროლთან. ახალგაზრდამ იცის, რომ ნაქურდალის შენახვა კანონით ისჯება, მაგრამ ამ შემთხვევაში მეგობრობას კანონზე მაღლა აყენებს და აცხადებს მზაობას ჩაიდინოს დანაშაული, მისი აზრით, უფრო მაღალი სოციალური ღირებულების დასაცავად. ასეთი მზაობა მას გამოიმუშაებულ აქვს იმდენად, რამდენადაც მის ღირებულებათა სისტემაში კანონს, ეტყობა, არა აქვს დამოუკიდებელი მაღალი სოციალური ღირებულება. სწორედ ამაში მკლავდება ახალგაზრდის დაბალი მართლშეგნება, რამაც შეიძლება დანაშაულის ჩადენის მზაობა გამოიწვიოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი სცდება, როცა მეგობრობის „ქვეშარბიტებას“ კანონს უპირისპირებს. ეს მართებული იქნებოდა მაშინ, კანონი რომ მეგობრობას კრძალავდეს. ნამდვილად კი ლაპარაკი იმაზეა, რომ მოქალაქემ მეგობარსაც კი არ უნდა შეუწყოს ხელი დანაშაულის ჩადენისათუ დანაშაულის კვალის დაფარვაში.

4. წარმოება-დაწესებულებებში ზოგჯერ ხდება წვრილმანი მტაცებლობის შემთხვევები. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხედველობაში იღებს ამ „წვრილმანობას“ და უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე სახელმწიფო ქონების მტაცებლობისათვის სა-

⁷ აღსანიშნავია, რომ მოსკოვში მოწყობილი გამოკითხვის დროს 99,1%-მა ჩათვალა, რომ ვინც მეგობრის ნაქურდალს შეინახავს უნდა დაისჯოს სისხლის სამართლის წესით (იხ. ე. კამინსკია, ა. რატინოვი დასახ. ნაშრომი, გვ. 92).

ერთოდ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება ჩადენილი ქურდობის, მიძვირების, გაფლანგვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის გზით იმ პირის მიერ, რომლის მიმართ წინათ გამოყენებული იყო აღმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი გატაცებისათვის, ან ასეთი ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული. მაგრამ წვრილმანი გატაცება მას ჩადენილი აქვს არაერთხელ. აგრეთვე ჩადენილი იმ პირის მიერ, რომლის მიმართ საქმის გარემოებათა მიხედვით გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთ. მდე. იგივე ქმედობა ჩადენილი განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელმაც წინათ ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი, ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცება, გათვალისწინებული ამ კოდექსის 78-ე, 91-ე, 96-ე, 96-1, 150-ე, 153-ე. მუხლებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი მტაცებლობის მსუბუქი შემთხვევებისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის გამოყენებასაც. საქართველოს სსრ სსკ 95-ე მუხლის თანახმად „სახელმწიფო ან საზოგადო ქონების გატაცება (მუხ. 91), თაღლითობით (მუხ. 93), მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით (მუხ. 94), ჩადენილი პირველად და მცირე ოდენობით, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამნაშავეს პიროვნების მსხვედველობაში მიღებით მის მიმართ სანჯელის იმ ზომის გამოყენება, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული მუხლებით, არ არის გამოწვეული აუცილებლობით, — ისჯება ჯარიმით გატაცებული ქონების ღირებულების სამმაგი ოდენობით“. ასეთი ღმობიერი სასჯელი წვრილმანი გატაცებისათვის სრულიადაც არ ნიშნავს ამ დანაშაულის საშიშროების შეუფასებლობას. იგი საზოგადოებრივად საშიში მოვლენაა. წვრილმანი მტაცებლობის რამდენადმე გახშირება უკვე მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. ხშირად დანაშაულს გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე თვითონ გატაცებული ქონება ღირს (მაგალითად, ავტომანქანის დეტალების გატაცებამ შეიძლება გამოიწვიოს გეგმის შეუსრულებლობა), მაგრამ მთავარი ის არის, რომ წვრილმანი მტაცებლობა ძირს უთხრის დისციპლინას, მორალურად ხრწნის ადამიანს, ბადებს მას-

ში გაცილებით მძიმე დანაშაულის ჩადენის მ'ხაობას. ალბათ წერილმანი ქურდობის ამ მხარემ მთააგონა ხალხს ცნობილი ანდაზა „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი, ორივე ქურდიაო“.

აქეს თუ არა ყოველივე ეს კარგად შეცნობილი ახალგაზრდობას, ამის გამოსარკვევად ანკეტა ასეთ შეკითხვას შეიცავდა: „ბინის შესაყეთებლად სიმონიშვილს დასჭირდა საღებავი, რომელიც არ იყიდებოდა. სიმონიშვილმა გამოიტანა 8 მან. და 50 კაპ. ღირებული ორი ქილა საღებავი საამქროდან, სადაც იგი მუშაობდა და ბინა შეაკეთა. როგორ აფასებთ სიმონიშვილის ქცევას?“ (იხ. ცხრილი № 4).

ახალგაზრდობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა საკმაო სიმკაცრე გამოიჩინა. 21,2%-მა მოითხოვა სიმონიშვილის გასამართლება და დასჯა სისხლის სამართლის წესით. სწორი პასუხია გაცემული ანკეტის შემაჯავებელთა 40,4 %-ის მიერ, მათ შორის სკოლის მოსწავლეთა 36,8 %-ის, ტექნიკუმის და პროფსასწავლებლების მოსწავლეთა 34,8 %-ისა და სტუდენტთა 46,3 %-ის მიერ. ამავე დროს ყურადღებას იპყრობს ის, რომ ახალგაზრდების 18,8% სიმონიშვილის მოქმედებას მორალურად ამართლებს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ასე უდგება საკითხს პროფსასწავლებლების გამოკითხულ მოსწავლეთა 29 %, თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეთა 25,3% და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა 23,9%⁸.

გამოკითხვის შედეგები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ახალგაზრდობის ზოგიერთ სოციალურ მიკრო ჯგუფში ჯერ კიდევ ძალაშია საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ამართლებს ქურდობას, თუკი იგი საჭიროა და მოსახერხებელია ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მტკიცება არ უნდა იმას, რომ ქურდობის დასაბუთება „ლამაზად ცხოვრების“ სურვილით ანდა რაიმე ობიექტური სიძნელით მხოლოდ და მხოლოდ დაბალი მართლშეგნების მაჩვენებელია⁹.

⁸ მოსკოვში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ გამოკითხულთა 76,4%-მა იცის, რომ სახელმწიფო ქონების წერილმანი დატაცება ისჯება (დასახ. ნაშრომი, გვ. 91).

⁹ საინტერესოა მოსწავლეთა და სტუდენტების მინაწერები ანკეტებზე: „სიმონიშვილმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ საღებავი მაღაზიაში რომ ყოფილიყო, მას საამქროდან გამოტანა არ დასჭირდებოდა“ (ტყიბულის საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „სიმონიშვილმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ მის მიმართ შეიძლება დეჯერდეთ საზოგადოებრივ ზემოქმედებას, თუ ეს მისთვის პირველი შემთხვევაა (ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირის საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „სიმონიშვილის მოქმედება დანაშაული არ არის, რადგან ის იძულებული იყო საღებავი მოეპარა“ (თბილისის 68-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „გინდა იცხოვრო

	დასმული კითხვები და შესაძლებელი პასუხები	საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და პროფსასწავლებლები			უმაღლესი სასწავლებლები							
		-აღიქმანა	-აღიქმანა	-აღიქმანა	სტენოგრაფიკული	-აღიქმანა	-აღიქმანა	-აღიქმანა	-აღიქმანა	-აღიქმანა					
											ა	ბ	გ		
1	სიმონშიელმა ჩაიღიანა დანაშაული, იგი გასა- მართლებელი უნდა იქნეს და დაისჯოს სის- ხლის სამართლის წესით	18,4	16,9	30,7	22,6	21,0	33,9	27,0	16,7	12,5	28,2	14,0	19,3	21,2	
2	სიმონშიელმა ჩაიღიანა დანაშაული, მაგრამ მის მიმართ შეიძლება დავჯილდეთ საზოგადოებრი- ვი ზემოქმედების ღონისძიებით	35,3	46,2	28,7	36,8	33,7	51,6	19,4	34,8	41,3	51,1	43,3	52,0	46,3	40,4
3	სიმონშიელის ქმენა დანაშაული არ არის, მაგ- რამ შორალურად გასაკიცხია	16,3	14,5	14,0	14,7	20,0	9,7	17,7	16,2	15,9	12,5	5,3	28,0	12,9	14,2
4	სიმონშიელს არც დანაშაული ჩაუდენია და არც ამორალური ქმენა. იგი იძულებული იყო აეუ მოქმედულიყო, ვინიდან მაღალიაში არ იყო საზოგადოებრივი	25,3	16,9	20,3	20,3	12,5	16,1	29,0	18,5	23,9	15,2	20,0	5,0	17,2	18,8
5	სხვაგვარი შეფასება	2,1	2,1	1,6	1,9	3,8	—	—	1,5	0,7	1,1	1,2	—	0,9	1,4
6	არ ვიცი	2,6	3,4	4,7	3,7	3,8	1,6	—	2,0	1,5	7,6	2,0	1,0	3,4	3,0

5. ხანძარი საქმაოდ დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას. ამიტომ სისხლის სამართლის წესით ისჯება სხვისი ქონების დაწვა-განადგურება ცეცხლის წაქიდებით, თანაც არა მარტო განზრახვის დროს, არამედ მომხდარი გაუფრთხილებლობითაც. საქართველოს სსრ სსკ 158-ე მუხლის მიხედვით, „პირადი ქონების განადგურება ან დაზიანება ჩადენილი ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად, რასაც თან მოჰყვება ადამიანთა უბედური შემთხვევა, ან სხვა მძიმე შედეგები, --- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადიო სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“. ამ ნორმას უპირველეს ყოვლისა ზოგადპრევენციული მნიშვნელობა აქვს. იგი სათანადოდ იმოქმედებს ამ მიმართულებით მსოლოდ მაშინ, თუ ცნობილი იქნება მოსახლეობის ფართო მასებისათვის და, რასაკერაველია, კერძოდ ახალგაზრდობისათვის. ამის გამოსარკვევად მოვითხოვეთ ჩვენს ანკეტაში პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე: „ვარდიაშვილი სტუმრად იყო აგარაკზე თავის მეგობარ აბრამიშვილთან. საღამოს, ძილის წინ, მან პაპიროსი მოსწია, ჩაუქრალი ნაწვი კი ფანჯრის რაფაზე დატოვა. ამის შემდეგ იგი ბაღში გავიდა და დასაძინებლად ჰამაკში ჩაწვა. ჩაუქრალი ნაწვისაგან ცეცხლი მოედო ფარდას და გაჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც აგარაკი დაწივა, აბრამიშვილი კი მძიმედ დაშავდა. ვარდიაშვილი სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მისცეს, მაგრამ მან არა სცნო თავი დამნაშავედ და ეს იმით ახსნა, რომ მან არ ჰქონდა აბრამიშვილის აგარაკის დაწვის განზრახვა. დაეკისრება თუ არა ვარდიაშვილს, ჩვენი კანონის თანახმად. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი მოქმედებისათვის?“ (იხ. ცხრილი № 5).

როგორც ვხედავთ, გამოკითხულ ახალგაზრდობას შორის, რომლისგანაც ყველაზე მოსალოდნელია დაუდევრობა ცეცხლის ხმარებაში. 48 % -მა არც კი იცის, რომ ასეთი მოქმედების შედეგად ადამიანი შეიძლება საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს. გასაკვირი ამბავია, მაგრამ უფრო სწორი პასუხი მიღებულია სკოლისა, ტექნიკუმების და პროფსასწავლებლების მოსწავლეთაგან (54 %, 56,9 %) და არა სტუდენტობისაგან (48,5) %.

6. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქურდობისათვის იწყება

ლამაზად, მაგრამ საქირო მასალა არა გაქვს, არც მალაზიაში. რა უნდა ქნა* ი, რაც სიმონიშვილმა გააკეთა“ (სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შ-4 კლასელი): „სიმონიშვილის ქცევა არც დანაშაულია და არც ამორალური მოქმედება. ის ძალუბული იყო საღებავი ქარხნიდან გამოეტანა, რადგან მალაზიაში უოჯელის ვა: იზუვი იმას, რაც გინდა“ (მახარაძის საშუალო სკოლის მე-10 კლასელი).

	საშუალო სკოლები			ტექნიკუმები და პროფსპეციალები				უმაღლესი სასწავლებლები					
	რეაბილიტაციის ცენტრი	გამანათლებლო ცენტრი	საერთო	რეაბილიტაციის ცენტრი	სპეციალიზირებული	საერთო	სპეციალიზირებული	საერთო	სპეციალიზირებული	საერთო	სპეციალიზირებული	საერთო	
1	42,1	50,3	65,0	43,8	67,7	62,9	56,9	39,1	40,3	47,0	75,0	48,3	52,0
2	44,7	26,9	17,7	28,7	19,4	12,9	21,1	32,6	34,2	26,5	18,0	28,6	27,3
3	13,2	22,8	17,3	27,5	12,9	24,2	22,0	25,3	25,0	26,5	4,0	23,1	20,7

14 წლის ასაკიდან. ეს სულ უბრალო გარემოება თითქოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს. მით უმეტეს ასალგაზრდობამ. რა ცოდნა გამოამყვანეს ამაში მოსწავლეებმა და სტუდენტობამ (იხ. ცხრილი № 6).

როგორც გამოკვლევის მასალები გეჩვენებს, ამ ცოდნის დონე საკმაოდ დაბალი ყოფილა. ახალგაზრდობის მსოლოდ 13,8%-მა იცის, რომ ქურდობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 14 წლიდან იწყება. საამისო ცოდნა უმნიშვნელოდ მეტია უმაღლეს სასწავლებლებში, ისიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტობაში, თუმცა სახარბილო სურათი არც აქა გვაქვს. ყველაზე ნაკლებად სცოდნიათ აღნიშნული გარემოება პროფსასწავლებლის მოსწავლეებს (3,2%). დასაფიქრებელია, რომ ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქურდობისათვის იწყება 16 წლიდან. იმის უცოდინარობა, რომ ქურდობისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს 14-15 წლის ახალგაზრდაც უყარგავს ამკრძალავ ნორმას ზოგადპრევენციულ ქალას. მეტიც, ახალგაზრდა არ განიცდის ამ მხრივ სამართლებრივ კონტროლს, ხოლო უმისობა შეიძლება ერთგვარად აქეზებდეს კიდევ მას ქურდობის ჩასადენად¹⁰.

§ 2. მოსწავლეებისა და სტუდენტობის დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებისადმი და სხვა სამართლებრივი მოვლენების მიმართ

სისხლის სამართლის სფეროში მოსწავლეებისა და სტუდენტობის გაცნობიერების შესწავლით მოპოვებული მასალა ერთგვარად მიგვანიშნებს ახალგაზრდობის დამოკიდებულებაზედაც სისხლისსამართლებრივი მოვლენებისადმი საერთოდ და, რაც მთავარია, შესაბამის საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც ამა თუ იმ ეტალონურ ჯგუფში მოქმედებს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან, როცა ანკეტის შემვსებელი არ იცნობს კანონს, იგი ცდილობს სათანადო ნორმით მოწესრიგებული სამართლებრივი მოვლენა თვითონ შეაფასოს; ამგვარი შეფასებისას იგი ძირითადად ეყრდნობა იმ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გაბატონებულია მისთვის ეტალონურ სოციალურ მიკრო ჯგუფში.

ამჭერად ჩვენ ვაძლევთ ახალგაზრდებს უკვე ისეთ კითხვებს, რომ-

¹⁰ მოსკოვში ჩატარებულმა გამოკვლევამ შემდეგი სურათი გამოავლინა; სწორად უპასუხა კითხვაზე გამოკითხულთა 30%-მა, კერძოდ, ტექნიკუმებისა და სხვა სასწავლებლების მოსწავლეთაგან 36,2%-მა იცის, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქურდობისათვის იწყება 14 წლის ასაკიდან (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 91).

დასმული კითხვები და შესაძლებელი პასუხები	საშუალო სკოლები			ბავშვთა და პრაფსაწვლბლები			უმცირესი საწვავლები							
	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა	ესპანური ენა		
													ესპანური ენა	ესპანური ენა
1 12 წლიდან	8,4	10,0	14,0	11,2	25,0	1,6	14,5	14,3	21,0	16,8	11,8	4,0	13,9	12,7
2 13 წლიდან	2,1	1,0	2,3	1,8	3,8	4,8	—	2,9	2,9	1,0	1,6	1,0	1,6	1,9
3 14 წლიდან	15,8	9,7	8,7	10,8	10,0	16,1	3,2	9,8	24,0	13,6	11,4	38,0	18,6	13,8
4 15 წლიდან	5,8	10,0	12,3	9,9	7,5	6,5	13,0	8,8	5,6	4,9	9,8	2,0	6,4	8,4
5 16 წლიდან	44,7	47,9	25,0	38,3	32,5	59,7	25,6	38,7	38,4	48,3	38,0	37,0	40,8	39,4
6 17 წლიდან	6,3	7,6	10,7	8,5	6,3	8,1	14,5	9,3	2,9	3,3	8,2	4,0	5,5	7,3
7 18 წლიდან	11,1	4,8	14,7	10,1	8,7	—	17,7	8,5	2,2	4	12,2	12,0	8,2	9,2
8 19 წლიდან	0,5	—	2,3	1,0	—	1,6	3,2	1,5	—	—	1,6	1,0	0,7	1,0
9 20 წლიდან	0,5	1,4	1,0	1,0	1,2	—	1,6	1,0	0,7	0,5	0,4	1,0	0,6	0,8
10 21 წლიდან და ზევით	1,6	1,0	3,0	1,9	—	1,6	—	1,0	1,4	5,4	1,2	—	2,2	1,9
11 პასუხი ვერ ვასცა	3,2	6,6	6,0	5,5	5,0	—	6,5	3,9	0,7	0,3	3,8	—	1,5	3,7

ლებს პასუხისთვისაც აუცილებელი არ არის სისხლის სამართლის კონკრეტული ნორმის ცოდნა. გამოსაკვლევი საკითხები ზოგადსაკუთარი პრობლემებს ეხება; ამ საკითხების გადაჭრა საბჭოთა საზოგადოების მონაპოვარია და მათდამი ამა თუ იმ დამოკიდებულების გამომჟღავნება ნათლად მოწმობს თუ რა დონისაა ანკეტის შემსვებელის მართლშეგნება.

პირველი საკითხი, რომლითაც დაეინტერესდით, ეს არის ახალგაზრდობის დამოკიდებულება მოქალაქის ხელშეუხებლობის პრინციპისადმი. ჩვენი კითხვა ასეთია: დასაშვებად მიაჩნიათ თუ არა ავტობუსის ყველა მგზავრის გაჩხრეკა, თუკი ამით შესაძლებელია ოქროს საათის მომპარავის აღმოჩენა (იხ. ცხრილი № 7).

გამოკითხულთა 32% -ი თვლის, რომ ასეთი ჩხრეკა დასაშვებია, რადგან იგი არ შეურაცხყოფს წესიერ ადამიანს, რომელსაც ქურდობაში მონაწილეობა არ მიუძღვის. ყველაზე მეტს, 45,7% -ს მიაჩნია, რომ თუმცა ასეთი ჩხრეკა დაამცირებს უდანაშაულო ადამიანის ღირსებას, მაგრამ იგი აუცილებელია, რათა აღმოვაჩინოთ დამნაშავე. ახალგაზრდობის 4,3% დასაშვებად მიაჩნია ამგვარი ჩხრეკა სხვა მოსაზრებით. მხოლოდ გამოკითხული ახალგაზრდობის 9,6% თვლის მასიურ ჩხრეკას დაუშვებლად, იმ მოტივით, რომ უმჯობესია დავიცვათ აშკარად უდანაშაულო ადამიანთა ღირსება, ვიდრე მოვნახოთ მოპარული ნივთი და ვამხილოთ დამნაშავე. 3% -ს ჩხრეკა დაუშვებლად მიაჩნია სხვა მოსაზრებით¹¹. ამრიგად, მასობრივი ჩხრეკის მომხრეა გამოკითხული ახალგაზრდობის 82%, ხოლო წინააღმდეგია 12,6%. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს თითქმის ერთგვარად უდგებიან სკოლისა და ტექნიკუმის მოსწავლეები და სტუდენტები. სტუდენტები თითქოს მეტადაც იჩენენ უარყოფით დამოკიდებულებას ასეთი ჩხრეკისადმი, მაგრამ საამისო მაჩვენებელი გაზრდილია ძირითადად იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა პასუხებით.

ერთი შეხედვით, მგზავრების გაჩხრეკა ქურდის მოძებნის მიზნით თითქოსდა მიზანშეწონილია. მაგრამ ეს მოჩვენებითი მიზანშეწონილობაა, რადგან ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება ვაცილებით მეტი ზიანი მოუტანოს მართლწესრიგს, ვიდრე საათის ქურდის დაუსჯელობამ¹².

¹¹ მოსკოეში ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ საათის აღმოსაჩენად ავტობუსის მგზავრთა ჩხრეკის მომხრეა გამოკვლეულთა 51,5%. კეიპოდ, მუშების 59%, ხოლო მოსწავლეებისა 44%. (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 101).

¹² საინტერესოა როგორ ასაბუთებენ თავის აზრს ანკეტის შემსვებლები. მოვიტანთ მათს მინაწერებს ანკეტებზე: „ამგვარი ჩხრეკა დაუშვებელია, ხომ შეიძლება

სოციალური და სამართლებრივი კონტროლის შედეგიანობა პირდაპირ შეესაბამება „მე“ კონცეფციის დონეს. სწორედ ამიტომ მაღალი მართლშეგნება პირველ ყოვლისა მაღალ მოქალაქეობრიობას, თავისი ღირსების შეგნებას ნიშნავს. სამართლებრივ ნორმას მხოლოდ მაშინ მიეკრება დამოუკიდებელი სოციალური ღირებულება, როცა მოქალაქე ირწმუნებს, რომ კანონი არა მხოლოდ მოვალეობას აკისრებს, არამედ მისი უფლებებისა და ღირსების დამცველიც არის. მოქალაქისათვის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვა მართლშეგნების, კანონის შედეგიანობის ამაღლების საწინდარია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი ნათლად გამოხატულია ამს. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებში: „კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. ვერ შეუვრიგდებით კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს. როგორც უნდა ასაბუთებდნენ მათ. ვერ შეუვრიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას. მოქალაქეთა ღირსების შელახვას. ჩვენთვის. კომუნისტებისათვის, ყველაზე ჭეშანური იდეალების მომხრეებისათვის, ეს პრინციპის საქმეა“¹³.

2. საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, სასჯელის მიზანია დამ-

ასეთი საათი სხვასაც ჰქონდეს?“ (ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირის საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „ასეთი ჩხრეკა დაუშვებელია, რადგან ჩხრეკის დროს ქურდმა შეიძლება საათი ჩაუდოს ჩემად ჭიბეში სხვა მგზავრს. ამ შემთხვევაში უღანაშულო მგზავრი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს“ (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-5 კურსელი); „ასეთი ჩხრეკა დაუშვებელია, ვინაიდან მგზავრს ჭიბეში ან ჩანთაში შეიძლება ისეთი ნივთი ედოს, რომლის გამოჩენა მას საზოგადოების წინაშე არ შეუძლია“ (თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); -ყველა შეგნებულ ადამიანს უნდა ესმოდეს, თუ რატომ ან რა მიზნით ჩხრეკენ მას“ (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი); „ჩხრეკა აუცილებელია, თუმცა ეს ამცირებს უღანაშულო ადამიანთა ღირსებას — რწმენა მსხვერპლს მოითხოვს“ (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-5 კურსელი); „მართალია ამით უღანაშულო ადამიანს ღირსებას ებღალავთ, მაგრამ ჩხრეკა აუცილებელია, რადგან დაზარალებულს დაზარალება სჭირდება“ (თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „ჩხრეკა დასაშვებია, რადგან ზოგიერთი მოქალაქე ქურდს ხედავს და მას ხელს აფარებს. როდესაც ჩხრეკას დაიწყებენ, იგი იძულებული იქნება ამხილოს ქურდი“ (თბილისა 68-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასელი);

ანკეტების მიხედვარები ნათლად მოწმობს, რომ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ადამიანის ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების საკითხში მხოლოდ მიზანშეწონილობის მოსაზრებით ხელმძღვანელობს. ეს დაბალი მართლშეგნების მაჩვენებელია.

¹³ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 103.

ნაშევის გამოსწორება და ხელახლად აღზრდა. სულით ავადმყოფზე სას-
ჯელი ასე ვერ იმოქმედებს. მისთვის სასჯელს არ შეიძლება ჰქონდეს
არც ზოგადი და არც სპეციალური პრევენციის ძალა. ამიტომ საქართვე-
ლოს სსრ სსკ მე-13 მუხლის თანახმად „სისხლის სამართლის პასუხისმგებ-
ლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმე-
დობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ესე
იგი არ შეედლო ანგარიში გაეწია თავისი საკუთარი მოქმედებისათვის
ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის... ასეთი პირის მიმართ სასამარ-
თლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონის-
ძიებანი... არ დაისჯება აგრეთვე პირი, რომელმაც დანაშაული შერაცხად
მდგომარეობაში ჩაიღინა, მაგრამ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტა-
ნამდე დაავადდა სულიერი ავადმყოფობით, რომელიც მას შესაძლებ-
ლობას უსპობს ანგარიში მისცეს თავის თავს საკუთარ მოქმედებაში ან
უხელმძღვანელოს მას. ასეთი პირას მიმართ სასამართლოს შეუძლია
გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი...“.

რათა გამოგვერკვია ახალგაზრდობის დამოკიდებულება ფსიქიკურად
დაავადებულის დასჯის საკითხისადმი, ანკეტა შეიცავდა კითხვას, თუ
როგორ უნდა მოვექცეთ ფსიქიკურად დაავადებულ მკვლელს, რომელ-
საც თავისი ქცევის მნიშვნელობა არ ესმის.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, სულით დაავადებულის დასჯის
საკითხს სწორად გამოკითხულთა მარტო 29,9% უდგება, ხოლო 43,6%-ი
თვლის, რომ სულით დაავადებული უნდა დაისაჯოს, ზოგის აზრით,
დანაშაულის ჩადენისთანავე, ზოგის აზრით კი, განკურნების შემდეგ (იხ.
ცხრილი № 8).

3. საბჭოთა სამართალი აღიარებს პრინციპს, რომ საექვო საკითხები
ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა წყდებოდეს. ეს პრინციპი გამომ-
დინარეობს უდანაშაულობის პრინციპიდან, რომელიც საბჭოთა სამარ-
თლის ქვაკუთხედიცაა.

იმის გასარკვევად. თუ როგორ უყურებს ახალგაზრდობა ამ პრინ-
ციპს, ანკეტა შეიცავს კითხვას: „თუ სასამართლოს საექვოდ მიაჩნია
განსასჯელის ბრალეულობა, დამატებითი მტკიცებულებების მიღება კი
შეუძლებელია, რა იქნება უფრო სამართლიანი განსასჯელის გამარ-
თლება თუ გამტყუნება?“.

გამოკვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა (იხ. ცხრილი № 9). უმრავ-
ლესობას საკმაოდ არა აქვს გამოუმუშავებული დამოკიდებულება აღნიშ-
ნული საკითხისადმი (52,8%). ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან
საშუალო სკოლის და ტექნიკუმის მოსწავლეები (60,5%, 60,8%).

	სამშალო სკოლები			ტექნიკუმი და პროფსასწავლებლები			უმაღლესი სასწავლებლები									
	დანიშნულება	ს	ნ	დანიშნულება	ს	ნ	დანიშნულება	ს	ნ							
	დანიშნულება	ს	ნ	დანიშნულება	ს	ნ	დანიშნულება	ს	ნ							
1	დასსაქოთ ისევე, როგორც ჩანმართელი	3,2	2,8	6,6	4,4	6,2	6,5	14,5	8,8	6,5	2,2	3,7	—	3,3	4,5	
2	დასსაქოთ, მაგრამ უფრო მუშაობა, ვიდრე ჩანმართელი	16,8	20,7	15,7	17,8	16,3	19,3	8,1	14,9	6,5	6,5	13,1	6,0	8,8	13,8	
3	დასსაქოთ უფრო მკაცრად; ვიდრე ჩანმართელი	2,1	0,3	8,3	3,8	—	6,5	3,2	2,9	2,1	1,1	0,8	2,0	1,3	2,7	
4	განკურნების შემდეგ დასსაქოთ	29,5	35,2	31,0	32,2	40,0	38,7	38,7	39,2	31,0	33,7	30,2	29,0	31,2	32,6	
5	მოვითავესოთ საავადმყოფოში სამკურნალოდ და არ დასსაქოთ	34,2	22,4	21,7	25,0	20,0	17,7	19,3	19,3	19,1	36,2	40,2	34,3	52,0	39,0	29,9
6	გადაცეთ ნათესაებებს საზღვარგარეთ და სამკურნალოდ	7,4	9,0	8,7	8,5	5,0	6,5	13,0	7,8	5,1	6,5	8,2	5,0	6,6	7,6	
7	მოუქმეთ სხვაგვარად	4,2	1,0	2,7	2,4	5,0	3,2	1,6	3,4	5,8	3,3	3,3	3,0	3,7	3,1	
8	პასუხის ვატივა მოკირს	2,6	8,6	5,3	5,9	7,5	1,6	1,6	3,9	6,5	6,5	6,4	3,0	6,1	5,7	

	საშუალო სკოლები			ტექნიკუმები და პროფსაზოვნო სკოლები			უმჯობესი სააწარმოებლები				შ ნ ე			
	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები	რეაბილიტაციის და ფიზიკური და სპორტული და კულტურის სკოლები				
1 მსჯავრდებულები	9,5	11,7	13,3	11,8	12,5	14,5	4,8	10,8	7,2	7,1	6,5	17,0	8,4	10,3
2 გამართლები	35,3	25,2	25,3	27,7	26,2	25,9	33,9	28,4	43,5	35,5	40,0	78,0	45,3	34,9
3 პასუხის ვაცემა მიჭირს	55,2	63,1	61,4	60,5	61,3	59,7	61,3	60,8	49,3	57,1	53,5	5,0	46,3	54,8

საყოფადღებო და დადებითია, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 10,3% მოითხოვს განსასჯელის გამტყუნებას, თუნდაც საექვეო მასალების საფუძველზე¹⁴.

4. სასამართლოსათვის ცრუ ჩვენების მიცემა ისჯება სისხლის სამართლის წესით. ახალგაზრდობის დამოკიდებულების გასარკვევად ამ ნორმისადმი, ანკეტა შეიცავდა კითხვას, თუ როგორ უნდა მოიქცეს, მათი აზრით, მამა, რომელიც გამოძახებულია სასამართლოში მოწმედ თავისი შვილის დანაშაულის გამო (იხ. ცხრილი № 10).

ამ შეკითხვის პასუხმა, ახალგაზრდობის საკმაოდ მაღალი მართლშეგნება გამოამჟღავნა. 72,8% სწორი პასუხი მივიღეთ. შვილის სასარგებლოდ ცრუ ჩვენების მიცემას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა მხოლოდ 6%-მა.

5. ანკეტაში ჩავრთეთ რამდენიმე ანდაზა, რომლებშიც ერთგვარად გამოსკვივის უკვე მოძველებული საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა სამართლებრივი მოვლენისადმი. დაგვანტერესა, რამდენად ცოცხალია ეს აზრი ჩვენს სინამდვილეში. აი ეს ანდაზები „კანონი გაბმული თოკია, რომელსაც ზოგი გადააბიჯებს და ზოგი ქვეშ გაუძვრება“, „თუ არ დაგიკერია, ქურდი არ არის“, „სხვისა კირიო — ლობეს ჩხირიო“, „შუბი ხალთაში არ დაიშლება“, „მონანიებული ცოდვა, არცოდვაა“ (იხ. ცხრილი № 11).

გამოკვლევამ ცხადყო, რომ თუმცა ეს ანდაზები დღევანდელ საზოგადოებრივ აზრს არ გამოხატავს, ისინი ჯერ კიდევ ცოცხლობენ საზოგადოების ზოგიერთ სოციალურ მიკრო ჯგუფში და ერთგვარ გავლენას ახდენენ ახალგაზრდობის შეხედულებებზე.

§ 8. მოსწავლეებისა და სტუდენტების დამოკიდებულება მამართამოგის საზოგადოებრივი საშიშროებისადმი

1. მექრთამეობა, კლასობრივი საზოგადოების იმ უბოროტეს გადმონაშთთაგანია, რომელთაც საბჭოთა სახელმწიფომ მისი წარმოშობის დღიდანვე უღმობელი ბრძოლა გამოუცხადა. „სპეკულაცია, ქრთამი, პირადი გამორჩენის ცდუნება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მთელი აპარატის გაფუჭებად ჯდება...¹⁵.

¹⁴ მოსკოვში ჩატარებულმა გამოკვლევამ დაახლოებით ასეთივე სურათი გამოავლინა. გამოკითხულთა 57%. აქედან მოსწავლეთა 51,7%. თვლის, რომ საექვეო მასალებით განსასჯელის გასამართლება დაუშვებელია (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 100).

¹⁵ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 316.

	სამშუალო სკოლები			ტექნიკუბები და პროფსასწავლებლები			უმაღლესი სასწავლებლები						
	უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა				
										უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	
										უცნაინაინა	უცნაინაინა	უცნაინაინა	
1	5.3	4.1	6.3	5.3	2.5	3.2	12.9	5.9	5.1	5.4	1.0	4.3	5.0
2	3.2	1.4	2.3	2.2	5.0	9.7	4.8	6.4	2.9	3.8	2.0	3.1	3.1
3	7.4	2.1	13.3	7.7	8.8	3.2	1.8	7.9	6.2	3.3	—	3.4	6.0
4	72.1	78.6	63.7	71.3	68.7	74.2	58.1	67.2	71.0	69.0	93.0	7.3	72.8
5	13.6	3.4	4.3	3.8	3.8	3.2	4.8	3.9	4.3	5.4	2.0	3.7	3.8
6	8.4	20.4	10.1	9.7	11.2	6.5	8.1	3.3	10.5	13.1	2.0	9.2	9.3

ღამშუალო კითხვები და შესაძლებელი პასუხები

1 სასამართლოში გამოცხადებაზე უარის თქმას

2 ჩვენების მიცემაზე უარის თქმას

3 შვილის გამაზრთლებელი ჩვენების მიცემა

4 შვილის ნაზილებელი სამართლიანი ჩვენების მიცემა

5 ისეთი ჩვენების მიცემა, რომ საქმის ირგვლივ არაფერი იყოს

6 არ ვიცი

ცხრილი № 11

დასრულებული კითხვები	კანონი გაბმული თარგობა, ზოგი ქვეშ გაბმება და ზოგი გადაბიჭებს	თუ არ დაიჭირა ქუჩის არ არის	სხვათა კირი — ლობეს ჩხირი	შუბი ხალხში არ დაიბალება	პონანობული ციფრა არ უკვდა	მ. ნ. ე.		
						სდნმარე	ინტერეი ინაყრ 'სდნმარე' 'სდნმარე'	ინტერეი სენაპარე
1. კეთანზმები	53,514,947,751,340,433,828,834,730,032,418,425,679,774,531,079,659,959,353,257.1	სდნმარე	სდნმარე	სდნმარე	სდნმარე	ინტერეი ინაყრ 'სდნმარე' 'სდნმარე'	ინტერეი სენაპარე	მ. ნ. ე.
2. არ კეთანზმები	29,628,932,830,843,843,659,150,043,539,269,053,210,311,310,910,623,823,531,526.9	სდნმარე	სდნმარე	სდნმარე	სდნმარე	ინტერეი ინაყრ 'სდნმარე' 'სდნმარე'	ინტერეი სენაპარე	მ. ნ. ე.
3. მიქნულდება პასუხის გაცემა	16,916,219,517,915,822,612,615,326,528,412,621,210,014,28,29,816,317,215,316.0	სდნმარე	სდნმარე	სდნმარე	სდნმარე	ინტერეი ინაყრ 'სდნმარე' 'სდნმარე'	ინტერეი სენაპარე	მ. ნ. ე.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულებას მექრთამეობისადმი ნათლად გამოხატავდა ფ. ანკრეინსკის სიტყვები: სადაც უნდა იჭდეს არამზადა, კაბინეტში იქნება, მწვანემაუღდადაფარებულ მაგიდასთან, თუ სადარაჯოს ჯიხურში, ჩვენ ამოვითიშავთ მას და წარვადგენთ რევოლუციური ტრიბუნალის წინაშე, რომლის დამსჯელი ურო ისეთი გამანადგურებელი ძლიერებითა და მრისხანებით დაეშვება ძირს, როგორი უნარიც კი მას შესწევს, რადგან ჩვენი აღორძინების უღმობელ მტერს დანდობა არ ექნება. როდესაც მექრთამეს განაჩენი უნდა გამოეტანოს, არავითარ გარემოებას ანგარიში არ გაეწევა. მას უსასტიკესი სასჯელი მოელის¹⁶.

მექრთამეობისადმი იმთავითვე უნდა დაწესებულიყო უმკაცრესი სასჯელი და უკვე 1918 წ. 2 მაისს ვ. ი. ლენინი წერდა იუსტიციის სახალხო კომისარს დ. კურსკის: „საჭიროა ახლაც, დემონსტრაციული სისწრაფით შევიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა, შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვადასხვა) უნდა იყოს სულ მცირე ათი წლის საპყრობილე და გარდა ამისა ათი წლის იძულებითი მუშაობა“¹⁷.

1918 წლის 8 მაისს ლენინის სელმოწერით გამოიცა რსფსრ-ის სასკომსაბჭოს სპეციალური დეკრეტი „მექრთამეობის შესახებ“. ამ დღიდან მოყოლებული, საბჭოთა სახელმწიფო მექრთამეობას თვლის ერთერთ მძიმე დანაშაულად.

ამ დანაშაულის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებაზე არაერთხელ აღინიშნა პარტიისა და მთავრობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებებში. ამის შესახებ ხაზგასმით ნათქვამია საბჭოთა კავშირის კვ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში „თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ბევრი რამ გაკეთდა ამ ბოლო დროს, და კეთდება ახლაც მექრთამეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღირებულებათა გადაფასების პროცესი, რომელიც უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში და ხელს უწყობს მექრთამეობის საშიშროების საყოველთაო საზოგადოებრივ შეფასება-აღიარებას. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლია ახალგაზრდობის დამოკიდებულება მექრთამეობის საზოგადოებრივი საშიშროებისადმი.

პირველი კითხვა, რომელიც ანკეტაში ჩაიწერა, ეხებოდა მამის საქ-

¹⁶ Ф. Анкренский. Избранные статьи и речи, 1908—1926. М., 1947. стр. 143.

¹⁷ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 352.

	საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და პროფესიული სკოლები			უმაღლესი სასწავლებლები		
	დასახელება	ს	მ	დასახელება	ს	მ	დასახელება	ს	მ
1	თეზაძემ ჩაიღიანა დანაშაული. იგი გასამართლებული უნდა იქნეს და დაისჯოს სისხლის საპატივს სჯით	31,125,240,332,431,533,921,028,923,2	19,636,647,031,831,7						
2	თეზაძემ ჩაიღიანა დანაშაული, მაგრამ მის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზედმკვეთების ღონისძიება	35,638,324,332,321,245,237,133,332,636,029,424,031,632,2							
3	თეზაძის ქტევა არ არის დანაშაული, მაგრამ მორალურად გასაკიცხია	17,917,913,316,220,0	8,112,914,224,623,413,125,020,117,5						
4	თეზაძეს არც დანაშაული ჩაუდენია და არც აღორაღური ქტევა, რადგანაც შეიძლება კონკურსში გვიღია და მისი ცდომილება უზრუნველყო ინსტიტუტში მისი კანდიდატი ჩარიცხვა	7,97,68,37,97,5	9,719,411,812,3						
5	სხვაგვარი შეფასება	3,12,82,72,810,0	—						
6	არ ვიცი	4,28,211,18,410,0	3,16,46,91,5						

ციელს, რომელმაც თავისი შვილის უმადლეს სასწავლებელში მიღების უფრო უზრუნველყოფისათვის ფასიანი საჩუქარი მიართვა მიმღები კომისიის თავმჯდომარეს (იხ. ცხრილი № 12)¹⁸.

გამოკითხულთა 63,9% -მა მშობლის მოქმედება დანაშაულად აღიარა, აქედან 31,7% მოითხოვეს დამნაშავეის დასჯას სისხლის სამართლის წესით. ქრთამის მიცემას კანონიერი საქმის მოსაგვარებლად დანაშაულად არ თვლის ახალგაზრდობის 26,1%, რომელთაგან 8,6% ამგვარ მოქმედებას უზნეოდაც არა თვლის¹⁹.

იმის გასარკვევად, თუ როგორ ესახება ახალგაზრდობას ქრთამის გამოძალვისა და ქრთამის მიცემის საზოგადოებრივი საშიშროება, ანკეტაში, სიმძიმის მიხედვითი თანამრძევერობის დაუცველად, ჩამოვთვალეთ 10 სხვადასხვა დანაშაული. მათ შორის 4 განსაკუთრებით საშიში: სამშობლოს ღალატი, განზრახვი მკვლელობა, სახელმწიფო ქონების მოპარვა და ქრთამის გამოძალვა; მათ გვერდით ჩამოთვლილია ქრთამის მიცემა, პირადი ქონების მოპარვა, ხულიგნობა, მილიციის მუშაკისათვის წინააღმდეგობის გაწევა, შეგნებულად ცრუ დასმენა და ალიმენტის გადახდისაგან ავზრახულად თავის არიდება. ახალგაზრდებს ეთხოვეთ ჩამოთვლილი დანაშაული დაეწყოთ მათი საზოგადოებრივი საშიშროების მეტნაკლებობის კვალობაზე.

როგორც მოპოვებული მასალიდან (ცხრილები №№ 13 და 14) ვხედავთ, გამოკითხული ახალგაზრდობის აზრი ეთანხმება სამართალს მხო-

¹⁸ აბითურიენტს საქმით საგამოცდო ქულა ჰქონდა მოპოვებული და მისი სტუდენტად ჩარიცხვა კანონიერი იყო.

¹⁹ ახალგაზრდობის დამოკიდებულება ქრთამის საზოგადოებრივი საშიშროებისადმი ერთგვარად ჩანს ანკეტებზე გაკეთებული, მაგალითად, ასეთი მინაწერებიდან: „კონც ქრთამი აიღო შეიძლება ის ჩავთვალოთ დამნაშავედ, რადგან შვილის უმადლესში ჩასარიცხად მამამ შეიძლება ყველაფერი გააკეთოს“ (ქობულეთის რაიონი, სოფ. ციხისძირის საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „თევზაძის ვაჟი არ არის დამნაშავე, მამა კი მხოლოდ გასაიციხია. ყოველი მამა ცდილობს მისი შვილი კარგი გამოვიდეს და კარგ ადგილზე ჰყავდეს. მასთან ერთად საჩუქრის მიმღებიც გასაიციხია (ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსეს საშუალო სკოლის მე-10 კლასელი); „მშობლის ძლიერი სიყვარული აბრმავებს მის სულს ყოველივე დანარჩენის, მათ შორის კანონის მიმართაც. მშობელს ამ შემთხვევაში ამოძრავებდა შვილის სიყვარული და არა დანაშაულის ჩადენის სურვილი. საშუალება, რომელიც მშობელმა გამოიყენა დასაგმობია, მიზანი — მაღალი. ყველა საშუალება, რომელიც მიზანს ამართლებს მისაღება“ (თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსელი). „თევზაძეს არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, რადგან იმ დროს პროტექციონიზმს ჰქონდა ადგილი“ (ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსეს საშუალო სკოლის მე-10 კლასელი).

ლოდ ორი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებაში, ესენია სამშობლოს ღალატი და განხრახი მკვლელობა.

სამშობლოს ღალატი ყველაზე მძიმე დანაშაულად ჩათვალა გამოკითხულთა 69,9%-მა, აქედან სკოლის მოსწავლეების 71%-მა, ტექნიკუმების მოსწავლეების 57,4%-მა, ხოლო სტუდენტობის 72,8%-მა. განზრახ მკვლელობას სიმძიმის მიხედვით მეორე ადგილი მიუჩინა გამოკითხულთა 54%-მა. კერძოდ, სკოლის მოსწავლეების 49,5%-მა, ტექნიკუმების მოსწავლეთა 52,5%-მა, სოლო სტუდენტობის 60,7%-მა.

სახელმწიფო ქონების მიტაცების საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებაში ახალგაზრდობა უკვე სცილდება კანონმდებლის შეფასებას. მოსწავლეთა და სტუდენტობის მხოლოდ 28,9%-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ქონების მიტაცება ჩამოთვლილ დანაშაულთა წყებაში მესამე უნდა იყოს, 15,3%-მა მას მეორე ადგილი მიუჩინა, ხოლო 1,3%-მა პირველი.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ახალგაზრდობა განსაკუთრებით სცილდება კანონმდებელს ქრთამის გამოძალვის შეფასებაში. კანონმდებელი ქრთამის გამოძალვას იმდენად მძიმე დანაშაულად თვლის, რომ მისთვის დამამძიმებელ გარემოებებში სიკვდილით დასჯასაც კი ითვალისწინებს. ჩამოთვლილ დანაშაულთაგან იგი თავისი სიმძიმით მეოთხეა. როგორც გამოკითხვამ ცხადყო ქრთამის გამოძალვას მეოთხე ადგილი მიუჩინა გამოკითხულთა მხოლოდ 17%-მა, კერძოდ, სკოლის მოსწავლეთა 15%-მა, ტექნიკუმების მოსწავლეთაგან 15,7%-მა, ხოლო სტუდენტთაგან 20%-მა. ამ დანაშაულს პირველ ხუთეულში ადგილი მიუჩინა გამოკითხულთა მხოლოდ 45,5%-მა.

კიდევ უფრო სცილდება კანონმდებლის აზრს ქრთამის მიცემის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასება. კანონის თანახმად მას მეხუთე ადგილი უჭირავს ჩამოთვლილ დანაშაულთა შორის. კანონს ეთანხმება პასუხების მხოლოდ 14,1%; განსაკუთრებით ლოიალურად ეყილებიან ქრთამის მიცემას სკოლის მოსწავლეები (12%).

აღსანიშნავია, რომ ავზრახული თავის არიდება ალიმენტის გადახდისაგან, რომელსაც სიმძიმით კანონის თანახმად მეათე ადგილი უჭირავს. ახალგაზრდობის თვალში გაცილებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. გამოკითხულთა მეოთხედზე მეტმა (25,2%) მას პირველ ხუთეულში მიუჩინა ადგილი²⁰.

²⁰ თითქმის ანალოგიური სურათი გამოავლინა მოსკოვში ჩატარებულმა გამოკვლევამ: გამოკითხულთა უმრავლესობამ ქრთამის გამოძალვას მესამედ ადგილი მიუჩინა, ქრთამის მიცემას მეათე, ხოლო ალიმენტის გადახდისაგან ავზრახულად თავის არიდებას შერეე (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 96).

	საშობლოს ლაღობი			განზრახი მკვლელობა			სახელმწიფო ქო- ნების მოპარვა			ქრთმის გამო- ძალა			ქრთმის მიღება							
	სდსპარტი	მ ს რ		სდსპარტი	მ ს რ		სდსპარტი	მ ს რ		სდსპარტი	მ ს რ		სდსპარტი	მ ს რ						
		სდსპარტი	სდსპარტი		სდსპარტი	სდსპარტი		სდსპარტი	სდსპარტი		სდსპარტი	სდსპარტი		სდსპარტი	სდსპარტი	სდსპარტი				
I	71,0	57,4	72,8	69,9	5,0	5,9	10,4	7,1	2,2	0,5	0,4	1,3	0,9	1,5	0,2	0,7	0,5	0,9	1,1	0,9
II	5,6	6,9	5,8	5,9	49,5	52,5	60,7	54,0	18,5	10,3	13,6	15,3	2,8	2,5	2,3	2,6	4,8	2,8	1,9	3,5
III	3,6	3,4	1,9	3,0	14,6	16,2	12,6	14,1	28,2	19,6	33,3	28,9	5,9	8,3	9,0	7,4	9,4	7,5	6,9	8,2
IV	0,4	1,0	1,8	1,0	8,3	5,9	5,8	7,1	16,3	19,6	13,9	15,9	15,0	15,7	20,3	17,0	8,1	7,0	12,2	9,4
V	1,9	3,4	1,8	2,1	4,9	2,5	1,8	3,4	7,7	10,8	9,7	8,8	16,7	10,8	21,9	17,8	12,0	13,1	17,3	14,1
VI	1,0	2,4	1,4	1,4	4,1	3,4	1,4	3,0	6,3	9,3	7,4	7,1	14,4	12,3	15,5	14,5	15,3	15,5	19,0	17,1
VII	2,2	2,9	1,8	2,1	1,0	1,0	0,3	1,0	3,7	9,3	5,6	5,2	13,8	12,7	12,0	13,0	13,7	15,4	12,2	13,4
VIII	0,8	2,9	2,8	1,8	1,4	1,0	0,5	1,0	3,7	4,9	4,8	4,6	11,2	12,3	8,3	11,3	10,9	13,6	11,5	11,5
IX	0,8	6,4	2,3	2,1	0,5	1,0	0,5	0,6	1,5	2,5	4,2	2,7	6,4	9,8	3,7	5,9	9,5	8,4	7,4	8,6
X	2,2	2,9	2,3	2,3	0,5	0,5	0,3	0,5	1,5	2,5	1,8	1,7	2,6	3,9	1,4	2,3	4,6	5,6	5,2	5,9
პასუხი არ არის გაეცემული	10,5	10,4	5,3	8,4	10,2	10,1	5,5	8,2	10,4	10,3	5,4	8,5	10,3	10,2	5,5	8,5	10,3	9,8	5,2	8,3

	პირული ქონების მობარვა			ხეულებობა			წინააღმდეგობა მიწისთვის გუ-გაქისადმი			წინასწარი შვიტ-წობით ცრუ დასმენა			ალემერის გარე-ღისკვან ბორო-ტად თავის აპირება							
	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა					
I	1,0	1,0	0,2	0,7	1,4	3,9	0,9	1,5	1,3	1,0	0,3	0,9	0,6	1,5	1,4	1,0	1,3	—	0,3	1,0
II	2,4	2,0	1,4	2,0	3,1	3,9	1,6	2,6	2,9	1,5	1,4	2,2	1,4	—	3,9	2,1	4,0	3,9	2,6	3,4
III	6,0	8,3	6,0	6,3	10,3	12,3	4,1	8,3	4,7	7,8	4,5	5,1	2,4	7,4	8,3	5,2	6,2	10,5	6,3	6,8
IV	11,5	12,3	14,8	12,6	14,1	17,6	10,6	13,3	7,1	6,9	4,9	6,3	3,2	5,4	6,7	4,6	7,6	5,4	6,6	6,9
V	14,0	8,8	12,0	11,0	12,6	10,8	10,2	11,5	11,8	13,7	5,8	9,9	4,9	6,9	6,2	5,6	5,7	9,3	8,3	7,1
VI	12,6	16,7	12,9	13,2	10,8	7,8	11,8	10,8	7,3	10,8	9,1	8,4	7,7	4,9	8,1	7,5	8,8	5,9	11,0	9,2
VII	13,8	9,7	16,4	16,1	11,0	9,8	15,5	12,5	12,4	9,8	11,1	11,6	7,7	8,8	10,4	8,8	8,7	9,8	11,5	9,8
VIII	9,0	6,4	12,9	10,1	10,3	7,4	13,9	11,2	16,4	14,7	15,6	15,9	12,6	11,3	12,0	12,2	14,6	9,3	14,8	13,6
IX	10,3	13,2	10,9	10,9	9,0	6,4	15,7	11,1	15,0	11,5	21,1	11,6	16,5	16,7	15,2	16,1	19,6	21,1	18,4	19,5
X	9,0	11,3	7,2	8,6	7,0	9,8	10,4	8,6	10,6	10,20	4,14	2,32	6,27	0,22	6,28	2	13,0	14	2	14,8
პასუხი არ არის გაყვებული	10,4	10,3	5,3	8,6	10,5	11,7	5,6	8,7	10,4	10,1	5,2	8,5	10,5	10,3	5,4	8,5	10,5	10,3	5,4	8,5

ბუნებრივად იბადება კითხვა, რით არის გამოწვეული, რომ მექრთამეობის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებაში მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ნაწილის აზრი ასე დაშორებულია კანონმდებლის შეხედულებისაგან.

ცალკეული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ და უშუალოდ იმ კონკრეტული ზიანის მიხედვით, რაც მან სამართლით დაცულ ობიექტს მიაყენა. დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის, საზოგადოებრივი საშიშროება განისაზღვრება იმით, თუ რა ზიანს აყენებს იგი საერთოდ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამის შესახებ კი მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ დანაშაულს განზოგადებული სახით წარმოვიდგენთ და ანალიზს გავუყუეთებთ იმ მანერე შედეგებს, რომელნიც საერთოდ ამ დანაშაულს მოსდევს. ზოგიერთი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ადვილი შესამჩნევია, ზოგისა კი მოქალაქისათვის ძნელი ასაწონია. სწორედ ამ დანაშაულთა კატეგორიას ეკუთვნის მექრთამეობაც.

მოვიტანოთ ორი მაგალითი: მთვრალი ხულიგანი აუხირდა უცნობს. სცემა და მოსტეხა მას მკლავი. მეორე შემთხვევაში მოსამსახურემ ქრთამი მისცა თანამდებობის პირს იმისათვის, რომ სამსახურში დაწინაურებულიყო. საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება პირველი დანაშაული უფრო მძიმედ მოეჩვენოს, ვიდრე მეორე. ამის მიზეზი ის არის, რომ მოტეხილი მკლავი ცხადად მეტყველებს დანაშაულის შედეგის საშიშროებაზე, მეორე შემთხვევაში კი შედეგის მთელი სიმძიმის შეცნობა ქმედობის ჩადენის დროსვე თითქოს არ ხდება, ასეთი დანაშაულის ფესვები გაცილებით ღრმაა, მისი საშიშროება მთელი მოცულობით უფრო მოგვიანებით იჩენს თავს; მას სულ სხვა მანერე ტენდენციები ახასიათებს.

მექრთამეობის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების პირველი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი სახელმწიფო ქონების მიტაცების იარაღი, წყარო და დაფარვის საშუალებაა. მექრთამეობის საშიშროების მეორე მხარე მისი საყოველთაოდ გავრცელების ტენდენციაშია. მექრთამეობის, ასე ვთქვათ, მეტასტაზებს, თუკი ისინი დროზე არ ამოიკვეთა, ღრმად შეუძლია გაიდგას ფესვი საზოგადოების ყველა ფენასა და ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებაში. ეს კი იწვევს ქრთამის გაფეტიშებას, ქრთამის ყოვლისშემძლეობის აზრის გაბატონებას გარკვეულ სოციალურ მიკრო ჯგუფებში, იმას, რომ ქრთამი წარმოება-დაწესებულების საქმიანობის ჩვეულებრივ კომპონენტად იქცევა. ქრთამი იწვევს საზო-

გადობაში ღირებულებათა არასწორ გადაფასებას, ე. წ. „მექრთა:მე-
ყაყაქტა“ ეტალონური ჩვეულის შექმნას. ქრთაში ხელყოფს მოქალაქე-
თა კონსტიტუციურ უფლებებს, იგი ძირს უთხრის დისციპლინას, საბ-
ჭოთა აპარატის ნორმალურ მუშაობას, ძირსა სცემს თანამდებობის
პირთა ავტორიტეტს. ქრთაში საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი ყვე-
ლაზე საშიში მტერია. ყოველივე ამის გამო აუცილებელია მექრთაში-
ობის წინააღმდეგ ისეთი ძლიერი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რო-
გორცია აზრი სამშობლოს ღალატის, სისხლის აღრევის ანდა მათხო-
რობის შეუწყნარებლობაზე. ამგვარი მოვლენები ჩვენს რესპუბლიკაში
თითქმის აღარც გვხვდება და ამის ძირითადი მიზეზი სწორედ ასეთ
ძალუმ და საყოველთაო საზოგადოებრივ აზრში უნდა ვეძებოთ.

§ 4. მოსწავლეთა და სტუდენტობის გაცნობიერების დონე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და მისი დამოკიდებულება მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობისადმი

მართლშეგნება ფართო ცნებაა. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ
სამართლებრივი ნორმების ცოდნითა და მათი გაზიარებით. მასში აისა-
ხება მართლურთიერთობათა მეტ-ნაკლები კომპლექსიც. ცხადია,
მართლშეგნება მოიცავს აგრეთვე სამართლებრივი ინსტიტუტების შე-
სახებ ცოდნას და დამოკიდებულებას მართლმსაჯულების ორგანოების
საქმიანობისადმი.

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის
თანახმად, „სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სასა-
მართლოს განაჩენით“. ეს პრინციპი კიდევ უფრო ნათლადაა გამოხატუ-
ლი საქართველოს სსრ სსსკ მე-14 მუხლში, სადაც სწერია: „მართლმსა-
ჯულებას სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასა-
მართლო, არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს დამნაშავედ დანაშაუ-
ლის ჩადენაში და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, თუ არა სასა-
მართლო განაჩენით“.

ეს ნორმა სოციალისტური კანონიერების დაცვის მყარი საფუძვე-
ლია. იგი უზრუნველყოფს იმ დებულების მოქმედებას, რომ არცერთ
სახელმწიფო ორგანოს თუ თანამდებობის პირს არ შეუძლია გამოაცხა-
დოს ადამიანი დამნაშავედ და დასაჯოს იგი სისხლის სამართლის წესით,
თუ არა სასამართლომ, ისიც საქმის საჯაროდ განხილვით და ყველა
სამართლმსაჯულებო გარანტიის დაცვით. ამ დებულების დიდ მნიშვნე-

ცხრილი № 15

	საშუალო სკოლები				ტექნიკუმი და პროფსაწარმოებლები				უმაღლესი სასწავლებლები				პ ც ი		
	დაწესებულება	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული	დასაქმებული		დასაქმებული	
1	აქვს უფლება	22,6	28,6	40,3	31,7	33,7	38,7	29,0	33,8	5,0	10,9	19,6	17,5	14,8	25,1
2	არა აქვს უფლება	29,5	57,9	47,0	56,5	46,3	53,3	54,8	51,0	94,0	66,7	60,9	59,2	66,5	60,2
3	არ ვიცი	7,9	23,5	12,7	11,8	20,0	8,0	16,2	15,2	1,0	22,4	19,5	23,3	18,7	15,8

ლობაზე მეტყველებს ის, რომ იგი ქცეულია კონსტიტუციურ პრინციპად. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 151-ე მუხლის თანახმად „სსრ კავშირში მართლმსაჯულებას ახოციელებს მხოლოდ სასამართლო“.

ამ კონსტიტუციური გარანტიისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის დამოკიდებულების გამოსარკვევად ანკეტა შეიცავდა კითხვას: „თუ გამოძიების დროს შეგროვდა საკმაო მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ გამოძიებაში მყოფის ბრალეულობას, აქვს თუ არა გამოძიებელს ან პროკურორს ჩვენი კანონით უფლება მიუსაჯოს მას სასჯელი, ისე, რომ საქმე სასამართლოს არ გადასცეს.“

როგორც მიღებული პასუხებით გამოირკვა (იხ. ცხრილი № 15). გამოკითხულთა მხოლოდ 60,2% -ს სკოდნია, რომ მოქალაქის დასჯა სისხლის სამართლის წესით სასამართლო განაჩენის გარეშე დაუშვებელია. გამოკითხულთა 25,1%, ე. ი. მეოთხედი, თვლის, რომ ბრალდებული შეიძლება დასაჯოს პროკურორმა ან გამოძიებელმა, ხოლო 15,2% აცხადებს, რომ საერთოდ არ გააჩნია ცნობა ამ საკითხის ირგვლივ. ყველაზე კარგად ჩახედული ყოფილა საქმეში სტუდენტობა (სწორი პასუხი 66,5% -ს შეადგენს); მას მოსდევენ სკოლის მოსწავლეები (56,5%); ყველაზე ნაკლები ცოდნა გამოამყლანეს თბილისის ტექნიკუმების მოსწავლეებმა (46,9%)²¹.

2. საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელია საჯაროობის პრინციპი, რომელიც მტკიცედ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას. წინასწარ გამოძიებაში შეკრებილი მტკიცებულებანი სასამართლომ თავის საჯარო სხდომაზე თვითონ, უშუალოდ უნდა აღიქვას, მხარეთა თანდასწრებით. მათი აქტიური მონაწილეობით, კიდევ ერთხელ შეაჯეროს და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგინოს გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი.

საჯაროობის პრინციპთან დაკავშირებით ანკეტაში ასეთი კითხვა შევიტანეთ: „გამოძიების დროს გულდასმით შეამოწმეს და გამოიკვლიეს ყველა მტკიცებულება, რაც საქმეს შეეხებოდა. სამსჯავრო სხდომაზე სასამართლომ კვლავ დააკითხა იგივე მოწმეები და ისევ შეამოწმა ყველა დანარჩენი მტკიცებულება. მოითხოვს თუ არა ამას მოქმედი კანონი?“.

ამ საკითხში გამოკითხულებმა შედარებით მეტი ცოდნა გამოიჩინეს.

²¹ მოსკოვში მოწყობილი გამოკვლევის დროს გამოკითხულთა 69,2%-მა ანალოგიურ კითხვას სწორი პასუხი გასცა (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 93).

პასუხების 69,4% სწორი აღმოჩნდა. 10% მცდარია, ხოლო გამოკითხულთა 20,6% -მა ვერ უპასუხა კითხვას (იხ. ცხრილი № 16)²².

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის 158-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება. ამ უფლების განხორციელება ხელს უწყობს სასამართლოს კემშირტების დადგენაში. დაცვის უფლება საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთი დემოკრატიული პრინციპთაგანია და უზრუნველყოფს სამართალში მიცემულის სხვა საპროცესო უფლებების განხორციელებას.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლა მოსწავლე ასალგაზრდობის აზრი მართლმსაჯულების წარმოებაში ადვოკატის მონაწილეობის შესახებ. ეს აზრი საინტერესოა იმიტომაც, რომ უკანასკნელ ხანს ადვოკატის მონაწილეობა მართლმსაჯულების წარმოებაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და იურიდიულ ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობის კიდევ უფრო გაფართოების შესახებ. ანკეტაში დაისვა კითხვა: „როცა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმე იხილება ბრალდებულს უფლება აქვს მიმართოს ადვოკატს. სასამართლო პროცესში ადვოკატის მონაწილეობის მიზანშეწონილობაზე ზოგჯერ სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ. რომელი მიგანიათ თქვენ ყველაზე სწორად ქვემოთ მოხსენიებულ მოსაზრებათაგან“ (იხ. ცხრილი № 17).

როგორც ვხედავთ, მოსაზრებას, რომ ადვოკატის მონაწილეობა აუცილებელია ყველა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მხარი დაუჭირა გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლებმა (49%), ხოლო 6,2%-ს მიაჩნია, რომ ადვოკატი საერთოდ საჭირო არ არის. იგრძნობა, რომ ადვოკატურის ინსტიტუტს სათანადო მნიშვნელობა არ ეძლევა და ადვოკატი ჭეროვანი ავტორიტეტით არ სარგებლობს²³.

ახალგაზრდებს მივეცი თორი შეკითხვა იმ მიზნით, რომ გავგეგო მათი აზრი სავამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს საქმიანობის ზოგი მხარის თაობაზე (იხ. ცხრილი № 18, 19).

როგორც პირველ, ისე მეორე კითხვაზე პასუხები მოწმობენ იმას, რომ მოსწავლეებისა და სტუდენტობის შეხედულება ეთანხმება ნამდვილ ვითარებას. ის აზრი, რომ დანაშაული უმეტესად გაუხსნელი

²² მოსკოვში ჩატარებული გამოკვლევისას მიღებული პასუხების 79% სწორია (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 94).

²³ მოსკოვში მოწყობილი გამოკვლევის დროს ადვოკატის მონაწილეობას ყველა სისხლის სამართლის საქმეზე მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 60,8%-მა (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 99).

ცხრილი № 16

	საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და პროფსასწავლებლები			შემოსული სასწავლებლები				ს. ნ. ე.			
	ყაბახაძე	ს. ნ. ე.	ს. ნ. ე.	ტყეაშვილი	ს. ნ. ე.	ს. ნ. ე.	ს. ნ. ე.	ს. ნ. ე.	ს. ნ. ე.	ს. ნ. ე.				
1 შოთხობის	72.6	75.2	60.7	69.0	67.1	37.1	33.3	62.0	72.5	64.7	68.6	83.0	71.4	69.4
2 არ შოთხობის	13.2	8.7	17.0	13.1	15.2	3.2	14.5	11.4	3.6	8.1	6.1	5.0	6.0	10.0
3 არ ე.ე.ე.	14.2	15.9	22.3	18.0	18.0	9.7	43.5	23.8	23.9	27.2	25.3	6.0	23.6	20.6

	საშუალო სკოლები			ტექნიკუმი და პროფსასწავლებლები			უმჯობესი სასწავლებლები								
	გაწარმოებული	შენიშნული	მნიშვნელობა	გაწარმოებული	შენიშნული	მნიშვნელობა	გაწარმოებული	შენიშნული	მნიშვნელობა						
	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა						
1	ადოკატის მონაწილეობა აუცილებელია ავტომატური საკმეში, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე	56,8	53,1	28,7	44,6	50,0	48,4	37,1	45,6	44,9	59,2	55,5	61,0	55,2	49,0
2	ადოკატის მონაწილეობა აუცილებელია მხოლოდ მძიმე დანაშაულის საკმეებში	12,6	12,8	21,0	15,9	11,2	21,0	24,2	18,1	8,0	6,5	8,2	9,0	7,8	12,9
3	ადოკატის მონაწილეობა უნდა შეიზღუდოს იგი არ უნდა იქნეს დამებუნი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საკმეებში	14,7	12,4	15,3	14,1	8,6	9,7	14,5	10,8	23,9	10,9	13,5	5,0	13,6	13,5
4	ადოკატის მონაწილეობა უნდა შეიზღუდოს მხოლოდ არასრულწლოვანთა საკმეებით	3,7	3,4	9,3	5,8	7,5	12,9	1,6	7,4	3,6	2,2	0,8	7,0	2,7	4,7
5	ადოკატის მონაწილეობა უნდა შეიზღუდოს რაიმე სხვა წესით	2,1	2,8	2,7	2,6	7,5	1,6	11,3	6,9	2,2	2,7	2,0	8,0	3,1	2,7
6	ადოკატის მონაწილეობა საამართლოში სავსებით ზედმეტად მიზანია	3,2	5,2	6,7	5,3	1,3	1,6	1,6	1,5	6,5	6,5	10,0	7,0	6,2	
7	მიძინელება სასახის გაცემა	6,9	10,3	16,3	11,7	13,7	4,6	9,7	9,7	10,9	12,0	13,5	10,6	11,0	

1. სისხლის სამართალწარმოების კანონის ამოქანად ითვლება დანაშაულის, რაც შეიძლება, სწრაფი გახსნა. რას იტყვიოთ თქვენ ამის გამო:	საშუალო სკოლები	ტექნიკუმი და კოფ. სსფ.	უმღლ. სასწავლ.	სულ
1. ყველა დანაშაული იხსნება	24,1	24,5	13,2	19,7
2. უმრავლეს შემთხვევაში ყოველგვარი დანაშაული იხსნება	36,5	39,2	43,2	42,0
3. დანაშაულის გახსნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხასიათისაა იგი, ზოგი მეტწილად იხსნება, ზოგი კი უფრო იშვიათად	24,7	23,0	25,2	24,7
4. უმრავლეს შემთხვევაში დანაშაული გაუხსნელი რჩება	3,3	4,4	5,2	4,2
5. მივიჩნის პასუხის გაცემა	11,5	8,8	7,2	9,4

ცხრილი № 19

11. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შედეგებზე სხვადასხვა აზრი არსებობს. იმის მიხედვით, რაც იცით სასამართლოს საქმიანობის შესახებ, რომელი მიგაჩნიათ უფრო სწორად ქვემოთ აღნიშნულ მოსაზრებათაგან:	საშუალო სკოლები	ტექნიკუმი და კოფ. სსფ.	უმღლესი სასწავლ.	სულ
1. სასამართლო სჯის დამნაშავეს სასამართლიანად, მისი ბრალის შესაბამისად	77,6	74,5	73,8	75,7
2. სასამართლო სჯის დამნაშავეს მეტისმეტად მკაცრად	9,1	9,3	2,7	6,5
3. სასამართლო ადებს დამნაშავეს მეტისმეტად მსუბუქ სასჯელს	3,3	5,9	6,9	5,1
4. სხვა მოსაზრება	1,1	1,5	6,0	3,1
5. ვერაფერს ვიტყვი	3,8	8,8	10,6	9,6

რჩება, გამოთქვა გამოკითხულთა მხოლოდ 4,2% -მა. ამავე დროს ახალგაზრდობის 75,7% -ს მიაჩნია, რომ სასამართლო სამართლიანად სჯის დამნაშავეებს; 6,5% -ის შეფასებით სასამართლო მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს, ხოლო 5,1% მას ზედმეტ ლმობიერებას უსაყვედურებს. აღსანიშნავია, რომ სასამართლოების მიერ დადებული სასჯელების სამართლიანობის აღიარებაში სკოლის მოსწავლეები (77,6%) სტუდენტებზე (75,6%) წინ არიან.

6. საბჭოთა კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმეთა გან-

ხილვა სასამართლოში წარმოებს სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. მათი თანაწილობა მოსამართლესთან დადგენილია კანონით. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების დიდი მონაპოვარია. იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრიობის მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში და ხელს უწყობს მოქალაქეთა მართლშეგნების ამოღებას. მსაჯულთა ინსტიტუტის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ იგი აღიარებულია და განმტკიცებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით. კონსტიტუციის 154-ე მუხლში ნათქვამია, რომ „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხდება კოლეგიურად, პირველი ინსტანციის სასამართლოში — სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. სახალხო მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ“.

როგორ დამოკიდებულებას იჩენს მსაჯულთა ინსტიტუტისადმი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა? როგორც ცხრილი № 20 გვიჩვენებს, ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აზრი საკვებით იზიარებს მსაჯულთა ინსტიტუტს: გამოკითხულთა 87,5%-ს სასარგებლოდ მიაჩნია მსაჯულთა მონაწილეობა სასამართლოში საქმის განხილვისას²⁴.

ახალგაზრდობის დადებითი დამოკიდებულება მსაჯულთა ინსტიტუტისადმი განაპირობებს მათ მისწრაფებას იმუშაონ სახალხო მსაჯულებად. შეკითხვაზე „ისურვებდით თუ არა ყოფილიყიით სახალხო მსაჯული, გამოკითხულთა უმრავლესობისაგან მიღებული დადებითი პასუხი (იხ. ცხრილი № 21).

7. სამართლებრივი კონტროლის ძალა ბევრად დამოკიდებულია იმ ორგანოთა და იმ პროფესიათა ავტორიტეტზე, რომლებიც სამართლის ფუნქციების შესრულებას ემსახურებიან. ჩვენ დავიანტირესდით იმით, თუ როგორი ავტორიტეტი აქვს ახალგაზრდობის თვალში მართლმსაჯულების ორგანოებსა და იურისტის პროფესიას. ამის გასაგებად ანკეტაში შევიტანეთ ზოგი ისეთი კითხვა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ სათანადო ცნობას მოგვიტანდა.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასამართლო წესით იცავს მოქალაქის პატივსა და ღირსებას. მიაჩნია თუ არა ახალგაზრდობას სასამართლო ისეთ ორგანოდ, რომელსაც შეუძლია დაიცვას მათი პატივი და ღირსება? ანკეტა ასე მიმართავედა გამოსაკითხებს: „პეტრია-შვილმა გაიგო, რომ ავრცელებენ მისი სახელის გამაწილებელ ცნო-

²⁴ მოსკოვში, ჩატარებული გამოკვლევისას მსაჯულთა ინსტიტუტს მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 82,6%-მა (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 98).

ლასმელი კითხვები და შესაძლებელი პასუხები	საშუალო სკოლები	ტექნიკუმები და პროფ. სასწავლ.	უმაღლესი სკოლები	სულ
1. მსაჯულთა მონაწილეობა სასამართლო პროცესში სასარგებლოა, რადგან ხალხის წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება უშუალო მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელებაში	34,2	34,3	51,1	41,7
2. მსაჯულთა მონაწილეობა სასარგებლოა, რადგან პროფესიულ მოსამართლეზე მეტად შეურიგებელნი არიან დამნაშავეობის მიმართ	11,8	10,8	4,0	8,5
3. მსაჯულთა მონაწილეობა სასარგებლოა, რადგან ხელს უწყობს საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევას	13,0	14,7	7,6	11,1
4. მსაჯულთა მონაწილეობა სასარგებლოა სხვა მოსახრებით	29,7	25,5	22,2	26,2
5. მსაჯულთა მონაწილეობას არ მოაქვს სარგებლობა, რადგან მათ არა აქვთ სპეციალური იურიდიული მომზადება	2,0	0,5	2,2	1,7
6. მსაჯულთა მონაწილეობას არ მოაქვს სარგებლობა	1,3	4,9	4,3	4,8
7. სახალხო მსაჯულთა მონაწილეობას არ მოაქვს სარგებლობა სხვა მიზეზის გამო	1,9	1,5	1,8	1,8
8. პასუხის ვაცემა მიჭირს	1,0	7,8	6,8	4,0

	საშუალო სკოლები	ტექნიკუმები და პროფ. სასწავლ.	უმაღლესი სსსწ.	სულ
დიდად მსურს	18,5	15,7	10,5	14,9
მსურს	39,0	43,1	51,6	44,6
ჩემთვის სულ ერთია არ მიინდა	16,1	14,2	13,5	14,8
გადაჭრით წინააღმდეგი ვარ	20,8	16,7	17,4	18,9
	5,6	10,3	7,0	6,8

ბეზს. იგი აღმწოთდა და გადაწყვეტა დაეცვა თავისი უფლება. როგორ მოიქცეოდით თქვენ პეტრიანოვილის ადგილზე".

პასუხებმა ყურადსაღები მონაცემები მოგვცა (იხ. ცხრილი № 22). მოსწავლე ახალგაზრდობას არ მიანიხია სასამართლო ისეთ ორგანოდ, რომელსაც უნდა მიმართოს თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად. გამოკითხულთა მხოლოდ 8.6% -მა განაცხადა, რომ იგი მიმართავდა სასამართლოს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები ნაკლებ ენდობიან სასამართლოს. ვიდრე მოსწავლეები: თუ საშუალო სკოლის მოსწავლეთაგან 20% თვლის, რომ თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად უნდა სასამართლოს მიმართოს, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთაგან ასეთი

	სკოლები			ტექნიკუმი და პროფსასწავ.			უმაღლესი სასწავლებლები					
	შენიშვნა			შენიშვნა			შენიშვნა					
	მ	წ	წ	მ	წ	წ	მ	წ	წ			
დასმული კითხვები და შესაძლებელი პასუხები	მ	წ	წ	მ	წ	წ	მ	წ	წ			
1 მიმართაველით იმ დაწესებულების პარტიულ, კომკავშირულ ან პროფკავშირულ ორგანიზაციას, სადაც ცოდისმწამებელი მუშაობს	31,121,8	18,722,8	26,324,232,3	27,529,0	26,124,5	41,028,3	25,6					
2 მიმართაველით ამჟანაგურ სსამართლოს	20,534,5	23,326,7	13,735,5	24,223,5	3,6	9,218,8	12,012,0	21,3				
3 მიმართაველით სახალხო სსამართლოს	8,4	6,212,0	9,0	8,8	4,817,7	10,3	0,7	8,2	3,726,0	7,6	8,6	
4 უნას იტყოდით ასეთ მიმართვაზე, და თქვენს აღმფლეთებელ პირადლ ცოდისმწამებელს განუცხადებდით	23,120,7	17,320,0	23,717,7	14,519,1	49,344,6	28,220,0	35,826,3					
5 მოიქცეოდით სხვაგვარად	7,4	3,4	3,7	4,510,0	4,6	5,9	8,0	4,3	8,6	1,0	6,2	5,3
6 პასუხის გაცემა მოეჩის	9,513,4	20,015,0	17,513,0	9,713,7	9,4	7,616,2	—	10,112,8				

აზრისა მხოლოდ 0,7%-ია. ამავე დროს შეურაცხყოფელთან პირადად ანგარიშის გასწორებას ამჯობინებს სკოლის მოსწავლეთა 20%, ხოლო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა 49,3%. ვერ ვიტყვიტ ამასვე პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი მიმართვის თაობაზე. ამ შემთხვევაში საშუალო სკოლის მოსწავლეთაგან დადებითი პასუხი მიღებულია 22,8%-საგან, ტექნიკუმების მოსწავლეთა 27,5%-ისა და სტუდენტობის 28,3%-ისაგან.

ჩვენ დაინტერესდით აგრეთვე იმით, თუ რამდენად პოპულარულია მოსწავლე ახალგაზრდობაში იურისტის პროფესია. კითხვაზე, „ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი შვილი იურისტი გამოსულიყო?“, უმრავლესობამ გვიპასუხა დადებითად (იხ. ცხრილი № 23).

ც ხ რ ი ლ ი № 23

	საშუალო სკოლები	ტექნიკუმები და პროფ. სასწ.	უმაღლესი სასწ.	ს უ ლ
მეტად სასურველია მსურს	36,3	33,8	24,9	31,4
ჩემთვის სულ ერთია	38,2	42,2	40,6	39,7
წინააღმდეგი ვარ	13,7	11,3	20,1	16,0
კატეგორიული წინააღმდეგი ვარ	7,4	8,8	9,4	8,4
	4,4	3,9	5,0	4,5

კითხვაზე, თქვენი შვილი იურისტი რომ ყოფილიყო, რომელი დარგის მუშაობას ისურვებდით მისთვის, გამოკითხულებმა შემდეგნაირად გვიპასუხეს:

ც ხ რ ი ლ ი № 24

	საშუალო სკოლები	ტექნიკუმები და პროფ. სასწ.	უმაღლესი სასწ.	ს უ ლ
მოსამართლეობა	12,1	12,3	17,7	14,4
პროკურორობა	35,5	32,3	23,0	30,0
გამომძიებლობა	38,8	38,2	39,0	38,8
ინოტარიუსობა	0,8	1,5	7,8	3,8
იურისკონსულტობა	6,1	6,9	4,0	5,4
ადვოკატობა	4,3	5,4	7,0	5,6
მილიციის მუშაობა	2,4	3,4	1,5	2,2

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდობის თვალში ყველაზე პოპულარული გამომძიებლობა ყოფილა (38,8%), მას მოსდევს პროკურორობა (30%).

მოსამართლეს საბჭოთა მართლმსაჯულების პირამიდაში უმაღლესი ადგილი უჭირავს, სასამართლოს უზენაესობა მართლმსაჯულების განხორციელებაში აღიარებულია თვით საბჭოთა კონსტიტუციით; მიუხე-

დავად ამისა, მოსწავლე ახალგაზრდობის თვალში მოსამართლეობა არც თუ ისეთ მოწონებაშია (14,4 %).

მოსამართლის პროფესიის ნაკლები ავტორიტეტი ერთგვარად განპირობებულია იმითაც, რომ ახალგაზრდობამ მეტად ცოტა იცის მოსამართლის თანამდებობრივი სტატუსის შესახებ. ვერ ერკვევა ისეთ კონსტიტუციურ დებულებებში, როგორცაა მოსამართლის არჩევითობა (სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლი), მისი დამოუკიდებლობა და ის, რომ იგი მხოლოდ კანონს ემორჩილება (სსრ კავშირის კონსტიტუციის 155-ე მუხლი) და ა. შ. ეს ნათლად ჩანს იმ პასუხებიდანაც, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ანკეტაში დასმულ შემდეგ ორ კითხვაზე: 1. რა წესით შეიძლება გახდეს მოქალაქე მოსამართლედ (იხ. ცხრილი № 25) და 2. აქვს თუ არა უფლება ზემდგომ ორგანოს უშუალოდ თეი-

ცხრილი № 25

მოსამართლეს ნიშნავს:	საშუალო სკოლები	ტექნიკუმ. და პროფ. სასწ.	უმაღლესი სასწ.	ს უ ლ
ზემდგომი სასამართლო	12,8	41,2	24,9	35,4
რაიოლმასკომი	10,9	10,8	5,1	8,5
სხვა რაიონული ორგანიზაცია	4,2	8,8	1,9	3,9
მოსამართლეს ირჩევს მოსახლეობა	33,9	36,3	59,1	43,9
მოსამართლე ინიშნება რაიმე სხვა წესით	3,3	2,9	4,2	3,6
პასუხის გაცემა მივირს	5,9	—	4,8	4,7

თონ გადააყენოს მოსამართლე (იხ. ცხრილი № 26).

ცხრილი № 26

	საშუალო სკოლები	ტექნიკუმები და პროფ. სასწ.	უმაღლესი სასწ.	ს უ ლ
აქვს	75,9	71,1	57,1	67,7
არა აქვს	12,9	9,3	23,1	16,6
არ ვიცი.	11,2	19,6	19,8	15,7

ამრიგად, გამოკითხული ახალგაზრდობიდან მხოლოდ 43,9%-ს სცოდნია, რომ მოსამართლეს ხალხი ირჩევს. საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ მოსამართლეს ზემდგომი სასამართლო ნიშნავს.

იმის უცოდინარობას, რომ მოსამართლის თანამდებობა არჩევითია, სდევს მეორე შეცდომა. ახალგაზრდობის უმრავლესობას ჰგონია, რომ ზემდგომ ორგანოს უფლება აქვს გადააყენოს მოსამართლე. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაკლები ცოდნა საშუალო სკოლისა და ტექნიკუმების მოსწავლეებს ჰქონიათ²⁵.

²⁵ მოსკოვში მოწუობილი გამოკვლევების სწორი პასუხები მხოლოდ 24,8%-ს შეადგენდა (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 93).

კვლევის შედეგები, დასკვნები, წინადადებანი

კვლევის შედეგები ნაშრომში, რა თქმა უნდა, ერთგვარად უკვე აისახა, მაგრამ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუკი ამ შედეგებს დასკვნებისა და წინადადებების სახით შევაჯამებთ.

ადამიანი არ იბადება შეგნებულ არსებად. იგი შეგნებულ არსებად იქცევა მისი სოციალიზაციის კვალობაზე. ადამიანის გადაქცევა სოციალურ არსებად მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ გარემოში შეიძლება. სოციალიზაციის აუცილებელ პირობას საზოგადოება წარმოადგენს, საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობა კი წარმოებაა. ადამიანთა ურთიერთობის, მათი სოციალურ ჯგუფებად გაერთიანების აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, წარმოების აუცილებლობაში ქვეს.

ადამიანის სოციალიზაცია იწყება თვითონტროლის უნარის გაჩენით. თვითონტროლი წარმოადგენელია თავის თავისა და ქცევის ობიექტუალის ვარეშე. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია შეგნებასთან, თავისი თავისა და ქცევის გაცნობიერების უნართან. ამას ადამიანის ცნობიერების, აზროვნების საშუალებით აღწევს.

ადამიანის სოციალიზაციის კვალობაზე არა მარტო ხდება ცოდნის და გამოცდილების დაგროვება, ამაყდ იქმნება დამოკიდებულება სხვადასხვა შოვლენებისადმი — ყალიბდება სოციალურ ღირებულებათა მთელი სისტემა, მუშავდება ამა თუ იმ ვითარების შესაბამისი ქცევის შაბლონები, აგრეთვე, რაც მთავარია, იქმნება დამოკიდებულება ამა თუ იმ მოქმედებისადმი და მზაობა ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად. ყოველივე წარმოშობს ცოდნისა და გარკვეული მოქმედებისადმი მზაობის პოტენციურ ველს, რომელიც შეგნების სფეროს განეკუთვნება. ადამიანის შეგნება ინდივიდუალურია, ამავე დროს იგი საზოგადოებრივიცაა, რადგან სოციალიზაციის პროდუქტს წარმოადგენს და მისი მოქმედებაც საზოგადოებრივ, სოციალურ გარემოში წარმოებს, შეგნება სოციალიზაციის წყაროა და ამავე დროს სოციალიზაციის პროდუქტად გვევლინება.

საზოგადოებრივი შეგნება ზედნაშენური კატეგორიაა, მაგრამ იგი ყოფიერების უბრალო ასახვა როდია, საზოგადოებრივ შეგნებას ადამიანთა ქცევის, მათი ურთიერთობის მომწესრიგებელი ფუნქცია აქვს, რომელიც, თავის მხრივ, უკუზემოქმედებას ახდენს საწარმოო ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობებზე. ადამიანის შეგნებას მთლიანობა ახასიათებს. იგი ქმნის ცნობიერებაში ყოფიერების ასახვის ერთიან სისტემას. ალქმის თვალსაზრისით იგი დიფერენცირებული არ არის და ფსიქოლოგიურად მთლიანობითს განცდას წარმოადგენს. ამიტომ მსჯელობა იმაზე, სად მთავრდება ადამიანის, ვთქვათ, პოლიტიკური შეგნება და სად იწყება მისი ესთეტიკური შეგნება, მხოლოდ პირობითი მსჯელობა იქნება და ეს საკითხი უფრო მეცნიერების განსჯის საგანს წარმოადგენს, ვიდრე ადამიანის ალქმის ობიექტს. მეცნიერების სხვადასხვა დარგი დიფერენცირებული შესწავლის მიზნით გამოჰყოფს საზოგადოებრივი შეგნების ამა თუ იმ ნაწილს. იმის კვალობაზე, თუ საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელი სფეროს შეგნებისეულ მოწესრიგებას ეხება საქმე, წარმოიშობა მოძღვრებაც საზოგადოებრივი შეგნების შესაბამისი ფორმის თაობაზე.

საზოგადოებრივი შეგნების იმ ნაწილს, რომელიც საზოგადოების სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროს ასახავს, მართლშეგნებას უწოდებენ. მართლშეგნებას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს: შემეცნებითი, შეფასებითი და მომწესრიგებელი. ადამიანი ალქურვილია მაღალი მართლშეგნებით, თუ მან იცის კანონი, ეთანხმება მას, იზიარებს და მზად არის შეასრულოს მისი მოთხოვნა. მართლშეგნების ფუნქციათა შორის მთავარია მომწესრიგებელი ფუნქცია. ამ ფუნქციის შესწავლისათვის აუცილებელია გამოვიყვილოთ ადამიანის ქცევაზე მართლშეგნების ზემოქმედების მექანიზმი, სოცუნახოთ მართლშეგნებას ადგილი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში, უნდა გავარკვიოთ მართლშეგნების მაკონტროლებელი როლი, მისი კავშირი სოციალურ კონტროლთან და საზოგადოებრივ აზრთან, ყოველივე ამისათვის აუცილებელია შევისწავლოთ განწყობის ფსიქოლოგია და დავასაბუთოთ მისი მნიშვნელობა დანაშაულებრივი ქცევისათვის.

2. ქცევის ამა თუ იმ შაბლონის არჩევის მიზეზის ასახსნელად, იმის დასადგენად, თუ რატომ ხდება, რომ მრავალ შესაძლებელ ქცევას შორის, რომელთა საშუალებითაც ადამიანს შეუძლია მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, იგი სწორედ დანაშაულებრივ ქცევას ირჩევს, — ამის გაგებას ძირითადად ადამიანის სოციალიზაციის პროცესის ანალიზი იძლევა.

ნებისყოფა ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის. ახალშობილი ბავშვი მოთხოვნების სუბიექტია. ადამიანი ყალიბდება ნებისყოფის სუბიექტად მისი სოციალიზაციის კვალობაზე, სოციალიზაციის უნარი ადამიანს აქვს იმდენად, რამდენადაც მას ცნობიერება გააჩნია. ცნობიერების მეოხებით ადამიანი ახდენს თავისი თავისა და თავისი ქცევის ობიექტივაციას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია თვითკონტროლის უნართან. თვითკონტროლი იგივე სოციალური კონტროლია, რადგან ადამიანი თავის თავსა და მოქმედებას საზოგადოების თვალთ აფასებს. სოციალური კონტროლი შეუძლებელია თვითკონტროლის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი — „მე“ — კონცეფციის გარეშე, „მე“ — კონცეფცია ადამიანს უყალიბდება სოციალიზაციის კვალობაზე და დაკავშირებული თავისი თავის ობიექტური ღირებულების შეცნობის უნართან. „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბება ხდება ღირებულებათა იმ სისტემისა და ქცევის იმ ნორმების მეოხებით, რომლებიც მიღებულია თავის ეტალონურ ჯგუფში. ღირებულებათა ამ სისტემასა და ქცევის ამ ნორმებს ადამიანი ითვისებს როგორც თავის სოციალურ ღირებულებათა სისტემას და თავისი ქცევის ნორმებს.

ადამიანები ერთიანდებიან სოციალურ ჯგუფებად თავიანთი სოციალური ბუნებისა და ინტერესების ერთობის გამო. მათი ერთობლივი საქმიანობა ხერხდება ჯგუფის მონაწილეთათვის მისაღები ქცევის შაბლონების შემუშავებით. ქცევის საერთო შაბლონები ქცევის სოციალურად სავალდებულო ნორმების ხასიათს იღებს. ეს ნორმები საზოგადოების ოფიციალური სფეროს გარეშეა და მათი შესრულება უზრუნველყოფილია მხოლოდ სოციალური კონტროლით. ყოველგვარი ნორმის დარღვევა შესაძლებელი და მოსალოდნელია. ამიტომ საზოგადოებაში ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია სანქციები. სოციალური ნორმების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად კი საზოგადოებრივი აზრი გვევლინება.

საზოგადოებრივი აზრი სამართალზე არის მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფებში გაბატონებული შეხედულება ამა თუ იმ სოციალურ, კერძოდ სამართლებრივ, მოვლენაზე, აგრეთვე პიროვნებაზე, მის ქცევისა და სოციალურ, კერძოდ, სამართლებრივ ღირებულებაზე. საზოგადოებრივი აზრი ძირითადად განპირობებულია ამ საზოგადოებაში მოქმედი წარმოების წესით, მისი სოციალური და პოლიტიკური წყობით, ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობებითა და საზოგადოებრივი შეგნების დონით. საზოგადოებრივი აზრი გვევლინება სოცი-

ალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალებად და „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბების და განმტკიცების წყაროდ.

3. საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმეტესი ნაწილი მოწესრიგებულია არაოფიციალური ნორმებით, რომლებიც მოქმედებენ როგორც ქვეყნის წმინდა სოციალური ნორმები. ეს ნორმები სრულდება სოციალური კონტროლის წყალობით, რომელიც საზოგადოებრივი აზრით არის უზრუნველყოფილი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაწილს აწესრიგებს თვით სახელმწიფო სამართლებრივი აქტების გამოცემით. სამართლებრივი ნორმების დადგენით საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართლებრივი ურთიერთობების ფორმა ეძლევა. სამართლებრივი ნორმის შესრულება უზრუნველყოფილია სამართლებრივი სანქციის საშუალებით. სამართლებრივი სანქციის დაწესებით სოციალურ კონტროლს სამართლებრივი კონტროლის ძალა ენიჭება. სამართლებრივი კონტროლი უზრუნველყოფილია არა საზოგადოებრივი აზრით, არამედ სამართლებრივ სანქციათა სისტემით, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების ღონისძიებებით.

სამართლებრივი კონტროლი განსაკუთრებით შედეგიანია, როცა მას საზოგადოებრივი აზრი ემთხვევა, რაც უფრო მეტ სოციალურ ჯგუფშია გაბატონებული სამართლებრივი კონტროლის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი, მით უფრო შედეგიანია ეს კონტროლი. თუ სამართლებრივი კონტროლის სასარგებლო საზოგადოებრივ აზრს საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფი იზიარებს, ისე როგორც ეს, მაგალითად, სისხლის აღრევის და მათხოვრობის შემთხვევაშია, სამართლებრივი კონტროლის შედეგიანობა მაქსიმუმს აღწევს.

სოციალური კონტროლი სამართლებრივ კონტროლზე ფართოა. მის არეშია მოქმედებათა გაცილებით დიდი წრე, ზოგჯერ იგი სამართლებრივ კონტროლსაც მოიცავს. იგივე შეიძლება ითქვას მართლშეგნებისა და საზოგადოებრივი აზრის ცნებების ურთიერთდამოკიდებულებაზე. საზოგადოებრივი აზრის ცნება უაღრესად ფართოა, იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მოვლენას. მათ შორის სამართლებრივ მოვლენებსაც. ამავე დროს საზოგადოებრივი აზრი ხშირად ემთხვევა მართლშეგნებას და სწორედ მას გამოხატავს, ზოგჯერ იგი ინდიფერენტულია სამართლებრივი მოვლენებისადმი და ზოგჯერაც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის მოთხოვნას.

მართლშეგნების როლი სამართლებრივი კონტროლის სტრუქტურაში თანდათან უნდა გაიზარდოს. ამით უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი კონტროლის და სოციალური კონტროლის დაახლოება,

სოლო შემდგომ — დამოხვევაც. საზოგადოებრივი აზრი უნდა ამაღლდეს მართლშეგნების დონემდე და მართლშეგნების ცნება გადაიქცეს საზოგადოებრივი აზრისადმი დაქვემდებარებულ ცნებად. ასეთ პირობებში სამართლებრივი ნორმების შედეგიანობა მაქსიმუმს მიაღწევს.

4. მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქციის მნიშვნელობის დასაბუთებისათვის აუცილებელია ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის გამოკვლევა, საჭიროა მოვეუნახოთ ადგილი მართლშეგნების დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სტრუქტურაში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს არა მხოლოდ ნებლობით ქცევას, არამედ იმპულსურსაც, ოღონდ ისეთს, რომლის დროსაც ადამიანს აქვს უნარი გააცნობიეროს თავისი ქცევა და ამით მას ნებისყოფა შეუზიაროს. რეფლექტორული და ისეთი იმპულსური მოქმედების დროს, როდესაც ნებლობითი სფერო შებორკილია, ადამიანი არ გვევლინება ნებისყოფის სუბიექტად. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტს, რადგან მხოლოდ ნებისყოფას შეუძლია გაათავისუფლოს კაცი მოთხოვნის იმპულსთა ბატონობისაგან და მისცეს მას საშუალება შეასრულოს სამართლებრივი ნორმების მოთხოვნა. როცა გამორიცხულია ნებლობითი ქცევის შესაძლებლობა, გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. დანაშაულის სუბიექტად შეიძლება მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტი იყოს, მაგრამ ნებისყოფის სუბიექტად გვევლინება არა მხოლოდ ის, ვინც ნამდვილად ნებლობით მოქმედებდა, არამედ ისიც, ვინც კონკრეტულ ვითარებაში მოქმედებდა როგორც სამართლებრივი კონტროლის სუბიექტი, ე. ი. ის, ვისაც შესწევდა თვითკონტროლისა და, ამდენად, ნებლობითი ქცევის უნარი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია, თუ ადამიანს არა აქვს თვითკონტროლის უნარი და თანაც უნარიც დაემორჩილოს სამართლებრივ კონტროლს.

იმპულსური ქცევის დაკავშირება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან აუცილებელს ხდის შესწავლილ იქნეს მექანიზმი. რომლითაც მართლშეგნება იმპულსურ ქცევაზე მოქმედებს. ამასთანავე აუცილებელია მართლშეგნებას განესაზღვროს ადგილი როგორც ნებლობითი, ისე იმპულსური ქცევის ფსიქოლოგიურ ფაქტორთა შორის.

5. მოთხოვნის გარეშე არ არსებობს აქტივობა, აქტივობის გარეშე — ქცევა, ხოლო ქცევის გარეშე — დანაშაული. ნორმალურ ადამიანს თავისთავად არა აქვს დანაშაულის ჩადენის მოთხოვნის გარეშე დასაქმებული ერთ-ერთი საშუალებაა მოთხოვნის დასაკმაყოფილებელ

საამისოდ შესაძლებელ მრავალ ქცევათა შორის. ამიტომ, აირჩევს თუ არა ადამიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დანაშაულებრივ ქცევას, ეს მოთხოვნილებაზე დამოკიდებული არ არის.

მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზების ძიება მოტივაციის საშუალებით ხდება. სანამ ადამიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამა თუ იმ ქცევის ხერხს მიმართავდეს, იგი სათანადოდ მსჯელობს და ეძებს ამ ქცევას. კონკრეტული ქცევის დროის, მიმართულებისა და ხასიათის ინტელექტუალური ძიების პროცესი მოტივაციის პროცესია, რომლის შედეგადაც სუბიექტი ასკენის, რომელი ქცევაა მისთვის ხელსაყრელი, ამ კერძო ვითარებაში შესაძლებელ უამრავ სხვა ქცევათა შორის. თუ იგი დაასკენის, რომ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოსადეგი სხვადასხვა საზოგადოებრივი ღირებულების სხვადასხვა ქცევას შორის მისთვის ყველაზე ხელსაყრელი დანაშაულის (ვთქვათ ქურდობის) ჩადენაა, მას შეუმუშავდება დანაშაულებრივი ქცევის (ქურდობის) მოტივი. თუ ამას თან მოჰყვა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, შემდეგ — შესაბამისი განწყობა და ბოლოს — დანაშაულის ჩადენაც, დანაშაულის ჩადენის მიზეზი განწყობა როდი იქნება, რადგან განწყობაში განხორციელება პოვა დანაშაულის ჩადენის მოტივი, რომელიც მიღებული იქნა მოტივაციის პროცესში.

მოტივაციის პროცესი ინტელექტუალური პროცესია, რომლის დროსაც ცნობიერების საშუალებით, სოციალური სიმბოლოების გამოყენებით ხერხდება მომავალი ქცევის სურათის წარმოსახვა, ხოლო ცოდნის სათანადო სფეროს აქტუალიზაციის შედეგად — ამ ქცევის შესასრულებელი გზების გამოჩვენაც. როგორც კი მოტივაციის პროცესი მიაღწევა ქცევას, რომელსაც სამართლებრივი ხასიათი აქვს, მაშინვე ხდება მართლშეგნების სფეროს აქტუალიზაცია, ე. ი. იმ სფეროსი, რომელიც ავლენს, თუ რა იცის ამ კაცმა სამართლებრივი ნორმების და საერთოდ სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, როგორია მისი დამოკიდებულება მათდამი და სამართლებრივი ხასიათის ქცევის რა შაბლონები აქვს შემუშავებული. ყოველივე ამის გამო დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში და მოტივაციის პროცესში მართლშეგნებას და საერთოდ სოციალურ, კერძოდ კი სამართლებრივ, სიმბოლოებს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს.

სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ისეთი სპეციფიკური ფაქტორის მონაწილეობა, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება არც კი შეინიშნებოდეს. სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის დროს მოტივაციის სუ-

ბიექტური მხარის ფაქტორებს (მოთხოვნილება, სუბიექტის უნარი და შესაბამის ობიექტურ ფაქტორებს -- მოთხოვნილების ობიექტი, სიტუაცია) ემატება სუბიექტური მხარის ფაქტორებად „მე“ კონცეფცია და მართლშეგნება, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორებად -- საზოგადოებრივი აზრი, სოციალური კონტროლის სახით, და სამართლებრივი ნორმები, სამართლებრივი კონტროლის სახით.

ადამიანის ემოციურ სფეროში მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება განიცდება როგორც „მე მინდა“-ს ფენომენი, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორების ზემოქმედება -- როგორც „მე უნდა“-ს ფენომენი. დანაშაულებრივი ქცევის მოტივი ყველა ამ ფაქტორის შეპირისპირების შედეგია.

მაღალი მართლშეგნების ადამიანი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ამა თუ იმ დანაშაულის (ვთქვათ ქურდობის) მიმართ. თუ მას გამოუმუშავებული აქვს მზაობა არ ჩაიდინოს ამგვარი მოქმედება, მაშინ დანაშაული (ქურდობა) წინასწარვე გამორიცხული იქნება მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან და მოტივაციის პროცესში ამგვარი ქცევა ან სულაც არ აისახება, ანდა მოტივაციის პროცესს შეაფერხებს. თუ სუბიექტი დაბალი მართლშეგნებისაა, მაშინ მართლშეგნება, როგორც მოტივაციის ფაქტორი, არ გადაეღობება დანაშაულის (ქურდობის) მოტივის გამომუშავებას და ამგვარი მოტივი წარმოიშობა კიდევ, თუ მოტივაციის პროცესს სამართლებრივი კონტროლი არ შეაფერხებს.

მართლშეგნებისაგან განსხვავებით სამართლებრივ კონტროლს, როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორს, ზემოქმედების სხვა სტრუქტურა აქვს. მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენომენია. იგი არის ადამიანის შინაგანი რწმენა, მისი მზაობა შეასრულოს სამართლებრივი ნორმა. სამართლებრივი კონტროლი კი ზეგავლენას ახდენს სუბიექტზე მოტივაციის პროცესში სასჯელის მუქარით. ამიტომ შეიძლება ადამიანს დაბალი მართლშეგნება ჰქონდეს, მაგრამ მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლი მოგვევლინოს ფაქტორად, რომელიც შეაფერხებს დანაშაულებრივი ქცევის მოტივის გამომუშავებას.

სამართლებრივ კონტროლთან შედარებით მართლშეგნებას გაცილებით ქმედითი როლის შესრულება შეუძლია. მაღალი მართლშეგნება შეუძლებელს ხდის დანაშაულებრივი ქცევის მოტივის შემუშავებას, ვინაიდან არ შეიძლება კაცმა დანაშაულებრივი მოქმედება თავისთვის საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიოს, თუ მას ამის საწინააღმდეგო ქცევის მზაობა ადრევე შექმნილი ექნება. დანაშაულებრივი ქცევის მოტი-

ვის გამომუშავება, ე. ი. მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ მრავალ შესაძლებელ ქცევას შორის დანაშაულის არჩევა და მიზანშეწონილად მისწევა დაბალი მართლშეგნების შედეგია.

6. მოთხოვნილების შესაბამისი მიზნის დასახევა, მოტივაციის პროცესი. ამ პროცესის შედეგად მოტივის გამომუშავება და გადაწყვეტილების მიღება დამახასიათებელია მხოლოდ ნებელობითი ქცევისათვის. იმპულსურ ქცევას ამგვარი ფსიქოლოგიური ეტაპები არ ახასიათებს. მოტივაციის პროცესის არარსებობა არ გამორიცხავს მართლშეგნების ზემოქმედებას იმპულსურ ქცევაზე.

ადამიანის მიერ ცოდნისა და გამოცდილების ე. წ. „პოტენციური ველის“ შექმნა და გაფართოება, ძირითადად, ნებელობითი პროცესებით, — შრომით, სწავლით, ადამიანებთან ურთიერთობით ხდება, მაგრამ დაგროვილი ცოდნის გამოყენება სდება როგორც ნებელობითი პროცესების შემწეობით, ისე მათ გარეშეც. სიტუაციის გაუცნობიერებლად სხვადასხვა შემთხვევაში ცოდნის სხვადასხვა სფეროს გააქტუალურება აიხსნება იმით, რომ გაუცნობიერებელი, იმპულსური მოქმედებაც განწყობით წარიმართება. რამდენადაც განწყობა წარმოადგენს პიროვნების გარდაქმნას და იწვევს მის მზაობას განსაზღვრული მოქმედებისათვის, იგი ამავე დროს პიროვნების ყველა ფსიქოფიზიკური ძალებისა და საერთოდ დაგროვილი ცოდნის მოდიფიკაციად ისახება.

განწყობის წყალობით იმპულსური ქცევის დროს ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც ამ კერძო ვითარებაში საჭიროა განწყობით მოცული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც ეხება არა მარტო საგანთა თუ მოვლენათა ურთიერთკავშირის ფაქტობრივ მხარეს, არამედ მათ შეფასებით მხარესაც ასახავს. ამ შემთხვევაში ქმედობის ფაქტობრივი და შეფასებითი მხარე ერთიანია და გათიშულად არ აღიქვება.

თუკი იმპულსური ქცევის განწყობა ცოდნის პოტენციური ველის იმ ნაწილის გააქტუალურებას იწვევს, რომელიც ამ კერძო ვითარებაში საჭიროა განსაზღვრული ქცევის შესასრულებლად, მაშინ სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის განხორციელების დროს გაუცნობიერების გარეშე მოხდება შეგნების იმ ნაწილის გააქტუალურება, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროს მოიცავს. ამ სფეროს კი მართლშეგნება ასახავს.

მართლშეგნება არ არის მხოლოდ სამართლებრივი ნორმების და მათგან გამომდინარე თუ მათზე დამყარებული ურთიერთობის ცოდნა და აგრეთვე ამ სფეროში მიღებული გამოცდილება. იგი წარმოადგენს

სამართლებრივ ღირებულებათა მოელ სისტემას. სამართლებრივი მნიშვნელობის ვითარებისათვის ქცევის შაბლონების წინასწარ გამომუშავებას, სწორედ ამიტომ მაღალი მართლშეგნება გამორიცხავს სამართლით დაცული ობიექტის ხელყოფას მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან ე. ო. გამორიცხავს ქცევას. რომელიც აკრძალულია კანონით. მაღალი მართლშეგნების ადამიანისათვის დანაშაულის ჩადენის ხელის შემწყობი პირობეით (მაგ., დახლზე უყუზადლებოდ დატოვებული ფული) ვერ გახდება სიტუაციად. რომელშიც მას შეუძლია მოთხოვნის დაკმაყოფილოს. - შექმნილი გარემოება არ გამოიწვევს მასში იმპულსურად დანაშაულის (ქურდობის) ჩადენის განწყობას. ამგვარი განწყობა შეიძლება მოტივაციის გარეშე გაუხსნდეს დაბალი მართლშეგნების ადამიანს, რომელსაც აღრეც ჩაუდენია დანაშაული (ქურდობა) და ამით დანაშაულის ჩადენის ფიქსირებული განწყობა გასივნია, ანღა ისეთს, რომელსაც თუმიცა აღრეც დანაშაული არ ჩაუდენია (არ უქურდნია), მაგრამ, თუ შესაღერისი ვითარება შესვდა, ქურდობა ხელსაყრელ საქმედ მიიჩნია. მას დანაშაულის ჩადენის მოტივი და შესაბამისი ქცევის შაბლონიც აღრევე აქვს შემუშავებული.

მოტივაციას გარეშე კანონის შესრულება მაღალი მართლშეგნების მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა გაცნობიერების გარეშე სრულდება. რამდენადღე მოქალაქეს საამისო მზაობა წინასწარვე შექმნილი აქვს. პირიქით, დანაშაულის იმპულსურად ჩადენა პიროვნების დაბალი მართლშეგნების, მისი დაბალი საზოგადოებრივი კულტურის მაჩვენებელია. ისეთ ადამიანს დანაშაულებრივი ქცევის შაბლონი, დანაშაულის ჩადენის მზაობა წინასწარვე გამომუშავებული ქქონია და დანაშაულის ჩადენისათვის მოტივაციის პროცესი აღარ სჭირდება. მისთვის სამართლებრივი კონტროლი მხოლოდ სასჯელის მუქარის სახით არსებობს. მაშასადამე, მართლშეგნების ზემოქმედების ძალა იმპულსური ქცევის დროს უფრო მკვეთრად მოიხანს. მაღალი მართლშეგნების ადამიანი არც კი შეღეს იმის განსჯაში, ჩაიღინოს თუ არა დანაშაული თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მისთვის დანაშაულებრივი ქმედობა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვითარებიდან წინასწარვე გამორიცხულია და ამიტომ იგი მოთხოვნის დასაკმაყოფილებელი ქცევის არჩევის დროს გაცნობიერებლად გვერდს უვლის დანაშაულებრივ ქცევას, იმპულსურად ირჩევს ქცევას იმ შაბლონებს შორის, რომლებიც დანაშაულებრივ ქცევათა მიღმა არიან.

7. განწყობა ყოველთვის ერთი კონკრეტული ქცევის განწყობა არ არის. შეიძლება აღმოცენდეს ე. წ. ინტეგრირებული ქცევის განწყობა,

რომელიც რამდენიმე ქვევას მოიცავს და ავსებს უკვე დაწყებული ქვევის შუალედებს. შუალედი დროით არ არის შეზღუდული. ამგვარი ქვევის განხორციელებას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს. ამ ხნის განმავლობაში კაცმა შეიძლება მრავალი სხვადასხვა, გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი, ქვევა შეასრულოს. ქვევათა ნაწილი დაკავშირებული იქნება ძირითად მიზანთან, ნაწილს კი მასთან არაერთი კავშირი არ ექნება. სუბიექტისათვის ყველა მის ქვევას ერთნაირი ღირებულება არა აქვს. ადამიანს ესახება ცხოვრების მთავარი მიზანი, იგი მის გენერალურ მიზნად იქვევა, რომელსაც მისი დანარჩენი მიზნები ექვემდებარება. რომელი მიზანი იქვევა ინდივიდისათვის გენერალურ მიზნად, ამას ერთგვარად მოთხოვნილების სიძლიერე განაპირობებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოტივაციის პროცესი გადაწყვეტს. მოტივაციის პროცესის მეოხებით გამომუშავდება გენერალური ქვევის მოტივი და გენერალური ქვევის განწყობა.

მას შემდეგ, რაც ადამიანს გამოუმუშავდება გენერალური ქვევის განწყობა, ის უკვე იმგვარად არის მოდიფიცირებული, რომ ყველა დანარჩენი ქვევა გენერალურ განწყობას უნდა დაექვემდებაროს. გენერალური განწყობის შექმნა ნიშნავს ადამიანის მზაობას განახორციელოს მრავალი ქვევა, მიმართული ერთი გენერალური მიზნის მისაღწევად. ამის შემდეგ რომელიმე სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოტივაციის პროცესში გენერალური მოტივი მოქმედებს უკვე როგორც მოტივაციის უძლიერესი ფაქტორი. მისი ზემოქმედება იმით გამოიხატება, რომ იგი აფერხებს ისეთი ქვევის მოტივის გამომუშავებას, რომელიც ეწინააღმდეგება გენერალურ მოტივს, სანამ გენერალური განწყობა არსებობს. იგი გამორიცხავს საწინააღმდეგო განწყობის წარმოშობას. იმისათვის, რომ გენერალური განწყობის საწინააღმდეგო განწყობა წარმოიშვას, ჯერ უნდა მოიხსნას გენერალური განწყობა. ადამიანი ყოველთვის ვერ ახორციელებს თავის მიზნებს, მათ შორის გენერალურ მიზანსაც. შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი. მაშინ ადამიანი განაახლებს გენერალური ქვევის მოტივაციას, რის შედეგადაც შეიძლება გამომუშავდეს ახალი გენერალური მოტივი. ან უარყოფილ იქნეს ძველი, ხოლო ახალი აღარ გამომუშავდეს. სანამ გენერალური მოტივი ძალაშია, ყველა დანარჩენი ქვევის მოტივი შეთანხმებული უნდა იყოს მასთან. ყოველ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. თუკი ადამიანი ახორციელებს ქვევას, რომელიც ინდიფერენტულია გენერალური განწყობის მიმართ, მაშინ გენერალური განწყობა გაყუჩებულია, იგი შეგნების ე. წ.

პოტენციურ ველში იმყოფება. მასი გააქტუალურება მხოლოდ შესაბამის ვითარებაში ხდება და ამდენად მას ფიქსირებული გენერალური განწყობა უნდა ეუწოდოთ. ასეთსავე ხასიათს იქონს გენერალური მოტივი და გენერალური მიზანი. მათაც, შესაბამისად, ფიქსირებული გენერალური მიზანი უნდა ეწოდოს.

ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებას არაფერი წარმოსახავს ისე მკვეთრად, როგორც ფიქსირებული გენერალური ქცევის განწყობა, მისი მოტივი და მიზანი. სწორედ ამ ელემენტებში ვლინდება სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებათა მთელი სისტემა, რომელიც, ძირითადად, განსაზღვრავს ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ სახეს. ჩაიდენს თუ არ ჩაიდენს კაცი დანაშაულს, ეს სხვა ფაქტორებთან ერთად დიდად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მისი ფიქსირებული გენერალური მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა. ვისაც თავისი ცხოვრების გენერალურ მიზნად გამოდიდება დაუსახავს, მას, რასაკვირველია, უფრო ადვილად შეუმუშავდება ქრთამის აღების ან სახელმწიფო ქონების მითვისების მოტივი და საამისო დანაშაულებრივი განწყობაც უფრო ადვილად შეექმნება. პირიქით, იმას, ვისაც ცხოვრების გენერალურ მიზნად ხალხის სამსახური დაუსახავს, ფიქსირებული აქვს შესაბამისი გენერალური მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ კაცს თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ვთქვათ, სახელმწიფო ქონების მითვისების მოტივი გამოუმუშავდეს.

სამართლებრივი აღზრდა სწორედ იმას გულისხმობს, რომ მოქალაქეს სამართლებრივი ნორმების შესრულების გენერალური მიზანი, მოტივი და განწყობა შეექმნას და განუმტკიცდეს. რამდენადაც მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივის და შესაბამისი განწყობის გამოუმუშავება სამართლებრივი ნორმების შესრულების წინასწარ მზაობას ნიშნავს, ამიტომ მართლშეგნების ამაღლება გულისხმობს სწორედ მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივისა და განწყობის ფიქსაციას. მაღალი მართლშეგნება უკვე უზრუნველყოფს იმას, რომ სამართლის ნორმას მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლის მნიშვნელობა მიეცემა, რომ იგი ადამიანისათვის დამოუკიდებელ სოციალურ ღირებულებად იქცევა და შეესის სწორება „მე“ — კონცეფციას. როგორც თავისთავადი სოციალური ღირებულების ფენომენი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავის ეტალონურ ჯგუფად ისეთ სოციალურ ჯგუფს მიიჩნევს, რომელშიც სამართლებრივი ნორმის გაზიარების აზრია გამეფებული. ამგვარი საზოგადოებრივი აზრი სოციალური კონ-

ტროლის როლს ასრულებს. მაღალი მართლშეგნების პირობებში მოტივაციის, ერთი მხრივ, სუბიექტური მხარის სამი ფაქტორი, — მართლშეგნება, „მე“—კონსეფცია და ფიქსირებული გენერალური მოტივი, — სოლო. მეორე მხრივ, მათი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები ისე წარმართავენ მოტივაციის პროცესს, რომ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უპირატესობა სწორედ მართლზომიერ ქცევას ენიჭება.

იმპულსური ქცევის დროს მოტივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმდინარეობაში შეიგრძნობა. თუ მაღალი მართლშეგნების წყალობით ადამიანს განმტკიცებული აქვს მართლზომიერი მოქმედების გენერალური მოტივი, მაშინ დანაშაულებრივი ქცევის მიმდინარეობაში მან ვერ უნდა შეიგრძნოს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სუბიექტური ღირებულება. მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივი მართლზომიერი მოქმედების გენერალურ განწყობას ქმნის. ამის გამო მოთხოვნილებას არ შეუძლია მოტივაციის გარეშე შექმნას უკვე ფიქსირებული გენერალური განწყობის საწინააღმდეგო დანაშაულებრივი განწყობა, რომელიც შემდგომ იმპულსურად შესაბამის დანაშაულებრივ ქცევად განიშუბტება. სწორედ ამიტომ დანაშაულის პროფილაქტიკის ყველაზე მოქმედი საშუალება მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლებაა.

მართლშეგნების ამაღლება ადამიანის აღზრდის ურთულესი პრობლემაა. იგი დამოკიდებულია მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზე და ხანგრძლივ და მეცნიერულად გააზრებულ შრომას მოითხოვს. საქმის წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას მოსახლეობის მართლშეგნების დონის შესწავლა წარმოადგენს.

8. ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი კულტურა მხოლოდ შეგნებას, ე. ი. სულიერ სფეროს როდი ეკუთვნის, იგი სოციალური ფენომენია, რომელიც ადამიანის საქმიანობას, მის ქცევასაც მოიცავს და საბოლოოდ გაპირობებულია საწარმოო ურთიერთობათა დონით. ამისდაგვარად სამართლებრივი კულტურა მართლშეგნებასთან ერთად შეიცავს აგრეთვე მთელ სამართლებრივ ურთიერთობას, ანუ იურიდიული მნიშვნელობის პრაქტიკასაც. მართლშეგნების ამაღლება ნიშნავს სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური კულტურის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა.

მართლშეგნების, ხოლო მასთან ერთად სამართლებრივი კულტურის, ამაღლების ერთ-ერთ გზას მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა წარმოადგენს. სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივ განათლებაზე ფარო, მისი შემცველი ცნებაა. მასებრს სამართლებრივი განათლება,

მათთვის სამართლებრივი ცოდნის მიწოდება სამართლებრივი აღზრდის თუმცა აუცილებელი. მაგრამ შედარებით მცირე ელემენტია.

მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლების ერთ-ერთი ქმედითი გზა მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდაა. საქმის წარსამართლებლად აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს, თუ რა დონისაა ახალგაზრდობის მართლშეგნება, როგორია მისი ხარვეზები. ამისათვის არ იკმარებს იმის გამოკვლევა, თუ როგორი სამართლებრივი ცოდნა შესწევს მოსწავლე ახალგაზრდობას. შესწავლის საგანს უნდა შეადგენდეს მისი დამოკიდებულება სამართლის ნორმებისადმი და სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების მიმართ, აგრეთვე ის, თუ რამდენად ჩანედულია იგი სასამართლო ორგანოების ძირითად ფუნქციებსა და მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებში. ამას მნიშვნელობა ექნება იმის შესაფასებლად, თუ როგორაა სამართლის სოციალური ღირებულება და მართლმსაჯულების ორგანოთა ავტორიტეტი ახალგაზრდობის თვალში.

9. სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ დანაშაულისა და სასჯელის პრობლემების სფეროში მოსწავლე ახალგაზრდობის გაცნობიერების დონე არც თუ ისე მაღალია.

მოსწავლე ახალგაზრდობის მხოლოდ 24,2%-მა იცის, რომ კანონის უცოდინარობა გავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობაზე; 8,2%-ს მიაჩნია, რომ ეს გარემოება ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისაგან, ხოლო 54,6% თვლის, რომ კანონის უცოდინარობა ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ კანონის არცოდნა უმსუბუქებს სასჯელს ან საერთოდ ათავისუფლებს მისგან დანაშაულის ჩამდენს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ხელს უშლის ახალგაზრდობას ისწრაფოდეს გაეცნოს სისხლისსამართლებრივ ნორმებს.

მოსწავლე ახალგაზრდობის მხოლოდ 62%-მა იცის, რომ სიმთვრალე სასჯელის დამამძიმებელი გარემოებაა. მესამედზე მეტი ან თვლის, რომ სიმთვრალე ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ანდა ფიქრობს, რომ იგი სრულიად ათავისუფლებს მისგან. კანონს, რომელიც სიმთვრალეს დამამძიმებელ გარემოებად აცხადებს, უპირველეს ყოვლისა ზოგადპრევენციული მნიშვნელობა აქვს, იგი შემაკავებელ იმპულსად უნდა მოქმედებდეს როგორც დათრობის დროს, ისე მაშინ, როცა მთვრალი ამა თუ იმ მოქმედებას სჩადის. კანონის უცოდინარობა ასუსტებს მის ზემოქმედების ძალას.

ახალგაზრდობის მხოლოდ 52,3%-ს მიაჩნია, რომ კაცი, რომელმაც თავის მეგობარს ნაქურდალი შეუნახა, უნდა დაისაჯოს სისხლის სამარ-

თლის წესით. საშუალო სკოლის მოსწავლეთაგან შედარებით მკაცრად უდგებიან საკითხს სოფლის მოსწავლეები, ყველაზე შემწყინარებულურად — თბილისელები. იგივე შეიმჩნევა ტექნიკუმის მოსწავლეთა და სტუდენტთა შორისაც. სტუდენტთა შეხედულება ბევრად უფრო უმართებულოა, ვიდრე საშუალო სკოლის მოსწავლეებისა. როგორც ჩანს, სტუდენტების ზოგიერთ სოციალურ მიკრო ჯგუფში ძლიერდება მეგობრობის მდლარი ვაგება და იგი ზოგჯერ უპირისპირდება სამართლებრივ კონტროლს. ზოგმა ახალგაზრდამ იცის, რომ ნაქურდალის შენახვა ისჯება, მაგრამ მეგობრობას კანონზე მალა აყენებს და ავლენს მზაობას ჩაიდინოს დანაშაული მისი აზრით უფრო მაღალ სოციალური ღირებულების დასაცავად. ასეთი მზაობა მას გამომუშაებულნი აქვს იმდენად, რამდენადაც მის სოციალურ ღირებულებათა სისტემაში კანონს. ეტყობა, არა აქვს დამოუკიდებელი მაღალი სოციალური ღირებულება. ამში მელავნდება დაბალი მართლშეგნება, რომელსაც შეუძლია დანაშაულის ჩადენის მზაობა გამოიწვიოს.

ახალგაზრდობის ზოგიერთ სოციალურ მიკრო ჯგუფში ჯერ კიდევ ძალაშია საზოგადოებრივი აზრი. რომელიც იწყნარებს წვრილმან ქურდობას წარმოებაში, გამოკითხული მოსწავლე ახალგაზრდობის 18,8% ამგვარ ქმედობას უზნეოდაც კი არა თვლის.

თუმცა ახალგაზრდობისაგან უფრო მოსალოდნელია დაუდევრობა ცესლის ხმარებაში, გამოკითხულთა 48%-მა არც კი იცის, რომ ამგვარ დაუდევრობას, თუ კი მან მძიმე შედეგი გამოიწვია, შეიძლება სისხლის სამართლის სასჯელი მოჰყვეს.

გამოკითხული ახალგაზრდობის მხოლოდ 13,8%-ს სცოდნია, რომ ქურდობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკდან იწყება. ეს გარემოება ასუსტებს კანონის მოიწესრიგებელ ფუნქციას. ახალგაზრდა ზოგჯერ არ განიცდის ამ მხრივ სამართლებრივ კონტროლს, და ეს კი შეიძლება ერთგვარად აქეზებდეს კიდევ მას ქურდობის ჩასადენად.

10. უნაკლო არ ყოფილა მოსწავლე ახალგაზრდობის დამოკიდებულებაც ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებისადმი და სხვა სამართლებრივი მოვლენების მიმართ.

გამოკვლევული ახალგაზრდობის მხოლოდ 9,6% თვლის, რომ მოქალაქეთა მასობრივი გაჩხრეკა ქურდის აღმოსაჩენად დაუშვებელია, რადგან უმჯობესია დავიცვათ აშკარად უდანაშაულო ადამიანთა ღირსება, ვიდრე მოვნახოთ მოპარული ნივთი და ვამხილოთ დამნაშავე. გამოკითხულთა 32%-ის აზრით. ასეთი ჩხრეკა დასაშვებია, რადგან იგი არ

შეურაცხყოფის წესიერ ადამიანს, რომელსაც ქურდობაში ბრალი არ მიუძღვის, ხოლო 45,7%-ს მიაჩნია, რომ თუმცა ასეთი ჩხრეკა დაამტკიცებს უდანაშაულო ადამიანის ღირსებას, მაგრამ იგი აუცილებელია დამნაშავეის აღმოსაჩენად. ერთი შეხედვით მოქალაქეთა მასობრივი განხრეკა ქურდის აღმოსაჩენად მართლაც მიზანშეწონილად მოჩანს, მაგრამ ეს ყალბი მიზანშეწონილობაა, რადგან ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება გაცილებით მეტი ზიანი მოუტანოს მართლწესრიგს, ვიდრე ქურდის დაუსჯელობამ. სოციალური და სამართლებრივი კონტროლის შედეგიანობა პირდაპირ შეესაბამება „მე“ — კონცეფციის დონეს. სწორედ ამიტომ მაღალი მართლშეგნება პირველ ყოვლისა მაღალ მოქალაქეობას, თავისი ღირსების შეგნებას ნიშნავს. სამართლებრივ ნორმას მოქალაქისათვის მაშინ მიეცემა დამოუკიდებელი სოციალური ღირებულება, როცა იგი ირწმუნებს, რომ კანონი არა მხოლოდ მოვალეობას აკისრებს მას, არამედ მისი უფლებებისა და ღირსების დამცველიც არის. მოქალაქისათვის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვა მისი მართლშეგნების, ჯეროვანი დონის საწინდარია.

მოსწავლე ახალგაზრდობა არასწორ დამოკიდებულებას იჩენს პრინციპისადმი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ შერაცხადი ადამიანი აგებს პასუხს კანონის წინაშე. გამოკითხულთა 43,6% ფიქრობს, რომ სულით დაავადებული მკვლეელი უნდა დაისაჯოს, ზოგის აზრით — დანაშაულის ჩადენისთანავე, ზოგის აზრით კი — განკურნების შემდეგ. ახალგაზრდობის მხოლოდ 28,9% არ მოითხოვს სულით დაავადებულის დასჯას.

ახალგაზრდობის უმრავლესობას (52,8%) არა აქვს გამოუმუშავებული რაიმე დამოკიდებულება აღიარებული სამართლებრივი პრინციპისადმი, რომ ეკვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება. საყურადღებო და დადებითია, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 10,5% მოითხოვს საექვო მასალების საფუძველზე ბრალდებულის გამტყუნებას.

საერთოდ მაღალი მართლშეგნება გამოამჟღავნეს ახალგაზრდებმა სასამართლოში მოწმედ გამოქანებული მოქალაქის მოვალეობის შეფასებაში. გამოკითხულთა მხოლოდ 6% უჭერს მხარს მამას, რომელიც შვილის სასარგებლოდ სასამართლოს ცრუ ჩვენებას აძლევს.

ვერ ვიტყვი ამასვე ახალგაზრდობისაგან მამის საქციელის შეფასებაზე, თუ მან უმაღლეს სასწავლებელში შვილის მოსაწყობად ქვირფასი საჩუქარი მიართვა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს. ამგვარ მოქმედებას დანაშაულად არ თვლის გამოკითხული ახალგაზრდობის 26,1%, ხოლო 8,6% — იგი უზნეოდაც არ მიაჩნია.

ერთგვარი შემწყნარებლობა მელაჩნდება ქრთამის გამოძალვის მი-

მართაც. ამ დანაშაულის სიმძიმე სწორად შეაფასა გამოკითხულთა მხოლოდ 17%-მა. ასევე არასწორად იქნა შეფასებული ქრთამის მიცემის საზოგადოებრივი საშიშროება.

11. ხარვეზები შეიმჩნევა მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპების გაგებაშიც. გამოკითხულთა მხოლოდ 60%-მა იცის, რომ მოქალაქე შეიძლება დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. საბჭოთა მართლმსაჯულების საჭარობის პრინციპის შესახებ სწორი წარმოდგენა აქვს გამოკითხულთა 69,4%-ს. მოსწავლე ახალგაზრდობის 49%-ს მიაჩნია, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატის მონაწილეობა საჭირო არ არის.

ახალგაზრდობას კარგი წარმოდგენა აქვს საგამომძიებო ორგანოების ოპერატიულ მუშაობაზე. გამოკითხულთა მხოლოდ 4,2%-ს ჰგონია, რომ დანაშაული ხშირად გაუხსნელი რჩება. სამაგიეროდ მართებული არ არის სასამართლოს საქმიანობის შეფასება. გამოკითხულთა 24,3%-ს მიაჩნია, რომ სასამართლო არ სჯის დამნაშავეს სამართლიანად. ახალგაზრდობა დადებით დამოკიდებულებას იჩენს სახალსო მსაჯულთა ინსტიტუტისადმი, — გამოკითხულთა 87,5%-ი თვლის, რომ მსაჯულთა ინსტიტუტი დადებით გავლენას ახდენს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

იურისტის პროფესიას ახალგაზრდობა საკმაოდ დიდ ფასს სდებს, იუსტიციის მუშაკთა შორის ახალგაზრდობის თვალში ყველაზე მეტი პოპულარობით გამომძიებელი სარგებლობს (38,8%). მოსამართლეობას ნაკლები მოწონება აქვს (14,4%). ამ პროფესიის ნაკლები ავტორიტეტი ერთგვარად განპირობებულია იმითაც, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად ერკვევა მოსამართლის თანამდებობრივ სტატუსში, ცუდად ერკვევა ისეთ კონსტიტუციურ დებულებებში, როგორცაა მოსამართლის არჩევითობა, მისი დამოუკიდებლობა და სხვ. გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ 43,9%-მა იცის, რომ სახალხო მოსამართლეს მოსახლეობა ირჩევს. ამას თან სდევს მეორე შეცდომა. ახალგაზრდობის უმრავლესობას (67,7%) ჰგონია, რომ ზემდგომ ორგანოს უფლება აქვს გადააყენოს მოსამართლე.

12. კვლევის შედეგების შეჯამება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ რამდენიმე ზოგადი ხასიათის დასკვნა.

ა) საქართველოს მოწაფე და სტუდენტი ახალგაზრდობის გაცნობიერების დონე დანაშაულისა და სასჯელის საკითხებში სათანადო ვერ არის. ხარვეზები შეიმჩნევა როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების ცოდნაში. სასურველ დონე-

ზე ვერ არის ახალგაზრდობის ცოდნა მარილმსაჯულების ორგანოების საქმიანობის საკითხში.

მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა ყოველთვის არ იზიარებს სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. ზოგჯერ ხდება სამართლებრივი კონტროლისა და სოციალური კონტროლის დაპირისპირება.

ახალგაზრდობას ყოველთვის სწორი დამოკიდებულება არა აქვს მოქალაქის ხელშეუხებლობისა და კანონით დადგენილი სხვა მოქალაქეობრივი ვარაუდების დაცვისადმი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ საქართველოს მოწაფე და სტუდენტი ახალგაზრდობის მართლშეგნება რიგ საკითხებში სათანადო დონისა არ არის. შეიძლება ვალიაროთ, რომ ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა ჩამორჩება მის საერთო კულტურას, ხოლო მართლშეგნება მის საერთო შეგნებას.

ბ) მოსწავლე ახალგაზრდობის მართლშეგნების დონე რესპუბლიკაში საკმაოდ თანაბარია. ამ მხრივ არ შეიტყობა მეცეთრი განსხვავება სოფლის, საერთოდ ქალაქისა და, კერძოდ, დედაქალაქის სკოლების მოსწავლეებს შორის. თუმცა ზოგიერთ საკითხში თბილისის მოსწავლეები გაცნობიერების უფრო მაღალ დონეს ააშკარავენ, მაგრამ ეს განსხვავება უმნიშვნელოა.

არა ჩანს მართლშეგნების დონის მნიშვნელოვანი განსხვავება თბილისისა და სხვა ქალაქების სტუდენტებს შორისაც და არც კუმანიტარული და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს შორის. მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ავლენენ საკმაოდ უფრო მაღალ მართლშეგნებას სხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან შედარებით.

სკოლის მოსწავლეებთან შედარებით სტუდენტებს უფრო მაღალი მართლშეგნება ახასიათებს, მაგრამ განსხვავება მაინც უმნიშვნელოა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უმაღლეს სასწავლებელში ძირითადად მთავრდება ახალგაზრდობის ოფიციალური სამართლებრივი აღზრდა, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სასწავლებელი არც თუ ბევრ რასმე მათებს სტუდენტებს მათი მართლშეგნების ამაღლების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ის მცირე უპირატესობა, რაც მართლშეგნების დონეში სტუდენტებს სკოლის მოსწავლეებთან შედარებით აქონიათ უფრო ასაკობრივ ფაქტორსა და მეტ სოციალიზაციას მიეწერება, ვიდრე უშუალოდ უმაღლეს სასწავლებელში შექმნილ სამართლებრივ ცოდნას.

გ) ასაკში შესვლისა და სოციალიზაციის კვალობაზე ახალგაზრდობის თვალში კლებულობს მართლმსაჯულების ორგანოების მუშაეთა

ავტორიტეტი. ერთგვარად მცირდება სასამართლო ორგანოების კარგი მუშაობის რწმენაც.

ის გარემოება, რომ ახალგაზრდობა მოსამართლისა და ადვოკატის ავტორიტეტს მალა არ აყენებს უდავოდ უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა მართლშეგნებაზე.

დ) ახალგაზრდობის ზოგიერთ სოციალურ მიკრო ჯგუფში გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი არ ეთანხმება სამართლის ნორმებს. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს მექრთამეობის, ქურდობისა და სიმთვრალის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებაში.

ე) სამართლის ნორმის მოთხოვნას ზოგჯერ არა აქვს თავისთავადი და სათანადო ღირებულება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ქაშინ, როდესაც კანონის მოთხოვნა წინააღმდეგობაშია ახალგაზრდობისათვის სხვა სოციალური ღირებულების ობიექტთან.

ვ) საქართველოს მოწაფე და სტუდენტი ახალგაზრდობის მართლშეგნების ამაღლება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. იგი ახალგაზრდათა დანაშაულობის თავიდან აცილების დიდი საწინდარია.

13. ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის მეთოდები და გზები დაშოუკიდებელი კვლევის საგანს შეადგენს. აქ მხოლოდ დაეძინო, რომ ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ფენის მართლშეგნების ფართო გამოკვლევა. მართლშეგნების დინამიკის დადგენა.

აუცილებელია იმის გამოკვლევა, თუ რამდენად შედეგიანია ტელევიზიის, რადიოს, ჟურნალ-გაზეთების სამართლებრივი პროპაგანდა.

შესასწავლია რესპუბლიკაში სამართლის დარგის პედაგოგთა მომზადებისა და სამართლის სწავლების დონე სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელში.

შესასწავლია რესპუბლიკაში დანაშაულისა და სასჯელის პრობლემებთან, აგრეთვე მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრი.

გამოსაკვლევი, თუ რა ზეგავლენას ახდენს მხატვრული ლიტერატურა, კინო და თეატრი სამართლის შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

РАСШИРЕННОЕ РЕЗЮМЕ

1. У индивида, по мере его социализации, накапливаются не только знания и навыки, но и оценочные отношения к определенным явлениям. Создается определенная система социальных ценностей, формируются ценностные ориентации, а главное, отношение к тому или иному поведению и готовность совершения конкретных действий в определенных ситуациях, т. е. шаблоны поведения. Все это отражается в сознании индивида и создает т. н. потенциальное поле знаний и шаблонов поведения, относящееся к сфере сознания.

Сознание человека индивидуально, вместе с тем оно является общественным продуктом, так как является продуктом социализации индивида, и его потребление также носит социальный характер. Сознание является продуктом социализации и вместе с тем его источником.

Сознание — надстроечная категория, однако оно не является простым отражением действительности. Сознание имеет регулятивную функцию. Поведение людей определенным образом влияет на развитие производительных сил и производственных отношений. Сознание едино и индивидом разрозненно не ощущается, однако при научной разработке проблемы общественного сознания принято говорить о различных его формах, исходя из того, к какой сфере общественных отношений оно относится. Сфера общественного сознания, отражающая правовые отношения в обществе, именуется правосознанием. Правосознание является частью общественного сознания и охватывается им.

Правосознание имеет три основные функции: познавательную, оценочную и регулятивную. Познавательной деятельности соответствует определенная сумма юридических знаний и правовая подготовка; оценочной — отношение к праву, практике его исполнения и применения; регулятивной — осуществляемая деятельность на основе формирования правовых ориентаций и установок¹. О высоком правосознании можно говорить тогда,

¹ См. В. И. Каминская, А. Р. Ратинов. Правовая культура и вопросы правового воспитания, М., 1974, с. 57.

когда субъект знает требования правопорядка, солидарен с этими требованиями и готов выполнить их.

2. Непосредственной причиной или условием поведения психологи считают установку поведения, рассматривая ее как модус целостного субъекта. На базе установки поведения возникает деятельность с определенной направленностью, как уравновешение отношений между индивидом и средой. Возникновение установки, готовность действовать именно таким, а не каким-либо иным образом, вызывает исчезновение неопределенности или энтропию возможного поведения².

Однако установка сама создается импульсом потребности и ситуацией удовлетворения потребности (импульсивное поведение) или же возникает вследствие принятия субъектом решения о совершении определенного действия (волевое поведение). Поэтому установка, являющаяся непосредственной причиной поведения, сама обусловлена системой определенных факторов, среди которых особое место занимает потребность. Это утверждение находится в полном соответствии с выдвинутым основоположниками научного коммунизма положением о том, что при объяснении поведения человека следует в первую очередь исходить из его потребностей, считая потребности причиной его активности³.

Роль потребности в системе факторов поведения весьма велика, однако из этого не следует делать заключение, что причиной преступного поведения является потребность. Если причиной конкретного поведения будет признана потребность, тогда следует признать и то, что вероятность совершения преступного поведения зависит от силы потребности, от степени нужды в том или ином объекте. Что же касается процесса мотивации, то его пришлось бы рассматривать как борьбу противоположных потребностей, создающих установку поведения. При подобном понимании роли потребности человек, как субъект полн, исчезнет и вместе с ним должна отпасть ответственность за содеянное. Активность человека всегда объясняется существованием той или иной потребности, она толкает его к действию. Но какое конкретное действие он совершит, этого нельзя объяснить, исходя из потребностей, ибо для их удовлетворения существует множество вариантов поведения, и какое из них осуществится в действительности не зависит вовсе от характера самой потребности. Пот-

² См. А. С. Прангишвили. Проблема установки на современном уровне ее развития. «Матне», 1968, № 5, с. 130.

³ См. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 3, с. 16—78; т. 20, с. 486—499; т. 12, с. 718; т. 23, с. 43.

ребность является лишь «двигателем, источником активности»⁴, поэтому в ней дан лишь объект, но не пути и средства удовлетворения потребности. Ключ для объяснения выбора шаблона времени и направленности действия, для объяснения того, почему из множества возможных поведений, которые субъект в конкретной ситуации способен совершить, он выбирает именно преступное деяние, дает социальный подход к индивиду и его действию. Субъект воли, т. е. существо, способное обуздать импульсы потребности и подчиниться требованиям социальных норм, создается по мере его социализации. Социализация человека происходит в социальных группах, коллективах. Но само существование социальных групп немислимо без совместных, согласованных действий людей. Такая согласованность достигается выработкой шаблонов поведения, делающих возможной совместную деятельность людей. Человек способен сформировать Я—Образ. Иными словами, он наделен способностью представить себе, как выглядит он в глазах других людей, включенных в данную ситуацию, и таким образом, с точки зрения других участников, оценить все то, что собирается сделать⁵. Способность формирования Я—Образа — это способность самоконтроля, а самоконтроль — это не что иное, как способность следовать за требованием отдельных социальных норм, т. е. подчиняться социальному контролю. С помощью самоконтроля субъект реагирует на образ самого себя и, исходя из этого, направляет свое поведение. Являясь частью эффективного окружения субъекта, Я—Образ рассматривается им так же, как и другие объекты. Способностью социализации человек наделен постольку, поскольку он способен мыслить. Именно с помощью мышления он может объективировать самого себя и свое поведение. Самоконтроль — это социальный контроль, так как человек оценивает себя и свое поведение глазами общества. Социальный контроль обеспечивается общественным мнением, а не какой-либо официальной санкцией. Силу социального контроля для индивида имеет не мнение каждой социальной группы без разбора, а в основном мнение той группы, которая является для индивида эталонной группой.

Таким образом, самоконтроль по существу является социальным контролем, который определяет сферу и направленность поведения индивида, и с помощью которого субъект оценивает свое настоящее или будущее поведение.

⁴ См. Д. Уэнадзе. Психологические исследования, М., 1966, с. 366.


⁵ Т. Шибутаи. Социальная психология, М., 1969, с. 79.

ние. Социальный контроль немислим без самоконтроля, а самоконтроль без формирования Я — Концепции. Концепция — Я у индивида формируется по мере его социализации и связана с познанием социальной ценности самого себя. Формирование Концепции — Я происходит при помощи норм поведения и систем социальных ценностей, воспринятых эталонными группами индивида. Именно эти нормы поведения, как и систему социальных ценностей, воспринимает индивид как собственную систему ценностей и норму поведения.

Понятия общественное мнение и правосознание не совпадают. Правосознание — понятие позитивное. Правосознание в принципе означает солидарность с правовыми нормами, санкционированными государством, и готовность их выполнения. Что касается общественного мнения отдельных социальных групп, то оно может и не быть солидарным с правовыми нормами. Общественное мнение или что иное, как взгляд, господствующий в микро- и макросоциальных группах об определенных социальных и правовых явлениях, о личности, о правовой и социальной значимости поведения, о системах социальных ценностей и т. п. Оно, как правило, обуславливается уровнем производственных отношений и производительных сил, социальными и политическим строем, материальным и культурным уровнем общества. На формирование общественного мнения определенным образом могут повлиять старые, зачастую вредные обычаи, буржуазная, антисоветская пропаганда и т. п. Общественное мнение выступает, как средство обеспечения социального контроля, оно является источником выработки шаблонов поведения и фиксации Концепции — Я.

В современном цивилизованном обществе индивид наделен определенными правами и обязанностями. За нарушение этих обязанностей в преобладающем большинстве случаев устанавливаются так называемые неофициальные санкции, находящиеся в сфере морального воздействия. Однако часть социальных отношений государство регулирует нормами права, нарушение которых вызывает применение санкции правового характера. Установлением правовых санкций социальному контролю уже придается форма правового контроля. В социалистическом государстве действует единый правопорядок, поддерживающий только те социальные отношения, в сохранении и упрочении которых заинтересовано социалистическое общество, а в эксплуататорских государствах — господствующий класс. Однако и в

социалистическом обществе пока еще существуют отдельные группы, в которых действуют социальные нормы, противоречащие социалистическому правопорядку. Подобные социальные нормы поддерживаются общественным мнением, господствующим в этих группах. Индивид, считавший подобные группы эталонными, может совершить преступление именно под воздействием социального контроля⁶. Структура воздействия правового контроля при выборе шаблонов поведения такая же, как и структура социального контроля вообще. Однако, воздействие чисто правового контроля обычно интенсивнее, ибо нарушение норм права, как правило, кроме морального осуждения, вызывает и правовые санкции. После издания правовых норм общественное мнение, поддерживающее правоотношения, охраняемые этими нормами, не теряет свою регулятивную функцию. Правовой контроль особенно эффективен, когда общественное мнение с ним солидарно. Когда общественное мнение, солидарное с правовым контролем, охватывает все социальные группы (например, общественное мнение о кровосмешении), тогда правовой контроль оказывается максимально эффективным. Таким образом, правовой контроль, как правило, совпадает с социальным контролем, однако, иногда такого совпадения нет. Социальный контроль более широкое понятие, чем правовой контроль, так как оно охватывает гораздо более широкий круг общественных отношений, в том числе и преобладающую часть правоотношений. Взаимоотношение этих двух понятий схематично можно выразить следующим образом:



То же самое можно сказать и о взаимоотношении понятий общественного мнения и правосознания. Общественное мнение — понятие весьма широкое. Оно охватывает почти все явления общественной жизни, в том числе и правовые явления. Общественное мнение часто солидарно с правопорядком и является выражением самого правосознания. Вместе с тем в отдельных случаях отсутствует солидарность общественного мнения с требованиями норм права. Целью социалистического государства и общества является расширить роль

⁶ Вышеуказанные социальные нормы и соответствующее общественное мнение действуют, например, в религиозных сектах, преступных бандах и т. д. Подобные нормы могут существовать и как вредные пережитки честных общин (например, кровная месть, калым и т. п.).

правосознания в структуре правового контроля и тем самым сблизить, а затем достичь совпадения этих двух понятий; что же касается общественного мнения, то его цель — повысить его до уровня правосознания и превратить эти два понятия во взаимохватывающие. В таком случае эффективность правовых норм достигнет максимума.

3. На основе потребности живой организм становится индивидом, субъектом поведения, а воздействующая на него внешняя действительность принимает вид ситуации удовлетворения потребности. Внешний мир отражен в эффекте, который вызван им в субъекте, как ситуация определенной потребности. Но этот эффект является перестройкой, видоизменением самого субъекта. Это значит, что во взаимоотношениях со средой субъект поведения меняется в соответствии с изменением ситуации потребности, поэтому последующее его действие является действием существа, модифицированного соответственно данной среде. Значит, характер действия того или иного существа в данной ситуации в известных пределах предопределен установкой еще до начала действия⁷. Следовательно, установка одновременно является непосредственным источником поведения и обуславливает его целесообразный характер. В установке, точно так же как и в цели, предварительно дано то, что должно быть последующим. В установке отражена ситуация поведения, поэтому поведение, отраженное в установке, протекает соответственно ситуации, т. е. целесообразно⁸.

